

# ისინჯი

ლიტერატურული ჟურნალი

№3

2018

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი

რეზო ემილიანე ადამია

დავით არახამია

ციალა არდაშელია

ბონდო არველაძე

ნინო ბაქანიძე

აკაკი ბრეგაძე

მარინა თექთუმანიძე

დალი კახიანი

ერეკლე სალლიანი

ბადრი პატაშური

მარსიანი

გიორგი შიშნიაშვილი

გიგი ხორნაული

რუსუდან ჭანტურიშვილი

მხატვარი

თამარ ლომიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამარ სტეფნაძე

## შინაარსი

<b>რედაქტორის წინათქმა .....</b>	<b>5</b>
პუბლიცისტიკა	
<b>იკა ქადაგიძე – საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორია დასავლურად .....</b>	<b>7</b>
ამაგდარი პოეტები	
<b>ნოდარ ჯალალონია – ლექსები.....</b>	<b>16</b>
პროზა	
<b>გიო კილაძე – ***.....</b>	<b>17</b>
ემიგრანტული პოეზია	
<b>ნინო მარგველაშვილი – ლექსები .....</b>	<b>21</b>
პოლემიკა	
<b>გიგი ხორნაული – „კუდი ძაღლისა“ .....</b>	<b>24</b>
პოეზია	
<b>თამარ ლომიძეძე – ლექსები .....</b>	<b>26</b>
მინიატურები	
<b>დავით არახამია .....</b>	<b>26</b>
კულტურულ ურთიერთობათა სადარაჯოზე	
<b>ბონდო არველაძე – მწერლის ბედი – ლევან გოთუას საქმე №0554-58 .....</b>	<b>27</b>
პოეზია	
<b>ვახტანგ ჯავახიძე .....</b>	<b>30</b>
ფილოსოფიური რაკურსი	
<b>ნანა ერემაძე – რომელმა შექმნა სამყარო .....</b>	<b>32</b>
რეპლიკა	
<b>აკაკი ბრეგაძე – მთარგმნელობითი ცენტრი.....</b>	<b>34</b>

პოეზია	
<b>ბადრი პატაშური</b> – ლექსები .....	35
პროზა	
<b>კობა ცხაკაია</b> – ზაფხულის ჯადოსნური ღამე და სამი სიცოცხლე.....	37
ერთი ლექსისი გაელვება	
<b>ბათუ დანელია</b> – დედას .....	41
<b>შალვა საბაშვილი</b> – დღის დასასრული .....	41
ისტორიული მოთხრობა	
<b>ნინო ბაქანიძე</b> – თარხანოვის ფენომენი .....	42
გამომხაურება	
რუსუდან ჭანტურიშვილი – ლევან ვასაძის პოეზიის სათავეებთან.....	48
კრიტიკა	
<b>მარსიანი</b> – გალაკტიონი და გრანელი .....	52
თარგმანი	
<b>დალი კახიანი</b> – რუსი პოეტები .....	59
არდავინყება პოეტისა	
<b>ლეილა გამსახურდია</b> – ლექსები.....	61
ესეისტიკა	
<b>გიორგი შიშნიაშვილი</b> – მარიტა .....	63
ჩანაწერები	
<b>მარინა თექთუმანიძე</b> – ამერიკული დღიური .....	64
მოსაგონარი	
<b>გივი ადრეულის გახსენება</b> .....	68

## რედაქტორის წინათქმა

ჟურნალის პერიოდულობის ხანგრძლივობას სხვადასხვა ფაქტორთა ერთობლიობა განაპირობებს; მისი პროფილი, დედაზრი, ლიტერატურული ტენდენციების აღქმისა და გაანალიზების მართებული უნარი, აგრეთვე თანამოკალმეებთან და ავტორებთან ურთერთობის საკითხი და რასაკვირველია, დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც სამწერლო სივრცის მრავალმხრივი დეკორაციის ფონზე არაერთ გამონვევასთან გამკლავებას მოითხოვს, რაც შემდგომი წინსვლის აუცილებელი პირობაა. და აი, გემოვნებიანი და სოლიდური პუბლიკის წინაშე „ისინდის“ მესამე ნომერია; ცხადია, რედაქტორი ანგარიშვალდებულია ჟურნალის მუშაობის პროცესი შეაჯამოს და ამა თუ იმ სიახლის თაობაზე საზოგადოებას მიუკერძოებლად აცნობოს;

უპირველესად რედკოლეგიის შემადგენლობის ცვლილებებზე გავამახვილებ ყურადღებას. ის ფაქტი, რომ საქართველოში გუნდური მუშაობის პრინციპის დაცვა საკმაოდ რთულია, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც, ეროვნული ცნობიერების სისუსტეზე მეტყველებს. ესოდენ ყბადაღებულ აქილევსის ქუსლთან დაკავშირებით ყველა დროის სახელოვან მწერალთა საგულისხმო მოსაზრებები არსებობს, რომელთა დამონებება აქ უადგილოდ მიმაჩნია, ვინაიდან „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“ გვავალდებულებს, მრავალწინაგოვან სიძნელებს არ შევეპუთოთ და ქართული მწერლობის საკეთილდღეოდ მიმართული ძალისხმევა არ შევანელოთ, კვლავ მუხლჩაუხრელად ვიშრომოთ და გეზმიმართულად შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ ეროვნული ფასეულობები, რაც სამწუხაროდ მწერლების უმრავლესობისთვის მეტწილად მაღალფარდოვან ლოზუნგებად ასოცირდება; აქედან გამომდინარე, ის, ვინც სიტყვას საქმეს ვერ უფარდებს, ფაქტია, „ისინდის“ ბირთვში მხოლოდ პრივატული პიარის პრაგმატულობის გამო მავანთა თვალის ასახვევად, ოდენ ფასადურ სახედ ვერ დარჩება და გულდასაწყვეტია, რომ ყოფილი თანაგუნდელები: ლევან ბებურიშვილი, ლაშა გვასალია და სევარიონ ნადირაძე მზად არ აღმოჩნდნენ ბოლომდე ჩვენს გვერდით მდგარიყვენ და „ისინდის“ წარმატება თუ სიძნელე ისე გაეთავისებინათ, როგორც ამას თვალშისაცემად მეტრძოლი ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა საჭიროებს; თავისუფალი არჩევანის პრინციპი იმაში მდგომარეობს, ყველა საკუთარ გზას დაადგეს და რადგან ჩვენში აღმოსავლური დიპლომატიის გავლენა კვლავაც ძალაშია, რის გამოც „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები“ პოლიტიკა მოჩვენებით თანამშრომლობას ემყარება, გაფილტვრის აუცილებლობამ სარედაქციო ცვლილებები ძალდაუტანებლად განაპირობა. რუსთაველის აფორიზმი „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ მოწმობს, რომ შეუცვლელი არავინაა და „ისინდის“ ყოფილი თანაგუნდელები ახალმა წევრებმა: რეზო ემელიანე ადამიამ, მარინა თექთუმანიძემ, ერეკლე საღლიანმა, ბადრი პატაშურმა და გიორგი შიშნიაშვილმა ჩანაცვლეს; ცხადია, ცნობილი მწერლების გარდა „ახალი სისხლის“ გადასხმის პროცესმა თაობათა შეკავშირების აუცილებლობა კიდევ ერთხელ გამოკვეთა.

აქვე დავძენ, რომ „ისინდი“ პოლონურ-ქართულ ურთერთობათა ცენტრის ხელმძღვანელის, მარინა ფილინას მეშვეობით პოლონურ სალიტერატურო სივრცეში გახმაურდა; ჟურნალის შესახებ ანოტაცია „პოლონური კავკასიის“ უახლეს ნომერში გამოქვეყნდა, რისთვისაც გულისხმიერ მეცნიერსა და მთარგმნელს დიდ მადლობას მოვასხენებთ. ორმხრივი, ჯანსაღი თანამშრომლობის მაგალითი სახეზეა. უახლოეს მომავალში ჩვენი ჟურნალი უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებსაც მოიცავს, რაც სასიამოვნო სიახლის საპირწონედ ჩვენი სინამდვილის უხერხულ სიმართლეს ამზეურებს; კერძოდ, იმ „დეტალს“, რომ საზღვარგარეთ უფრო ადვილია ეროვნული ჟურნალის პოპულარიზაცია, ვიდრე შინ, სადაც რეგიონების „კურატორები“ კეთილგანწყობის ნაცვლად რატომღაც საპირისპირო პოზიციას ირჩევენ ისევე, როგორც ბოპოლა მწერლები, რომელთა კლანურ ინტერესებს ყველაზე მკვეთრი ეროვნული ჟურნალის გამოცემა და გაძლიერება აშკარად არ თანხვდება.

წელან რეგიონები ვახსენე და აქ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორის, ბ-ნ ავთანდილ ბერიძის პოზიციას საგანგებოდ გამოკვეთ. მესხეთ-ჯავახეთის რთულ რეგიონში ეროვნული ფასეულობების დასაცავად შემართულ რედაქტორს მხურვალე მადლობას ვუხდით იმ შეფასებისთვის, რომ მან „ისინდის“ ქართული მწერლობის დიდი

შენაძენი უნოდა. ოცი წელი სრულდება, რაც “ლიტერატურული მესხეთი” ეროვნული საქმისა და სიტყვის დასაცავად თანმიმდევრულად იბრძვის; ამდენად, მესხური სოლიდარობის გამოხატულება ჩვენთვის ორმაგად მისასალმებელია, რადგან ძალა ერთობაშია ეროვნული ძარღვის უწყვეტობაზე მიუთითებს.

ჟურნალის მეორე ნომრის წარდგინებაზე აღიარებულმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და მეცნიერმა, ბ-მა კონსტანტინე გამსახურდიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ისინდი“ „ჩვენი მწერლობის“ ტრადიციების გამგრელებელია, რომ ეროვნული ფასეულობების დაცვისა და განახლების იდეა საქმის მეშვეობითაა შესაძლებელი და ეს გარემოება სოლიდური მწერლებისა და მოღვაწეების დადებით შეფასებასა და მხარდაჭერას იმსახურებს; ცხადია, ესოდენ პოზიტიურ გამოხმაურებას უსაფუძვლოდ არავინ გააყდერებს; ამიტომ აქვე დავაზუსტებ, რომ ანალოგიური აღიარებისა და შეფასებების ფონზე პარადოქსულია ზემოთდასახელებული ჟურნალის რედაქტორის, ცნობილი მწერლისა და მეცნიერის როსტომ ჩხეიძის რბილად რომ ვთქვათ, უცნაური პოზიცია; არაერთჯერადი დაპირების მიუხედავად მან „ისინდის“ სატელევიზიო რეკლამირებას რატომღაც თავი აარიდა (არადა, ღმერთი, რჯული, ამის ინიციატივა მისგან მომდინარეობდა!), ბ-მა ჩხეიძემ აგრეთვე წაუყრუა ჩემს თხოვნას, (ცალკეა შეთავაზებას რომ არ დამსგავსებოდა, ძველ მოკავშირეს რამდენჯერმე გავუმეორე საკუთარი სტატია ახალდაარსებულ ჟურნალში გადმოეზავნა) ჩვენთვის ნებისმიერი შინაარსის პუბლიკაცია მოეწოდებინა. მრავალწლიანი მოკავშირეობის პარალელურად სამომავლო თანამშრომლობის განმტკიცების პერსპექტივას მან რატომღაც აღმოსავლური დიპლომატიისთვის ნიშანდობლივი გაურკვეველი მოლოდინის შემცველი უმოქმედობა დაუხვედრა, რაც თანამედროვე მწერლობის გასაჯანსაღებლად შემართული ცნობილი მოღვაწისგან დიდად გასაკვირია და არაერთ უხერხულ კითხვასა და საჩოთირო მოსაზრებას აღძრავს.

ფაქტია, ჟურნალის დამოუკიდებელი, ცენზურისგან სავსებით თავისუფალი სარედაქციო პოლიტიკა თვით ცნობილი მწერლებისა და მოღვაწეების მხრიდან გამოწვევად აღიქმება, რაც ეროვნული მწერლობის შიგნით ფესვმოკიდებული შინააშლილობისა და ქართული გაუტანლობის ქრესტომათიული მაგალითია და კლასიკური კოლაბორაციონიზმის სიმყარეზე მიუთითებს. ამგვარ წინააღმდეგობა მიუხედავად „ისინდის“ რედკოლეგია შეჩერებას არ გეგმავს.

დროთა განმავლობაში ახალი რუბრიკების შემომატება ჟურნალის პროფილის გაფართოებას მიზნად ისახავს. „ისინდი“ საამისოდ სერიოზულად ემზადება და ვინაიდან ჩვენთვის სიტყვა და საქმე განუყოფელია, შეგნებულმა საზოგადოებამ „ისინდს“ მართალი სიტყვის გამპატიოსნებელი უნოდა! ამგვარი შეფასება აღტაცებისა და ნდობის პარალელურად დიდ პასუხისმგებლობასთანაა გადაჯაჭვული და ცხადია, სოლიდური პუბლიკის იმედს გაორკეცებული ძალითა და მონდომებით გავამართლებთ. აქვე აღსანიშნავია, რომ ბირთვისა და კეთილგანწყობილი ადამიანების აქტიურობის შედეგად ჟურნალის პერიოდული გამოცემა უწყვეტად მიმდინარეობს, რაც მოწმობს, რომ სამართლიანობაზე დაფუძნებულ მაღალიდეთურ ეროვნულ საქმეს ვერავინ შეაფერხებს და დევიზი: წინ, „ისინდი!“ სამომავლოდ არაერთ სასიკეთო წამოწყებას დაუდებს სათავეს!

იკა ქადაგიძე

**საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორია დასავლურად**

**(სტივენ ჯონსის „საქართველო, პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“)**

„არ დაგვიტრგუნავს სხვათა უფლება,  
ყველამ გაიგოს, ყველამ უწყოდეს,  
რადგან ჩვენც შევეტრფით თავისუფლებას,  
ჩვენამდე თავი ხამს გვეყუდნოდეს!“  
მერაბ კოსტავა



სახელოვან უცხოელ ხელოვანებს, მეცნიერებსა და მოგზაურებს ქართული ხასიათის მთელი რიგი თავისებურებები მუდამ აოცებდათ. ცალკე საკითხია საკუთარ შთაბეჭდილებას ვინ როგორ კონტექსტში ათავსებდა ან რაგვარ ინტერპრეტაციას უმორჩილებდა.

მრავალფეროვანი დაკვირვების ფონზე დიდი ფრანგი მწერლის ალ. დიუმას მოსაზრება განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს, რომლის თანახმადაც მსოფლიოს ყველა ხალხისგან განსაკუთრებით ქართველს ყველაზე მეტად უყვარს (ეხალისება თუ ესახელება) გაჩუქება. დიუმას ნიგნში „კავკასია“ ამის არაერთ მაგალითს ვაწყდებით.

მოკლედ, ქართული ხასიათის შესწავლისას უფრო ზუსტ ფორმულირებას ძნელად თუ მიაგნებ. ამის საილუსტრაციოდ ერთი საოცარი ამბის გახსენებაც იკმარებს. კერძოდ, 1919 წელს, ცნობილი პოეტისა და მთარგმნელის, ელისაბედ ორბელიანის მონადინებით (იგი ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის პირდაპირი შთამომავალი გახლდათ ერეკლე II-ის მხრიდან) თბილისში „ქართველ ქალთა უორდროპის ქალის ნინოს საჩუქრის მისართმევი, მომწიობი კომისია“ შექმნილა, რომელსაც საზოგადოებაში შეგროვილი თანხით 130 000 მანეთად კერძო პირისგან გიორგი XII-ის ძველებური ოქროს ჯვარი შეუძენია და 1920 წლის 14 იანვარს ნინოობას ძვირფასი ადრესატისთვის – ოლივერ უორდროპის მცირეწლოვანი ასულისთვის მონივნებით მიურთმევა.

სიძველესაცავებში დაცული საარქივო დოკუმენტების შესწავლისას ეს ცნობა ბ-მა გურამ შარაძემ მოიძია და სამშობლოში უნიკალური ჯვრის დასაბრუნებლად ენერგიულად ამოქმედდა. სხვათა შორის, ამ ამბავმა მთავრობის მაშინდელი ხელმძღვანელის, ედუარდ შევარდნაძის ყურამდეც მიაღწია, თუმცა სამწუხაროდ, საერთო ძალისხმევის მიუხედავად ისტორიული მნიშვნელობის ნივთის საქართველოში დაბრუნება ვერ მოხერხდა.

ესოდენ მნიშვნელოვან წამოწყებაში გ. შარაძეს შეძლებისდაგვარად დაეხმარა ახალგაზრდა ინგლისელი ქართველოლოგი, მარჯორი უორდროპის სახელობის სტიპენდიანტი: სტივენ ჯონსი, მისმა ქართველმა

მეუღლემ, მარინე მახარობლიშვილმა ღვანღმოსილ მეცნიერს ლონდონიდან ჯვრის ორი ფოტოსურათი ჩამოუტანა. ზემოთნახსენები ფოტოები ბრიტანეთის მუზეუმის ლაბორატორიაშია გადაღებული. უშედეგო პერიპეტივებში ჩართული მკვლევარი თანამემამულეების მისამართით სამართლიან საყვედურს არ იშურებს. იხსენებს, რა ამ საქმის მოთავის, ელისაბედ ორბელიანის სამეფო წარმომავლობას, წყენით ასკვნის, რომ მან „კარგად უწყოდა თუ ვის ეკუთვნოდა თავის დროს ეს ჯვარი, ამასთან, სწორედ ის თავმჯდომარეობდა იმ კომისიას, რომელმაც საჩუქრად მიართვა ქართველი ერის ისტორიული რელიკვია უცხოელ ქალს, თუმცა ასეთი „ხელგაშლილობისთვის“, ვიმეორებ, ქართველ ქალთა კომისიას არც მორალური და არც იურიდიული უფლება არ ჰქონდა!“ ის, რაც უცხოელის ნისქვილზე ასხამს წყალს, ჩვენ ხშირად სავალალოდ შემოგვიბრუნდება ხოლმე და რა გასაკვირია ქართველთა გაუაზრებელი, უანგარიშო გულუხვობა ჩვენი სიძველეების დამცველ მეცნიერს თავსატეხად ქცეოდა.

ქართულ საზოგადოებას უთუოდ ემახსოვრება სასახელო მამულიშვილისა და მკვლევარის, წმინდანად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილის თავგამოდებული ზრუნვა ქართული სიძველეების მოპოვებისა და შეგროვება-შენახვის თვალსაზრისით, ამ მხრივ საინტერესოა ექვთიმეს ძმის საყვედური მარად მოუცლელი ახლო ნათესავისადმი. იგი ერთგან წერს, რომ ექვთიმეს ჩასატყუებლად საკმარისი იყო რომელიმე ისტორიული ექსპონატის აღმოჩენის შესახებ ეცნობებინა და ეს უკანასკნელიც ნავსს გატეხდა და ძვირადღირებულ დროს „არამიზნობრივად“ დახარჯავდა.

და მაინც, სახელოვან მოღვაწეთა თავგამოდების მიუხედავად, ქართული ხასიათის ეს საბედისწერო თვისება აუნაზღაურებელი დანაკარგის უწყვეტობაში უნდა განვიხილოთ.

ბრიტანეთის უმდიდრესი მუზეუმის საცავში „ჩაკარგული“ ქართული ჯვარი სამშობლოში რომ სხვაგ-



ვარი ძალმოსილებითა და მადლით იბრწყინებდა, ძნელი მისახვედრი როდია.

აქედან გამომდინარე, ეს უადგილო თვისება დარდ-იმანდულ მფლანგველობაში რომ სახიერად ვლინდება, არაერთი ნამდვილი მამულიშვილისა და ჭირისუფლის მხრიდან პირუთვნელი კრიტიკის საგანი გამხდარა.

ვაგლახ, რომ დამუნათება უმეტესად უშედეგოა და ამ სენთან გამოთხოვება წარმოუდგენლად გვიჭირს.

წელან პირუთვნელობა შემთხვევით არ მიხსენებია. ამასწინათ ერთი ძალზე საინტერესო წიგნი ჩამივარდა ხელში, რომლის შესავალშიც შავით თეთრზე გაბედულად წერია, რომ ავტორი საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიის ანალიზის მკაცრ კრიტიკას ეყრდნობა.

„ამ წიგნში კრიტიკა მკაცრია, მაგრამ კეთილსინდისიერი“. ჩვენში დარჩეს, რისკით სავსე განაცხადა. მით უფრო უცხოელის მხრიდან, ვისაც ჩვენი მრავალტანჯული ისტორიის ბოლო ოცწლიანი ძნელბედობის სკრუპულოზური განხილვა და მიუკერძოებელი შეფასება განუზრახავს. ერთია გამონკვევა მიიღო. მთავარი განუელი შრომის დამაგვირგინებელი ობიექტური დასკვნაა, რომლის მეშვეობითაც სერიოზული შედეგი მიიღწევა, თორემ ტენდენციური „ნაშრომებისა“ და შეთითხნილი პასკვილების სიმრავლით ვის ვინ და მავანთაგან „დაბალ ლობედ“ მიჩნეულ ქართველობას ვერავინ გაგვაოცებს!

საამისოდ ფასადური დემოკრატიის მავთულხლართების მომარჯვება უკვე მოძველებული მეთოდია და სათანადოდ აღარ ჭრის. როცა მიზნად პირუთვნელ კვლევა-ძიებას ისახავ, წარმატებისა და სანდობის გარანტიად, თუნდაც უამრავი სტატისტიკური მონაცემი (თავისი ცხრილიანად). მაღალჩინოსნებთან თუ ელიტასთან ჩანერილი უთვალავი ინტერვიუ და მრავალპლანიანი გამოკვლევების სიუხვე, ეჭვმუყვალ ჭეშმარიტებად ნამდვილად არ გამოდგება!

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ უმწვავესი პროცესების განხილვა-შეფასებისას სერიისმაყურებლის სტატუსით აღჭურვილი შორს ვერ ნახვალ და გაცვეთილ, ყალბ კლიშეებს თავს ვერ დააღწევ. წიგნის კითხვისას სწორედ ამგვარი განცდა დამეუფლა, თუმცა ერუდირებული ავტორის პროფესიონალიზმში ეჭვი ოდნავაც არ შემპარვია. 456 გვერდიანი სოლიდური მოცულობის ნაშრომი ერთი შეხედვით საამისო საფუძველს არ იძლევა. უცხოელ მეცნიერთა დადებითი რეცენზიებიდან ამონარიდი სტრიქონები, რაც წიგნს აშკარად ზურგს უმაგრებს, ჩემს „დასაშინებლად“ ოდნავაც არ გამოდგება. ეს მაღალფარდოვანი და ამავდროულად მჭახე, ეგზალტირებული შეფასებები, ამერიკული პიარის აგრესიული იერიშის ბუნებრივი გამოძახილია, როცა პროდუქციის „გასასაღებლად“ ეფექტური არტილერიით – ამერიკული მარკით (საუკეთესოს სინონიმად რომ ქცეულა), მკითხველი

აბორდაჟზე აგყავს და არჩევანის ნაცვლად მას ულტიმატუმის ენით ესაუბრები: წიგნის განსაკუთრებულ დანიშნულებასა და ფასეულობას გონებაში აქტიურად უბეჭდავ, ყოველმხრივ ამზადებ აქ მოცემული ანალიტიკური კრიტიკა უპირობოდ აღიარო და მიიღო, როგორც ვთქვათ, ნატოში შესვლასა და ევროკავშირში განევრიანებისკენ სწრაფვა. წინამდებარე ნაშრომი ამის ერთგვარი სავიზიტო ბარათია, გნებავთ, „შეუცვლელი სახელმძღვანელო“, ახლებურ იდეოლოგიურ პოსტულატებს მზარდად რომ გვანვდის და მის ათვისებაში საეჭვო ოპერატიულობით გვეხმარება.

ღმერთმა დამიფაროს წიგნის ავტორის ხანგრძლივ შრომას ხელალებით ვაკნინებდე. უკანა ყდაზე მისი მძიმეწონიანი, ყურადსაღები რეგალიები პედანტიურადაა მითითებული. ცალსახად კომპეტენტური ატმოსფეროს გასაძლიერებლად ისიც ირკვევა, რომ პროფესორი სტივენ ჯონსი 2011 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრია, ხოლო 2012 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ნოდება მიეკუთვნა. ამას გარდა, თუ იმ ვითარებასაც გავითვალისწინებთ, რომ ბ-ნი ჯონსი ქართველების სიძეა, წესითა და რიგით სტუმართმოყვარეობის ჩვეული ტრადიციიდან გამომდინარე მისი ძალიანმევა სასიკეთოდ წასაქვებელია და შესაბამისად, სავალდებულოა, წიგნში განფენილი სერიოზული მრავალპლანიანი კვლევა-ძიება დადებით კონტექსტში წარმოვაჩინოთ. თავად ავტორის პრინციპული მიდგომა რომ არა, იგი გადაწყვეტილად ამბობს, რომ „მკაცრი და კეთილსინდისიერი“ კრიტიკის მომხრეა, რაც საბედნიეროდ უხერხულობის უადგილო კომპლექსს სათავეშივე გამორიცხავს. თვალმისაცემი ფაქტია, რომ ზემოთაღნიშნული ნაშრომი სოციოლოგებს, ფსიქოლოგებსა და კულტუროლოგებს, ისევე, როგორც პოლიტიკოსებსა და ეკონომიკაში ჩახედულ ადამიანებს მდიდარ მასალას აწვდის და უბიძგებს, ავტორისეული შეხედულებები ფართო პლანში გაიაზრონ. უწინარესად პოლიტოლოგების (იგივე ექსპერტების) გასაგონად ვიტყვი, რომ გადაღეჭილი მასალისა და იაფფასიანი ჭორების გადამღერების ნაცვლად უპრიანია აქ თავმოყრილ ცნობებსა და მოსაზრებებს სერიოზულად ჩაუკვირდნენ, ეგებ ათასმეერთე ტელეგადაცემაში მჭერმეტყველების დროს ნაშრომიდან ამოკითხული ფრაზით სულ მინიმუმ გამცონარებული პუბლიკის გული მაინც დაიპყრონ. სხვათა შორის, წიგნში გამონერული არაერთი რეცეპტი ე.წ. მესამე სექტორს იგივე არასამთავრობო ორგანიზაციებს მეტი რომ არ შეიძლება, ისე წაადგება.

როგორც ჩანს, ბუნდოვანი საქმიანობით გამონვეულ უკმაყოფილებას ჩვენი უცხოელი კეთილსიმყოფელიც ვერ მალავს და მართებულად ასკვნის, „დასავლეთიდან მიღებულმა რეკომენდაციებმა ხელი შეუწყვეს საქართველოს ეკონომიკური საფუძვლის



ნგრევას. საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები შრომით არისტოკრატად ჩამოყალიბდნენ. გასამრჯელოს დოლარებში იღებდნენ და ქართველთა უმეტესობითვის ცხოვრების უცხო სტილს მისდევდნენ“. საერთო ინტერესების ნაცვლად პირადი ინტერესებით სარგებლობამ და ფასადური დემოკრატით სპეკულირებამ, ბუნებრივია ამ ორგანიზაციებისადმი ნდობა დააქვეითა. მომგებიან საზღვარგარეთულ გრანტებზე დაგეშილი მესამე სექტორის როლი თვალშისაცემად გამოიკვეთა და მათ მიმართ ერთმნიშვნელოვანი, უარყოფითი დამოკიდებულება სათავეს აქედან იღებს. შეკვეთილი გამოკითხვებისა და ყალბი მაჩვენებლების დემონსტრირება საქმის არსს არ ცვლის. უნდობლობის უმაღლესი ხარისხით არასამთავრობო ორგანიზაციები დიდი ხანია ლიდერობენ და ცხადია, ამას ოდენ კრიტიკით ვერ მოვევლება! ყბადაღებული კადრის საკითხს სანამ შევეჯახებით, საინტერესოა ბ-ნი ჯონსი საბჭოთა მემკვიდრეობის თემას როგორ ავითარებს. საკითხის განსჯისას ბევრი შენაკადი იჩენს თავს. კერძოდ, საყოველთაოდ განთქმული ინტერნაციონალიზმი, აგრეთვე კუთხური სეპარატიზმი და კულტურათა ომები.

ჩემთვის პირადად განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის დამოკიდებულება ინტერნაციონალიზმისადმი. უვარგისი საბჭოური კლიშეებისა და ჩვევების კრიტიკის პარალელურად თურმე მრავალეთნიკურ საქართველოს „იდეალურად“ ეხამება ინტერნაციონალიზმი, რაც ეთნიკური უმცირესობების განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობების შექმნას ითვალისწინებს.

მოკლედ, მისი თვალთახედვით ინტერნაციონალიზმი უმთავრესი ღირებულებაა ქვეყნის გასაძლიერებლად. პარადოქსი ამას ჰქვია! ფაქტია, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ეს კოზირი არასდროს ეთმობათ და ამდენად, ჩვენი მეცნიერი ევროპულ-ამერიკული იდეოლოგიის ქვაკუთხედად ჩვენ კვლავ იმ ინტერნაციონალიზმს გვაჩვენებს, რომლის მიზეზითაც მისივე ფრაზას რომ დავესესხოთ. მცირემნიშნა საქართველოში სამი ავტონომიური რესპუბლიკა „საჩუქრად დაგვრჩა“ და ამ მუდმივმოქმედ ნაღმს ყბადაღებულ ინტერნაციონალიზმთან პირდაპირი კავშირი აქვს! თუმცა ტოლერანტობაზე რომ მიდგება საქმე, ბ-ნი ჯონსს ქართველების შემწყნარებლური ბუნება უცებ „ავიწყდება“ და ამის საილუსტრაციოდ ებრაელებთან მრავალსაუკუნოვან მშვიდობიან თანაარსებობას არსად გაკვირითაც არ ახსენებს, რაც სხვათა შორის, გამიზნული მიკერძოებაა. შერჩევითი სიმართლის სინდრომს დემოკრატის არომატი ნამდვილად არ ასდის და თუკი მკვლევარს მშვენივრად მოეხსენება, რომ ნოე ყორდანიას მთავრობასა და იმდროინდელ პარტიათა ლიდერებს (მცირე გამონაკლისის გარდა) სოციალისტური სახელმწიფოს შენების იდეაფიქსი ანუხებდათ, ეროვნული ინტერესები კი ოდნავაც არ აღელებდათ. მაშინ მრავალეთნიკუ-

რი პრობლემის გაანალიზების დროს მხოლოდ მისთვის გამოსადეგ ფაქტებს კი არ უნდა ეყრდნობოდეს, ზუსტად იმას გადმოსცემდეს, რასაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ადგილი ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში პატივცემულ მეცნიერს სწორედ იმ სიმართლის გაყალბებაში „გამოიჭერენ“, რის პრაქტიკასაც ოდენ საბჭოთა მემკვიდრეობით დაჯილდოებულ ადამიანებს ენთუზიაზმით მიანერს! სხვათაშორის, შიგადაშიგ იგი თვითონვე მიუთითებს, რომ ეროვნულ უმცირესობებში ხისტი მიდგომით მონინავე ევროპული ქვეყნები ხასიათდებიან. ამიტომ „გაუგებარია“, მაინც დამინც ჩვენ, ქართველებმა უკიდურესად შემცირებულ მინა-წყალზე სხვებს სამოთხე რის საფუძველზე უნდა „მოვუწყოთ“?! დავიჯერო თანამედროვე ინგლისელ თუ (ამერიკელ) მეცნიერს, ისიც ქართველოლოგს, დეკაბრისტების გეგმა იმდენად მოსწონს, რომ მზადაა, „განმანათლებელმა რაინდებმა“, რაც ვერ განახორციელეს, თავის მთავრობას ურჩიოს მივინყებულები პროექტი ფენიქსისებრ აღდგეს?! სიფრთხილეს ყველა უნდა იჩენდეს, მათ შორის ჩვენი კეთილისმყოფელი მკვლევარიც, რომელიც ქართული სახელმწიფოს უმთავრეს საზრუნავად უმცირესობების უპირობო კეთილდღეობას სახავს და მხურვალედ მოგვანოდებს, ადამიანის უფლებების დაცვას ისედაც ივარქმნილი სამშობლო ერთხელ და სამუდამოდ გადავიყოლოთ!

საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუკი ბ-ნი ს. ჯონსი ინტერნაციონალიზმის ქართულ მოდელს ევროპა-ამერიკაში წარმატებით დანერგავს და საბჭოური „საჩუქრის“ გადაბარებით გამოწვეულ შედეგს ზერელადაც არ გააპროტესტებს!

რადგან ბ-ნი პროფესორს გულწრფელად აინტერესებს საქართველოში დემოკრატია რა გზით განვითარდა, უპირანია ამის თაობაზე ორიოდე ამონარიდი მოვიხმოთ. პირველ რიგში მისასაღებელია ბ-ნი ჯონსის დასკვნა; ხანგრძლივი დაკვირვების წარმოებისას მან დაადგინა, რომ ევროპა (თავისთავად ამერიკაც) საქართველოში დამარცხდა. ეს ნიშნავს, რომ „ბრწყინვალე“ პროექტი მწყობრიდან გამოვიდა. ამბიციური გათვლა არ გამართლდა. შესაბამისად, ჯორჯ ბუშის მიერ 2005 წელს საქართველოს მისამართით გამოთქმული შეფასება: „საქართველო დემოკრატის შუქურაა, ოდენ შავი იუმორის კუთვნილებად იქცა! ე.წ. „ქმედიოთი დემოკრატის“ ნაძალადევი დამყნობა უკურეაქციას ინვევს და რადგან უცხოეთიდან ჩამოგრილებულმა ვარდოსნებმა 9 წლიანი მმართველობისას დემოკრატის სრული დისკრედიტაცია მოახდინეს, სულ მცირე არასერიოზულობაა ამტკიცო ჩვენში ყვავის თუ არა დემოკრატია. არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს სააკ-ამვილი ლიბერალად გამოაცხადო ან აგრესიულ ნაციონალისტად მონათლო, ვინაიდან წინასწარ გაპიარებული დემოკრატული სახელმწიფო არ შედგა და ამის დამადასტურებელი უხვი მასალა წიგნში ვრცლადაა წარ-

მოდგენილი. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ „2004 წლის თებერვლიდან 2012 წლის ივნისამდე საქართველოს კონსტიტუცია 25-ჯერ შეიცვალა“, – აქ ჯოხი მარტოოდენ თუნდაც უვარგის ადგილობრივ მმართველზე კი არ უნდა გადატყდეს, არამედ პასუხი იმ ქვეყნებსაც მოეთხოვებათ, ვისაც საქართველო ექპერიმენტების პოლიგონად წარმოუდგენია და „ვითარების გასაუმჯობესებლად“ გრანტებსა და დიდძალ სესხებს „გულუხვად არიგებს“! მოუგვარებელი ტერიტორიული მთლიანობის, დაუძლეველი უმუშევრობისა და სიღატაკის, გამქრალი საშუალო ფენის, აგრეთვე არაქმდითი სასამართლო ხელისუფლებისა და ელიტარული კორუფციის პირობებში შეუძლებელია სასურველი პოლიტიკური კულტურა გამოავლინო, რისი დეფიციტიც მკვლევარს საგონებელში აგდებს და ათქმევინებს, რომ ამ ვითარებაში პოლიტიკურ პროცესებში ხალხის მონაწილეობა პრაქტიკულად გამორიცხულია. გაუხსნელი გახმაურებული მკვლევარების და მრავალრიცხოვანი პატიმრების სიმრავლით დემოკრატია არ მიიღება. „საქართველოში არ არსებობს სასამართლოს სანდო რეპორტიორი (მომხსენებელი) ან მდივანი. რომელიც მედიის ნაცვლად განიხილავდა სასამართლო პროცესს საჯაროდ“.

ნიგნში ძალზე საინტერესოაა მოხმობილი ბადრი პატარკაციშვილის სარკასტული ფრაზა, როდესაც იგი ამბობს, რომ თუნდაც ერთი საქმე დაასახელონ, რომელიც ხელისუფლებამ წააგო, და რომ შეუძლებელია, „სახელმწიფო ყოველთვის მართალი იყოს“. სხვათა შორის პირუთენელობის მომხრე მეცნიერი ბადრი პატარკაციშვილის საეჭვო ვითარებაში დაღუპვას არ ახსენებს, არამედ უბრალოდ ამბობს, რომ მან საცხოვრებლად დიდი ბრიტანეთის „უფრო სტუმართმოყვარე ნაპირები“ არჩია, სადაც გარდაიცვალა. ბ-ნი ჯონსი საქართველოში მცხოვრები მოქალაქე ხომ არ არის, მისთვის ვინმეს პირზე ბოქლომი დაედო ან ციხეში უკანონოდ გამოემწყვდია, რა დაშავდებოდა სიმართლე არ „დავინწყებოდა“ და მსჯელობისას პირუთენელი ფაქტით ეხელმძღვანელა? ნიგნის სოლიდური მოცულობის მიუხედავად მსგავსი „წერილმანები“ მის ნაშრომს საგრძნობლად ჩრდილის ქვეშ აყენებს. აქ ცოტა სარისკოა პრინციპი: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების!“

პრინციპულობა სიმართლის გვერდის აუვლელობაში მყოფადდება, სანახევრო ფიცი-მტკიცე ამ დროს მართლა რა სახსენებელია! ჩვენი ავტორი ინტელიგენციაზე საუბრისას ავბედით ოთხმოცდაათიან წლებში მის ქცევას გროტესკულად აფასებს. ამ საკითხში შეუძლებელია არ დაეთანხმო. ინტელიგენციის უხერხემლობა, უფრო მეტიც, ღალატი სახელმწიფოებრიობის გზაზე შემდგარ საქართველოს გადაულახავ დაბრკოლებად ექცა. საბჭოური მემკვიდრეობის უმძიმესი ტვირთის განსაზღვრა ამ შემთხვევაში სიღრმისეულადაა გან-

ილული და „მონინავე“ ადამიანების კონფორმისტულ არსს ზუსტად გადმოსცემს. სასტიკი რეპრესიების შედეგად შეკონინებული საბჭოთა ინტელიგენტი სასათბურე პირობებში თავს პატრიოტობაზე დებდა, თუმცა ეროვნული მოძრაობის აზვრთებისთანავე გაირკვა, რომ უმრავლესობას ტოტალიტარული რეჟიმის მიერ ნაწყალობევი პრივილეგიების დათმობა აშკარად ესიკვდილებოდა, რის გამოც იარაღი აისხა და თავისი უფლებების დასაცავად „სამოქალაქო ომში“ უყოყმანოდ ჩაება. სამოცდაათლიან წწებს უკვალოდ არ ჩაუვლია. „ქართული საზოგადოება, რომელშიც დომინირებდა ზედმეტად განებვირებული ქართული კულტურული ელიტა, რომელიც შეუჩვეველი იყო პასუხისმგებლობას და ძალაუფლების განხორციელებას, გოგოლის ცნობილი „ტროიკის“ მსგავსად გაქანდა დამოუკიდებლობისაკენ. დამოუკიდებლობაზე ოცნებასთან ერთად ეროვნული მოძრაობის ზმანებებმა თავზარი დასცა მათ, ვინც შორს იდგა ეროვნული მოძრაობისგან ან სკეპტიკურად იყო განწყობილი მის მიმართ“.

ბუნებრივია ვითარების გამწვავებისთანავე გამოჩნდა, ვის რისი უნარი შესწევდა. სამუხაროდ, ინტელიგენციის მორალური დაქვეითება შეულამაზებლად გამოჩნდა. ქვეყნისთვის გადამწყვეტ დროს მას ზნეობრივი ძალა არ აღმოაჩნდა, პირადი ინტერესი საზოგადო საქმის სასარგებლოდ დაეთრგუნა და საკუთარი ამბიციების შეკვეცის ხარჯზე საქართველოში მიმდინარე უმძიმესი კატაკლიზმების გასანიტრალეზლად სასიკეთოდ გარჯილიყო.

ქართული ინტელიგენციის საბედისწერო როლზე სხვა სტატიებში უფრო ვრცლად ვწერ, ამიტომ განმეორების თავიდან ასარიდებლად დავძენ, რომ მისი ერთსულოვნება ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა, ერთიანი ძალით დაემხო ეროვნული ხელისუფლება და ქვეყნის სათავეებს კვლავ დაპატრონებოდა, ამის თაობაზე ხუნტის წევრები, ოპოზიციონერები და მათი მომხრე ნომენკლატურული ინტელიგენტები ღიად საუბრობდნენ. „ან ჩვენ ან ის (იგულისხმება გამსახურდია)“ ირაკლი წერეთლის ფრაზაში ასახული შეურიგებლობა იმჟამინდელ ვითარებას ზედმინვენით ასახავს, ისევე როგორც ჯაბა იოსელიანის გამონათქვამი: „ყველას მინუს ერთი“, რაც აღმოუფხვრელი შუღლის დაუთრგუნავ გამოძახილად განზოგადდა. ბუნებრივია, ამგვარ ვითარებაში ურთიერთთანამშრომლობის პრინციპი ან თუნდაც მცირედი კომპრომისი გამორიცხულია! პარადოქსულ – ამბივალენტულ მოვლენათა ზემოქმედებას თავისი გააქვს თუ სხვა ამოუხსნელი ფაქტორი იჩენს თავს, ნიგნის ავტორის სიმპატია ხუნტის მეთაურებისკენაა, რაც მძიმე შთაბეჭდილებას აღძრავს. თუნდაც ის დასკვნა რად ღირს, რომ ბ-ნი ჯონსის აზრით, „ეს გახლდათ უსაფრთხოების მაძიებელი გარიყული და გაძევებული პუტჩი“ და „ეს არ იყო სამხედრო გადატრიალება“. როცა თავს უფლებას აძლევ და ისტო-

რიას მიზანმიმართულად აყალბებ, პირუთვნელობაზე პრეტენზიის გაცხადება უხერხულია! გასაგებია, რომ უცხოელი მეცნიერი მავანის დაკვეთას ასრულებს და აქედან გამომდინარე, მომხდარს სურვილისამებრ ამრუდებს. ხუნტას ბრწყალებში სვამს და მიაჩნია, რომ კრიმინალების „გათეთრებით“ თვალში ნაცარს შეგვაყრის, დაგვაგინყებს, სინამდვილეში საქართველოს დრამატული ბედ-ილბალის გამოჭედვაში ვის რა პასუხისმგებლობა აკისრია! ინტელიგენციის განქიქების ფონზე ჯაბა იოსელიანის მომხიბლავ პიროვნებად წარმოჩენა და მისი აკადემიური რეალობის ხაზგასმული ჩამონათვალი ცხადყოფს, ქარი საიდან უბერავს!

ხუნტის მოთავეების ლალატის გამართლება წიგნის მნიშვნელობას „ლობოობის ჭამამდე“ აქვეითებს და ორმაგი თამაშის ქრესტომათიულ შინაარსს ააშკარავებს. ბ-ნი ჯონსის შეხედულებით ამ „კოლორიტულმა“ „კაუდილიოებმა“ მსგავსად თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანისა, კატასტროფის ზღვრამდე მისული ქვეყანა განადგურებისაგან „იხსნეს“!

ამ ავბედითი მოვლენებიდან 25 წლის შემდეგ, როცა ისტორიამ ყველა ორჭოფულ კითხვასა და საკითხს ფარდა ახადა და ტრაგიკული მოვლენები ობიექტურად შეფასდა, ენა როგორ უნდა მოუბრუნდეს კაცს და შემდეგი დასკვნა კომპეტენტური ქედმაღლობით როგორ უნდა შემოგვასაღოს! თურმე: „ორივე ეს ადამიანი (იოსელიანი და კიტოვანი იგულისხმებიან) და მათი ორგანიზაციები 1992-93 წლებში გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ საქართველოს სახელმწიფოს ფიზიკურ გადარჩენაში!“ ესოდენ ყალბი, ცინიკური და ამავდროულად სამარცხვინო განცხადებით ირკვევა, რომ ეს წიგნი სწორედაც პუტჩისტი ინტელიგენტებისა და მათი კრიმინალი მფარველებისა თუ ძმობილების ხელშეწყობით დაინერა, რათა მსოფლიო მორიგი სიყალბის ქარბუქში გახვიოს და „ბრწყინვალე“ ინტელიგენციის რენომე ფაქტების ურცხვი ფაბრიკაციის შედეგად აისწიოს და გააღრმავოს!

იოსელიანის „მხედრონისა“ და „ბატისა“ გვარდიის თარეშმა საქართველო რომ სასაკლაოდ აქცია და სამეგრელოში სისხლის ტბები დააყენა, ეს ბ-ნი ჯონსს ლობიოობის პრინციპზე დამყნობილი დემოკრატიის კანონზომიერება ჰგონია და ცალსახად პროგრესულ მოვლენად აცხადებს!

„კოლორიტული კაუდილიოების“ სიმპატიით გათანგული მკვლევარი პუტჩის შემდგომი ხანის აღწერისას ედუარდ შევარდნაძესაც „შეპბედავს“ და ხაზგასმით ამბობს, რომ იგი საქართველოში არ უყვარდათ, თითქოს იოსელიანსა და კიტოვანზე მზე ამოსდიოდა ვინმეს!

სარკაზმით შეიარაღებული ბ-ნი ჯონსი პენსიონერ შევარდნაძეს არ ინდობს და მისი მისამართით შემდეგ დახასიათებას იმეტებს: „ისტორიის ირონია იყო ის, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისთვის

ჩვეული რამეა, როდესაც ედუარდ შევარდნაძე ქართველი პარტიული ლიდერი 1972-1985 წლებში თავისი ქვეყნიდან წასული საბჭოთა საბჭოთა ლაქია, რომელიც ურცხვად აცხადებდა, რომ საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის, დაბრუნდა როგორც ქვეყნის მსხნელი“.

შევარდნაძეს რომ ეთქვა მზე დასავლეთიდან ამოდისო, რაც მოგვიანებით მისმა ფავორიტმა მიხეილ სააკაშვილმა რიხით გაიმეორა, მეცნიერის უღმობელო კრიტიკა სანახევროდ მაინც ასცდებოდა, რადგან ვარდოსნების მმართველობის წლები ამ წიგნში მაქსიმალურად შერბილებულ-დაბალანსებულია. ეს გარემოება მოწმობს ბ-ნი ჯონსის უმეტესად შერჩევითი სამართლიანობის პრინციპით ხელმძღვანელობს და „ჩამონერილი“ მოღვაწეებს წინასწარ დაპროგრამებული ტაქტიკის მიხედვით „ამავეს“. შევარდნაძეს თავისი ცოდვებიც ეყოფა. სხვათა შორის, მის შეფასებაში მკვლევარს ვეთანხმები. ეგ არის, თუ შევარდნაძე საბჭოთა ლაქია გახლდათ, სააკაშვილი ამერიკელების გრუმია და ამის მიჩქმალვით ავტორი თავს უხერხულობაში იგდებს. ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს რომელი იმპერიის ვასალი გაგვანადგურებს. „მეელი შეგჭამს თუ მგლისფერი ძაღლი?!“ მთავარი იმპერიული პოლიტიკის საცეცებია, მუდამ ჩამორჩენილ კოლონიად რომ მოგიაზრებს და გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ათასი დადგენილ-დაუდგენელი საბაბით სახელმწიფოებრიობისკენ სწრაფვას რენეგატების დახმარებით სათავეშივე ძირკვავს. ბ-ნი ჯონსის შეხედულებები ამ მხრივ სამაგალითია. იგი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების უნარი არავის შესწევდა.. 1918-21 და შემდგომი ოთხმოცდაათიან წლებშიც თავს მოხვეული დამოუკიდებლობიდან გამომდინარე დავმარცხდით და სახელმწიფოდ ვერ შევდექით. იქვე აზარტული შეთამაშებით შენიშნავს, რომ საამისოდ მხოლოდ ქართველთა ნება-სურვილი არ კმარა და სუვერენიტეტის უფლება მტრულად განწყობილი მეზობლებისგან უნდა გამოვითხოვოთ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას არასდროს შეგეფუბიან. ვერაფერს იტყვი, იმდენად დამაიმედებელი პროგნოზია! ბ-ნი ჯონსი მსგავსი თეორიების განვითარებისას ამოსავალ წერტილად უთუოდ ქართულ სიმღერას ეყრდნობა, რომლის თანახმადაც „ნურც გავფრინდები, ნურც მოფრინდების,“ განუხრელად უნდა მივყვეთ. მოკლედ, ახლობელ თუ შორეულ მეზობლებს ანგარიში გავუწიოთ და დედამიწიდან უსიტყვოდ ავორთქლდეთ, მანამდე კი ჩვენი მიწა-წყალი (სიმცირის მიუხედავად) იმ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ვუანდერძოთ, საკუთარ საზღვრებში რომ ვეღარ ეტყვიან და უნაპირო გაფართოების იდეაფიქსი აკვიატებიათ.

უსამართლობაა, ბენვს მხოლოდ სხვის თვალში ხედავდე, საკუთარში კი – დირეს ვერ ამჩნევდე! ესოდენ ტრაგიკული პროცესების ანალიზისას პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ, ისიც დაზარალებულ ქვეყანასა და მის ადგილობრივ რენეგატებს კი არ უნდა დაეკისროთ, ფართო სპექტრის გათვალწინებით დანამაულში თა-



ნამონანლილობა ყველამ თანაბრად უნდა იტვირთოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს წიგნი მარქსის „კაპიტალის“ ბედს გაიზიარებს, სატყუარას დროებითი ფუნქცია აქვს და ხანგრძლივად ვერავის გააბრიყვებს!

ის, რაც ბ-ნი ჯონსის ნაშრომისადმი მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს, მის მიერ ეროვნული ხელისუფლებისა და მისი სულისჩამდგმელის, საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და მონამის, ზვიად გამსახურდიას მიძინვარე, მიკერძოებული და ცინიკური კრიტიკაა.

წიგნის მესამე თავი: „პოპულიზმი საქართველოში გამსახურდიას ფენომენი“ ამ ღრმად ტენდენციური, დამახინჯებული შეხედულებების სინთეზია.

ზვიად გამსახურდიასადმი დაუფარავი სიძულვილი, მისი პიროვნული მიუღებლობა აგრეთვე გასაგებია ყურადღებიანი მკითხველისთვის, რომელიც 48-ე გვერდზე „ილიას, როგორც ქართველთა „მამას“ ამ ფრაზას ამოიკითხავს, სადაც მამა ბრჭყალებშია მოთავსებული, ხოლო მანამდე ჩვენი მკვლევარის მიერ დავით აღმაშენებლის შეფასებისას აღმოაჩენს, რომ დავითი XI ს-ში მოღვაწე ქართველი მეფეა. დალოცვილი სიძე ბატონი თუ ჯაბა იოსელიანის წარმოსაჩენად რეგალიებს არ იშურებდა, რამ „დაავინყა“ დავითს უცხოელები როგორ აფასებდნენ? ილიას მამობაც სასწრაფოდ ეჭვქვეშ დააყენა, არიქა, „კოლორიტული კაუდილიოები“ არ დაიჩრდილნონ და ხუნტის მომხრე ინტელიგენციამ ქოქოლა არ დამაყაროსო! ნაშრომი საზღვარგარეთულ პუბლიკაზეა გათვლილი და რამდენად უპრიანი და დავით აღმაშენებელი, ილია და შოთა რუსთაველი ოდენ სახელი და გვარით მოიხსენიო, თან სასტიკად გეხამუშებოდეს იმის აღიარება, რომ თურმე ქართველი ისტორიკოსების თვალთახედვით საქართველო ასწლეულების მანძილზე მუსლიმური აღმოსავლეთის აგრესიის შემაკავებელ ქრისტიანულ ბარიერს წარმოადგენდა. მოყვარეც ასეთი უნდა! ჩვენი გააფთრებული ბრძოლა მხოლოდ ადგილობრივ ისტორიკოსთა მონაყოლია და ეს მძლეთამძლე დასავლეთელებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, თორემ საქმე საქმეზე რომ მიდგეს და საიდანლაც ვინმე გამოტყვრეს და წამოაძახოს, ოდესღაც ჩვენ გიცავდით და ახლა იგივე თქვენ მოიმოქმედეთ, ევროპა სხვისი ვალდებულებებით ხომ არ შეიბოჭება! ეს ერთობ არადემოკრატიული მანევრია!

მოვლენებს თანმიმდევრულად მივყვით და კვლავ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ავტორისეული დახასიათება განვიხილოთ. ის რომ არა, საქართველო სამოთხეში განწერიანდებოდა. ამ „დაკარგული შანსით“ შეძრული მკვლევარი „ბოროტმოქმედი“ უმაღლესი ხელისუფალის „გამოსაშკარავებლად“ აშკარად არაეუროპულ, თავშეუკავებელ სტილს ირჩევს. ზვიად გამსახურდიას არც მეტი, არც ნაკლები ვლადიმერ ულიანოვს ადარებს! შიშს დიდი თვალეები აქვსო ამაზეა ნათვამი.

„გასაგებია“, რომ „ქვეყნის დამაქცევარ ავტორიტარს“ ქება თავში აუვარდა, თქვენეული გადასახედიდან მადამ დე პომპადურით წარმოიდგინა, რომ მის გადადგომას ქაოსი მოჰყვებოდა. ჯერ ლენინი, ახლა ის ელიტარული ბანოვანი პომპადური შეაწუხა სიძე ბატონმა! ამასაც არ დასჯერდა, ქედმაღლად დაასკვნა, რომ გამსახურდია „იმპერიული სისტემის პროდუქტი იყო და საბჭოთა პარტიული ბოსივით იქცეოდა!“ რომ იგი ვაცლავ ჰაველი რომ ყოფილიყო, საქართველო ამ საბედისწერო კატაკლიზმებს აიცდენდა და ა.შ. ჯერ ერთი ამდენი ოდიოზური და სრულიად შეუსაბამო ბრალდების წამოყენებისას თავად გაიხლართა ამბივალენტურ ლაბირინთში. ჩვენში დარჩეს, იოლი როდია ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიები ზედიზედ უანგარიშოდ დაახვავო და გულუბრყვილოდ ელოდო ღლავი ანკესს როდის წამოეგება! ბ-ნი ჯონსი რომ მხოლოდ სტანდარტულ კლიშეებში ჩაჭედდებოდა, დაბნეული უცხოელი კოლეგებისა და ხუნტის მხარდამჭერი ხალხის რეცეპტებით სარგებლობს, ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ ცნობისმოყვარეობის გამო სხვა კატეგორიის ადამიანებსაც გასაუბრებოდა და რადგან ქართულს ფლობს, მხოლოდ „მომხიბლავი პროფესორის“ ჯ. იოსელიანის მეშუარებით არ ეხელმძღვანელა, საქვეყნოდ რომ არ შერცხვენილიყო!

აბა, რის მიმანიშნებელია შემდეგი ფრაზა: „ლენინის გამონათქვამი, რომ წარმოება დემოკრატიაზე ადრე გაჩნდა, მეორდებოდა გამსახურდიას თვალსაზრისში (თუცა არ არსებობს დამამტკიცებელი საბუთები, რომ მან ეს საჯაროდ განაცხადა)“. გამსახურდიას განცხადებები, რომ ადამიანი უნდა ჰგავდეს „ქარქაშიდან ამოღებულ ხმალს, ალესილ სამართებელს და არა შეშინებულს“, გასაოცარ მსგავსებას ამჟღავნებს ლენინის აზრებთან... ის ასახავდა ლენინისტურ მიდგომას პოლიტიკისადმი“.

ფაქტია, ამგვარი გამობტომები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. პროლეტარიატის ტერორისტი ბელადისგან განსხვავებით ზვიად გამსახურდიამ მოლაღატე რენეგატების წინააღმდეგ იარაღი არ გამოიყენა, რისი კანონიერი უფლებაც ჰქონდა და ტყვიებს ყვავილები დაუხვედრა, ეს გადაამეტებული ჰუმანიზმი რომ არა, დაუსჯელობით განავარდებული პუტჩისტები თავიანთი დანაშაულის გასაქარწყლებლად მსგავსი ნაშრომების პროპაგანდით ველარ დაკავდებოდნენ! გისოსები ან სამარე მათ ამის საშუალებას მოუსპობდა! ვაცლავ ჰაველს რაც შეეხება, ბ-ნი ჯონსი აქაც ღრმად ცდება, როცა მას საქართველოს პირველ პრეზიდენტზე წინ აყენებს, რადგან ჰაველი რომ ევროპა-ამერიკას განდგომოდა, ისევე მოიშორებდნენ როგორც გამსახურდიასა და დუდაევს! თანაც თავზე დამტყდარი უბედურებები ჰაველმა ვერ ააცილა თავის ქვეყანას და ამიტომ „გაუგებარია“, ჩეხის უპირატესობა რაში მდგომარეობს. ფაქტია, დასავლეთის მორჩილებაში, რამაც მის მიერ

დისიდენტობისას გამოვლენილი შემართება სრულად დაასამარა! იმპერიის პროდუქტი მასზე უფრო ითქმის. ზვიად გამსახურდია საბჭოთა რეჟიმის მიერ დევნილი და დაპატიმრებული მემბოხე, ძალიანაც რომ სდომოდა, პარტიული ბოსის ჩვევებს ვერ გამოიმუშავებდა!

ნიგნის ავტორის ანტიპატია განუსაზღვრელია. იგი კონსტანტინე გამსახურდიას პოპულარულ მწერლად მოიხსენიებს, რომლის მბრძანებლობისმოყვარულმა ხასიათმა ზვიად გამსახურდია და მისი თანამებრძოლი მერაბ კოსტავა ქართული ნაციონალიზმის მითის მთავარ გმირებად აქცია. აკი ამის დასტურია ზვიად გამსახურდიას ნაშრომი: „საქართველოს სულიერი მისია“ მკვლევარი ბროშურად რომ ასახელებს. სამაგიეროდ, თავისი ნიგნის სქოლიოში გააფთრებული ლიბერალების არაეროვნულ პასკვილებს შესანიშნავ და ბრწყინვალე ესეებად ნათლავს!

ბრავო, ამგვარ კეთილსინდისიერებას! ვითომ ჩვენი ბედი გულწრფელად ანუხებს და ამის დასადასტურებლად სამშობლოს თავდადებულ მონამეს გვიგინებს და ბინძური ცილისნამებების მორევში „ძირავს“, აქაოდა „პარანოიით“ შეპყრობილმა „დექტატორმა“ საქართველოს სრული იზოლაცია მოახდინაო! ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო! ამ ყალბი, სულმდაბლური ბრალდებების პარალელურად იგი აგრძელებს: რომ „დროდადრო გამსახურდია უფრო მეტ პრაგმატიზმს ამჟღავნებდა, ვიდრე ოპონენტები და ნაკლებად კრიტიკულ სიტუაციაში შეეძლო აერჩია უფრო ზომიერი გზა. გამსახურდია არ იყო გამოუსწორებელი ფანატიკოსი და ა.შ. ცხადია ნიგნის ავტორი ურთიერთგამომრიცხავ „ბრალდებათა“ შეჯერებას თავს ვერ აბამს, რადგან შინაგანად აცნობიერებს, რომ გამსახურდიას მმართველობის მოკლე პერიოდში შეუძლებელი იყო წლობით დაგროვილი საკვანძო საკითხების ერთი ხელის დაკვრით გადაჭრა, მით უმეტეს იმ მტრულ გარემოში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე გაირკვა, რომ პროგრესულ დასავლეთს ყველა და მათ შორის საქართველოს პირველი პრეზიდენტი დემოკრატიული მონინავე სამყაროს წინამძღოლად რომ მიიჩნეოდა, სინამდვილეში ხელს არ აძლევდა სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და საბჭოური იმპერიის ნანგრევებზე ახალი იმპერიული პოლიტიკის გასატარებლად ემზადებოდა. ზვიად გამსახურდიამ დასავლური პოლიტიკის შენიღბული არსი დაუფარავად ამხილა, რაც მკაფიოდ გამოიხატა მის მიერ ნათქვამ ფრაზაში: „დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან“. სხვათა შორის, ამერიკის პრეზიდენტის: ჯორჯ ბუშის ულტიმატუმის საპასუხოდ გაჟღერებული ისტორიული მნიშვნელობის სიტყვები ბ-ნი ს. ჯონსის ნიგნში გამოტოვებულია“ და რატომაც, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება!

ადამიანის უფლებათა გამოჩენილ დამცველს (ამას ბ-ნი ჯონსი თავის ნაშრომში რამდენჯერმე აღნიშნავს)

იმპერიულ ზრახვებზე თვალი აეხილა, მიხვდა დასავლეთის უმოქმედობა რით იყო განპირობებული და გადაწყვიტა ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად გამართულ უმძიმეს ომში უკან არ დაეხია, რაც რა თქმა უნდა, არც ძველ და ახალ იმპერიას „არ აწყობდა!“

ასე რომ, პოპულიზმი დასავლეთიდან გადმოსროლილი ლოზუნგები გამოდგა და არა პირველი პრეზიდენტის მმართველობის სტილი. ბ-ნი მეცნიერი გააფთრებით რომ ცდილობს ზვიად გამსახურდიას მიაწეროს! მას მსოფლიომ არ აპატია, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში უპირველესად ქართველების უფლებას იცავდა და არა ადამიანის უფლებებს, რომელსაც მძლავრი ქვეყნები სადაც მოეპრიანებოდათ, უნებართვოდ იქაც არღვევდნენ! ამერიკის მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციები ერაცსა და აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში საუკეთესო დასტურია, რაც მათ უახლეს ლიტერატურაში სათანადოდ აისახა. აღმოსავლეთის დამოუკიდებულება ამერიკელებისადმი საპასუხო რეაქციითაა გაჯერებული მათი აზრით. ამერიკელები ისეთ მოქცევას იმსახურებენ, როგორც თავად სხვებს ექცევიან, ეს ძალზე ვრცელი, სახიფათო თემაა და ამის თაობაზე ჯანსაღად მოაზროვნე დასავლელი და ამერიკელი მოღვაწეები განგაშს სცემენ, საკუთარი ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის წინააღმდეგ შეფასებების გამოქვეყნებას არ ერიდებიან. ზვიად გამსახურდია, როგორც თავგანწირული მამულიშვილი და თავისი ქვეყნის უპირველესი გულშემატკივარი საქართველოს ზვარაკად რომ შეეწირა, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების განჭვრეტა-შეფასებაშიც მართალი გამოდგა. ამის აღიარებაც ბუნებრივია მკვლევარის გეგმაში არ შედის, რადგან, მაშინ ყველაფერი ყირამალა დადგება და კეისარს კეისრისა მიეგება! მტკნარი სიცრუეა აგრეთვე მტკიცება, რომ საქართველოს პრეზიდენტი საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ავიწროებდა. ავტორი ამ გაუმართლებელი ცილისნამებისას გამსახურდიას ღვარძლს გამოკვეთს, რაც სინამდვილეში პირიქით, მისი გაუნელებელი ღვარძლია, რომელსაც პირველი პრეზიდენტის მოღვაწეობის შეფასებისას მიმართავს, რადგან შეშფოთებულია „განაპირა პროვინციაში“ დამოუკიდებლობისკენ სწრაფვამ ევროპა-ამერიკის „კეთილშობილური“ მიზნები არ დააზარალოს! ზვიად გამსახურდიას მიუღებლობას კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სამკვდრო-სასიცოცხლო ღირებულების „წვრილმანი“ ასაზრდოებს. კერძოდ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის დამოუკიდებულება სარწმუნოებისადმი. მერაბ კოსტავას ქრისტიანობის ძმის ღრმადმართლმადიდებლური მრწამსი, რომელიც დასავლურ პროტესტანტიზმს ოდნავაც ვერ ეთვისება, რადგან ქრისტიანობა ოდიტგანვე ჩვენში ეროვნული შემეცნების განუყოფელ ნაწილად იქცა და ბუნებრივია კოლონიურ ჩარჩოში მოქცეული „ჩამონერილი“ ქართ-

ველების გადაგვარებას ხელს უშლის. იგი იმპერიული ასიმილაციის წინააღმდეგ ყველაზე მძლავრი, უცვლელი და დაუთრგუნავი „იარაღია“!

ზვიად გამსახურდიას შემოქმედებითი მემკვიდრეობა ქრისტიანულ საძირკველზე დაშენებული ქართული კულტურის სიღრმისეულ შრეებს მოიცავს და ქართველობას ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებისკენ მოუწოდებს. წიგნის ავტორი ამ „საფრთხეს“ მშვენივრად აცნობიერებს და ცერბერის დარად ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლს საგანგებოდ დარაჯობს, იქვე მწუხარედ აღიარებს, რომ საქართველოს ეკლესიის უკიდურესი როლი ყოველწლიურად ძლიერდება. „საშიში ტენდენციის“ შეფასებისას პირდაპირ აცხადებს, რომ მავნე ორგანიზაციათა ნუსხაში „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს“ წამყვანი პოზიცია უკავია და ამას გარდა ქართველები ნარკომანებისა და მამათმავლების მიმართ გაცილებით შეუწყნარებლები არიან, ვიდრე თუნდაც სექტანტებისადმი!

ფაქტია, წიგნში დემაგოგიურ – პროვოკაციულ წილსვლებს ბოლო არ უჩანს. ნელან გაკვრით ავლნიშნე, რომ მკვლევარი „ამერიკულ პროდუქტს“ – ყოფილ პრეზიდენტ მ. სააკაშვილს თვალშისაცემად რბილად აკრიტიკებს და ცხრა წლის მანძილზე ქვეყნის მართვის დამანგრეველ კურსს ოდენ მოზომილ სტატისტიკურ ცხრილებში ამწყვედვს თუ ჭედავს. წარბმუხრელად ცრუობს, თითქოს 2007 წლის 7 ნოემბრის სისხლისღვრას სოციალური სარჩული ედო საფუძვლად და არა მრავალწლიანი გაუსაძლისი უსამართლობის წინააღმდეგ მძლავრი პროტესტი, ჩვენ კეთილსინდისიერ მეცნიერს ოდენ მშვიერი კუჭის გაბრძოლებად რომ „მოეჩვენა!“ სიძე ბატონს დროა შეეუძახოთ, რომ ნაცარქექიობასაც საზღვარი აქვს ბოლოს და ბოლოს!

მართლმადიდებლობისადმი მტრულად განწყობილი მეცნიერი თავს უფლებას აძლევს „იქადაგოს“, რომ „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ამწავებდა ურთიერთობებს ეთნოსებს შორის“. უფრო შორსაც შეტოპავს და ასკვნის, რომ „სააკაშვილი რელიგიური შემწყნარებლობისკენ მოუწოდებს მოქალაქეებს, მაგრამ არ აკრიტიკებს ეკლესიას, რომელიც რელიგიურ განხეთქილებებს უწყობს ხელს“. ამაზე ეფექტურ დემაგოგიას ძნელად წაწყდება კაცი! ჯერ ერთი, ყველას გვახსოვს შემზარავი კადრები სააკაშვილის მთავრობამ გლდანის ეკლესიაზე იერიში ბოლშევიკური შემართებით რომ მიიტანა! არც ის დაგვიწყებია, 2008 წლის ომში დამარცხების შემდეგ სომხეთის სასულიერო პირებმა ნორაშენის ეკლესიაში რა ბარბაროსობა ჩაიდინეს, რაზეც ავტორი თვალს ხუჭავს ისევე, როგორც არაერთ უბედურებაზე. საქართველოშივე ქართველების გენოციდი, რომ განაპირობა და 300 000 მეტი ადამიანი უსახლკარო ლტოლვილად აქცია!

საინტერესოა, ამ დროს ადამიანის უფლებების

დაცვა რატომ არ ახსენდება ან იქნებ ელოდება ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობად როდის ვიქცევით, რომ შეგვიბრალოს და „პირუთენელი“ სიტყვა სამადლოდ შეგვანოს?! არადა, როგორ გვაიმედებდა, „ჩემი მიდგომაა მოგანოდოთ დამოუკიდებელ დასკვნათა რიგი!“ ჯობია პატივცემული მკვლევარი უნაპირო დემაგოგისა და სიყალბის დამოუკიდებელ დასკვნად შემოსალებას დაეხსნას, რადგან ფაქტების ფაბრიკაციის სიმრავლით პირუტყუ შედეგს მოიმკის და გულმოდგინე გარჯა წყალში ჩაეყრება! იმას კიდევ „გაიგებს“ კაცი, რომ ოკეანის გაღმადან მონოდებული ინფორმაცია სურვილისამებრ გაამრუდოს, აქაოდა ესენი სრულყოფილ ინგლისურს სანამ აითვისებენ, ყველაფერი ხელიდან გამოეცლებათო, „კეთილგანწყობით“ ივარაუდოს მაგრამ ის, რაც ჩვენს თვალწინ მოხდა და ახლაც უწყვეტად მიმდინარეობს, ასე წარბმუხრელად როგორ უნდა დაამახინჯო და გააყალბო, ქვეყანა მართლა ჩალით დახურული ხომ არ არის, საქართველოში მხოლოდ პროამერიკულად მოჭიკჭიკე ელიტა კი არ ბინადრობს სიძვე ბატონო! სხვა „ჯურის ხალხი“ ჯერ არ გადაშენებულა და ამიტომ სიცრუის მანქანის „დაბალანსება“ გინდა არ გინდათ, მოგინევთ! ასე რომ ტოტალური სიყალბის ფონზე კატის კნავილის ფასი ადევს ავტორის რიტორიკულ შეკითხვას: ღირსია თუ არა მ. სააკაშვილი, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი პრიზი ზარ-ზეიმით რომ გადასცეს. ნაპრეზიდენტალი რისი ღირსიცაა, თქვენ ჩვენზე ნაკლებად როდი მოგესვენებათ, თუმცა გრუმის მომსახურების გრძელვადიანი კრედიტი კვლავ ძალაშია და თქვენდა საბედნიეროდ ქართველმა ხალხმაც ვერ იფაქცა, მისთვის კუთვნილი მიეზლო, როგორც ეს აღმოსავლეთში მოხდა!

ასევე ზედაპირულ კრიტიკას შეიცავს დასავლეთის „გლამურული“ გაკიცხვა იმის გამო, რომ მათ რუსეთის აგრესიის შეჩერება თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე არ ნებადართო! ევროკავშირისადმი სასაყვედურო კილო იმგვარ ინტონაციას ამულავნებს, ცოლი ჭირვეული ქმრის დასაშოშმინებლად რომ მიმართავს, მსუბუქი გაკიცხვით სერიოზული კონფლიქტი თავიდან რომ აირიდოს!

კანონისა და დემოკრატიის სახელით იმპერიული პოლიტიკის გატარება არაახალია და არც საქართველოსთვისაა ეს მოულოდნელი ხილი. უმაღლ რომ დააფრთხეს და მინა-წყალი უსასყიდლოდ გაჩუქათ აქაოდა ამ თვალსაზრისით პირველობაში ვერავინ შეგეცილებათ! და ბოლოს, ამაოდ დამაშვრალ, მკაცრ და პედანტ მკვლევარს მოკრძალებით ვკითხავ, ქართული პასპორტიდან ეროვნული რეკვიზიტების ამოდებასთან დაკავშირებით „ურთიერთპოპულარულ ხმას“ ქართულ პოლიტიკაში და მოძრაობის „საქართველო უპირველეს ყოვლისას ლიდერის“, ბ-ნ გურამ შარაძის ხსენებისას (წიგნში იგი ორჯერაა ნახსენები: მეორედ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანო-



ბის შეფასებისას, სადაც „ან გარდაცვლილი ბ. შარაძე“ ამტკიცებდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები დასავლეთიდან ბრძანებებს ლეზობობენ). დასავლური ჰუმანიზმიდან გამომდინარე კეთილსინდისიერების „ბაცილა“ რატომ არ შეგეპარათ და დღისით – მზისით მხეცურად დედაქალაქის ცენტრში მოკლული ამაგდარი (და არაპოპულარული) მეცნიერი და მამულიშვილი, კანფეტებით ხელში შინ შვილიშვილებთან რომ მიიჩქაროდა, პირუთენელი სიმართლისთვის როგორ დაგენანათ! თქვენ ხომ მასთან პირადი ნაცნობობაც გაკავშირებდათ. ერთხელ უმასპინძლეთ კიდეც, რამაც ტრაგიკულად დაღუპული მკვლევარი თქვენდამი ნრფელი სიმპატიით განაწყობ და აღტაცებულმა დაწერა, რომ თქვენეულმა დარბაისლურმა ქართულმა მოხიბლა! ადამიანური სიმეტი უკლებლივ დანყდა? სააკაშვილის მმართველობის დროს საილუსტრაციოდ თუნდაც ეს ერთი გახმაურებული და, სამწუხაროდ გაუხსნელი მკვლევარობა კმარა და ამგვარი სისასტიკით ჩადენილი დანაშაული რომ არაერთია, ეს უკვე საყოველთაოდაა ცნობილი!

ზვიად გამსახურდიას მმართველობისას რომ ანალოგიური რამ მომხდარიყო, მას სულ მცირე, კაციჭამიად გამოაცხადებდით და მთელ მსოფლიოს შეძრავდით! სააკაშვილს კი ავტორიტარის „ტიტული“ „არაკადრეთ“ და ენერგიულ, ქარიზმატულ ლიდერად მონათლეთ, ქვეყნის ნგრევა „ანცობად“ ჩაუთვალეთ! აბა, ეს სადაური სამართალია და დემოკრატიის რაგვარ გაგებაში ენერგია?!

ქართული ნაციონალიზმის მითის შეკონინებისას ერთ გენიალურ, მოკლე და ამავდროულად ამომწურავ ფორმულირებას შეგახსენებთ, რომლის ავტორმა ბუნებრივია თქვენი ყურადღება „ვერ დაიმსახურა“, რადგან კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, მთელი შეგნებული ცხოვრება საქართველოს დამოუკიდებლობას შესწირა და ანაცვალა!

მოკლედ, „ქართული ნაციონალიზმი ანუ პატრიოტიზმი მხოლოდ სიძულვილია უცხოელებისადმი, რომელთაც დაიპყრეს ჩვენი სახლი, ჩვენი ცოლ – შვილი და ჩვენი ნაშრომი. რუსული ნაციონალიზმი კი აღვირანყვეტილი სიხარბეა მხეცისა, რომელმაც ათი მეზობლიდან ცხრა შეჭამა და მეათესაც მოითხოვს“. თავისუფლად შეგიძლიათ სახელოვანი ქართველი მწერლისა და მოწამის მიხეილ ჯავახიშვილის მოსაზრებაში „კორექტირება“ შეიტანოთ და რუსული ნაციონალიზმი ევროპული ან ამერიკული ნაციონალიზმით შეცვალოთ. სულ ერთია, შესაქრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება!

საერთო ჯამში, ეს ნიგნი დასავლურ-ამერიკული დემოკრატიის „თვალსაჩინო საჩუქარია“ და თუ ერთ მშვენიერ დღეს ევროპის ჟანდარმად წოდებული რუსეთი კარზე მოგადგებათ, ამ საფრთხისგან არავინაა დაზღვეული, სანამ გადაგყლაპავთ, ეგებ მოასწოროთ

და ცალკეული თავები დაჩქარებული წესით დესერტის პრინციპიდან გამომდინარე სულმოუთქმელად ჩაუბუღებულთ, ეგ არის გამაოგნებელი ტოტალური სიცრუისა და სიყალბის მასშტაბით. არ არის გამორიცხული, ყოვლისმპყრობელი რუსებიც დაფრთხნენ ან უფრო უარესი, შურით აღივსონ. ლენინის შემფასებელს არ გესწვლებათ, რომ პროლეტარიატის ბელადმა რუსულ შურს საგანგებო გამოკვლევა უძღვნა. აი, მაშინ ნიგნი, რომელზეც განსაკუთრებულ იმედს ამყარებთ, პანდორას ყუთად გექცევით და სახელის მოხვეჭის ნაცვლად განსაცდელს შეგამთხვევით! რუსეთთან შეხუმრების გამოცდილება ქართველებს ნამდვილად არ გვესწავლება და ამ საქმეში წარმატებას სულითა და გულით გისურვებთ. ამერიკელობა არ კმარა იმისთვის, რომ დემოკრატიის ციტიდელიდან მონოდებული ტექსტი შეუმონმებლად იწამო და აღიარო! საერთოდაც, არამკითხე მოამბის ხვედრი რომ ერთობ ძნელია, ფაქტია და სასიხარულოა, რომ სიძე ბატონის წინამდებარე ნიგნი შეუფასებელი არ დარჩა და უპირველესად მადლობას ვუხდით ბ-ნ გოჩა გვასალიას, ვინც თავისი უკომპრომისობითა და მიუკერძოებელი წერილებით კონფორმისტულ სივრცეს ერთიანად აზანზარებს! ბ-ნ ჯონსის ნიგნზე მისი გამოხმაურება ძალზე სამართლიანი, არგუმენტირებული და კომპეტენტურია, რაც ცხადყოფს, რომ ნამდვილი მწერლობა ნომენკლატურის მიღმა ცოცხლობს, ვითარდება და იბრძვის, მოყვრად მოსულ მტერს საკადრის პასუხს სცემს!

მისი სახით ბ-ნი სტივენ ჯონსი იმ ქართველების აზრს მოისმენს, ვისაც თავის ნაშრომში შეგნებულად გვერდი აუარა და ვინც არც იმდენად მცირერიცხოვანია, როგორც პატივცემულ მკვლევარსა და მის არაკეთილსინდისიერ მეგობრებს მიაჩნიათ!

დროა ქართველ მონამებებსა და საკრალურ ფასეულობებს, გარეულმაც და შინაურმაც აუგი იოლად ველარ შეჰბედოს! ყველაფერი გრანტებით როდი იზომება!

ამ ფონზე „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებული ბ-ნ ოლეგ გოლიაძის გამოხმაურება (ამავე ნიგნზე) რბილად რომ ვთქვათ, ანაქრონიზმად აღიქმება. ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: პატივცემული მეცნიერის, განგებამ სიძედ რომ გვარგუნა (სხვათაშორის ალექსანდრე ყაზბეგის ცოლისძმაც უცხოელი იყო და სიკეთით „თავი გამოიჩინა“), ნიგნი ჩვენი ქვეყნის უახლესი პოლიტიკური ისტორიის კვლევის თვალსაზრისით ყოვლად გამოუსადეგარია, რადგან ავტორი შესავალში გამოთქმულ დანაპირებს ღალატობს და მოვლენების კეთილსინდისიერი ანალიზის ნაცვლად დაკვეთით შესრულებულ მიკერძოებულ ნაშრომს გვთავაზობს, რომლის მთავარი მიზანი ქართული ფასეულობების შეგნებული, მიზანმიმართული გაყალბებაა, რაც ბოლოს მტრების ნისქვილზე ასხამს წყალს!



**ნოდარ ჯალალონია**

**ზვიად გამსახურდიას დაბრუნება სამშობლოში**

დასრულდა გზები გოლგოთის, სამშობლოსათვის ნამების,  
დღეს მის სახელს და მის საფლავს ადგას ნათელი სამების.

არ დაეღუპა სამშობლოს წმინდა გიორგის ლაშქარი,  
ფეხზე დამდგარი დაუხვდა მთანმინდა – გორი ლაშარის.

აგერ ქაქუცა, მერაბი, აგერ მართალი ილია,  
ამიერიდან სამშობლოს და უკვდავების შვილია.

**პერიფრაზი „ვეფხისტყაოსნიდან“**

როცა ხალხსა და ქვეყანას უჭირს  
და ვხედავთ სიკვდილ-სიცოცხლის სამანს,  
ვიგონებთ დავითს, ფარნავაზს, ქუჯის,  
პაატას, ცხრა ძმას, არაგველს სამასს.

რადგან ქვეყნისთვის ჩვენც გვიძგერს გული,  
თუ მოადგება სამშობლოს მტერი,  
ვიშიშვლებთ სახელს თავდადებულის,  
ზვიადისა და თევდორე ბერის.

რადგან სამშობლოც ღმერთად ვინამეთ,  
არ მოგვაკლდება ღვთისმშობლის მადლი,  
ისევ დავიცავთ, როგორც ვიცავდით,  
ქეთევანის და თამარის მანდილს.

დავიცავთ ქვეყნის ნამუსს და სინდისს,  
დასისხლულ კრწანისს, ნატყვიარ კოჯორს  
და ჩვენც ვინატრებთ იმ ლამაზ სიკვდილს,  
ნაძრახ სიცოცხლეს ათასჯერ რომ სჯობს.

\*\*\*

თუმცა წლებმა დამჯაბნეს,  
გული თავისას არ იშლის.  
მზადა ვარ ისევ ვათიო  
ღამე ლამაზი ქალისთვის.

მაგრამ დღეს, როცა ვიღვრები  
მათ წინ ფიცით და ფიცით,  
ჩემს ქათინაურს ისმენენ  
ღიმილითა და სიცილით.

რა ვქნა და, ცუდად მენიშნა,  
თუმცა არა ვარ მისანი,  
ცოლიც რომ არ ეჭვიანობს,  
არ არის კარგის ნიშანი.

\*\*\*

ოცნებების გარეშე  
პოეტები კვდებიან.  
სიყვარული და ლექსი  
პოეტების ფრთებიან.

ნალვლიანი ცხოვრებით  
ჩანს, ფინიშთან მივდი.  
ცოტა კიდევ მაცოცხლე  
ოცნებით და იმედით.

შენი ღიმილ-სიცილით,  
სიყვარულით ამავეს,  
ეს უაზრო ცხოვრება  
ცოტა გამილამაზე.

სიყვარული და ლექსი  
პოეტების ფრთებიან;  
ოცნებების გარეშე  
პოეტები კვდებიან.



**მეც უნდა ვზიღო ჩემი ჭაპანი**

ჩვენ რომ ბედსა და იღბალს ვეძახით,  
გაგორებას შვავს თურმე კამათლის  
და არ მთავრდება ამ ქვეყანაზე  
სიკვდილ-სიცოცხლის ძველი კამათი:

მთავარი არის, აქ რას დატოვებ,  
თორემ იმ ქვეყნად ვინ რას წაიღებს.  
ამაოება და სიმარტოვე  
იგონებს წლებს და ლამაზ თარიღებს.

ისიც ხომ ვიცით, ამას ყველაფერს  
როცა ჟამი და წლები გადაშლის,  
ისევ იწყება ცოდვილ მინაზე  
სიკვდილ-სიცოცხლის ძველი თამაში.

\*\*\*

ეს ცხოვრება არის ფარსი,  
ფარსი არის ოცნებაც,  
როცა ადევს ჩალის ფასი  
ნიჭს და პატიოსნებას.

თვით სიცოცხლეც არის ფარსი  
და ამაოდ ირჯება.  
როს არ ადევს ჩალის ფასიც  
კაცობას და ღირსებას.

**შიქრები გალაკტიონზე**

ბევრი გვირგვინი და ბევრი დაფნა  
წაილო ჟამმა და წლებმა დაფლა.

ბევრი დიდება და ძეგლთა წყება  
წაილო დრომ და დამარხეს წლებმა.


ის კი, ის არის დღეს ერთადერთი,  
ქართული სიტყვის და ლექსის ღმერთი,

ვინც კვლავ მოარღვევს წლებს და უკუნეთს  
მოაქვს თავის დრო და საუკუნე.

გიო კილაძე

\*\*\*

ყოველთვის თვალეში უნდა მეყურებინა, მეცქირა უფრო ქართულია ალბათ. ვერ იტანდა გვერდზე რომ გავიხედებოდი, გვერდზე გახედვას ვერ იტანდა, ნაიკითხე, გოგოსკენ თვალის გაპარება ხომ, მტრისას... ვართ ერთად... ის თბილისიდან, მე – ოზურგეთიდან, შვეიცარიით ბათუმში... თასმებით ერთმანეთზე გადაბმული ტუფლები მხარზე გვაქვს გადაკიდებული და მივუყვებით სანაპიროს. ვგავართ ფილმის გმირებს, ნაცნობი ფილმიდან და არ ვფიქრობთ ველოსიპედსა და ლამის გასათევზე... ის უკან – თბილისში და ოზურგეთში – მე... აცვია კაბა, ზაფხულის შესაფერისი... კოპლებიანი... უხდება... აბა, ისე როგორ და... მაცვია შარვალი... უფრო ადრეგაზაფხულის, გვიან შემოდგომაზეც ჩაიცვამ სავარაუდოდ. მოსალამოვდა მოსალოდნელზე ადრე... მივუყვებით სანაპიროს ბაასით და უცებ... – იცი, კაპიტანი ხარ ჩემი – კაპიტანი?! – გავიმეორე სულ სხვა ინტონაციით, ჩუმად... – სულ მინდა გკითხო... – რა?! – შენი გემი სად დგას, კაპიტანო? – რა მაგარი კითხვაა. – ვპასუხობ და... მართლა არ ვიცი, სადაა სიმაგრე... – როდის გავა და საით.., გადაგიღებდი სურათს... თითქოს გემზე ხარ და არსაით იყურები... არა, არა... ზღვის ჰორიზონტს გასცქერი და ილიმები... ნისლია და მაინც ცდილობ დაინახო... რისი დანახვა გინდა, კაპიტანო? – არაფერზე... სულ არაფერზე, ბოცმან... დინების სანინალმდეგოდ, რომ მოგიწევს სვლა, იცი? კურსის შცვლა ხომ არ სჯობს? – კი – ასე მალე ნებდები?! – კი – რატო? – დავიღალე – რისგან? – ზოგადად, – ააა, კაპიტანი არ გინდა იყო... რა გინდა გემზე მაშინ... დაისვენე ზოგადად ან საერთოდ... – ადრეა, ადრეა, ჯერ ადრეა და მაინც.. – ვგრძნობ მარილიანი თითის გემოს ტუჩებზე და გაღიმებას ვცდილობ... სურათი არ გადაუღია... სად გვქონდა მობილური და კაი ცხოვრება მაშინ... სურათი სოფო დათუაშვილმა გადამიღო... სულ სხვა დროს და სულ სხვა სივრცეში... იმ დროსაც ზღვის



ჰორიზონტს გავყურებდი, ალბათ...  
ესაა, არ ვიღიმოდი, მხოლოდ...

– ნეტავ იმ ქვეყნად მუსიკა არის?! უმუსიკოდ არ შემიძლია, სიცოცხლესავით მიყვარს და სულ ვისმენ, როცა მცალია. ვკითხულობ მუსიკასთან ერთად. თუმცა ვერც ვუკრავ და ვერც ვმღერი. დედა უკრავდა ყველა ინსტრუმენტზე და ფანტასტიურად მღეროდა... – სახინკლე ცომის ზელისას? – ვეკითხები და ნუ როგორ ვთქვა, საზიზღრად ვიკრიჭები... – არის? – მეკითხება, კითხვა არ გაუგონია თითქოს, – მართლა ფიქრობ, დავინყებ ების დიდოსტატი ვარ?! დედა, სულ ლიღინებდა, მამას ჰალსტუხს, რომ უკრავდა... – ჰალსტუხის შეკვრისას... – მაშინ განსაკუთრებით. იმაზე კარგი მუსიკა მერე აღარ მომისმენია... ჩვენ ვერაფერს შევცვლით... ისმის ფილმიდან... მაიკლ დუგლასი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა... მხოლოდ ცხოველებს შეუძლიათ... – ესეც ფილმია... იგივე...  
იგივე...

„ისეთი ადრეა, შენც რომ გძინავს... ექვსისნახევარი, ჰა, ჰა, გათენდება... ზუსტად ის დროა მე რომ ყველაზე მეტად მი-

ყვარს ძილი... ხო არ იცი რამდენხნინი ძილი იცის? რამ? პინგვინმა... იცი, ჩემს თავს პინგვინს ვადარებ, ფრინველია, მაგრამ გაფრენილი არავის უნახავს... პინგვინი სირაქლემა არაა... პინგვინია, ოქროს თევზზე ერთ-ერთი საუკეთესოა. რჩეულიშვილის მოთხრობა გამახსენდა რატომღაც, სათაური არ მახსოვს მუნჯი ახმედა, ზღვა, სიყვარული და ტკივილია... „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“ ჰქვია, გაიფიქრე, არა.. „და მერე სადაა ოქროს თევზი?“ – მკითხე... მაგარი ვარ მე... შენ კიდევ არ იცი, როგორი მაგარი ვარ, იქნებ დადგეს დღე და გითხრა... „მოგისმენ“ – მეტყვი და გაიღიმებ... იცი, გიო, მართლა უცებ მივხვდი როგორ მომენატრა რჩეულიშვილი. ის ძველი წიგნი, ცხენი რომ ეხატა. მერე ყველაფერი ვიყიდე, რაც კი რამ გამოვიდა. უფრო ჩემი თავი მომენატრა გურამით აღფრთოვანებული და შეყვარებული. ტკივილიანი მოთხრობები, იმ მოთხრობაში ზღვამ მოუტანა და წაართვა ის სიყვარული ახმედას. ღმერთო რა დიდი ბავშვი იყო რჩეულიშვილი. სჯეროდა, რასაც წერდა.. შენ რომ დანერ, დაგიჯერებ? 26 წლის იყო, რომ დაიღუპა, ღმერთო ჩემო დაიღუპა... ცხოვრება მართლა კალენდარია?! მართლა უნდა ამხიო და დამიმახსოვრო? ნეტა იმ დროს კალენდარს არც რომ უყურებ, ცხოვრობ, ზოგჯერ გეშინია, რომ არ დამთავრდეს ეს ყველაფერი და მაშინ სხვანაირად გადაეწყობა კალენდარი, დღეებიც ფერებს მიიღებენ. სევდის ფერებს, ზოგისთვის ეგ ფერი შავია, რუხია, ჩემთვის ყავის ნალექის ფერია, მწკლარტე

გემოსი... ისე ერთხელ წავიკითხე, ორი ადამიანის ურთიერთობაში ერთს ყოველთვის უყვარს და მეორე აძლევს უფლებას უყვარდეთო. ბოლომდე ვერ ვეთანხმები, მაგრამ სიმართლის მარცვალეც არის. ნახე როგორ მუშაობს გათიშვის მერე ჩემი ტვინი, გიო? რაო? – რამ გაგთიშაო? რავი ხდება ხოლმე... მივეჩვიე... იყოს 22, 22 განსაკუთრებულია ხო, ჩემი დაბრიცხვი არ გიყვარს... გახსოვს მაინც?! მეც მიყვარს 22, მაინც მიყვარს 22, იმ სულელი ბიჭის დაბადების დღე. იმ ბიჭის, რომელმაც ვერ შემცვალა მთლიანად, მაგრამ ეშხს კი აკარგვინებს ცხოვრებას. ახლა მართალი ვარ, რომ გწერ, მრცხვენია, მაგრამ ასეა. ისე აღარ მიყვარს... ერთ რაღაცას გეტყვი და მოვრჩები... მენყერი კი არა ტბა ვარ... შენი ხათრით ტბაც ვიქნები და ოკეანეც... წყნარი, აბა, ისე როგორ... გაგეცინა არა... ჰო... ვგავარ ხანდახან პალიასტომს... და ვითრევ შიგ ხანდახან ვილაცეებ... ბოლო ვინ იქნება, ბოლო ვინ იქნება ვამბობ და ავფიქრდები მორევზე... ჭაობზე არა, ღმერთმა დამიფაროს... რაა სამი წელი... სულ სამი წლით ხარ უფროსი, მეტი კი არა, დიდი მგონიხარ ზოგჯერ. ზოგჯერ კიდევ პატარა, თავზე ხელის გადასმა რომ მოგინდება ისეთი... არც ერთს არ უყვარდა იმათ, ვილაც ჩათრეულებს... თავზე ხელის გადასმა, ხელს წავიღებდი თუ არა თავს განვედნენ, უხერხულობისგან ხელი სად წამელო აღარ ვიცოდი; წინ გავწევდი და რალაცნაირად ვუყურებდი მერე... უდროო დღე იწყება – დღეს!”

ნინო მარგველაშვილი

\*\*\*

მტკივა დაკარგული, თუნდაც გოჯი მდელო,  
ჩემი წუხილი კი სხვისთვის ადვილია  
და სხვას რა მოვთხოვო, როცა საქართველო  
თვით ქართველებისგან „ნამუსაყრილია“.

\*\*\*

შენთან - ფიფქებს დაუფარავს ბილიკები,  
ჩემთან - ნვიმა ახმაურებს სახურავს,  
შორი-შორს ვართ, თუმც დარდში არ ვიძირები,  
მიხარია, რომ საერთო ცა გვხურავს.

შენთან - თეთრად მოირთვება არემარე,  
ჩემთან - ქარებს, ჯერ ყავილი არ გასვლია,  
თუ მიპოვნი შენს თბილ გულში გადამმაღე,  
დანარჩენი ყველაფერი ფარსია.

შენთან - ზამთარს თბილი სახლის სურნელი აქვს,  
ჩემთან - სხვენზე თამაშობენ წვიმები,  
შენ თუ გინდა, კვლავ აივლი ჩვენს ლელიანს,  
მე კი მხოლოდ ოცნებით, ან ფიქრებით.

შენთან - ჭირხლი მოდებია ბალ-ვენახებს,  
ჩემთან - ნვიმამ გადაიღო წამიერ,  
ვისურვებდი, ძველებურად დამენახე  
ჩემს ერთგულად, ან და მრავალჯამიერ...

\*\*\*

ვყლაპავდი ტუჩთან დაგროვილ ცრემლებს  
და ვალმოხდილი ვიყავი ცამდე,  
ალარ ველოდი საოცარ შედეგს,  
რადგან სიკვდილთან ნიძლავი დავდე.

სავალ ბილიკზე ჩოქვით მივლია  
და თუნდაც ერთხელ, კი არ გავჩერდი.  
მე, ჩემი გული ვერ შემიცვნია,  
მაგრამ შენს თბილ გულს მუდამ ვამჩნევდი.

ვყლაპავდი ყელთან მოწოლილ სიტყვებს,  
თქმის ნაცვლად, მუდამ დუმილს ვარჩევდი,  
ახლაც, სიკვდილი თუ გამომინწვევს,  
მე ძველებურად ნიძლავს დავდებდი.



\*\*\*

დავტოვებდი ჩემს სასახლეს დედოფალი,  
გავხდებოდი შენი ქოხის მსახური,  
ისურვებდი - ვიქნებოდი ბომა ქალიც,  
ვიქნებოდი დადიანის ასულიც.

დავტოვებდი ჩემს რწმენას და ჩემს იმედებს,  
გავხდებოდი შენი ღმერთის ნათლული,  
ყვავილებით მოგირთავდი სახლს და მეჩეთს,  
ვიქნებოდი შენს ზრუნვაში გართული.

დავტოვებდი ამ სამყაროს ნათელ ფერებს,  
მხოლოდ შენთვის მოვიყვანდი გაზაფხულს,  
გაგიტობოდი ერთფეროვან, შავ-თეთრ დღეებს,  
გაჩუქებდი ყველა იმედს - დაკარგულს.

გულს გავყრიდი ყველა გრძნობას რაც არსებობს,  
გავხდებოდი უგულო და ავსული,  
თუ არ გინდა, აბა როგორ დაგაჯერო -  
ჩემში ხარ და აქამდე არ დასრულდი.

დავტოვებდი ჩემს სასახლეს დედოფალი,  
ვიქნებოდი შენი ქოხის მსახური,  
ისურვებდი - ვიქნებოდი ბომა ქალი,  
შენს სახლის წინ სიმღერებით გართული.

\*\*\*

ოთახში მოარულ ლანდებს თუ ავყვები,  
არ არის უაზრო იდეა - გავგიჟდე,  
ლექსი არ დავწერო, ვერაფრით გავძელი,  
არადა სათქმელიც ძალიან მაშინებს.



ოთახში სიჩუმეს ვუსმენ და მგონია,  
ყოველ ამოსუნთქვას რითმებად ვარიგებ,  
ჩემსა და შენ შორის ისევ ის ჭორია,  
ან იქნებ სიმართლევც, აბა რას გავიგებ.

ჟანგბადი იღევა ოთახის კედლებში,  
ვერ ვსუნთქავ, თუმცა ახლა ეს სულ არ მაფიქრებს,  
ცოტაც და ვგრძნობ, აღარ მექნება ნერვები,  
ამიტომ შევბაა - მოვკვდე, ან გავგიჟდე.

\*\*\*

და გრძნობა მოსული ცდუნებად  
და არ თქმა, რამდენი სიმართლის,  
მქონდა, თუ არ მქონდა უფლება,  
ნანატრი შეილივით მიყვარდი.

\*\*\*

წრეზე თუ მივყვები ცხოვრების კარუსელს,  
არ ნიშნავს - შეცდომებს ხელახლა დავუშვებ!  
ღალატს არ ვპატიობ! და ტკივილს გავუძლებ,  
არავის ვიბრუნებ, თუ ერთხელ გავუშვებ!

\*\*\*

უცხო მიწაზე დავაბიჯებ და მკერდით დამაქვს,  
სახარება და ვაზის ჯვარი - თმებით დანწული  
და საფიქრალი, სანატრელი სხვა რამე არ მაქვს:  
ღმერთო სულ მალე ჩამახუტე ჩემი მამული.

უცხო ცა მხურავს, უცხო ქვეყნის ქუჩებში დავალ,  
აქ ერთნაირად მითენდება ზამთარ-ზაფხული,  
ჩემს ქალაქს ვნატრობ, სადაც ჩემი კუთვნილი გზა მაქვს,  
სადაც ტაძრები მანუგეშებს ცამდე ასული.

ძნელია, როცა აღარ შეგნევს არაფრის ძალა  
და ერთ წამს ნატრობ დაბრუნებას ლამაზ წარსულში,  
სხვა რამ არ მინდა, რომ მოვკვდები და ზეცად წავალ,  
უცხო კი არა, დამაყარონ მიწა ქართული.

\*\*\*

განა ერთგულება ასე იაფია,  
ყოველ შემხვედრზე რომ გრძნობა გადავცვალო,  
გულში უშენობის ორომტრიალია,  
ისე მეზიზღება ახლა ეს სამყარო.

განა სილამაზე იმის დასტურია,  
ყველამ საკუთარი სიტყვა გაიტანოს,  
თუ ყოველ ნაბიჯზე საფრთხე საცდურია,  
შენმა სიყვარულმა უნდა დამიფაროს.

განა ეს სიშორე, რამის ნიშანია,  
ან ჩემი ლექსები ჩემს თავს წარმოაჩენს,  
რადგან ერთგულება ჩემი მიზანია,  
შენი სიყვარული ვიცი, გადამარჩენს.

ჩემი მოტყუება განა იოლია,  
განა იოლია ჩემთან სიახლოვე,  
ყველა დანარჩენი ზამთარს მიჰყოლია,  
ჩვენ შენ გელოდებით - მე და სიმარტოვე.

როცა სახლიდან შორს წასვლას დააპირებთ,  
აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ შეიძლება უკან  
დაბრუნებულს ყველა გაუცხოებული დაგხვდეთ... ბევ-  
რი ეძებოთ, მაგრამ ველარ იპოვნოთ თქვენი ადგილი...  
უფრო მეტიც, საკუთარი თავიც ველარ იცნოთ...

როცა სახლიდან შორს წასვლას დააპირებთ, იცო-  
დეთ, რომ ძველებურად აღარაფერი იქნება... უთქვენოდ  
გაივლის ბევრი წელი და სწორედ დაკარგული დროის  
გამო გაგებინებენ პასუხს... სიყვარულის, მონატრების  
გამო გაგაციხავენ და ვერასოდეს მიხვდებიან, რა გა-  
დაიტანეთ ეს პერიოდი...

როცა სახლიდან შორს წასვლას დააპირებთ, შეეგ-  
უეთ, რომ დაკარგავთ ყველას და ყველაფერს... თქვენ-  
სა და საყვარელ ადამიანებს შორის იმხელა უფსკრული  
გაჩნდება, რომ ვერასოდეს ამოავსებთ...

როცა სახლიდან შორს წასვლას დააპირებთ, ნურ-  
სად ნუ ნახვალთ ღმერთს გაფიცებთ...

გიგი ხორნაული

„კუდი ქალღისა“

ამ წინა წლებში ივანე ლიქოკელმა გამოაქვეყნა ხევსურეთის აჯანყებისადმი მიძღვნილი ორი წიგნი: „ხევსურები და ქაქუცა“ (2006 წ.) „ხევსურეთის სისხლიანი ოცდაჩვიდმეტი“ (2010 წ.)

თავად ფაქტი, რა თქმა უნდა სასიამოვნოა, რადგან ხევსურეთის აჯანყების და სხვა მსგავსი ანტისაბჭოთა გამოსვლების ხსენება, საბჭოთა ტირანიის დროს, სასტიკად აკრძალული იყო.

მეორეს მხრივ, ეს ამბავი ძალიანაც არ გამხარებია, რადგან არა მქონდა მოლოდინი იმისა, რომ „მეცნიერული კომუნიზმი“ ლექტორი სრულიად სანიანალმდეგო მოვლენაზე მართალ სიტყვას იტყვოდა.

ასეთი ფიქრის საფუძველს მაძლევდა მისი ანტიხევსურული ცხოვრების გზის ცოდნა, მაძლევდა თუნდაც ბოლოდროინდელი, კიდევ ერთი ფაქტი...

90-იანი წლების ძნელბედობის ყამს ხევსურეთის წარმომადგენელი შევიკრიბებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საათათბიროდ – გასაჭირში ჩავარდნილი ხევსურების დასახმარებლად. იქ მოსაუბრებმა ასხენეს ხევსურეთის დაცარიელების მიზეზები და მათ შორის უმთავრესი: 1950-იან წლებში ხევსურეთის მკვიდრი მოსახლეობის მასიურად აყრა და ბარში ჩამოსახლება. ივანე ლიქოკელმა დიდი გულისწყრომა გამოხატა საბჭოთა მთავრობის „მზრუნველობის“ უდიერად მოხსენიების გამო და პროტესტის ნიშნად სხდომა მიატოვა. მან ისიც დაამატა, რომ ხევსურებს მაშინ გადასახლების აგიტაციას თვითონ უწევდა და ამას დღესაც ამაყად იხსენებს. მე კი დღესაც ვამტკიცებ და არ დამვიწყებია რა საძრახის საქმიანობას ეწეოდა ივანე ლიქოკელი.

იმ პერიოდში, ბარისახოს საშუალო სკოლაში ვსწავლობდი და მთასიქითელი ბაღებისაგან ყველაფერი დაწვრილებით ვიცოდი, თუ რა მავნებლურ საქმიანობას ეწეოდნენ „პარტიის ერთგული შვილები“, პარტიის პოლიტიკის გასატარებლად. ისინი მარტო აგიტაციას კი არ სჯერდებოდნენ, ბნელი ცხოვრებიდან ბედნიერ ცხოვრებაში გამოსვლისათვის, არამედ მილიციის ბრიგადებს მეგზურობას უწევდნენ და უჩვენებდნენ გადასახლებაზე უარის მთქმელ ხევსურთა სახლებს, დაშინების მიზნით, აფეთქებდნენ და ანგრევდნენ. უჩვენებდნენ ასევე ამ სოფლების საბოსლო ადგილებს მოფარებულ ხეობებში, სადაც ძნა-თივა ჰქონდათ, დიდი სიმწრის შედეგად მომარაგებული, ცეცხლს უკიდებდნენ, უწვავდნენ და შიმშილით სიკვდილისათვის იმეტებდნენ „კაც-საქონს“. აი, ამ „დამსახურებისთვის“ ივანემ და რამდენიმე კიდევ სხვამ, მიიღო უმაღლესი სასწავლებლის ლიმიტი, ასპირანტურა, ლექციები და მეცნიერმუშაკობა ინსტიტუტებში, ბინა და სხვა სიკეთეები.

პირადად ივანე ლიქოკელი, თავის ერთგულებას ყოველ ფეხის ნაბიჯზე უმტკიცებდა საბჭოთა მთავ-

რობას, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში, გულმოდგინედ აზუპირებინებდა სტუდენტებს კომუნისტური პარტიის ისტორიას, შემდეგ კი 80-იან წლებში დაანინაურეს და გადმოიყვანეს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეცნიერული კომუნიზმის ლექციების ნასაკითხად.

რაკი ახალგაზრდობას უკვე შერყეული ჰქონდა რწმენა, კიდევ უფრო ბედნიერი მომავლისა, ივანე ლიქოკელი მრისხანედ ცდილობდა ამ უსაგნო საგნის ახალგაზრდების თავში ჩატენვას. წარჩინებულ სტუდენტებს უფუჭებდა ატესტატებს. მას მთელ თბილისში გაუფარდა გონებაჩლუნგი ჯვალათის სახელი.

ახლა უშუალოდ მის წიგნებში ჩავიხედოთ. პირველ რიგში თვალში მოგხვდებათ ძალზე პრიმიტიული ადამიანის თხრობა. ის, რომ წიგნებს თან არ ახლავს თუნდაც სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი გამოყენებული ლიტერატურისა თუ წყაროების სია.

გასაკვირია და ბატონმა ლიქოკელმა ელემენტარულად არ იცის, ვითომც და სამასამდე სამეცნიერო შრომის ავტორმა (ივანე ჯავახიშვილს ათეული მიმდინარეობის ფუძემდებელს, 170 შრომა აქვს). არ იცის ციტატის მოტანისა და ლიტერატურის მითითების წესი. „300-მდე სტატია“ ცნობილი ბლეფია, პარტიულ მუშაკად მომუშავე მეცნიერებისა. დაიმედებულნი იმაზე, რომ ამ რიცხვს ვერავინ გადაამოწმებს. საიდან უნდა ჰქონდეს მეცნიერული კომუნიზმის ლექტორს ამდენი კი არა, თუნდაც 3 სტატია, რადგან მეცნიერული კომუნიზმი და „მარქსიზმ-ლენინიზმიც“ დოგმატური საგნები იყო და რაიმე მსჯელობა მათზე მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, მითუმეტეს ვერ გამოიძიებდა ვერავინ ხევსურეთის აჯანყებას, რადგან ამ აჯანყებისა და მისი მონაწილეების ხსენებაც კი დანაშაულად ითვლებოდა, კვლევების ჩატარებაზე ხომ ლაპარაკიც სრულიად ზედმეტია.

სხვათა მიერ რამდენიმე გამოქვეყნებულ წყაროში ნახსენებია, 1900-იან წლებში გადასახლებული, ვინმე ლიქოკელის მიერ იაპონელი სამურაების ოცეულის ხმლით ამოხოცვის ამბავი. ივანე ლიქოკელი კი ამ ფაქტს ასე ზერელედ უთითებს – ცნობა რომელიღაც გაზეთში იყო – მგონი „ალიაში“-ო.

სინამდვილეში კი ციტატა ჩანს ამოღებული აქვს ჩემი საგაზეთო წერილიდან, სადაც მე ის ციტატა მოტანილი მაქვს იური ყვინაშვილის წიგნიდან „ტანჯული საქართველოვ, აღსდექ“.

მთავარი ნაკლი ივანეს წიგნებისა კი მაინც ის არის, რომ ძალზე ერთგულად ეყრდნობა ოც-ოცდაათიან წლებში, ჩეკისტების მიერ შეთხზულ არადამაჯერებელ ფაქტებს, რომელთაც სინამდვილესთან არ-



ავითარი საერთო არა აქვთ.

მაგალითისთვის კი, აი, თუნდაც ქაქუცას ერთ-ერთ ძალზე სახელოვან თანამებრძოლ, დათვია ლიქოკელთან დაკავშირებული ამბავი ავილოთ. მთელი ჩემი სიცოცხლე, ბარისახოში სწავლის დროს და შემდეგაც, მთელ ფშავ-ხევსურეთში ყველამ იცოდა, რომ დათვია ლიქოკელი ჩეკას თავისი ნებით ჩაბარდა 1926 წელს ხევსურთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ.

დათვიას შვილ სუხასაც, ახლოს ვიცნობდი და მისი თანდასწრებითაც ბევრჯერ იგონებდნენ დათვიას გმირობის ამბებს. მაშინ არავის უხსენებია იმისი მსგავსი რამ, რაც ივანე ლიქოკელს უნერია. დათვიასთან დაკავშირებითაც, ჩეკისტებმა მიმართეს ნაცად ხერხს: დააპატიმრეს მისი ცოლ-შვილი და დათვიას შეუთვალეს, თუ არ ჩაგვბარდები, ამათ დავხვრეტოთ. დათვია დღისით-მზისით, მთელი ხალხის თანდასწრებით ბარისახოში გამოცხადდა და ჩაბარდა. იქვე ხელბორკილი დაადეს და წაიყვანეს.

დათვია საპატიმროდან გაუთავისუფლებიან ბერიას ხელმოწერილი დოკუმენტით 1927 წელს, სადაც წერია, „ეპატოს დათვია ლიქოკელს წარსულში ჩადენილი დანაშაული და მიეცეს საშუალება გააგრძელოს ნორმალური ცხოვრება“. ამ შემთხვევაში ბერიას ჩანს ახსოვდა ხევსურების დამსახურება მის გადარჩენაში, როცა ვლადიკავკაზიდან გამოაპარეს ქისტეთის მხრიდან საჯისხეებზე გადმოატარეს და ხევსურეთში შეიფარეს.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ დათვიამ ნორმალური ცხოვრება მართლაც გააგრძელა 1936 წლამდე. ამ წელს ის დაუპატიმრებიათ თხუთმეტ ცნობილ ხევსურთან ერთად და მათთან ერთად დაუხვრეტიათ 1937 წელს.

კვბ-ს მასალებში არ ჩანს ის ფაქტი, თუ რის გამო დააპატიმრეს ამდენი ხევსური. ცნობილი კია ასეთი რამ: საბჭოთა ხელისუფლებას ანუხებდა ხევსურთა სათანადოდ დაუსჯელობა. და უნდოდა „ცოტაოდენი სისხლის გამოშვება“, დამინება, რათა საწინააღმდეგოზე აღარაფერზე ეფიქრათ. ამ მიზნით ხევსურეთში გაუშვეს ორი თავისი თანამშრომელი ქალი და კაცი ვითომ უცხოელი ტურისტები ცოლ-ქმარნი. მათ ჩუმად უნდა ეკითხათ ვითომ ქაქუცას დავალებით, თუ იყვნენ კიდევ მისი საქმის ერთგულნი, შეედგინათ სია და ხელი მოენერინებინათ. მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო, რა თქმა უნდა, დათვია ლიქოკელი. ეს ხალხი წამოკრიფეს 1936 წელს და ერთი წლის შემდეგ დახვრიტეს.

ივანე ლიქოკელმაც კარგად იცოდა ეს ამბები, რა თქმა უნდა, მაგრამ მან მაინც ჩეკისტებისაგან შეთხზული „ჭუმანური“ გამონაგონი ამჯობინა. აი, ცოტათა მისი წიგნიდან:

„დათვიას, როგორც ფხიზელი, გამოცდილი და ფიზიკურად ძლიერი პიროვნების დაჭერა განსაკუთრებულ ზომებს საჭიროებდა. შინსახკომის ცენტრალურმა ორგანოებმა ხევსურეთში ადგილზე გაამწესეს თავიანთი სპეცრაზმი, რომელსაც მეთაურობდა გამოცდილი ჩეკისტი ნიკო ბუჩაშვილი. იგი თავისი რაზმით მუდმივად დამკვიდრდა სოფელ ბარისახოში და გარკვეული

აგენტურა – მომხრეებიც შემოიკრიბა გარშემო...

ნ. ბუჩაშვილი, ვერაგული დიპლომატიით ყოველმხრივ ცდილობდა დათვიას ნდობის მოპოვებას... ისინი დაძმობილდნენ, გახდნენ ფიცვერცხლით ძმადნაფიცები. ნიკომ დათვია რამდენჯერმე თავის ბინაზეც მიიწვია. ეს უკანასკნელი ფრთხილად, იარაღით, მცირე ხნით შედიოდა ძმობილთან...

1926 წლის 29 სექტემბრის საღამოს, ნიკო ბუჩაშვილმა თავის ბინაზე ვახშამზე მიიწვია ძმადნაფიცი. დათვიაც დანდობით მივიდა ძმობილთან. არყის სმის დროს მასპინძელმა მოულოდნელად გასცა განკარგულება „ცხენები!“-ო, რაც აღმოჩნდა საიდუმლო – პაროლი. ოთახში შეცვივდნენ მილიციელები, გაკოჭეს სასმელში შერეული ბანგით გონმხიდილი დათვია ლიქოკელი. ეს ყველაფერი დაწვრილებით აღწერა მან საპატიმროდან საიდუმლოდ გამოგზავნილ ლექსში...

ტექსტი, თითქმის მოსწავლის ერთი რვეული, დათვიამ თავადვე გამოაგზავნა საპატიმროდან საშინაო თათის საკერებსა და ძირს შორის ჩადებული, მოკითხვაზე მოსულ ცოლს (დედიკას) გამოუგზავნა.

ყოველგვარი ამორალურობით ცნობილ ჩეკისტებს ვერ ანდობდა ცოლ-შვილის ბედს, ვითომდა „დაიც-ყმანვილს“ არ დახოცენო. ჩანს ასე ფიქრობდა მანამდე – თავად უმაღლესი ზნეობის ქართველი ქაქუცა, მაგრამ კაციჭამია ჩეკისტებმა მისი მეუღლე, ულამაზესი თავადის ქალი, დახვრიტეს, ხოლო მცირეწლოვანი გოგონების ცოცხლად დამარხვა უნდოდათ. ეს ამბავი უშუალოდ ქაქუცასაგან ეცოდინებოდა დათვიას, ამიტომაც უყოყმანოდ ჩაბარდა მილიციას. მე დამხვრიტეთ „დაიც-ყმანვილი“ დაინდეთო.

ახლა ივანე ლიქოკელის წიგნიდან ამოწერილი, ვითომდა დათვიას დატყვევების ამბავს ჩავუკვირდეთ. ოდნავ აზრიანი კაციც კი უცებ შენიშნავს სრულ უაზრობასა და ულოგიკობას. თურმე ძალზე ფრთხილი და მოუხელთებელი „ყჩაღი“, საქეფოდ მივიდა მის შესაპყრობად გაგზავნილ ბუჩაშვილთან. ბარისახოში იგი ჯერ ძმად გაეფიცა დათვიას, მერე ბანგი ჩაურია სასმელში და პაროლით ანიშნა რაზმელებს, ისინიც შემოცვივდნენ და არსენასავით გაკოჭეს. დაუწყებდნენ კი ჩეკისტები იარაღით დაპირისპირებულ მტერს ლოლიაობას? ეს ხომ ყოველად დაუფერებელია. გადმოცემით ვიცი, დიდ სიმამაცესთან ერთად, როგორი ფრთხილი იყო დათვია. საზამთროდ ის პირიქით ხევსურეთში გადადიოდა საიდუმლოდ. იქ სოფელ არდოტში ჰყავდა ძმადნაფიცი. მისი შვილი ხთისო ზვიადაური ჩემთან სწავლობდა ბარისახოში. ის ქორი კი შინსახკომელებთან, ქეიფის შემდეგ არის მოგონილი ვითომდა საბჭოთა ხელისუფლების „ჭუმანურობის“ დასანახებულად. ამგვარი მაგალითი სხვაც ბევრია. კვბ-ს ბოლშევიკებს ჰყავდათ ქორბიურო, სადაც თხზავდნენ ბინძურ ქორებს და მერე თვითონვე ავრცელებდნენ.

ახლა ვნახოთ მეორე ეპიზოდი, როგორ სულელურად არის შეთითხნილი ჩეკისტებისაგან და როგორ ჭეშმარიტებად არის მიღებული ივანე ლიქოკელისაგან. ხევსურეთში დამარცხებულ ქაქუცას რაზმს ყველა მხრიდან ჩაუკეტა გასასვლელი რუსის ჯარმა. ქაქუცამ



მანც მოახერხა დასხლტომა. დათვისის მთებიდან კიშხევის უგზო მთებზე გამოვლით გადმოვიდა კანალხევისკენ, საიდანაც ხეობა პირდაპირ ჩარგალთან გამოდის. ქაქუცამ რაკი გაიგო, რომ მთელ არაგვის ხეობაზე გაძლიერებული ჩასაფრებები იყო მოწყობილი, გადანყვიტა უსისხლოდ გასცლოდა მტერს. რაზმი აქ დაშალა და უბრძანა ლამლამობით თითო-ოროლაობით ტყეებისა და მთების გადავლით გადაკრეფილიყვენ პანკისის მხარეს. თვითონ ქაქუცა მარტოდმარტო ასევე ლამით გადააცილა ლევან რაზიკაშვილმა. ამ ხანებში ცდილობდნენ ხელაშვილის ხელში მოგდებას, იჭერდნენ მის მომხრეებს, ზოგს ადგილზე ხოცავდნენ, ზოგი კი მალაროსკარსა და დუშეთში ჩაჰყავდათ და იქ ჟლეტდნენ. მალაროსკარში დაუხვრეტიათ ხელაშვილის დიდი მეგობარი და ასევე ნიჭიერი მოლექსე ნიკო ხორნაული („ატაბურათ ნიკო“). ეს გაუკეთებია აჯანყებული ხევსურეთისა და ფშავის ჩასანყნარებლად გამოგზავნილ ვინმე ტალახაძესა (იმერეთის ჯალათს), თუ ვინმე სალყაიას. აი, ამ ხანებში გუდამაყრის მხრიდანაც გადმოსულა სოფელ კანალხევეში რუსის ჯარის ოცეულით კომკავშირელი ლესელიძე. ისიც აპირებდა ქაქუცას ნაკვალევზე მიყოლას და „დამნაშავეთა“ სამაგალითოდ დასჯას. კანალხეველებს გადაუნყვეტიათ ატაბურათ ნიკოს სისხლის ძიება. კანალხევის კართ ჩასაფრებთან და მთელი ოცეული ამოუნყვეტიათ. ჩანს, ლესელიძე, როგორც ქართველი, მანც დაინდეს, არ მოკლეს.

აი, ეს ეპიზოდი ჩეკისტებს აღწერილი აქვთ ისე, თითქოს ქაქუცამ რომ გამოიარა, კანალხევის ქალაზე დღისით-მზისით, შენიშნა ჩასაფრებული რაზმელები, ექვსი კაცი, მივიდა მშვიდად და თითო ტყვია დაახალა ყველას შუბლში. წარმოგიდგინიათ ასეთი რამ? ჩეკისტები ამ ჯარის ჩახოცვას განგებ მიაწერდნენ „ბანდიტ“ ქაქუცა ჩოლოყაშვილს, რათა ხალხში მისადმი სიძულვილი გაეზარდათ. ნორმალური ადამიანი ხომ დაფიქრდება იმაზე, რანაირად შეიძლებოდა ჩასაფრებულ რაზმს პირიქით არ ამოეხოცა ქაქუცა და მისი რაზმი, მაგრამ ამდენი დაფიქრების უნარი ივანე ლიქოკელს არ აღმოაჩნდა. მისულიყო ერთხელ სოფელ კანალხევეში, ან ჩემთან დაერეკა თბილისში. ამ ამბავს ყველა უამბობდა. ჯერ ერთი ქაქუცა და მისი რაზმელები დღისით ვერ გაიჭაჭანებდნენ არაგვის ქალებში. დადიოდნენ მხოლოდ ლამით. მაგრამ მას ისეთ სრულ ქეშმარიტებად მიაჩნდა ჩეკისტების ნაყალბევი, რომ გადამონმების საჭიროება ვერ დაინახა.

ასეთი ჩეკისტური ეპიზოდები კიდევ უამრავია ამ წიგნში. მაგრამ მათზე მსჯელობის გაგრძელებას ვფიქრობთ აზრი აღარ აქვს. ეს ეპიზოდებიც ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს იმაზე, თუ როგორ არის გაანალიზებული ხევსურეთის აჯანყება. აქ არა

ჩანს ოდნავადაც კი ისტორიკოსი მკვლევრის ელემენტარული უნარი თეთრის და შავის გარჩევისა, ანკი საიდან უნდა მოეხერხებინა ასეთი რამ მეცნიერული კომუნიზმის „გულანთებულ“ მქადაგებელს, „პარტიისა და მთავრობის ერთგულ შვილს“. უბედურება ის არის, რომ მან დღემდე ვერ გაიგო, რომ ქართველი ხალხი იბრძოდა და დღესაც იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

გველს უთქვამს: „კბენა არ ვიცოდი და კაცმა მასწავლაო“. ჩემს სიცოცხლეში კრიტიკული წერილი არავიზე დამინერია. მითუმეტეს არაფერს ვაპირებდი ამ სიბერ-სიკვდილის ჟამს. თავად ივანე ლიქოკელმა მაიძულა მეთქვა ადრე უთქმელი სათქმელი. ეს ასე იყო: ჩემს მიერ 1972 წელს აღწერილი და უკვე გამოსაცემად მომზადებული ხევსურეთის ტოპონიმია შინ მედო. ეს რომ გაიგეს გოგი ლიქოკელმა და მისმა მეუღლემ, ლელა გაბურმა, თავისი ხელოვანებიდან მოჭარბებული ფულით დააბეჭდინეს 100 ცალი. მათვე ითავეს ნიგნის წარდგენის მოწყობა სამეზაში. სიტყვაში გამოსულნი მაქებდნენ, მადლობას მიხდიდნენ ხევსურეთის ტოპონიმის გადარჩენისათვის. წინა რიგში მჯდომი ივანე ლიქოკელი კი თურმე იბოღმებოდა, იგი გამოვიდა და ასეთი რამ თქვა: „აგერ ახლა გადავფურცლე ნიგნი და ორი შეცდომა უცებ აღმოვაჩინეო, ხევსურეთის ტოპონიმიაზე ალექსი ჭინჭარაული და გურამ ბედოშვილი მუშაობდნენ. მათი ნაშრომისათვის გაუკეთებია ორგანიზაცია გიგი ხორნაულს და თავისი სახელით წარმოგიდგინაო“. ეს იყო გესლით გონებადაბნელებული ადამიანის ნაბოღვარი.

ეს იმხელა გულღრძობა და ბოროტი ცილისწამება იყო ივანეს მხრიდან, რომ ჩემ გვერდზე მჯდომმა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ავთანდილ არაბულმა ვერ შეიკავა თავი და ხმამაღლა წამოიძახა – გურამ ბედოშვილიც და ალექსი ჭინჭარაულიც ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩემთან მუშაობდნენ მრავალი წლის მანძილზე და მათ ხევსურეთის ტოპონიმიაზე არასოდეს არაფერი განუცხადებიათო.

ამ ბოროტი ცილისწამებისთვის ბიძურათ გიგოსავით უნდა გამეკრა ხელი დაშნაზე, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებდი. ამის სანაცვლოდ მინდა მელნიანი კალმის წვერი ვატაკო შხამ-გესლით გატენილ გულში. ეს იქნება მცირეოდენი ვალის მოხდა იმ გამწარებული ხევსურების სახელითაც, იმ ხრიოკ სამგორში ჩამოსახლებულ მთასიქითელთა სახელითაც, ვინც ხანჯლით გამოიჭრა ყელი, ანდა თავი ჩამოიხრჩო. აი, ეს მინდოდა მეთქვა.

სოფ. კანალხევი  
2015

## თამარ ლომიძე

## ზეცაში ცხადი

ჩავუთქვი ნიავს...  
 მომიტანოს სურნელი მთვარის,  
 ავივსო ისე, ვით ბავშვობის მნიფე ნაყოფი...  
 დუმილისფერი ყვავილების დაიწყოს თოვა,  
 როგორც  
 უსიტყვოდ წარმოთქმული ლოცვა მაცხოვრის.  
 ჩავუთქვი...  
 ჭაში ჩამომიგდოს ნატეხი მთვარის,  
 სანამდე ცრემლი ქვად იქცევა,  
 სანამ ვიცლები...  
 ანგელოსივით დამიტოვოს საკმევლის სუნთქვა,  
 მთრთოლვარე ფრთებად შემიმოსოს სისავსე წლების.  
 ჩავუთქვი...  
 მაგრამ ვერ გფარავენ ნისლები ახლა,  
 ჩემი სულიდან იბადება რადგან ამური,  
 მწარე ლალატად მქრვენება ეს ერთგულება -  
 ზეცაში ცხადი და  
 მინაზე გადამალული...

\* \* \*

ყველა ავაზაკს  
 არ სჩვევია  
 შენდობა გთხოვოს,  
 ყველა არ გეძებს  
 როგორც სტრიქონს  
 ძველი მითების...  
 მე აღთქმასავით გამომქსნა  
 ეს ფრთები მხოლოდ  
 და  
 უცნაური ბილიკივით მივედინები.

აყვავებული სიყვარული  
 მინაში არ დუმს,  
 ზეცაზე,  
 მაღლა,  
 სხვანაირი ფერი აქვთ ჩიტებს...  
 ჩვენ შორს ვარ,  
 შორს ვართ  
 და არ ვგავართ  
 არასდროს ერთურთს...  
 დრომ დაგვამსგავსა  
 სინანულში გადარჩენილებს.

## მეხსეთი

ეს მეხსეთია —  
 საკურთხეველი ჩემი მამულის.  
 აქ მე წინაპარს  
 სხეულით ვგრძნობ, -  
 სულში მინთია...  
 ეს ვარსკვლავია,  
 სადაც მინა ფეთქავს და სუნთქავს,  
 როგორც მზე ლამის და  
 უფალი — ნიაღში დედის.  
 აქ შეზრდილია მინას სისხლი  
 მესხის მარჯვენის,

მხნედ ატრიალებს დედამინას,  
 ვით ქვას ნისქვილის...  
 ეს არის მინა,  
 ხელს ახებ და  
 იზრდები ცამდე,  
 ეს არის მინა,  
 იხსნება და  
 მუდამ იწყები...



დღეს აქ ხმაღს არა,  
 სისხლს აუვა ჟანგის სურნელი,  
 არ ხმაურობენ თუკი ძვლები  
 ციხის კედლებში...  
 თუ მტკვრის ძარღვებში  
 წარსულად არ მოედინები,  
 თუ მუმლი  
 მტვერი ყვავილების კვლავ არ გგონია...  
 გაურითმავე სიცოცხლე ხარ,  
 არაფერს ნიშნავს,  
 დროსაც რომ სული ჭრელი აქვს და  
 სუნთქვა მაცდური,  
 აქ გული მუდამ სავსეა და  
 კვლავ ათაბაგობს,  
 მარადისობის სხივებით ფლობს  
 ერთადერთ სათქმელს -  
 გულით ვატარო  
 მინა ჩემი საკურთხეველის.  
 ვატარო მინა  
 როგორც მრწამსი,  
 ვით ავგაროზი,  
 სანამ რუსთაველს  
 ცალი ხელით უჭირავს ზეცა  
 და გაშლილია ვეფხვის ტყავზე  
 წუთისოფელი...

აქ მეხსეთია,  
 მინა ისე ფეთქავს და სუნთქავს,  
 როგორც უფალი,-  
 უკვდავება ნიაღში დედის,  
 ვით ჯვარცმისა და  
 სიყვარულის აღდგომის მაღლი  
 და სიკვდილითა...  
 ს ი კ ვ დ ი ლ ი თ ა...  
 სიკვდილის მკვლეელი.  
 ეს მეხსეთია -  
 აქ ვთენდები,  
 ედემით ვსუნთქავ,  
 არ ვემალეები არასოდეს  
 სამყაროს კითხვას...  
 და  
 სამოთხიდან დევნილი რომ  
 სამოთხით ვტკები...  
 ეს იცის ღმერთმა,  
 იცის ღმერთმა და  
 არის ჩემთან!!!

\* \* \*

ფრთებს თუ ვასვენებ,  
 ხომ არ ნიშნავს გზებზე სიარულს,  
 წლებს მე არ ვმარხავ,  
 რიტუალი შენ რომ გაჩვენო...

როცა სიზმარსაც  
 სიცივისგან მიწვავდა გვალვა,  
 წვიმდა და  
 მაინც მშრალი მქონდა  
 ცრემლი საშენო...  
 სიმარტოვისგან  
 რატომ უნდა  
 განვკურნო გული,  
 როცა ვიცი, რომ  
 სენი არა,  
 მადლი შემყრია...  
 შენს ბალში მაინც  
 არაფერი დამრჩა საჩემო,  
 შენს ბალში  
 ჩემი ვინც შემოდის,  
 მევენახეა...  
 და გირგავს ვაზს და  
 გისხლავს დარდებს,  
 ზედამით გკურნავს,  
 - დავინყებისტვის  
 არასოდეს არ მემეტები...  
 შენს შემოდგომას  
 უცნობივით ვაგემოვნებ და  
 მეც თავს ვინონებ  
 შენი ბალის  
 მნიფე მტევნებით.

\*\*\*

როგორც სამსჯავრო  
 ელოდები ნაპირზე ტალღას,  
 -ზღვამ სასმელივით გამოსცალა  
 ვილაც მეძავი...  
 კითხვა გულწრფელი,  
 უპასუხო,  
 წელში მოხრილი  
 კვლავ  
 ცრემლიანი შემოგყურებს სიჩუმესავით.  
 მარტო ხარ.  
 სუნთქვა გეხსნება და  
 ზეცა ხელს გიშვებს,  
 ანთებ ცეცხლს ვნებით,  
 უარყოფილს უწვები გვერდით,  
 კითხულობ ბარათს,  
 როგორც წინა ცხოვრების ბილეთს,  
 გასხვისებული ზამთარივით  
 რომ დაგაქვს მკერდით.  
 ათბობ.

**მარტიდან მარტამდე**

შენდობა მე არა,  
 ჩემს ფერებს უთხარი,  
 მე მხოლოდ  
 დარაბებს შევუხსნი სიმშვიდეს...  
 გეტყვიან  
 ჩარჩოდან გასული თვალები  
 სიყვარულს,  
 სიცოცხლეს  
 რად უნდა მიშლიდე.  
 მზეში რომ ჩავტიო  
 ღამე და სიზმარი

სულიდან  
 სული რომ  
 დავწმინდო უარით,  
 ქვასავით მდღუმარი...  
 ჩიტივით ვენამო,  
 დროს,  
 როგორც ნაკრძალს რომ  
 გარს შემოვუარო...  
 შენამდე  
 ცრემლებით გავუძლო სასწაულს -  
 რაც წვიმით,  
 რაც ქარით  
 სისხლს დაემართება,  
 მარტიდან მარტამდე  
 ამინდი მართლდება,  
 ვიგონებ მოგონილ  
 სიყვარულს.  
 ვილიმი,  
 დღე იტოტება და  
 მზე შემოცარტება.

**დაიწყე თავიდან!**

შენს სიტყვებს  
 ფერები გადაჰკრავს სიმწიფის,  
 შენს ფერებს  
 უთქმელი სიტყვები ხედნიან...  
 შემორჩი სტრიქონებს  
 თავნება მარტივით, მთები კი...  
 შენს ნისლებს  
 იოლად ხვდებიან.  
 არ გახსოვს  
 რამდენჯერ მოხვედი ამქვეყნად  
 და სული სულიდან რამდენჯერ გავიდა...  
 ოცნებობ იოლად,  
 მზეს გულებს აწვეთებ,  
 ცას ისევ მასპინძლობ  
 გახსნილი სარკმლიდან,-  
 ოლონდაც ზედმეტად იცოცხლო სიკვდილით,  
 ოლონდაც გჯეროდეს,  
 რომ ძვლიან - მიწიანს  
 ტაძართან უჭკნება  
 მარჯვენა მაცხოვარს,  
 -აღამის ცრემლები  
 ჯერ კიდევ ცივია...  
 გაზაფხულს სურნელი  
 ზეციდან ჩამოაქვს,  
 ჰაერის სიჩუმე  
 შენს ქუჩას გასცდება,  
 შერჩები სიყვარულს  
 თავნება მარტივით,  
 ინათებს გული და  
 სისხლივით წაგცდება  
 ცხოვრება, -  
 ფურცლებად დამარცვლავ მომავალს,  
 სოფელი ნუთიდან  
 მძიმედ რომ გავიდა...  
 ჩამოხსენ სარკმლიდან  
 კლოუნის სხეული,  
 ეგ როლი მოგიხდა!  
 დაიწყე თავიდან!

დათო არახამია

**კრთის ნეტარება**

აფეთქდა უსაშველო დუმილის ჭურვი, მთვლემარ გზებზე შეღამების მდინარე მოჩქევს. ცაზე ირწევა ვარსკვლავების ჩუმი ჩახჩახი, ჩასთვლიმა ზეცამ. მიჯაჭული ვარ ბინდის სარეცელს, დარდი მახრჩობს, კვნესაში გავსრულდი.

მირაჟებს იქით უხილავ გზაზე შემომეფეთა დაღლილი ფიქრი მოუთმენელ ტკივილით სავსე. სევდის კბილმა დაღრღნა განწყობა. დარდმა ნაილო ლოდინით დაცხრილული გული. თვალებს ახრჩობს უკუნის ცრემლების ღელე, ვალვიძებ ღამეს.

ვერ დასრულდა წვა და ლოდინი, ვერ ვშორდები ამ ცას, ამ გზებს და ქარებს, მტკივა წარსული. ზამთარს ზამთარი მოსდევს, სხივი ძლივს ბუჭტავს გაზაფხულის. შემრჩა დარდი და თმენა, მლაშეა დარდი ცრემლით დამცხრალი. მწუხრის ქარში გონის მდინარე ატორტმანებს ფიქრის ლოდებს. ქუხს და ელავს, ელვის სამართლებლით გაფატრული ღრუბელი მშობიარობს, მოიზლაზნება ღრუბლის ლამქარი, ფერმკრთალ ნაფხურს რეცხავს ქარწვიმა.

შიშის ხეს ტოტები ჩამოეკეცა, ოცნების ბოლო მარცვალცი ჩამოილია, წარსულს ჩაბარდა. რალა დარჩა დროის ნისქვილებს დასაფეკავი? დრო მიდის, დროის სამრეკლოებს აცხრება მნათი, დრო სატიალე კი მარწუხებს მიჭერს. ცხოვრებამ მასწავლა სიკვდილის შიში. ცეცხლის თავშალმემოხვეული ბრძოლის გენი ბორგავს ძარღვში და გულის კარზე განცდილ წამების მქრქალი ფერების მქუხარე ფოთოლცვენა იშლება იმედის ფრთებად.

რეკავს სიფხიზლის ზარი, დაზამთრებული დღე ბუჭტავს, წვეთავს ნალველი. ცად იყურება ჩემი ტკივილი და ტკივილში კრთის ნეტარება ტკივილ მისჯილ ბედის.

ღამე ფიქრში გადატყდა დილა, ცხადი მიქრობს ნაზმანებ ფერებს, თვალბზე მახრდება ცრემლი. ვერ ვუშველე ნაშენებ ფიქრებს, მართალივით ვიჯერებ გამოგონილ სასწაულებს. დუმილმა და მოთმინებამ ჯვარზე მაცვეს. გამოვეტირე ფერად ზმანებებს.

**სული ზეცაში სუნთქავს**

მთებზე დევს დაისის ბინდი, ღამეა უმთვარო. მკვდრულ სიჩუმეში ციური სული ვარსკვლავეთს უვლის გარშემო, მონატრებია ზეცის სუნთქვა ვარსკვლავთა ფერით. ჰყვავის ჰორიზონტზე წყვდიადი. ფიქრის ველ-



ზე სიმარტოვის ნიჟარის ჭერქვემ იყალყება ჩუმი ძახილი სიბნელის ფსკერზე მიმოფანტული.

აფეთქდა ბნელეთის ჭურვი, მთვლემარ გზებზე ბინდის მდინარე მოჩქევს. უკუნეთის ველზე გაუჩინარებულ ვარსკვლავთა ნატერფალებს მივყვები სივრცეში მგლოვიარე დღესასწაულზე, რომლის უღრანების ქვაბულში წუხილის ზღვით გადარეცხილ გორაკებზე დავიდე ბინა, კოსმიურ ღორღით ნაფარი ჭაღების გაღმა ვარსკვლავეთის მარადიულ კედელთა შორის.

მღუმარე ფიქრის კარმიდამოში დარდის კარავს ვშლი, ვცდილობ ამოვხსნა მინის და ზეცის საიდუმლო. შორს მჭვრეტელი მზერა მიაპობს ბინდის ფარდა აფარებულ სივრცის მრუემ კედლებს, იმედის ნაპერწკლის ფრქვევით. ღვთიური ხმა კი, როგორც სიცოცხლის საგალობელი ყვავილობს მინაზე, გონება მრწამსს წნეხავს, რომ გულში სიცოცხლის ძარღვად იფეთქოს და ცხოვრების ზღვის მღელვარ ტალღას შეუერთდეს ვარსკვლავებთან სასაუბროდ.

მრისხანე სახით მზირალი დუმილით მივაცილებ დარდის საგზალაკიდებულ მანანწალა ღამის აჩრდილებს, ფლოქეთა თქარუნით გადაიარეს უკუნის ხერხემალი. მირაჟებიდან დამყურებს თვალცრემლიანი ბებერი მთვარე. ბინდის ველებს გაფოთილი განთიადის კამკამა ფრთები გადაეფარა, მნათის ეკლებზე ჩამოიფლითა ღამე. წყვდიადის ოკეანეში ზმანების ხიდზე უფლის ნათელი ანთია, საოცარ ძალით გაცეცხლდა დილა, ღამე ჩემს თვალწინ ბოლავს.

თრთოლვით წამოდგა დღე. დასრულდა ზმანება, შიში, წვა და მოლოდინი, ღვთიურ გერგილით გალობს ბულბულიცი, სული ზეცაში სუნთქავს, შთაგონებული გავყურებ ნაზმანებ არეს, განზილდა მინა.




ბონდო არველაძე

**მწერლის პედი**

ლევან გოთუას საქმე N 0554-58  
ჩეკა XX საუკუნის რალაც საშინელ საოცრებას  
წარმოადგენს, არ ნახულს და არ გაგონილს.  
ლევან გოთუა

არაფერი არ არის გასაკვირი იმაში,  
რომ ადამიანები წამების შედეგად აღიარებენ  
თავის ბრალს ჩაუდენელ დანაშაულში.  
დ'კოენი (ინგლისელი ფსიქოლოგი)



ბედი იყო თუ შემთხვევითობა, არ ვიცი, ეს კია,  
რომ პირველი სამოქალაქო პირი, ვინც ლევან გოთუას  
შვიდ ტომად აკინძულ საგამომძიებლო „საქმეს“ არქი-  
ვის მტკვერი გადააცალა, მე გახლდით.

ეს იყო 1991 წლის გვიან შემოდგომაზე, როცა  
საქართველოს მწერალთა კავშირის ოფიციალური  
მიმართვით აღჭურვილმა მივაკითხე მაშინდელი სუკის  
საშვის ბიუროს. ნებართვის მიღების შემდეგ გულის  
კანკალით მივადექი სუკის მრისხანე და ცოდვით სავსე  
შენობის ჭიშკარს. ჩემდა მოულოდნელად, მორიგემ  
თავაზიანად გასინჯა საშვი და გამატარა. შევაბიჯე თუ  
არა ეზოში, პირველი, რაც თვალში მომხვდა, იყო ძველ,  
მოყვითალო კედელზე ჩამოკიდებული დიდი, მრგვალი  
სათი. ვინ იცის, რამდენი უდანაშაულო ადამიანის  
უკანასკნელი მზერა გაიყინა მასზე, - მწარედ გამკრა  
გულში და შენობაში შევედი. ფორმალური კანცელარ-  
იული პროცედურის შემდეგ არქივის მუშაკს იგორ  
მრონოვს მიმართვის ბარათი ჩავაბარე და მოჩვენები-  
თი სიმშვიდით დაველოდე ლევან გოთუას პირად საგა-  
მომძიებლო საქმეს. ამ ლოდინში ფიქრები წამომეშალა,  
თვალწინ წარმომიდგა აქ წამებულთა სახეები... სადის-  
ტური წამებით ნახევრად გონებადაკარგული მიხეილ  
ჯავახიშვილი, ტიცინ ტაბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი,  
ევგენი მიქელაძე, სანდრო ახმეტელი და სხვა უდანა-  
შაულო ადამიანები. იქნებ, სწორედ ამ სკამზე ისხდნენ,  
ახლა მე რომ ვზივარ და თუჯისთავა გამომძიებელს,  
ვისაც მათი ბედი წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი,  
თავიანთ სიმართლეს გულუბრყვილოდ უმტკიცებდ-  
ნენ. ამ სურათმა შემზარა, ჩემდა უნებურად წამოვდექი  
და ოთახიდან გავედი. ვინრო დერეფნის ნაცროსფერ-  
მა კედლებმა უფრო დამიმძიმა გუნება. კიდევ კარგი,  
მრონოვი გამოჩნდა.

-პირველ სართულზე წამობრძანდით, იქ თავი-  
სუფალი ოთახია, იმუშავეთო, - მითხრა გამართული,  
ზედმინევენი სუფთა ქართულით. ამას იმიტომ ვუსვამ  
ხაზს, რომ, შესასვლელიდან შიდა ტელეფონით მორიგ-  
ეს რომ დაფურეკე, ქართულად წარუდგინე თავი, მა-  
გრამ მორიგემ ცივად შემანყვეტინა - რუსულად ილაპა-  
რაკეთო...

ოთახი ზედ ქუჩის პირას იყო და საკმაოდ მოზ-  
რდელი აღმოჩნდა. ადრე სუკის პარტკომის კაბინეტი  
ყოფილა. არ ვიცი, განგებ თუ შემთხვევით, ლენინის  
დიდი სურათი ახლაც ეკიდა კედელზე.

იმ წუთებში ისტორიული ღალადისის განცდა

დამეუფლა და ბიბლიური სენტენცია გამახსენდა -  
„არ არის დაფარული, რომ არ გაცხადდეს...“. და აი,  
ახლა რეპრესირებულთა საქმეების გამომზეურებას და  
სიმართლის გამარჯვებას ბოროტების იმპერიის მესა-  
ძირკველ უძლურად დასცქეროდა კედლიდან. ალბათ,  
ამასვე განიცდიდნენ ჩემს გვერდით მსხდომი კოლეგე-  
ბი, მეცნიერ-მუშაკები და ჟურნალისტები, მრგვალ  
მაგიდას შემომსხდარნი საარქივო მასალებს გულმოდგ-  
ინედ რომ ქექავდნენ.

მეც ლევან გოთუას „საქმის“ უზარმაზარ ტომებს  
ჩაუფუჯექი. ჩემი ყურადღება მიიქცია პირველი ტომის  
ყდის შიგნით მიკრულმა სქელმა პაკეტმა. მასზე რუ-  
სულად მსხვილად და გარკვეულად ეწერა: „მინის-  
ტრის ნებართვის გარეშე პაკეტის გახსნა სასტიკად  
აკრძალულია“. ჩემდა უნებურად ნავილე ხელი გასახს-  
ნელად, მაგრამ რალაც ძალამ შემჩერა - სიფრთხილეს  
თავი არ სტკივა-მეთქი, გავიფიქრე და თავი შევიკავე.  
დღევანდელი ახალგაზრდობა ამას ვერ მიხვდება, მა-  
გრამ სტალინის ეპოქაში გაზრდილი ადამიანი უსათ-  
უოდ გაიგებს. 1937 წლის რეპრესიების შიშის ინერცი-  
ით ავილე ტომი და სუკის საარქივო სამმართველოს  
უფროსის, პოლკოვნიკ მამია ალასანიას კაბინეტისკენ  
გავნიე. ეს ის ალასანიაა, რომელიც შემდეგ ჟიული  
შარტავას დაცვის უფროსი იყო და აფხაზმა სეპარატ-  
ისტებმა მასთან ერთად დახვრიტეს სოხუმში. მან ამ პა-  
კეტის არსებობა არ იცოდა. ტომი დაიტოვა და მეორე  
დღეს დამიბარა.

მეორე დღეს პაკეტიანი ტომი კი გადმომცეს, მა-  
გრამ ის საიდუმლო სქელი პაკეტი თითქმის ცარიელი  
იყო. მასში იდო მარტო ლევან გოთუას „საქმეებთან“  
დაკავშირებით დაკითხულ ადამიანთა ვრცელი სია,  
უფრო სწორად - ვრცელი სქემატური ნახატი, რომლის  
შუაში, წრეში ეწერა - „ლევან გოთუა“. ამ წრიდან გა-  
მოსული ხაზის ბოლოს მოკლედ იყო აღნიშნული, 1946  
წლის განმავლობაში ვის რა რიცხვში, რა დღეს შეხვ-  
და ლევან გოთუა და რაზე ისაუბრა მასთან. ამგვარი,  
რალაც, ფრიად საიდუმლო მასალა ამოიღეს და პირთა  
საძიებელი დატოვეს მარტო. გული დამწყდა - ზედმეტი  
სიფრთხილედ გამოვიჩინე.

„საქმის“ მიხედვით, ლევან გოთუა პირველად  
1925 წელს დაუპატიმრებიათ. ის და მამამისი, ცნო-  
ბილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ  
„Возраждение“-ს რედაქტორი პართენ გოთუა დახვრე-

ტას რალაც სასწაულით გადაურჩენ - მამა გაუთავი-სუფლებით, მაგრამ შვილი სამი წლით გადაუსახლებით. აქვეა დაცული ლევან გოთუას და მისი მეგობრების შესახებ არსებული სასამართლო მასალა და საბრალ-დებო დასკვნა.

მოვიტან ამონარიდს: 1925 წელი. 3 სექტემბერი, ამ ჯგუფს ედება ბრალად კონტრრევოლუციური მუშაობა, რაც გამოიხატებოდა მათ მიერ გაჩაღებულ ანტისაბჭოთა აგიტაციაში. ისინი იყვნენ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდა წევრები: ვაშაკიძე, შონია, გოთუა, ყენია და კახაბერი. ეს ორგანიზაცია ჩეკამ მონათლა ფაშისტურ პარტიად და მსჯავრდებულნი სამი წლით სოლოვკის საკონცენტრაციო ბანაკში გააგზავნა.

„საქმეში“ დაცულია ერთი საინტერესო დოკუმენტი. ეს არის აქტიუბინსკის საკონცენტრაციო ბანაკის უფროსის, ვინმე ფედულოვის მიერ პოლიტპატიმარ ვაშაკიძის დახასიათება. აი, ესეც - „ვაშაკიძეს არ დაუკარგავს აქტიურობა პატიმრობის დროს და რჩება თავის ანტისაბჭოთა პოზიციაზე. ამიტომ ვაშაკიძის ცხოვრება არ შეიძლება დიდ და საზღვრისპირა ქალაქებში. 1928, სექტემბერი“. ეტყობა, პატიმრებზე მეთვალყურეობას და აგენტურულ დამუშავებას ჩეკა ბანაკშიც ინტენსიურად აგრძელებდა; ცდილობდა, მათში თავისუფლების სული ჩაეკლა, რაც მთავარია, ეროვნული თვითშეგნება წაეშალა და ჩვრად ექცია. ოჯახზე, სამშობლოში დაბრუნებაზე ხომ ლაპარაკიც აღარ იყო.

ზუსტად ასე აეკრძალა ლევან გოთუას პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ ცხოვრება საზღვრისპირა და ექვს ცენტრალურ ქალაქში.

ასე თუ ისე, ლევან გოთუამ დააღწია თავი სოლოვკების კატორღას. შემდეგ ამას მოყვა მეორე და მესამე პატიმრობა. სვედამწარებულმა მწერალმა თავისი ცხოვრების 67 წლიდან 22 წელი გაატარა კატორღასა და გადასახლებაში. მისი პატიმრობის და ტრაგიკული ცხოვრების შესახებ დანვრილებით მოვუთხრობ მკითხველს ჩემს დოკუმენტურ რომანში - „ლევან გოთუას ნამების ქრონიკები“. მასში ნაჩვენებია იქნება გამომძიებელთა მიერ მწერლის დაკითხვის ოქმების გაყალბება, მათი ფაბრიკაცია სუკის შინაგან ციხეში და სხვ.

„საქმის მასალებიდან ჩანს, რომ გაუთავებელი თვალთვალთ და ყოველნაირი ადამიანური უფლებების შეზღუდვით შენუხებულ ლევან გოთუას და მის მეგობრებს საზღვარგარეთ გაქცევის მცდელობა ჰქონიათ, მაგრამ გამყოლს, ვინმე „აჭარელს“ მათი განზრახვის თაობაზე თავიდანვე უცნობებია ჩეკასათვის, ჩეკას კი ახალგაზრდები ჯერ ნებაზე მიუშვია და მერე საზღვრის გადაკვეთის დროს დაუჭერიათ. ისინი „სამეულმა“ „გაასამართლა“ და ყველა გააციმბირეს.

ამყამად, ცოტა ვრცლად მოვუთხრობ მკითხველს ლევან გოთუას მესამე პატიმრობის შესახებ. მწერლის მესამე დაპატიმრების ორდერი გამოწერილია 1946 წლის 5 აგვისტოს. დაპატიმრების სანქციას ხელს აწერს საქართველოს გენერალური პროკურორი შონია. აქვეა დაპატიმრების მომენტში ჩამორთმეული ნივთების სია - ორლულიანი თოფი, ვაზნები, შემნახველი სალაროსა უბის წიგნაკები. უბის წიგნაკებში ვრცელი ჩანაწერია მისი პიესის, „ერეკლე მეფის“ შექმნისა და სცენაზე დადგმის შესახებ. ეს ჩანაწერი ფასდაუდებელი მასალა

იქნებოდა მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესასწავლად.

მესამედ და უკანასკნელად ლევან გოთუა დააპატიმრეს მესხეთში, ხერთვისის ციხის მახლობლად 1946 წლის 7 აგვისტოს. გაივლის ხანი და მწერალი ამ დაპატიმრებას ასე აღწერს; „ხერთვისის ციხის დახურული ადგილები მშვიდობით გავიარე, ვფიქრობდი, რომ ჩეკისტებს თავი კარგად მოვარიდე. დრო მოსაგები მქონდა, მაინც შარაზე უნდა ჩავსულიყავი და მტკვარი გადამეკვთა. სხვანაირად სამშვიდობოზე ვერ გავიდოდი. ეს მძიმე მონაკვეთი კი, რომელიც მე მქონდა გასავლელი სახიფათო ზონა იყო. მარტო აქ შეიძლებოდა ჩემი დაჭერა. ისევ საგონებელში ჩავვარდი, როგორ მოვქცეულიყავი, ვერ ვსაზღვრავდი, მაინც გადავწყვიტე ამ უბნის გადალახვა. სწორედ აქ მიმტყუნა ბეღმა. გზაშარაზე სირბილით ჩავიარე, მტკვარში ჩავტოპე და მეორე მხარეს გავედი. მანქანა არ ჩანდა, ვიფიქრე მეშველა-მეთქი, მაგრამ გვიან შევნიშნე, როგორ ქურდულად მომდევდა მანქანა. ისინი შებრუნდნენ, გზას შემოუარეს და წინ გადამიდგნენ, 4 კაცი მანქანიდან ერთდროულად გადმოხტა.

-ჩვენთან ნამობრძანდით, - ისეთი მეგობრული ტონით და მოპატიჟებით მითხრეს თავაზიანად, რომ თუ არა ნაცნობი ჯაშუში, ნამდვილად სუფრაზე მიპატიჟება მეგონებოდა კეთილისმსურველებთან. არავითარი წინააღმდეგობა აღარ შეიძლებოდა, ეს არც თუ ღირსეული იქნებოდა.

მკერდში უჩვეულო სიმძიმე ვიგრძენი. ეხლაკი ნამდვილად მივხვდი, რომ რალაც საშინელი მელოდებოდა. ამის გამო მთელი ტანის ტანჯვა და ტკივილი ვიგრძენი. მტკვარს დავენაფე, გამშრალი ხახა გავისველე და გავარვარებული თავი გავიგრილე.

მთელი გზა ღრმა ფიქრებში ვიყავი წასული, ამდენხანს ჯაშუშები რომ დამდევდნენ, კიდევ კარგი დამაცალეს. მართალია ყოველი დღე მძიმე გადასატანი და რამე მოგებულად მიმაჩნდა. ჩემთვის უჩუმრად სულ იმაზე ვდარდობდი, სადმე არ „გადამჩეხონ“ ან „ჩამჩხირონ“- მეთქი და აი, სად მიპოვეს.

დასამალი მე არაფერი მაქვს. ჩემი სინდისი სამშობლოს წინაშე პატიოსანი და უღალატოა. იქ, ჩეკაში კი ყოველთვის ჩემი ერის მოღალატედ გამოვყავდით, ესეც ჩემი ბედის დაცინვა იყო“.

ავი წინათგრძნობა აუხდა მწერალს - სხვა დანაშაულთან ერთად, საზღვარგარეთ გაქცევის მცდელობის „ბრალდება“ წაუყენესო, - გავრცელდა ხალხში. სხვა „დანაშაული“ კი იყო ფიქრი იმის შესახებ, რომ 1942 წელს გერმანელი ფაშისტების თბილისში შემოსვლის შემთხვევაში საქართველოს საბჭოთა იმპერიის შემადგენლობიდან გასვლა ნაკლები მსხვერპლის და ქაოსის გარეშე უნდა მომხდარიყო. ამისათვის ის ნაცნობ-მეგობრებისგან რაზმებს ამზადებდაო.

ჩვეული დაუნდობლობით აწამეს, „აღიარებითი“ ჩვენება რომ მიეღოთ. ჩეკისტებს უნდოდათ ამ „საქმით“ კარიერა გაეკეთებინათ. ისინი მწერალს ცემით ხდიდნენ სულს. თუმცა სჯობს მივმართოთ სუკის არქივს, სადაც მის დაწვამდე დაცული იყო ლევან გოთუას წინასწარი „ძიების დაკითხვის“ ოქმები და თვითმხილველთა ჩვენებები. აქ ვნახე სუკის ციხის ყოფილი მედიცინის მუშაკის, ე. მახათაძის ჩვენება. იგი ამბობს

- 1946-47 წლებში სუკის შინაგან ციხეში ნაცემ პატიმრებს სამედიცინო დახმარებას ვუწევდი. განსაკუთრებით ტანჯავდნენ ერთკაციანი კამერის პატიმრებს, მათ შორის იყო ლევან გოთუა.

მწერლის რეაბილიტაციის დროს მოკვლეული მასალიდან საინტერესოა ერთი დოკუმენტი - სუკის შინაგანი ციხის ზედამხედველი, ვინმე ვ. დოცენკი ასეთ ჩვენებას იძლევა - „ლევან გოთუა გამომძიებელთან დაკითხვაზე მე დამყავდა. ის კი ისე იყო ნაცემი, რომ სიარული უჭირდა. ამიტომ იძულებული ვიყავი მხარში შევდგომოდი. მას სამედიცინო დახმარებას ნშირად უწევდნენ. ლევან გოთუა „ადინოჩკაში“ ძალიან დიდხანს ჰყავდათ“.

მოგვიანებით ლევან გოთუა ამ „დაკითხვებს“ ასე მოიგონებს - „შინსახკომის ციხეში მაგ ჯალათებმა ძალიან ბევრი მანვალეს, კინაღამ თავი მომაკვლევინეს, მაგრამ საბოლოოდ არც მე დავაკელი, სულ მტარვალეები, მატყურები და საქმის მომჩმახებლები ვუძახე. შემდეგ ისიც მივაცოლე, უსათუოდ მოვა დრო და თქვენ ყველაფერზე აგებთ პასუხს, ამ სკამზე თქვენ დასხდებით, აი, მაშინ ვნახავ, როგორი ვაჟკაცები იქნებით. გგონიათ შეგრჩებათ უმიზეზოდ ამდენი ადამიანის წვალევა-მეთქი?! გაცოფებული რაფავა სკამიდან წამოხტა და შეიშინებულმა დაიბლავლა: ეს არასოდეს არ მოხდება! ნაიყვანეთ აქედანო! - ხომ შეგეშინდა?! ნახეთ, თუ ასე არ იქნება! - რაც ძალი და ღონე მქონდა, ისტერიულად ვლრიალებდი ყველას გასაგონად და ვებრძოდი ოთხ კაცს, გამალებით რომ მირტყამდნენ და ჩემთვის პირის დამუწვა უნდოდათ“.


ისე ყველაფერი კარგი აგისდეთ, ჩემო მკითხველო, როგორც ლევან გოთუას ეს წინასწარმეტყველური სიტყვები აუხდა გენერალ რაფავას. გასული საუკუნის 50-იან წლებში, თბილისის რკინიგზელთა სახლში, როცა წერეთელი, სავიციო, რაფავა და სხვები გაასამართლეს, დარბაზში მყოფმა ლევან გოთუამ რაფავას მისძახა, - ხომ გითხარი, ეს ბოროტება არ შეგრჩება-მეთქი... სასჯელის უმადლესი ზომის - დახვრეტის გამოცხადების დროს რაფავამ შიშით ჩაისვარა და იქაურობა ააქოთა!...

ლევან გოთუას თვითმკვლელობას რაც შეეხება, ამის მცდელობა მართლაც ჰქონდა. ერთ-ერთი „დაკითხვიდან“ საკნისკენ მიმავალი ნაცემი მწერალი რალაცნაირად დასხლტომია ზედამხედველს და მესამე სართულის კიბის მოაჯირიდან გადამხტარი პირველი სართულის შიგნით კუთხედზე გაჭიმულ მავთულის ბადეზე დაცემულა. ბადემ გადაარჩინა სიკვდილს. მართალია, სიკვდილს სასწაულით გადაურჩა, მაგრამ ძალიან დაიყუჟა. თავის მოკვლა არ გამოუვიდა ლევან გოთუას, ასე ინება მისმა ბედისწერამ.

გაუგონარი სისასტიკით მოექცნენ ლევან გოთუას „საქმეში“ გასულ პირებს. რეაბილიტაციის დროს, როცა „საქმე“ გადაისინჯა, ლევან გოთუა მის ერთ-ერთ ჩვენებაში ამბობს - ვახტანგ ბენუკელთან დაპირისპირებისას, რომელიც ორჯერ შედგა, ორივეჯერ ბენუკელი არაადამიანურად იყო ნაცემიო.

გრიგოლ ლალიაშვილი განთავისუფლების შემდეგ საჩივარში წერს, რომ - გამომძიებელმა მისი ჩვენებე-

ბი თვითნებურად გაასწორა და დაამახინჯა. მაგალითად - ის რაიმე არალეგალური ორგანიზაციის წევრი არასოდეს ყოფილა და, ამდენად, იოსებ ხუციშვილს ვერ გადაიბირებდა, იოსებ ხუციშვილთან დაპირისპირებაზე გრიგოლ ლალიაშვილი ფიზიკურად დაამუშავებინა გენერალმა ნიბლაძემ, ხოლო გამომძიებელ მარქაროვს „დაკითხვის“ ოქმები თავისი შეხედულებისამებრ გაუფორმებია. ამიტომ მასში უამრავი სიყალბე და ცილისწამება არისო, - წერს ყოფილი პატიმარი.



ივანე გუბელაძე პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ დაწერილ განცხადებაში აღნიშნავს, რომ გენერალი ნიბლაძე და გამომძიებელი მარქაროვი დაკითხვის დროს შეურაცხყოფდნენ და ჯალათ-მწამებლებს შეუბრალებლად აცემინებდნენ. მიუხედავად ფიზიკური ძალადობისა, ივანე გუბელაძე ვერ აიძულეს, ცრუ ჩვენებაზე მოეწერა ხელი. მას ათწლიანი პატიმრობა მინც მიუსაჯეს. ივანე გუბელაძის ცემის და კბილების ჩამტვრევის ფაქტს ლევან გოთუაც ადასტურებს.

მისი „საქმის“ გადასინჯვასთან დაკავშირებით ნადეჟდა ჯავახიშვილი განცხადებაში წერს, რომ ლევან გოთუასთან მისი დაპირისპირების ოქმი შედგენილ იქნა არასწორად, ტენდენციურად, რადგან მათ შორის არავითარი ლაპარაკი არ ყოფილა არალეგალური ორგანიზაციის შესახებ.

ლევან გოთუა ერთ თავის მოგონებაში წერს - ჩეკა ცდილობდა, შეეკონინებინა ჩემი საქმე და დაემტკიცებინა, ვითომ ომის წლებში ჩამოვყალიბე არალეგალური ორგანიზაცია. ეს იმდენად ყალბი ბრალდება იყო, რომ თვით ჩეკისტებსაც არ სჯეროდათ. ამიტომ დაკითხვის ოქმებს ხელს არ ვანერდიო.

ჩემ არქივში დაცულ, ქსეროქსზე გადაღებულ ლევან გოთუას დაკითხვის რამდენიმე ოქმს გადავხედე და მართლაც ვერსად ვნახე მწერლის ხელმოწერა. სამაგიეროდ, პუნქტუალურად არის ჩამოწმებული რაფავას, ნიბლაძის, მარქაროვის ხელმოწერები.

უსამართლო სამართალმა თავისი ქნა: ლევან გოთუას, ამჯერად უკანასკნელად, 10 წელი კატორღა მიუსაჯეს და შორეულ გადასახლებაში გაგზავნეს. მწერალმა გაუძლო ვორკუტის და ინტას საკონცენტრაციო ბანაკების ჯოჯოხეთურ ყოფას, საიდანაც სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა და გააგრძელა შემოქმედებითი მოღვაწეობა. მაგრამ ნატანჯმა სხეულმა უღალატა, ავადმყოფობამ დარია ხელი და სამოცდაშვიდი წლისა, 1973 წლის 30 იანვარს გარდაიცვალა.

„არა ღვთისათვის, არა ჩემთვის, არამედ თქვენთვის და ერთობლივ საქართველოსთვის“ - ასეთი ეპიტაფიაა ამოკვეთილი ლევან გოთუას საფლავის ქვაზე.




## ვახტანგ ჯავახიძე

\* \* \*

მინდოდა, ჩემი წლების კასეტა  
ათი წლით უკან გადამეხვია,  
გადავხვებო, გადავრახე და:  
ჯერ დედაჩემი გადამეხვია.  
ველარ შევჩერდი: უცებ კასეტა  
ოცი წლით თვითონ გადამეხვია:  
მამა, რომელმაც გამაასეთა,  
დედაჩემით გადამეხვია.  
ჩემზე ამბობენ - ამაყო,ო,  
ჩემზე ამბობენ - ჯავახი,ო,  
მინდა, ფერები გავალიო,  
ვიდრე მეტყოდნენ - დაახვიო!

## სანმეტი და ჰაემეტი

ჰაემეტი და სანმეტი -  
საიამი და ჰამლეტი.  
ხეივანი და ხერესი,  
აივანი და ერესი.  
ჰარმონია და ჰარალი,  
არმენია და არალი.  
ხატთან ჰიტლერი ხარხარებს,  
ჰაინე უხმობს ხახამებს.  
უყვარს ჰერა და ჰექტორი,  
ჰელადის ყველა ჰექტარი.  
მე კი ხიხანის ხიხანი  
და ხარაჩონი ხიხანი  
მესიზმრება და ხანდახან  
ხორუმს ვაგრძელებ მხარდამხარ.  
ხვარამზე მიწვევს ვარამზე,  
ვიყავ ისე და ვარ ასე:  
ჰავთანდილი და ჰასმათი  
მნათლავენ აიაზმათი.  
სამირანი და ხარსენა  
მიხარისხებენ არსენალს.  
მაფროთხილებს ჯავახეთელი  
ჰაბესალომის ხეთერი.  
და ისე მანეტარებენ,  
როგორაც ვეიმედები -  
სანმეტის ნამეტანები  
და ჰაემეტის მეტები.



## გაბო

გაორდა, გარდაისახა, გაგაბრიელდა გაბო და  
დიდუბე გამოტოვა და მთანმინდისაკენ გარბოდა.  
ასე აჩქარდა მემკვიდრე ზეზვასი ანუ მზიასი,  
საკუთარ აჩრდილს შეასწრო საკუთარ ეკლესიაში.  
გადავიწყა ცოტნე და აბიბოსი და აბო და  
სამი სამების აღმართზე არბოდა და ვერ არბოდა.  
იგავს მისდია რწყილებთან და არაკს  
ჭიანჭველებთან,  
ლურჯა ცხენები შეკაზმა და მერანს მიაჭენებდა.  
მიჰქრის და არ ავინყდება თავისი რაშის შექება,  
არ ფიქრობს ჩამოხდომას და თავისას მიერეკება.  
ძალიან გაკადნიერდა, ძალიან გაგაბრიელდა  
და მალე აჩქარებულთა დროშები აქ აფრიალდა:  
მოუხმო თავისიანებს (მე კი არასდროს მირეკავს!),  
მიდენის და რომელიმე ამერიკამდე მირეკავს.

## პარდი ქუჩაში

მე მომწონს გალას ვარდი სილაში  
და მოკრძალება ვერდის წინაშე.  
მომწონს აგრეთვე ვარდი ვაზაში  
და ზუსტი ალავერდი ვაჟასი.  
არ შემიძლია განავარდება  
მაშინ, როდესაც ვარდი ვარდება.  
ახლა იმ წმინდა ადგილს დავეძებ,  
სადაც ის ვარდი უნდა დაეცეს.  
მეფისტოფელმა გაინავარდა  
ქუჩაზე, სადაც ვარდი დავარდა.  
ყველაზე მძიმე ვარიანტია,  
როცა ქუჩაში ვარდი აგდია.  
არადა, მართლაც რა მევარდება,  
როდესაც ვარდის კურსი ვარდება?!

**შისაქცევარი**

\*\*\*

გაგვინაპირებს რუსთაველის მერიდიანი,  
გურამიშვილის მიგვიხმობენ მელოდიანი,  
ვაჟასთან გაგვერიდებიან ერედიანი,  
გალაკტიონთან - ჯერ მერი და მერე დიანა,  
თავს მოგვანონებს საუკუნე წერეთლიანი  
და ულვაშებში ჩაიცინებს წერედიანი.

სხვა კერპები ჰყავთ ახალ თაობებს:  
გემოვნებაზე აღარ დაობენ.  
კომპიუტერის ხანის ხარისხმა  
გაათამამა მათი ხარიზმა:  
გემოვნებაზე აღარ დაობენ,  
შენ კი, ყოველდღე რომ არ იდაო,  
დაგიძიმდება ქვა საჯილდაო  
და ჩრდილიც აღარ დაგემონება,  
თუ ვერ მოასწრე დაგემოვნება.

**ილია**

1907 წლის 30 აგვისტო

\*\*\*

ნეტავ იმ დღეს საგურამოს ტყე ქარიშხალს შეერხია,  
საგურამოს მამულები ქარბორბალას შეერყია,  
გზა ნიაღვარს გადაეჭრა, ხიდი მენყერს წაელო და  
წინამურის შესახვევთან ეტლსაც ველარ შეეხვია.

გარისკა კაცობრიობამ და სული ეშმაკს მიჰყიდა:  
შექვრა და ველარ გამოძვრა კომპიუტერის ციხიდან.  
ვერ მოიგერა ვირუსი, ვერ მოიხადა სახადი,  
ჩააქრო პეიზაჟი და გამოართო გადასახედი.  
ტელევიზორიც გათიშა, წიგნებიც დააყადალა,  
ძმაკაცებს დაეკარგა და ძმასაც... მაგრამ ჯერ სადა  
ხარ?  
ლაშქარი მესიჯებისა - ესემესების მხედრიონს -  
ალაითებს და აძალებს - წავიდეს, გადაეთრიოს.  
თვალეების ტირაჟები კი მონიტორს მიწებებია  
და ინტერპოლის საიტზე ამაოდ იძებნებიან.

დღესაც ღია ქრილობაა, ველარავინ შეიხვია,  
მეოხნი და მოზარენი თავს ტაძრებში შეიყრიან,  
ყველგან ჩააბულბულებენ სინანულის სულთათანას,  
სადაც პატრიარქია და პატრია და შეიხია.

აუტანელს აიტანენ, წარბსაც კი არ შეიხრიან,  
ხუნდებს - ერთხელ აწყვეტილებს - აღარასდროს  
შეიყრიან,  
მწუხრის ზარებს დარეკავენ, მწუხრის მინდორს  
დამარცვლავენ,  
მწუხრის გედიც დაიყვილებს (გედი იგი ზე იხვია).

\*\*\*

ნაცნობი ხმა განიკითხავს მკვლევლობებს და  
განაჩენებს:  
სდექ, მეეტლევ! ეგ ცხენები გააჩერე, გააჩერე!

გედებს თვალი მოჰკარი და  
დაგავინყა გედმა სნება,  
ყველამ პირი მოგარიდა,  
ახლა ყველა გეტმასნება.  
ვერ მოგვარდა მოგვარეთა  
შეზავება ერთ არსებად  
და, ვინც თვალი მოგარიდა,  
სწორედ იგი გეტმასნება.  
აი ფოტოც: გულხათრიანს  
ალბათ გულმა გიკარნახა:  
თითქოს ძალით მიგათრიეს:  
იქა ხარ და იქ არა ხარ.  
დრო ყველაფერს აჯეროვნებს,  
კარგად იცის მონილებაც:  
უყვართ მიქელანჯელოებს  
ზედმეტების მოცილება.

**სტალინი, სტალინმა, სტალინს**

სტალინმა აკრძალა ზარები და მეზარეები,  
სტალინს წაეშველენ მეორეები და მესამეები.  
ზარები არა აქეთო ებრაელებს,  
მაგრამ ებრაელს ებრაელი ებრალება.  
ზარები არა აქეთო მაჰმადიანებს,  
მაგრამ მათი ჩარხი წაღმა ტრიალებს.  
სტალინმა გადაადნო ზარები და გაპარსა მეზარეები,  
სტალინი არა მარტო ამის გამო მეზარება.

ნანა ერემაძე

### რომელმან შექმნა სამყარო . . .

თეოლოგიების თქმით მატერიალისტმა მეცნიერებმა თერმოდინამიკის მეორე კანონის აღმოჩენით თვითონ გამოუტანეს თავიანთ თავს განაჩენი.

დამაინტერესა ამ მოსაზრებამ, ჩავეძიე, რამდენადაც შეეძელი, და აი, ძიების შედეგს გიზიარებთ თქვენ, ყველა ადამიანს, ვინც ჩემსავით ეძებთ ღმერთს არა მარტო სულისა და გულის სიღრმეში, არამედ გონებ-ითაც.

სიტყვა „ენტროპია“ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება უნესრიგობის აღსანიშნავად. ამ ცნების შემოღების შემდეგ თერმოდინამიკის მეორე კანონი უზოგადესი სახით ასე ჩამოყალიბდა:

ბუნებრივი მოვლენები მიმართულია ენტროპიის (ანუ, უნესრიგობის) ზრდისაკენ.

ეს კანონი შეეხება ერთი საგნიდან მეორისადმი სითბოს გადაცემის ბუნებრივ პროცესს, მაგრამ, სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით ამ კანონის განზოგადების მცდელობას ყოველგვარ ბუნებრივ მოვლენაზე, იქნება ის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, თუ საყოფაცხოვრებო.

ამ კანონის განხორციელების ძალიან განზოგადებული და უმარტივესი მაგალითი მოჰყავთ უცხოურ სასკოლო სახელმძღვანელოებში: თქვენ ალაგებთ ბინას, თავისთავად ის არასოდეს დალაგდება, პირიქით, ცხოვრების პროცესში ის ირევა, ე.ი. ბუნებრივი მოვლენები მიდრეკილია ენტროპიის, ანუ უნესრიგობის ზრდისკენ.

სხვა მაგალითი, რომელიც ხშირად მოჰყავთ სამეცნიერო ლიტერატურაში, ასეთია: გადმოვარდა და დაიმსხვრა ფაიფურის ვაზა. მთელი ვაზა მონესრიგებული სისტემა იყო, გატეხილი - უნესრიგო. ბუნებრივი მოვლენის შედეგად გაიზარდა უნესრიგობა. გატეხილი ვაზა თავისთავად არასოდეს გამთელდება, ანუ, ბუნებრივად უნესრიგობა წესრიგით არასოდეს შეიცვლება. ეს მაგალითიც გვიჩვენებს, რომ ბუნებრივი მოვლენები მიდრეკილია უნესრიგობის ზრდისკენ.

თვით ცხოვრება და ისტორია ჩვენს თვალწინ არის საუკეთესო დემონსტრირება ამ კანონისა; ადამიანები აშენებენ შენობა-ნაგებობებს, ჰქმნიან მანქანა-დანადგარებს, ტრანსპორტს, სხვადასხვა საჭირო ნაკეთობებს და სხვა უამრავ მონესრიგებულ სისტემას, რაც ბუნებრივად, თავისთავად არასოდეს წარმოიქმნება. პირიქით, ბუნებრივი მოვლენები, როგორც არის ყანგვა, კოროზია, ტემპერატურის



ცვლილება, ხანძარი, ატმოსფერული ნალექები, წყალდიდობა, ქარიშხალი, ქექა-ქუხილი, მინისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენა, ანადგურებს კაცობრიობის ნაღვანს, მწყობრიდან გამოყავს, შლის, ანგრევს, მტვერს აყრის და მიწაში მარხავს. ყოველივე აქედან გამომდინარეობს ასეთი დასკვნა - უნესრიგობისაკენ, ქაოსისაკენ სწრაფვა არის მატერიის უზოგადესი თვისება.

აი, სწორედ აქ სვამს თეოლოგი ლოგიკურ კითხვას - თუ მატერია თავისი ბუნებით უნესრიგობისაკენ ისწრაფვის, მაშ რამ შექმნა მატერიალურ სამყაროში არსებული ეს საოცარი წესრიგი, ეს ჰარმონია და მშვენიერება მთისა და ბარისა, ცისა და ზღვისა, გამმა ფერთა და ხმათა? და რაც მთავარია, ყველაზე დიდი საოცრება, ორგანიზებულიობის მწვერვალი - ცოცხალი ბუნება დედამიწაზე? ვეკითხებით მატერიალისტებს - უნესრიგობისაკენ სწრაფვამ? ეს ხომ ალოგიზმია?

სწორედ ამ წინაღმდეგობიდან და ალოგიზმიდან გამომდინარეობს ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც, მართლაც რომ განაჩენია მატერიალისტური მსოფლმხედველობისათვის: წესრიგი, რომელიც უჩვეულოა მატერიისათვის, და დაპირისპირებულია მის უზოგადეს კანონთან, არ შეიძლება იყოს მისეული, მისი განვითარების უშუალო შედეგი, როგორც ეს მატერიალისტებს მიაჩნიათ, არამედ თავს მოხვეულია და ჩანერგილია მასში გარე ძალის მიერ, რომელსაც ლოგიკის კარნახით არამატერიალური უნდა ვუნოდოთ.

ქაოსისაკენ მსწრაფველ მატერიაში ასე საოცრად მონესრიგებული სამყაროს განხორციელების რეალობას ლოგიკურად მივყავართ არამატერიალური შემოქ-

მედის ცნებამდე. ფიზიკის თეორეტიკოსი პროფესორი პოლ დევისი ამბობს: „ამჟამად ხედავ, რომ სამყარო რალაც გონიერი გეგმის შედეგია, ნიმუშია უფაქიზესი ესთეტიკური გადანწყვეტისა“.

უძველესი ბაბილონური პოემა „ენუმა ელიში“ სამყაროს შექმნის შესახებ მოგვითხრობს, რომ თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ წყალი და მეფობდა ქაოსი. ზოგიერთმა ლმერთებმა განიზრახეს დედამიწაზე ნესრიგის დამყარება, რითაც განარისხეს ქაოსის ლმერთი აბუ და მისი ცოლი, ქაოსის საშინელი ქალღმერთი თიამათი. მემამბოხე ლმერთებმა მოჰკლეს აბუ და თიამათი. ამ უკანასკნელის უზარმაზარი სხეული გაჩეხეს ორ ნაწილად, ერთი მიწად იქცა, მეორე ცად, აბუს სისხლი კი შეურიეს თიხას და ამ ნარევისაგან გაჩნდა პირველი ადამიანი.

ერთი შეხედვით ძალიან პრიმიტიული ზღაპარია, არა? თუმცა ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას!

სამყაროს შექმნის ამ ბაბილონურმა კოსმოგონიამ ჩვენი ყურადღება მიიპყრო მასში აღწერილი სამყაროს შექმნის პროცესში ქაოსისა და ნესრიგის დაპირისპირებით, ნესრიგის გამარჯვებით ქაოსზე და ამ უკანასკნელისაგან ცის, მიწისა და პირველი ადამიანის შექმნით. ამ მარტივი თხრობიდან ტრანსცენდენტული გაგებით ადვილად გაიპიფრება ჩვენი მსჯელობის მთავარი არსი - ქაოსისაკენ მიდრეკილ მატერიაში ნესრიგის დამკვიდრება, ცის, მიწისა და პირველი ადამიანის შექმნა მასთან დაპირისპირებული გარე ძალის ბრძოლით და გამარჯვებით მოხდა.

. . . და, ბიბლია, არქმევს რა ამ ძალას ლმერთს, ხატოვნად აღგვიწერს მისი კარნახით ქაოსიდან სამყაროს ეტაპობრივი შექმნის პროცესს:

„პირველად ლმერთმა შექმნა ცა და მიწა,

მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე

და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ. . . .“

. . . . .

დაბადების წიგნში ამ მშვიდი თხრობით აღწერილია არამატერიალური ძალის ძლიერი იმპულსით სამყაროს შექმნის კრეაციონისტული სურათი.

ახლა შევეხოთ ამ არაცოცხალ მატერიაში სიცოცხლის ჩასახვის საკითხს. რა მიმართებაშია მატერიის ამ უზოგადეს კანონთან თვით სიკვდილ-სიცოცხლის ფენომენი?

სიცოცხლისათვის საჭიროა უმაღლესი რანგის ნესრიგი ორგანიზმში - ჰომეოსტაზი. მატერიის უნესრიგობისაკენ სწრაფვას კი მივყავართ ჰომეოსტაზის

დარღვევისა, და მაშასადამე სიკვდილისაკენ, რის წინაღობადაც იბრძვის სიცოცხლის შენარჩუნების ინსტინქტი. ყოველი ცოცხალი არსება ინსტინქტურად ცდილობს აღიდგინოს ჰომეოსტაზი და შეამციროს ენტროპია თავის თავში. მაშასადამე მატერიის უზოგადესი კანონი მიმართულია სიცოცხლის წინააღმდეგ და სიცოცხლეს თვითდამკვიდრებისათვის სჭირდება ბრძოლა მატერიალურ სამყაროსთან. ამ ფაქტიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ სიცოცხლე არ არის მატერიის განვითარების ბუნებრივი შედეგი, როგორც ამას მატერიალისტები გვიმტკიცებენ, არამედ უცხო და დაპირისპირებულია მასთან, ჩამჯდარია მასში გარეშე ძალის ნებით, და, დამეთანხმებით, ეს ძალა არამატერიალური და ტრანსცენდენტულია.

მატერიაში არამატერიალური საწყისის - სიცოცხლის ჩასახვის ეს ფენომენალურ მოვლენა კი ბიბლიაში ასეა მოთხრობილი:

გამოსახა უფალმა ლმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვერისაგან,

და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა, და იქცა ადამი ცოცხალ არსებად“.

ხოლო ჩვენს სასიქადულო „ქართულ ბიბლიაში“ კი ყოველივე ეს ხატოვნად ასეა გამოთქმული

„რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერთა,

ზეგარდმო არსნი სულითა, ჰყვნა ზეცით მონაბერთა,

ჩვენ კაცთა მოგვცა სამყარო, გვაქვს უთვალავი ფერთა.“

ასე რომ, ბიბლიაში აღწერილი ყოველი ფაქტი თუ მოვლენა, რომელიც ასე გულუბრყვილოდ გამოიყურება, სიმბოლურია და აქვს ღრმა თეოსოფიური შინაარსი. ძველ აღთქმას ფესვები გადგმული აქვს ღრმად, ათასწლეულების მიღმა და თითქოს მიაბიტი თხრობით ჩვენამდე მოაქვს სამყაროს შექმნის ზეცნობიერი მეცნიერება, რომელსაც ისრუტავს ძველი აღმოსავლეთის ხალხების - შუმერისა და აქადის, ბაბილონისა და ეგვიპტის კოსმოგონიური მესხიერებიდან, მესოპოტამიის ძირძველი მინიდან, სადაც პირველი ადამიანი დაასახლა ლმერთმა.

მას შემდეგ კი, ადამიანის სული, საბრალო ფსიქეა, ებრძვის და ეხეთქება უხეშ მატერიას, რომელშიც გამომწყვდეულია, დაუკარგავს კოსმიური სამშობლოს ხსოვნა და ვერ უპოვნია ამქვეყნად სიცოცხლის აზრი, რადგან ეს აზრი არამქვეყნიურია, მიღწერი და ტრანსცენდენტულია.



## აკაკი ბრეგაძე

## მთარგმნელობითი ცენტრი


1910 წელს იტალიაში, რომში ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა უცხოეთში მოღვაწე დიდი მამულიშვილის მიხეილ თამარაშვილის (1858-1911) ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“. წიგნს თან ახლდა ორი რუკა საქართველოსი – ძველი და თანამედროვე, აგრეთვე ქართველ მოღვაწეთა პორტრეტები და ქართულ ისტორიულ ძეგლთა რეპროდუქციები. წიგნის დაბეჭდვამდე, 1907 წელს მიხეილ თამარაშვილი თავის ნაშრომის თაობაზე წერდა:

„ევროპაში ხშირად შევნიშნე, რომ საქართველოს და მის ეკლესიის შესახებ საზოგადოდ არაფერი ცნობა აქვთ და თუ იციან რამე, ისიც სულ შეცდომით და მრუდედ, თუ სომხების და რუსების ჭეშმარიტებას მოკლებული წერილების გამო. ამნაირ მოვლენამ მეტად სამწუხარო შთაბეჭდილება იქონია ჩემზე, რადგან ევროპა დღეს თვით უკანასკნელ და მეტად დაშორებულ ტომებსაც საკმაოდ სცნობს, ხოლო საქართველო თავის წარსულით კი დღევანდლამდე შავ წყვიანდში მოსილა მისთვის, რადგან ვერც ერთმა ქართველმა განიზრახა ევროპისათვის წარედგინა ნამდვილი საბუთებით შედგენილი ისტორია, რათა ზედმიწევნით გაცნობიერებინა მისთვის საქართველოს დიდებული წარსული. ამისთვის ასეთი უმძიმესი ტვირთი მარტოდმარტო მე ავიღე ჩემ თავზე და შემდგომ დიდი განწირული შრომისა და ხარჯისა დავამთავრე ფრანგულად საქართველოს ეკლესიის ისტორია“.

საოცარი აღსარებაა.

მიხეილ თამარაშვილის წიგნი მაშინ რომ ქართულად გამოქვეყნებულიყო და არა ფრანგულ ენაზე, ჩვენს შესახებ ბევრს ვერაფერს შეიტყობდა წიგნიერი ევროპა. სხვათა შორის ქართველი მკითხველის ფართო წრისათვის ნაშრომი ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ 1995 წელს, როცა მისი თარგმანი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ ზაზა ალექსიძისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ჯუმბერ ოდიშელის რედაქციით დაბეჭდა გამომცემლობა „კანდელმა“ (გამომცემლობის დამაარსებელი და ხელმძღვანელები, ასევე თხზულების გამოცემის ინიციატორები: ირინე აბულაძე, ზვიად ბოკუჩავა, თემურ ჩხაიძე, გამომცემლობის მთავარი რედაქტორი აკაკი ბრეგაძე, მთარგმნელები: ნელი კაციტაძე, გურანდა დათაშვილი, სოფიო ბენდიაშვილი, სალომე გაბუნია, ნინო ხმალაძე, სიბილა გელაძე, მანანა ბანძელაძე, ნესტან ჩხიკვაძე).

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში გასული საუკუნის 70-იან წლებში დაარსდა დაწესებულება, რომელსაც ერქვა „საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მთავარი სარედაქციო კოლეგია (შინაურულად „კოლეგიას“ ეძახდნენ). მისი დანიშნულება იყო ქართველი მწერლების – კლასიკოსებისა და თანამედროვე გამორჩეული ავტორების ნაწარმოებთა, ასევე სამეცნიერო ასპარეზზე (იგულისხმება ჰუმანიტარული მეცნიერებანი) ცნობილი სწავლულების ნაშრომთა თარგმნა უცხო ენებზე, აგრეთვე უცხოელი მწერ-



ლების ნაწარმოებთა და მეცნიერების გამოკვლევათა ქართულად თარგმნა და ქართველი მკითხველისათვის გაცნობა. დაწესებულებას აფინანსებდა სახელმწიფო. კოლეგია თავის მოვალეობას ასე თუ ისე ახორციელებდა, თუმცა ნაწილობრივ, მხოლოდ უცხო ენებიდან ქართულად თარგმნილ მხატვრულ ლიტერატურას ბეჭდა-

ვდა, ქართულიდან უცხო ენებზე კი არაფერს. ბოლოს კი მისი მუშაობა ჩაკვდა და თვითონ დაწესებულება გაუქმდა.

დღეს საჭიროა და აუცილებელი დაარსდეს ამ კოლეგიის მაგვარი დაწესებულება, შესაძლებელია, კვლავ საქართველოს მწერალთა კავშირთან, ან დამოუკიდებლად იყოს და სახელმწიფომ დააფინანსოს. თუ თავად არ გავაცანით თავი მსოფლიოს, ჩვენზე არავინ იზრუნებს. ზოგი ქვეყანა „იუნესკო“-ს, თუ სხვა ორგანიზაციების, მეშვეობით ცდილობს, თავიანთ ისტორიას საერთაშორისო ასპარეზზე რაღაც შემატოს. ჩვენც ნუ ვიქნებით გულხელდაკრეფილნი, რადგან ბევრი ისეთი რამ გვაქვს, რითაც ნებისმიერი ერი იამაყებდა. მარტო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ რად ღირს! მართალია, იგი მრავალ ენაზეა თარგმნილი, მაგრამ საჭიროა, მოვიძიოთ ახალი მთარგმნელები. უნდა ითარგმნოს, მაგალითად, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ (ამ წიგნს მიხეილ თამარაშვილის წიგნთან ერთად დიდი რეზონანსი ექნება), აგრეთვე სხვა მეცნიერთა ნაშრომები ჩვენი ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის წარმოსაჩენად სხვადასხვა ენაზე (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, ესპანურ და სხვა ენებზე), ლიტერატურული ნაწარმოებები დავახატვინოთ, დავასურათებინოთ, გავაფორმებინოთ ქართველ დიდოსტატ მხატვრებს, ჩვენვე გამოვცეთ უცხო ენებზე და დავეუზავნოთ მსოფლიოში ცნობილ ბიბლიოთეკებს, ხელი შევეწყნოთ უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგებს.

სამწუხაროდ, უცხოეთში ქართველოლოგთა რიცხვმა იკლო. ამიტომაცაა საჭირო დაარსდეს მთარგმნელობითი ცენტრი, რომელსაც უხელმძღვანელებს მიუკერძოებელ მწერალთაგან და მეცნიერთაგან, საზოგადო მოღვაწეთაგან შედგენილი საბჭო, რომელსაც ექნება თავისი გამომცემლობა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სტამბა, იზრუნებს უცხოეთში ქართველოლოგთა მომზადებაზე, ნახალისებაზე, ლიტერატურულ და სამეცნიერო საქმიანობაში მათ ჩაბმაზე, ქართულიდან უცხო ენებზე და უცხო ენებიდან ქართულ ენაზე ლიტერატურულ და სამეცნიერო თხზულებათა თარგმნაზე, დაბეჭდვასა და გავრცელებაზე.

**ბადრი პატაშური**

**თრობის ნაირსახეობანი**

თრობა სასმელით,  
 თრობა ქალით,  
 თრობა ლოცვებით,  
 თრობა ოცნებით, საოცრებით ბუნების ფერთა,  
 მე ვერ გამცვლელი სხვა ედემზე ამ საოცრების,  
 ვეძაიცი ვთვრები,,  
 გულიც იმად არ დამიბერდა;

ზოგიერთს კი სჭირს  
 თრობა სხვათა ნატანჯ სხეულით,  
 ძალაუფლებით, ძალადობით,  
 ძალმომრეობით;  
 და ითრობიან ცრემლით,  
 ბავშვის თვალთგან ფრქვეულით,  
 ბევრი ასეთი გონს მარიგებს  
 დღეისდღეობით  
 და მეც არც ქალით,  
 ხან არც ღვინით გონარეული  
 ძალმომრეობას ვერკინები ძალმომრეობით...  
 უფრო ხშირად კი  
 ვთვრები ქალით,  
 ღვინით,  
 ოცნებით,  
 ჩემი მინა-წყლის მთებით,  
 ტბებით,  
 ზღვა საოცრებით!

**სიკვდილის უკვდავება,  
 ანუ სსნა ღმერთშია**

ჩვენ თავიდანვე არასწორს ვირჩევთ გეზს,  
 ფინალ-მარცხისას კრთის გახსენება ცის,  
 საბრძოლო ჯანყით როს ცხენს შემოვკრავთ დეზს,  
 ცრის...  
 ცრის გახსენება,რომ ჩვენ გვეკუთვნის დროს  
 და წარმოვადგენთ ავზნიან დროის მსხვერპლს,  
 სისასტიკეა, თუ გვიწოდებენ ბრბოს,  
 ამბიცია ხრავს მიწის მტვერსა და ფერფლს...  
 დიდება უფალს,  
 რომ ჩვენ ვეკუთვნივთ ღმერთს  
 და ყოველ საქმეს უნდა ვინყებდეთ ღვთით,  
 თორემ ცხოვრება ხშირად მოგვაკეცს ფრთებს,  
 ვთრითით...  
 ვთრითით თრითინასებრ, თუმცა ვედრებით ლომს,  
 ომსაც ვუცხადებთ ეშმათ ლეგიონს--მტრებს,  
 ფრთებს ვერ ვშლით,რადგან  
 წლები ჭალარად თოვს,

მტრედს;  
 მტრედს, ხსნისა მაცნეს  
 თუ არ მივუძღვნით  
 გულს,  
 რაღა მადლი აქვს  
 ყოფას და სიტყვას  
 რთულს –  
 ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს!

**ანდერძი**

ემანდ, რომ მოგკვდები,  
 არავინ მიიღოს,  
 არც თავი, არც დროშა  
 არ მიყვარს დახრილი,  
 და შენც, სიყვარულო,  
 სამყაროს ქვითკირო,  
 შლეგ თავთან მეკიდე, დამოკლეს მახვილი..  
 და შენაც სოფელო, გვათნევ და არ გვინდობ  
 და კაცი ღვთის ხატად ვერაფრით ვერ იქცა,  
 ამ მართულ ქაოსში ხელი და რაინდი  
 თავს რითი გაირთობს,  
 ვერც რამით შეიქცევს..  
 და იბრძვის პოეტი,  
 ცის და მზის მორწმუნე,  
 რომ უმანკოეთი შვილს გადაურჩინოს,  
 ეშმა, „ნიჭიერი“ არც ტაძარს ინუნებს,  
 გმირს, გლეხს და პოეტს რომ უწოდოს „უჩინო“!  
 თვალწარმტაც მოდგმის შვილთ  
 გონს წარსტაცს დემონი  
 შენ შემლილ ეპოქას, – ნისქვილებს დაუმსხვრევ,  
 ვით უედემონი მონას დაემონენ  
 და ჰგავს მომავალი  
 სულ მთლად უდაო მსხვერპლს..  
 რა გინდა პოეტო, რას ერჩი პლანეტას,  
 დე დაღმა იდინოს მტკვარმა თუ მისსურიმ,  
 ალალოს სხეული,ვის სურს, სულს გარეთა,  
 მდინარის აღმა დე რჩეულებმ იცურონ!!!



**მუშაობა მშენებლობაზე ლისაბონში**

გადავყურებ ოკეანეს,  
 სართულს ამატებენ სართულს,  
 სამშობლოვ, ვერ მოგვიარე  
 და გაგვნირე – უცხომ გვმართოს!  
  
 სიმშვიდეა აქ, სინყნარე,  
 იბრძვის, შრომობს, იღვწის ხალხი;  
 რა დღეშია ჩემი მხარე?!  
 კავკასიას აწევს თალხი!  
  
 ოკეანე, ოკეანე,

გიყურებ და ვნატრობ ბათუმს,  
მე ვეროპა მოვიარე,  
ქართვლს კი სცივა, აწვიმს, ათოვს!

ოკეანე, ოკეანე...

5. პორტუგალიური დღიურიდან

სახე ქართან ნაბრძოლს მიგავს,  
ზღვა სცდის მაჯვას, არცთუ დუნეს,  
ციგანი მადარებს ციგანს,  
ლაღად როს. მოვევლე ჰუნეს.

ოკეანე ჰყვება იგავს,  
ლოცავს ახალ საუკუნეს,  
მე კი ვნატრობ იმ მშვიდ გრიგალს,  
ქართულ ცას რომ დამიბრუნებს.

### ნოსტალგია

უცხო სახლების მზერით დაღლილი  
ვთვრები საკუთარ სახლის ძიებით,  
ყველგან ჭერი აქეთ სახლებს დახრილი,  
კარს მიკეტავენ მონანიებით..

მე დავიღალე უცხო ტაძრების  
მზერით, ვერ ვპოვე ჩემი სიონი,  
ეშმას კლანჭთაგან როდის დავსხლტები,  
რომ მინა. ვკოცნო კავკასიონის?!

მე დავიღალე იმ დასვენებით,  
ცოცხალ კაცის რომ ჰგავს გასვენებას,  
იმაღ დავტოვე ქართვლის სერები,  
ახლა კი მტანჯავს ეს გახსენება.

ვეროპას ვერსად ვანთე სანთელი,  
ვერსად მოვითქვი სული ცოდვილი,  
ბილიკნი ბევრი ქვეყნის გავთელე  
მანც ალალ-ბედს ვარ მინდობილი.

მე დავიღალე უცხო ტაძრების  
მზერით, ვერ ვპოვე ჩემი ტაძარი,  
ოჰ, ღმერთო, მომეც ძალა გაძლების,  
გემი ქართლისკენ დროულ დასძარი...

### სარფი, ხილის გამყიდველი გოგონა

მეც თურქი ვგონავირ ლამაზმანს ონავარს  
და ძლიერ მეამა, რომ ცივად მესროლა  
მზერა და შევძახე,  
მე შენი მონა ვარ,  
არ იანიჩარი, „თალიბან“, „ჰესბოლა“!

მაგ მზერის ხსოვნით მე დავივლი სამყაროს  
და თუ სამშობლოსკენ გზები დამელუქა,  
ეგ მზერა შეიძლებს უცხო ცას გამყაროს,  
არ შევაბერდები მინას მამელუქად!!!

მეც თურქი ვგონავირ ლამაზმანს ონავარს...

### ვალი

სმას ნუ მაძალებთ სამკვიდრომომილს  
ჩემი ვალი ხომ ოდნავ მეტია,  
ვიდრე ერთ ლამაზ სადღერგრძელოში,  
ამ ჯიხვის ყანწში რაც ჩაეტია.

არ ვიმსახურებ მაგ წითელ ღვინოს,  
პატივისცემას არცთუ შაურის,  
მუხლისჩოქელამ მსურს, რომ ვირბინო,  
იქნებ მემჩატოს დანაშაული?!

რითმებს ვხედნიდი, ვითარცა რასებს,  
სიტყვით დავიხსენ ნესტან ციხიდან,  
მაგრამ როს ხმლებმა შეითამაშეს,  
შენირულთ შორის ვერვინ მიხილა..

არ ვიმსახურებ მაგ წითელ ღვინოს,  
პატივისცემას არცთუ შაურის,  
და ვითხოვ, მხოლოდ მე მაზღვევინოთ,  
რაც თაობას აქვს დანაშაული..

ნარჩევ „ვოჟების“ შემცირდა ნუსხა,  
საწუთროს მათი სანთელი აქრო,  
მე რომ დღეს გოგოს სიყვარულს ვუხსნი,  
გუმისთაში წევს მაგისი საქმრო!

სამშობლოსათვის კაცურ სიკვდილში,  
რად უნდა მჯობდეს ვინმე. პატაშურს,  
ამ „მშვიდ ქაოსში“, ამ ძილ-ღვიძილში  
ჩემი თავისთვის ეს ქვეყანა მშურს..

და თუ მაცოცხლებს, მხოლოდ იმედი,  
რომ ჩემი ჯერი დადგება ერთ დროს,  
დაუნანებლად თავს გავიმეტებ,  
ოლონდაც ჩემი სამშობლო მენდოს..

ომს შევალ თავზე ხელაღებული  
და უშიშარი, ვითარ. უხორცო,  
რომ წინაპართა გენს ვუერთგულო,  
რომ ეს სირცხვილი სულს წარუვუხოცო!

ამიტომ ვამბობ, სამკვიდრომომილს,  
სმას ნუ მაძალებთ, ვალი მეტია,  
ვიდრე ერთ ლამაზ სადღერგრძელოში,  
ამ ჯიხვის ყანწში რაც ჩაეტია.



კობა ცხაკაია

ზაფხულის ჯადოსნური ღამე და სამი სიცოცხლე

(ერთი ლტოლვილი კაცის ზღაპრული სამყაროს შესახებ)

ზაფხულის ღამეა.

სიგრილე, მზისგან შეხურებული ბალახის სურნელს ერევა... ბუნება დანატრებულ კაცს, ღამისეული ვარსკვლავებიანი ცის სიდიადე და ციციანთელების ციმციმი იპყრობს... ის, შეიძლება, ჭკუიდან გადაიყვანოს სამყაროს უკიდვანობას შეზავებული, კამკამა ჰაერის ყოველმა ჩასუნთქვამ, რომელიც მოდუნებულ სისხლს, მთის აბობოქრებულ მდინარესავით უჩქროლებს...

ჰოო, ასეთი ღამე, ქალაქის მტვრიან აივანზე დაღვინებულ ადამიანს, შემოიღო აქცევს...

რკინაბეტონებიდან გამოხიზნულს, ფიქრები, სხვანაირად აულიტინდება ტვინში და სურვილები, გულში სხვანაირად აუფანცქალდება... და, ცოტა სხვაგვარად აუფორი-აქდება ნერვებით შებოჭილი, ფრთებშეკვეცილი სული...

რადგან, მიჩვეული არაა, სინმინდის და გამჭვირვალობის, სინათლისა და ფერების, იდუმალებისა და ჩურჩულის, კონტურებისა და ხმაურის, შტრიხებისა და ლანდების ბუნებრივ მრავალფეროვნებას, ორგანულ სიმფონიას, თავისთავად, ხელთუქმნელ სრულყოფილებას და...

...და რა უნდა ქნას?

ცოტა ხნით შედრკება კაცი, შემინდება...

მაგრამ, მერე მინც გაიტაცებს გარემოს იდუმალი და ძლიერი დინება, მისი ყოვლისმომცველი რითმი და ადამიანს ახსენდება, რაღაც ისეთი, რაც სათუთად ჰქონდა ჩამალული წვრილმანებით დატყვევებულ სულში... იმდენად ძვირფასი, რომ მასზე, დავინყების გაუტეხელი კლიტეც კი დაედო.

უიშეოდ დროს, სისუსტის და ძალაგამოცლილობის ჟამს, რომ არ გახსენებოდა, უცაბედად არ გამოემზურებინა და ამით მისი სიდიადე, სიმდიდრე და განუმეორებლობა არ გაელაზრებინა, არ გაელატაკებინა და არ გაეიაფებინა...

მაგრამ გამოფხიზლებული სისხლი ისე მოთქრიალებს, ისე მოჩუხჩუხებს ძარღვებში, რომ ყველა კვანძს, ყველა საცობს გაარღვევს, ყველა კლიტულს წალეკავს და ცნობიერების მისუსტებულ ფრთებს, ენერგიით და სიმძლავრით შეავსებს, დაშლის და ჩამობერტყავს, პრობლემებით დატვირთულ ყველა წვრილმანს...

სწორედ, ამ დროს ახსენდება ადამიანს, რომ თავისუფალია! თავის უფალიი...

მივინყებულები მოგონებები, მოზღვავებული ფიქრები და ოცნებები, ბობოქარი ტალღებივით ეხეთქებიან მის მუხლებს და სამყაროს სიმყვდილთა და უძლეველობით მადლმოსხმულს სწამს, საბოლოოდ ყველაფერი გამოუვა. ყველაფერს დაძლევეს. ყველაფერი კარგად იქნება...

ზაფხულის ღამე, ზმანებების მათრობელ-მაცდუნებელი სამყაროა...

ეს, ის ჟამია, როცა ადამიანთა სამყარო, ანგელოზების დასს, ან თუნდაც ყველაზე მთავარ ანგელოზს ელოდება!...

რაა, განა ბიბლიაში ასეთ დროს არ ცხადდებიან ისინი?

დალოცვილი, ფრთოსანი, მარადიული არსებები, ცუცხლოვანი ხმლებითა და შემზარავი სახეებით ევლინებიან წუთისოფელს, რათა გავარვარებული წარბის ერთი შერხევით მოანესრიგონ სამყაროს მოუწესრიგებელი, დაალაგონ დაულაგებელი, გაასწორონ გასასწორებელი...

ასეთი ღამის სიდიადით შეზარხოშებულ კაცს სჯერა,



რომ ღვთის რჩეულია, კურთხეულია და უპრობლემოდ გაუძლებს, ამ შურისმგებელ ციურ ქმნილებათა ბრწყინვალეობას და არ დაიფერფლება, გადაკითხული ყურნალის ფურცლებივით...

და საკუთარ თავს, მესამე პირში კი არა, პირველი აღმატებული პირით მიმართავ. იმიტომ, რომ

ამაყობს... იმიტომ, რომ დავინყებულები, დასამალი და სასირცხვო არაფერი აქვს. იმიტომ, რომ... თავის უფალია!!! თავის უფალი...

ფრთაგამოლილი ერწყმება ზაფხულის ჯადოსნურ ღამეს და ბუნების ერთსულოვნებას ნაზიარები, დაღლამდე ტკეპება - დროის უსასრულობით, სივრცის უსაზღვრობით, სულის უძლეველობით, გრძობების მარადიულობით...

...ამის მერე, კი უბრუნდება რეალობას, გაშლის შრომი-თა და ჯაფით დაღლილ მუხლებს.

ოდნავ დაჩქევილი ბალახი, მოელამუნება გაშიშვლებულ ქუსლებზე. კაცი, მიეყუდება მუშმელას ხეს და გაირინდება... გულიც კი, გაუყურდება, უფლის მიერ შექმნილი და მისთვის ბოძებული სიდიადის შემხედვარეს.

რომელიც, იმიტომ ეკუთვნის, რომ ხედავს, აფასებს და ტკეპება...

და ამოიხრებს კაცის ფრთაგამოლილი სული... ამოიკვნესებს და მიხვდება, რამდენად ცოტაა ასეთი წამები მინიერ ცხოვრებაში, და რამდენად მწირია ადამის ნაშეირისთვის ნაბოძები ღვთისნიერი ცნობიერება და თვალის ჩინი, იმისათვის, რომ ასეთი ღამეების ჭეშმარიტება ხშირად აღიქვას, ჩასწვდეს, და დააჭაშნიკოს...

\*

ერთი ასეთი ღამე ძალიან კარგად დამამახსოვრდა.

ათი წლის ვიყავი.

სოხუმის თავზე, ბარათაშვილის წყაროს გაყოლებაზე, სოფელ „თავისუფლებაში“ ვცხოვრობდით.

ბაბუასეულ სახლსა და საუკუნოვან სასაფლაოს, ერთმანეთისგან თეთრი ქვითა და ღორღით გაკვალული, სამანქანე გზა ჰყოფდა. წინ დიდი ეზო გვექონდა, რომლის მარჯვენა კუთხეში, პატარა ავზი იყო ამოთხრილი. ჩემები, იქ წყალნარევე კირს ინახავდნენ, სახლის კედლებისა და ღობის შესათეთრებლად, და ასევე მსხმოიარე ხეების მატლებისგან დასაცავად.

... როცა ყველას ჩაეძინებოდა, გადმოვძვრებოდი ფანჯრიდან. ფეხშიშველი, პერანგის ამარა, აფორიაქებულ-ალტკინებული მივირბენდი, გვირილებითა და მრავალძარღვებით დაფარულ ბორცვზე. მუშმალას ქვეშ ნამოვწვებოდი და ვუსმენდი იმას, რისი გაგონებაც ქალაქში ასე მაკლდა და მენატრებოდა. გაგებდავდი სქელ ფოთლებს შორის მოკაფე ვარსკვლავებს, უხმოდ მოფარფატე ციციანთელებს და ვტკებოდი ჩემი სოფლის დანატრებული ღამით...

ზაფხულის ღამე, ჯადოსნური სივრცეების სამყაროა...

...უცებ, საიდანღაც ტირილი მომესმა. ხმა, გზიდან, უფრო სწორად კი სასაფლაოს მხრიდან მოდიოდა...

ღობეს ფრთხილად მივუახლოვდი და სიბნელეს დავაკვირდი. ალვის ხეებს შორის, რაღაც თუ ვიღაც იდგა.

ის, ჯერ მთავარის შუქით განათებული ქანდაკებას მივამგვანე, რომელიც იქ არანაირად არ უნდა ყოფილიყო... მაგრამ, როგორც კი ამოძრავდა, მივხვდი, რომ ბაბუაჩემი იყო.

ბაბუა, ბებოს საფლავის ირგვლივ დაბორილობდა, ტროდა და რაღაცას გაურკვეველად ბუტბუტებდა. მინდოდა მისთვის დაძმება, მაგრამ უცრად შიშმა ამიტანა და სუნთქვა შემეკრა.

პერანგის ჯიბიდან, ბებიჩემის მოქარგულ ცხვირსახოცში გახვეული ფოტოები ამოვიღე და ლობესთან ჩავიმუხლე... მემინოდა სასაფლაოსკენ გახედვა მაგრამ, ლობის ღრეჭოში ზოგჯერ მაინც ვაპარებდი თვალს...

მომძლავრებული მთვარის შუქზე ყველაფერი ნათლად მოჩანდა...

პირველი ფოტოდან, ბაბუა და ბებია იცქირებოდნენ - შავგვრემანი, დიდ თვალეზა, კეთილშობილ ნაკეთებანი, უღამაზესი ქალბატონი და ცისფერთვალეზა, ღია ფერის ჭაბუკი. ორივე 20-20 წლისანი იყვნენ.

მეორე სურათიდან, ქართული კინოს კლასიკოსი, რეჟისორი ივანე პერესტინი, ბედნიერი სახით მილიძობდა.

მესამე კი, თავისი გაფორმებით, უფრო ღია ბარათს ნააგავდა და მამცნობდა ფილმ „სამი სიცოცხლის“ პრემიერის შესახებ.

ბაბუაჩემმა და ბებიჩემმა ფოტო 1923 წელს, თაფლობის თვეს, თბილისში ყოფნისას გადაიღეს.

რუსთაველზე, ფოტოატელიეს სტენდზე გამოფენილი ეს სურათი, შემთხვევით უნახავს ივანე პერესტინს და ძალიან მოსწონებია. ქალის ზღაპრული სილამაზით მოჯადოებულს და გადარეულს, გაუგებებია თანამშრომლებიც და ხელმძღვანელობისთვის დაჟინებით მოუთხოვია, რომ მთავარი როლი მის ფილმში „სამი სიცოცხლე“, ბებოსთვის მიეცათ. კლასიკოსს, მით უმეტეს ცოცხალს, ვინ გაუბედავდა უარს. თან ტიპაჟი მათაც ძალიან მოსწონებიათ. გაუგიათ მისამართი და ამტყვდარა ერთი ამბავი... წერილები, ტელეგრამები, რაიკომში რეკვები, ჩამოსვლები...

მოკლედ, მთელი იმ პერიოდის ქართული კინო - ბებიჩემს, ამ ეშხიან ქალბატონს, უდიდეს წარმატებას და პოპულარობას უწინასწარმეტყველებდა... მაგრამ...

მაგრამ, მიუხედავად უამრავი თხოვნისა „ნააზნაურალი“ ქალი, ბებია და მასთან ერთად, არანაკლებ „ნააზნაურალი“ ბაბუაჩემიც არ მოხიბლულან დეკორაციებით შემკული ჯადოსნური სივრცით და ყველა უარით გამოუსტუმრებიათ.

მათ უყვარდათ ერთმანეთი და სხვა გეგმები ჰქონდათ. თავისი, პირადი, ოჯახური „კინო - ინდუსტრიის“ გახსნაზე და საკუთარი „სამი სიცოცხლის“ შექმნაზე ოცნებობდნენ... შეეძინათ შვილები... წელი, მაგრამ სიხარულითა და იმედით სავსე ენერჯით შეუდგნენ თავისი მომავლის, თავისი ბედის, თავისი სამყაროს შენებას... ეს, იყო მათი პირველი სიცოცხლის დასასრული.

დადგა 1934 წელი, შეთითხნილი ბრალდებისა და ცრუ დასმენის ნიადაგზე, ბაბუაჩემი დაიჭირეს... ღვთის წყალობით, დახვრეტის მუხლი, თოთხმეტ წლიანი პატიმრობით შეუცვალეს... და გაუშვეს ციმბირს იქით.

მისი ოჯახი კი აყარეს იმერეთიდან და გადაასახლეს სოხუმის შემოგარენში. ბებიჩემს, ოთხი არასრულწლოვანი შვილით მიტოვებულ ბოსელში მიუჩინეს ბინა...

„- არ გინდობათო? ფეხებზე დაიკიდეთ და აწყენინეთო პარტიასო, ცეკასო და ღვანღმოსილ კომუნისტ-რევოლუციონერებსო?... ან, სულ ასეთ კინოში „გადაგიღებნო!““

ცამეტი მშვიერი, ღარიბი, მწარე წელი გაატარეს უერთმანეთოთ... მხოლოდ, რწმენით, სინაზითა და სითბოთი აღსავსე, ათ-თხუთმეტ წინადადებათი, რამოდენიმე წერილით, ერთი შვილის სიკვდილითა და ტიფს გადარჩენილი ბავშვებზე ზრუნვით იყო გაზავებული ეს დრო...

ბაბუის ციხიდან გამოსვლის შემდეგ, მამაჩემს კარგად ახსოვდა ერთი კაცი, რომელიც მათი ეზოს წინ ორი-თუ სამი

დღე მუხლებზე იდგა და ადგილიდან არ იძვროდა... წვიმდა საშინლად, მაგრამ მისი არც მოპატიუება და არც რაიმე-ნაირად დახმარება არც ჩვენებს და არც ჩვენს მეზობლებს არ უცდიათ. მამაჩემისა და მისი და-ძმის გარდა, ყველამ ძალიან კარგად, იცოდა ვინ იყო, ის...

როცა იმ კაცმა, ქალაქიდან დაბრუნებული ბაბუჩემი დაინახა, მუხლებზე შემოეხვია და მთელი ხმით აბლავლდა.

ბაბუამ, რამოდენიმე სიტყვა უთხრა, ხელი გააშვებინა და სახლში შემოვიდა.

გაფითრებული, ბავშვებს მოეფერა, მერე კი ატირებულ ბებოს მოეხვია... ის, კაცი კი ადგა, ჩვენს სახლს წელში მოხრილი გამოემშვიდობა და უხმოდ გაეცალა იქაურობას.

მამაჩემმა მითხრა: - „ბებოს უთქვია, რომ „სწორედ ეგ საცოდავი და უბედური იყო, ის ვინც ლამის მამა დაგვაკარგვინაო!“...“

ცოტა ხანში, იმ ადგილას, სადაც ეს უცნაური მულმოყრილი კაცი იდგა, ქვის ლოდი გაჩნდა. სკამის ფორმის. მასზე ხშირად ისვენებდნენ, სოფლის გზაზე მიმავალი გამწვლელები და ჩვენი დიდი ოჯახის წევრებიც...

ასეთი იყო, მათი მეორე სიცოცხლის დასასრული და მესამე, ყველაზე ხანგრძლივი და ბედნიერი სიცოცხლის დასაწყისი...

მიუხედავად ყველაფრისა, ახალმუელელები უყვარდათ ერთმანეთი. თავისი გეგმები, მიზნები და ოცნებები ბოლომდე შეასრულეს... მათ თავისი „სამი სიცოცხლე“ - „პირნათლად გააღაიღეს“ და ბრწყინვალედ დაამოწაფეს...

\*  
...ბებიჩემი, მაგარი ქალი იყო.

როცა სოფელში ჩამიყვანდნენ, ხელკავს გამიყრიდა, მიმიყვანდა კირის ავზის გვერდით აღმართულ ბორცვზე და იქ... მუშმელას ქვეშ ჩამომჯდარები... ჩახუტებულები... ერთად გავხედავდით მთებს შორის გაჭედულ ზღვას... საიდანაც იწყებოდა ზღაპრების, უფრო სწორად, როგორც ბებო იტყოდა „კინო-ზღაპრების“ საზღვრები და აქ, ჩვენი სახლის ეზოში მთავრდებოდა...

ამდენი ჯადოსნური ისტორია არავისგან მომისმენია... ამდენი უანგარო სიკეთით სავსე, საოცარი ამბები მეტყვერ აღარავის მოუყოლია...

თავისუფალი ადამიანი იყო, და რაგინდ პარადოქსადაც არ უნდა ჟღერდეს სოფელ „თავისუფლებში“ გადაასახლეს...

მთელი მესამე სიცოცხლეს, თავის მეუღლესთან ერთად ამ სოფელში გაატარა.

...მისი გარდაცვალების ამბავი თბილისში გავიგეთ. ტელეგრამა მოგვივიდა. ნაბეჭდი, რუსული ასოები გვატყობინებდნენ:

“ДЕДА АГАР АРИС. ЧАМОДИ САСЦРАПОД. МАМА”.

სოფელ „თავისუფლების“ სასაფლაოზე დავეკრძალეთ. მთელი იმ დროის (პანაშვილებისა და გასვენების) მანძილზე ვაკვირდებოდი მას, და არ მჯეროდა, რომ შუა ოთახში, ბებიჩემი იწვა. დასაფლავების წინა დღეს, ჩემმა მამიდაშვილმა გვერდზე გამიხმო, ნამტირალევი სახით მკითხა:

- როგორ გგონია, ბებომ იცის რო მოკვდა?

ათი წლის ვიყავი, მაგდენი საიდან უნდა მცოდნოდა. ჯერ ოროსანივით გამეცინა და მერე მხრები ავიჩქე.

მისმა უმცროსმა დამ კი დააზუსტა:

- რომელმა ბებომ, ამან, თუ ამან?

და ერთი ხელი ცხედრისკენ გაიშვირა, მეორე კი იმ გადიდებული სურათისკენ, რომლის ორიგინალი, პერანგის ჯიბეში მქონდა შენახული...

- მგონი, რომელიღაცამ იცის... მაგრამ არ ვარ დარწ-

მუნებული! - ვთქვი და ორივეს აჩეჩილი თმა დაფუვარცხნე... როცა პასუხი არ ჰქონდათ, ყველა უფროსი ასე იქცეოდა და მეც მათ ვბაძავდი...

... ბებო, მაგარი იყო. ზ ლ ა პ რ უ ლ ი...

მისგან ვიცოდი, „- ზღაპრებში, მხოლოდ იმიტომ კვდებიან, რომ მერე სხვა დროს გაცოცხლდნენ და გაჭირვებაში ჩავარდნილ გმირს დაესმარონ.“

ბებიაჩემის საოცარ მონათხრობებში, გარდაცვალება, ერთგვარი შევებულება იყო... მცირედი დასვენება, ახალი საინტერესო, ჯადოსნური ამბის დაწყებამდე.

მეც, ასე ვთქვი და რაკი ბავშვებს, ეჭვი შეგვეპარა რეალობაში, აღარ განვიცდიდით ჩვენი მეზღაპრის სიკვდილს. ერთმანეთი ჯადოსნური თავგადასავლის მონანილებად წარმოგვედგინა და ამიტომ, პანაშვიდებზე „ვთამაშობდით“ ანუ სერიოზული სახეებით ვიდექით კაცებთან ერთად, მოლუშული ვართმევდით ხელს მომსვლელებს და ღირსეულად ვლტულობდით სამძიმარს... როცა გვეგონა არავინ გვიყურებდა, უხმოდ ვნითხითებდით...

შეუძლებელია ათი წლის ბავშვს ვინმე მოუკვდეს... ის, ხომ პატარაა. პატარები კი, ანგელოზებსაც უყვართ...

გვეჯეროდა - ეს, ბებოსთვის, რამოდენიმე დღიანი, ან კვირიანი არდადაგები იყო, სკოლის არდადაგების მაგვარი, რათა მერე ახალი, ბევრად უფრო მაგარი ამბები დაწყებულიყო...

\*

ჰოდა, სწორედ ამ საოცარ ღამეს გავიგე, თუ სინამდვილეში, როგორ მთავრდება ზღაპარი...

ცხოვრებაში პირველად დავინახე, ატირებული და მართოდ დარჩენილი, ზღაპრის მთავარი პერსონაჟი...

მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი - მთხრობელის სიკვდილი ყველაზე მეტად, გმირს უკლავდა გულს, მაინც ვერ ვხვდებოდი რა ხდებოდა და დაბნეულ-გაკვირვებულნი, აკანკალებული თითებით ვეფერებოდი დროისგან გახუნებულ სურათებს...

დავინახე, ბაბუჩემმა, როგორ გადმოკვეთა გზა და ჭიშკრის წინ, ლოდზე ჩამოჯდა.


- არა უშავს... ეხლა, ცოტა დავმშვიდდები... და მერე, აღარ ვიქნები ასევე... - ხმადაბლა ელაპარაკებოდა თავის თავს, - ერთი კვირაა უკვე და სად წავიდე, არ ვიცი! მინდა რალაც გავაკეთო და არაფერი კეთდება... არაფერი გამოდის...

სახე მოიწმინდა და თითქოს ცოტა დამშვიდა.

- ისე ნახვედი, რომ გული ძალიან მატკინე. არაფერი არ მითხარი, ისე ნახვედი! განწყინე რაიმე? ერთი სიტყვა, მაინც მოგეძახებინა, ეგეც შევბა იქნებოდა ჩემთვის... ეჰ-ეჰ-ეჰე! - ამოიოხრა, - ყველაფერი გაგიკეთეთ. ბოლოს გამოგანყვეთ! კარგ სასახლეში ჩაგანვინეთ! როგორი გულით ტიროდნენ შენი შვილები, რომ იცოდნენ? ბევრი ხალხი იყო. ყველას სათანადო ყურადღება მივაქციეთ! ჩვენი პატარა ბიჭის გვერდით დაგანვინეთ! ჩემი ადგილიცაა... ქელეხმაც კარგად ჩაიარა! ზედმეტობებისა და ტუტრუყანობის გარეშე, - მიმოიხედა, - ახლა, არ ვიცი რა ვქნა? მარტომ რა უნდა ვაკეთო? ნახვედი და დაინგრა ოჯახი! ოჯახი არაა და საქმეს რა თავში ვიხლი... რა ვქნა? მივატოვო აქაურობა და თბილისში წავიდე?... ქალაქში უშენოდ რა უნდა ვაკეთო, ეგეც არ ვიცი? მირჩიე რაიმე?!

ცოტა ხანს, ასე უხმოდ იჯდა. ელოდა და მეც ველოდი, რომ აი ახლა, ამ წუთას, ბებო გამოჩნდებოდა და დაელაპარაკებდა, ეტყოდა რამეს, ანუგეშებდა, და რჩევასაც მისცემდა... მერე კი, მომბრუნდებოდა და მომიყვებოდა თავის ახალ ზღაპარს.

- რა ვიფიქრო? - ამოიოხრა, - რა წყალში გადავვარდე?



წუხელ ღამით, გავიხდე ფანჯარაში და მგონი, შენ იდექი ჭიშკართან. ვილაცას ელაპარაკებოდი. გაებრაზდი, ვის ელაპარაკება ეს ქალი ამ შუალამისას-მეთქი და რას ვხედავ? მე არ ვდგევარ გაღმა, შენს წინ... თავჩაქინდრული. შენ კი მეჩხუბები და მეჩხუბები. ისე ბრაზობ, ისე, რომ... გადავირიე კაცი. გამომელვია... მინდოდა შენთვის მომეყილა სიზმარი, მაგრამ... და არ ხარ! არსად არ ხარ! რა მიქენი ეს ქალი? რა მიქენი? ასე რატომ მოიქეცი? - ბაბუჩემი მოიკუნა, დაპატარავდა, მუშტის ხელა გახდა. ძალიან შემეცოდა.

- ეეჰ! ნახვედიიი! სულ არ გიფიქრია ჩემზე! ამ ბებერმა კაცმა რა ვქნა უშენოდ? სადღა გავიხელო?... შვილები კი... მართალია, მაგრამ... გეთქვა მაინც ცუდად ვარ, და რამე მიშველეო... გავიქცეოდი და მოგიყვანდი ექიმს... დაიძინე, დაიძინე... გეჩვენება, რალაცებო... რაა? შეგეშინდა, რომ არ გაგიშვებდი ჩემზე ადრე?... გაფშიკე ფეხები, ხომ? გაიადვილე საქმე, ხომ? - აუკანკალდა ბრაზნარევი ხმა, - ახლა კარგად ხარ, ხომ?... მესიზმრები, ბატონო! ერთი კვირის მანძილზე, ერთხელ დასიზმრება, შენი აზრით საკმარისია? ხშირ-ხშირად მაინც მოდი? ოღონდ ნორმალურად დამესიზმრე, გადარეულივით ნუ იქნები! ცოდა ვარ! მარტო, ვარ! გაიგე... - მიმოიხედა და ჩურჩულზე გადავიდა, - შენი დასაფლავების ღამეს, კინაღამ საშინელება ჩავიდინე, აბა? ის, ამბავი... ხომ გახსოვს, ერთად წავიკითხეთ, თურმე ხალხს ხანდახან ცოცხალს მარხავდნენო! ზოგსო ისე ჩაეძინებოდაო, კაცი ვერ მიხვდება ცოცხალი იყო, თუ მკვდარიო... ჰოდა, მეც მეგონა, მოგტყუვდით და ეგებ მკვდარი არა ხართო... ღამეს სულ შენს საფლავზე გავათენე... იმ იმედით, რომ ან ტირილს, ან კვნესას გავიგონებდი ვერგევე ამოგთხრიდი... ჩემი ხელით ამოგთხრიდი! იმედი მქონდა!.. გესმის?

ცოტა ხანს თვალდახუჭული იჯდა, მეგონა ჩაეძინა... ვიფიქრე, მივალ და გვერდით მივუჯდები მეთქი, მაგრამ უცებ ფეხზე წამოდგა.

- იმ სიზმარში, გაბრაზებული იმიტომ, ხომ არ იყავი, რომ... ხომ არ გამომეპარა რაიმე?... ამ ბებერმა ყურებმა ეგებ, ვერ გაიგეს შენი ხმა? ეგებ, ცოცხალი ხარ?... ცოცხალი ხარ?!

ისეთი სახე ჰქონდა, შემეშინდა. უკუსვლით, ძალიან ფრთხილად გავიპარე სახლისკენ და ვერანდაზე ჩაძინებულ მამაჩემს მოუყევი ყველაფერი.

- თავის თავს ელაპარაკება? - მკითხა მამაჩემი და ჭიშკარს გახედა, - მამა! მამა, მანდ რას შვები?

ბაბუჩემს პასუხი არ გაუცია.

- ბებო ცოცხალი დავმარხეთო და ამოთხრა უნდა! - ვუპასუხე მის მაგივრად.

- ეეჰ! - ამოიოხრა, სიგარეტს მოუკიდა და ფეხზე წამოდგა, - წამო, წამო ბაბუს მივხედოთ! - გულისტკივილით მითხრა და კიბზე დაეშვა.



ჭიჭკრისკენ მიმავალ ბილიკს სწრაფი ნაბიჯით გავუყევით. ბაბუამ გაიგონა ჩვენი ფეხის ხმა, მოგვიბრუნდა და მკაცრად იკითხა:

- რომელი ხარ ამ შუალამისას? რომელს არ გაძინებს გამჩენი?

- შენ თვითონ, რომელი ხარ? - ვითომ ეხუმრა მამა.

- რალაც ხმა გავიგონე და გამოვხედე! - იმართლა თავი ბაბუამ, - მეგონა ამ რია - რიაში, საქონელი დაგვრჩა გარეთ, და შევამოწმე!

- ააა, გასაგებია! - ამოიხრა მამამ.

როცა გვერდი-გვერდ მივუჯექით, რალაცნაირად მოიბუზა, თავი ჩაქინდრა. გაბრაზებულ ბიჭუნას დაემგვანა.

- მერე?

- რაა მერე? - გაბრაზდა ბაბუაჩემი.

- იპოვე?

- ჰოო ვიპოვე, თან ორი! - წელში გაიმართა და ხმას აუნია, - ახლა ავიღებ ჯოხს და ორივეს შეგდენით უკან!

- სირცხვილია, რა გაყვირებს ამ შუალამისას! - დაუყვავა მამამ და მხარზე ხელი გადახვია.

- თავი დამანებეთ! - კბილებში გამოცრა და თითქოს წასვლა დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, - ველაპარაკები და ხელს არავის გიშლით! შემეშვით რა...

- ვის ელაპარაკები კაცო? აღარაა ის ცხონებული! სული ზეცაშია, სხეული მიწაში და...

- შენზე უკეთესად ვიცი სადაცაა! - გაჯიუტდა გულჩაყვებული მოხუცი, - ოღონდ ვინმეს ხელი შეუშალონ... დაძვრებიან და გითვალთვალებენ, გიყურადებენ... ღლაპები, ესენი!

ამ ლაპარაკში მამიდაც მოგვადგა. გაბრაზებულმა, დონჯი შემოიყარა და ბებიჩემივით დიდრონი თვალები მიანათა სასაფლაოსკენ მიბრუნებულ ბერიკაცს.

- აბა, ეხლა ყველა სახლში წამოდიო! - მკაცრი ხმით გვითხრა... მერე, მამამისს ხელი მოჰკიდა და პატარა ბავშვივით ეზოში შემოიყვანა.

- არც მე მიძინება! დაფჯდეთ ყველა სამზარეულოში, ძველებურად... ვილაპარაკოთ! კაცებმა დედაჩემის შესაწდობარი დალიეთ და... მისი სული ცაშია, მაგრამ სიყვარული, ხომ ჩვენთანაა? გავიხსენოთ ყველაფერი... ეგებ, ცოტა გულზე მოგვეშვას!

ბაბუამ თავი დაუქნია და წინ წავიდა.

რამოდენიმეჯერ ფეხი წამოჰკრა რალაცას, მაგრამ ნაბიჯი არ შეუწელებია.

მივყევბოდი უკან, თითქოს მხნედ მიდიოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ უხმოდ ტიროდა, უტრემლოდ. მამაჩემივით, მამიდაჩემივით... მე კი, ველარ მოვითმინე და უსირცხვილოდ ავბლავლდი, მთელი ხმით, მთელი ძალით, მთელი გულით.

- ბებოოო! ბეეეებოოო!

ბაბუაჩემმა გამოხედა და მკაცრად დამიქნია თითი. მამიდაჩემმა წამომარტყა „რა დროს ეგ იყოო!“, მამაჩემმა კი მკერდზე მიმიკრა და კეფაზე მაგრა მომიჭირა ხელი.

- გეყოფა! ყველას გვტკივა! - ჩამწურწულა მან, - ძნელია იმ ქვეყნად გაუშვა... მაგრამ, რა უნდა ქნა? რომც არ გაუშვა, დარჩენით მაინც ვერ დატოვებ! ცხოვრება გაშვება, მოთმენა და კიდევ, ამ ყველაფრის გაძლება!

- მენატრება!

- ყველას გვენატრება... მაგრამ, რას იზამ? ვერაფერს.

- აწი ვინლა მოგიყვებათ ზლაპრებს? - იკითხა მამიდაჩემმა, - ვერაწინ. ჩვენც აღარაწინ გვიყვება! დიდები ვართ და იმიტომ... ესე იგი, შენც უკვე გაიზარდე! დამთავრდა ზლაპრები!

- ჰოო! - თითქმის ერთდროულად ამოიხრეს ბაბუაჩემმაც და მამაჩემმაც, ისე, რომ ჩემსკენ არც კი გამოუხე-

დავთ.

- ცხოვრობს ადამიანი, თითქოს ასეც უნდა იყოს! წავა და... წ ა ვ ა ა ა!

- გეყოფათ ყველას! - სამზარეულოდან გავიგონეთ დედაჩემის ნატირალევი ხმა, - ყველას ერთნაირად გვტკივა, და ამიტომ გეყოფათ!

იმ ღამეს ჩემთვის აღარც ციციანათელები, აღარც ვარსკვლავები, აღარც ბალახის სურნელი არსებობდა...

სამყარო დაპატარავდა და ჩვენს ეზოში ჩაეგია, გზის იქით კი უკუნი სიბნელე და გაურკვევლობა სუფევდა, რომელიც ბებიჩემის, ციციანათელებად მოციმციმე ლანდის შთანთქმას ცდილობდა...

ღამით ყველა ერთ ოთახში დავნექით.

იმ დიდ ოთახში, საიდანაც ბებო გაასვენეს. იატაკზე დაგებულ ლიებზე კაცები ვინექით - ბაბუაჩემი, მამაჩემი, ბიძაჩემი და მე... ბავშვები და ქალები კი გაშლილ ტახტზე მოთავსდნენ.

კანდელი, პიანინოს თავზე დადგმულ სურათთან ერთო და ნიაგის ყოველ დაბერვაზე ისე ალიცილიცდებოდა, თითქოს ბებიჩემის გაღიმებული სახეს, ჯადოსნური სიცოცხლით ავსებსო.

მე, მამასა და ბაბუას შორის ვინექი. ორივეს სიახლოვე, სიმყუდროვის, უშიშრობის და უძლეველობის შეგრძნებით მავსებდა.

- გახსოვს, რომელიმე ზლაპარი? - მკითხა ბიძაჩემმა.

თავი დაუქნიე.

- მოგყვე? - ვიკითხე და თანხმობას არც კი დავლოდებივარ, ისე დავინყე „ფოთლებთვალეზა გოგონასა და ჯვარხელეზა ბიჭუნას თავგადასავლის მოყოლა, რომლებიც უღვაშეთში ხვდებიან და ცდილობენ თავისი ყვავილთმებნი პატარა ძმა და ზღვაგულა მამა, ჩექმებტანიან გუდაბრაზუნას გამოგლიჯონ“.

- ღმერთო, მიუხედავად ყველაფრისა მაინც, როგორი ბედნიერები ვიყავით! - ამოიხრა მამიდამ და მხოლოდ ერთხელ დაამატა, - დედა, დე, დედიკო!..

კაცებმა ჩაახველეს... ციციანათელების გუნდი, ღია ფანჯრიდან შემოფრინდნენ და ჩვენი ხის სახლის ქერზე ვარსკვლავებივით აციმციმდნენ...

ზლაპრის დასაწყისში, ცოტა მორიდებული ვიყავი, მაგრამ მერე, გავშალე ფრთები, ხმას ავუწიე და უკვე ველარ ვჩერდებოდა... ბებიჩემის გმირები, დაქროდნეს ზღვანაპირა ფორთოხლეთის ქუჩებში და ხალისიანი თავდადებით აცამტვერებდნენ ნითელკბილება გველყინულას მომხრეებს”...

რალაც მომენტში მომეჩვენა, თითქოს თვითონ ბებიჩემი ჩამწურწულებდა ამ ზლაპარს, მე კი მხოლოდ ხმამაღლა ვაჟღერებდი...

ფანჯრიდან შემოჭრილი მთვარის შუქი, ცდილობდა შეეკსო სახლში დარჩენილი სიცარიელე...

მიუხედავად იმისა, რომ თვალები დახუჭული ჰქონდათ, დარწმუნებული ვიყავი, ყველა ყურადღებით მისმენდა - მამაც, ბაბუაც, ბიძაჩემიც, მამიდაჩემიც, დედაც და ჩემი ნახევრადჩინებული მამიდაშვილებიც...

ზლაპარი, უამრავი სასაცილო და ჯადოსნური თავგადასავლით, თითქმის უსასრულოდ გაგრძელდა...

\*

ბებია 1974 წელს გარდაიცვალა, ბაბუა კი 1989 წელს. ორივე სოხუმთან ახლოს, სოფელ „თავისუფლებაში“ დასაფლავებული...

...მოსაგონად, მხოლოდ სამი სურათილა დაგვრჩა. დანარჩენი ყველაფერი აფხაზეთის ომმა დანვა...

არა, კიდევ შემოგვრჩა ზლაპარი და ზაფხულის ის, ჯადოსნური, ტკივილნარევი ღამე...



ბათუ დანელია

შალვა საბაშვილი



**დედას**

დედა, ასჯერ რომ გავჩნდე ამქვეყნად,  
ასჯერ რომ მომცეს ყოფნამ როლები,  
ნუთუ ასჯერვე გამზრდის სხვა დედა,  
შენ კი ერთხელაც არ მეყოლები!

ნუთუ ერთმანეთს ჩვენ დედა-შვილად  
ალარ შევხვდებით ანი აკვანთან!  
ნუშები წელსაც აფრად გაშლილან,  
ალურჩა წელსაც თეთრად აყვავდა.

მაგრამ შავი დღე სულშიც შემითოვს,  
ცისქვეშ უდებოდ როცა დავრჩები, -  
იმ გაზაფხულებს, იმ შემოდგომებს  
დაემდურება ჩემი ფანჯრები...

ჯერ ისიც მირჩენს სულის ჭრილობებს,  
ჩამავალ მზეს რომ დარდით გასცქერი,  
ნუგეშს მცემს შენი მოწყენილობაც,  
მხოლოდ ისაა თავზარდამცემი.

ასჯერ რომ კიდევ გავჩნდე ამქვეყნად,  
ასჯერ რომ მომცეს ყოფნამ როლები,  
თურმე ასჯერვე გამზრდის სხვა დედა,  
შენ კი ერთხელაც არ მეყოლები.

**დღის დასასრული**

უკანასკნელად გაიბრძოლებს დღე ახლა; მისი  
სხივები ირგვლივ იფანტება, როგორც გოდება,  
ჩემს წინაშეა დასასრულის მკაცრი სანყისი  
და მომაკვდავის შესაბრალი, ყრუ მონოდება.

უკანასკნელად გაიბრძოლებს დღე ახლა მალე  
(ვილაცა გიცდის, მეგობარო, ვილაცა გელის!);  
და საბოლოო ამოსუნთქვის წითელი ალით  
შეიღებება ახლა მინა ჩემი სარკმელის.

განითლებულან შენობები ჩამავალ მზისგან.  
ისინი თითქოს იგროვებენ სხივების მარაგს,  
და მარტოდენ შორეული კლაკნილი გზისა  
გაიგებს ახლა და შეიგრძობს ფარულ მუდარას.

არაა სისხლი, ფლოქეთა ხმა თუ ხმალით გახელება-  
წითელნი სხივნი მარტოდენ ველად,  
და მაინც ახლა არაფერი არ ეშველება-  
ყველაფერს ჩუმი შურისგება ამთავრებს ნელა.

უკანასკნელად გაიბრძოლებს მზე უკვე ვისმენ  
მისი სევდის და აგონიის შეფერილ ნარევს,  
და როცა იგი დანებდება არყოფნის ნისლეებს,  
ქრობის მუსიკა შეაჟრჟოლებს მთელს არე-მარეს...

ნინო ბაქანიძე

### „თარხანოვის ფენომენი“

საახალწლო-საზეიმო დღეები ჩამთავრებულიყო. სოფელი ახალქალაქი, ქართლის სხვა სოფლების მსგავსად, თოვლის ქათიბში გამოხვეული, თითქო ღრმა ძილს მისცემოდა. სოფლის შუკეებში ძე-ხორციელი არ ჭაჭანებდა, თოვაც შეწყვეტილიყო და ბავშვების ჭრიაშულიც, იტყვი, დროც გაირინდაო. ირგვლივ გამეფებულ მდუმარებას ღამ-ღამობით ძაღლების ნკავნკავი ან ყინულის ლოლუების ჭახანი თუ არღვევდა.

ასე იყო თუ ისე, 1908 წელი ჩამომდგარიყო და ტრადიციული, საზეიმო დახვედრის შემდეგ, რალაც ერთფეროვნად, უგემურად მიიზღაზნებოდა.

და აი, ერთ ასეთ არაფრით გამორჩეულ დილას მიძინებული სოფელი ერთბაშად გამოაფხიზლა მოულოდნელმა ამბავმა: მშობლიურ ახალქალაქს მრავალი წლის მერე პეტერბურგიდან კვლავ ესტუმრაო მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი ივანე თარხნიშვილი!...

ხალხი თანდათანობით გამოიშალა ქუჩებში. ცხადია, ყველას ენადა სამაყო მამულიშვილის ხილვა. გლეხები ჯგუფ-ჯგუფად მიმოდოდნენ თარხნიანთ სახლის მიდამოებში. უფრო თამამები ჭიშკართან ახლო მისვლასაც კი ბედავდნენ და მოურიდებლად იჭვრიტებოდნენ ეზოში, ეგებ კარში გამოსული მინც დავინახოთ დიდ მეცნიერი, თუნდა ფანჯრის მიღმა დავლანდოთო. სოფლის ნარჩინებულები ოფიციალური ვიზიტებისათვის ემზადებოდნენ. გაცხოველდა მითქმა-მოთქმაც, ავად ყოფილათ ივანე თარხანიო, სოფელში იმიტომ ამოსულა, ეგებ მშობლიურმა ჰავამ გამომაბრუნოსო... თურმე, ნუ იტყვით, უკვე ერთი კვირის ჩამოსულია, მაგრამა წლების უნახავ ნათესავებსა და მეზობლებს კი ემალებათ... საიდანა და ივანეს მსახური ნუხელ კასპიდან მოდენილა სანოვაგით დატვირთული. ჰოდა, ჩვენი მამაცანთ მიხაკა დამგზავრებია. ე უცხო რუსის კაცი რო უნახამს, გამოლაპარაკებია თავისი დამტკრეული რუსულითა. ჰოდა, დაუცდე-ნიხებია კიდევ ეს ამბებით... მაა, მიხაკას ჭკუა უხმარია, გზაში არაყი დაუღვეინებია მაგ რუსი მუჟიკისთვის, ძან ყინვა აქვს და ცოტა გათებოი, ჰოდა, შებუშუბუბულ რუსსაც ყველაფერი დაუფქვავს. ისიც კი უთქვამს, ჩემმა ბატონმა სპეციალურად შეარჩია სოფელში სტუმრობის დრო, მინამ მისი ბიძაშვილები ქალაქში გამოიზამთრებდნენო...

– არადა, მე კარქა მახსომს მაგისი ბავშვობა, – ვინ იცის მერამდენედ უყვება ერთსა და იმავეს შეჯგუფებულ ხალხს 85 წელს მიტანებული შაქრო პაპა, – ყოველ ზაფხულ მოსდევდა ხოლმე მამასა. ცხონებულ რამაზ თარხანოვს ძაღზედ უყვარდა აქაურობა. თვითონ სამსახურის გამო თავის დროზედ ვერა გაანყო რა და მაგისი უნცროსი ძმა დიმიტრი კი დამკვიდრდა აქა... ჰო, იმას ვამბობდი, დიმიტრიც სამხედროში იყო, მაგრამა ადრევე გაუნებებია თავი სამსახურისთვის და ადგილ-მამულს დაჰპატრონებია. რამაზი კი მუდამდღე რუსის სამსახურში იდგა, ლენერლის ჩინსაც ხო მიაღწია იმით ხელშია... – შაქრო პაპა ღამისაა, ხველამ დაახრჩოს, მაგრამ მინც ჯიუტად აგრძელებს – დიმიტრი მუდამქამ მზად

იყო ძმის ოჯახობის მისაღებად და იმიტო არცა ვკვიროვ, დღეს ივანეს რო აქა ვხედამ...

– აბა, სადა ხედავ ივანესა? – მწარედ ექილიკებიან მეზობლები, – სახლში შეხვიდე აზერა, ფილტვების ანთება არ აიკიდო ამ ყინვაშია.

– ახლა მაგათი წინაპრების ამბავიცა ვთქვათ, – ჯიუტად გაიძახის თავისას მოხუცი, – რა ძვირფასი წინაპრები ჰყვანდათ რამაზ და დიმიტრი თარხანოვებსა...

– კარგი კაცო, გული ნუ გაადნე, რამდენჯელ უნდა სთქვა ერთი და იგივე! – წარა-მარა აწყვეტინებენ გლეხები.

– იქით მეცა, შაქრო პაპა, ემანდ ზაბორს არ მიეყინო! – იცინიან ბიჭ-ბუჭები.

ამ მითქმა-მოთქმაში ზოგი ჭორი ერია, ზოგიც – მართალი. ივანე თარხნიშვილი ერთი კვირის არა, მაგრამ ორი-სამი დღის ჩამოსული კი იყო მშობლიურ სოფელში. მართლაც მძიმედ დასწეულეულს, მსახური გაუფრთხილებია, ჯერ-ჯერობით არსად გაემხილა მისი სტუმრობის ამბავი, რადგან პეტერბურგიდან ხანგრძლივი, დამქანცველი მგზავრობის შემდეგ განმარტოება და ძაღების მოკრება ესაჭიროებოდა. თბილისშიც კი არ გაჩერებულა. იცოდა, რა სასურველი სტუმარიც იქნებოდა ყველგანა, მაგრამ ძალა აღარ მოსდევდა ნაადრევად დასწეულეულ მეცნიერს. სამაგიეროდ, სიკვდილის ლანდი სდევდა გამუდმებით. ჰოდა, როგორც შეეძლო, გაურბოდა ამ შემზარავ ლანდს. ერთი სული ჰქონდა, სოფლამდე მიეღწია. ერთ-ორ დღეს დაისვენებდა, მერე კი – მერე, რა თქმა უნდა, წლების უნახავ ნათესავ-ახლობლებსაც გაუღებდა კარს, ძირისძირობამდე დაივილიდა სოფელსაც და თქმისხვევის სანახებსაც. ჰო, რაც მთავარია, ეგრევე ავიდოდა ერთანმინდაში, თარხნიანთ საგვარეულო აკლდამას მიეახლებოდა და ასე აიხდენდა სანუკვარ ოცნებას, პატვის მიაგებდა მშობლების, ბიძების, სხვა ნათესავთა საფლავებს. მერე კი... მერე უკვე სულიერად შემზადებული, თავადაც გაჰყვებოდა წინაპართა ნაკვალევს მარადისობისკენ...

ივანე თარხნიშვილი ფანჯრიდან გასცქერის ბინდ-ბუნდში გახვეულ სოფელს. შორს, მთაზედ, ლეგა ღრუბლებში ჯერ კიდევ ილანდება ერთანმინდის ეკლესია, ქვემოთ გარიყულას ულამაზესი უბანი თანდათან ინთქმება სიბნელეში, თუმცა ჯერ საღამოს 5 საათიც არ შესრულებულა... საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერი ახლა თავს მართლაც რომ გარიყულად გრძნობდა. მთელი შეგნებული ცხოვრება მოწყვეტილი იყო საკუთარ ფესვებს და ჯერ ხეირიანად ისიც ვერ გაერკვია, მზად იყო თუ არა წარსულთან შესახვედრად.

ივანე თარხნიშვილი სანერ მაგდას მისჯდომია და ღამფის მბუჭავ შუქზე ბიძამისის დამტყერილ საქალაღდეებსა და ფერად-ფერადი ლენტებით ფაქიზად შეკრულ-დახარისხებულ ძველ ბარათებს აშრიანლებს.



თვალეები უნებლიეთ ცრემლებით ევსება: ძვირფასი ბიძა დიმიტრი – რა სათუთად, რა რუდუნებით შეუგროვებია და შემოუნახავს შთამომავლობისათვის მათი დიდი ოჯახის ისტორია! ივანეს პატარაობიდანვე ჩაბეჭდვოდა მესხიერებაში, როდენ ამაყობდნენ მამა და ბიძა თავიანთი დიდი წინაპრის, გიორგი სააკაძის სახელით. ბიძის მონათხრობიც ახსოვს, გუშინდელივით ახსოვს, სააკაძის ერთადერთი გადარჩენილი ვაჟი იორამი საბოლოოდ ახალქალაქში დამკვიდრდა და ჩვენ მისი პირდაპირი შთამომავლები გახლავართო... აგერ, ეს წიგნიც! რამდენს ვნანობდი, თავის დროზედ პეტერბურგში რომ არ წავიღე თან... ჩვენი ოჯახის ძვირფასი რელიკვია... – ივანე სიყვარულით ათვალეირებს და ეფერება სიძველისგან შელახულ, გაცრეცილყდიან წიგნს – კიდეც კარგი, შეუნახავს დიმიტრის. ისიც კი მახსოვს გადმოცემით, მამაჩემი როგორ სთხოვდა თურმე პლატონ იოსელიანს, შეექმნა ნაშრომი გიორგი სააკაძეზედ. ჰოდა, იოსელიანმა შეუსრულა მამას ეს თხოვნა და მასვე უძღვნა. აკი შესავალში ამ გარემოებას საგანგებოდ აღნიშნავს კიდეც. ივანე წიგნს ფურცლავს და ხმამაღლა კითხულობს: – „თქვენ გასურდათ გქონოდათ თქვენი გვარის ფუძემდებლის, დიდი მოურავის ისტორია... მე შევასრულე თქვენი სურვილი, აღვწერე მისი ცხოვრება... ჩემს ნაშრომს გიძღვნი თქვენ, როგორც დიდი მოურავის ფართო ოჯახის წევრს“, 1848 წელი.

ივანე ძვირფას რელიკვიას ფრთხილად აბრუნებს უკან, უჯრაში და იქიდან ძველი ჟურნალ-გაზეთების მთელი დასტა ამოაქვს... კვლავ გული უჩუყდება – ეს ხომ ქართულ პრესაში ჩემ შესახებ გამოქვეყნებული მასალებია. თითოეულ გაზეთს ძია დიმიტრის ხელით დანერილი ბარათი აქვს დაკრული. აი, თუნდაც ეს – ივანე მზერას ძაბავს: – „ივანე თარხნიშვილის ლექციები თბილისში, 1871 წლის ოქტომბერი. თემა: „წერვული სისტემის როლი ცხოველების მოძრაობაში“. – ივანეს გულში თითქოს სითბო ჩაეღვარაო, – უბედნიერესი ხანა ჩემი ცხოვრებისა, – ფიქრობს იგი – რა დამაინყებს იმ ნათელ, სიყვარულითა და სიხარულით გაცისკროვნებულ დღეებს, იმ დიდებულ ადამიანებს, ვისაც მაშინ ვხვდებოდი... წიგნადაც ხომ დასტამბეს მთელი ჩემი სალექციო კურსი... ნეტა, დიმიტრის თუ აქვს შენახული?... ალბათ მაგასაც ვიპოვი...“

ივანე საჩქაროდ შლის პირველივე გაზეთს. აი, მისი ძვირფასი მეგობრის, გიორგი წერეთლის გამოხმაურება: „ივანე თარხნიშვილის ლექციებმა შექმნა მთელი ეპოქა თბილისის საზოგადოებაში. ლექციებმა გამოიწვია აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა. მის შესახებ ლაპარაკობენ როგორც განსაკუთრებულ მოვლენაზე“... – ივანეს ტკბილად ეღიმება და ახლა სხვა გაზეთს ფურცლავს, სადაც მისი „თანასოფლელის“, ეკატერინე გაბაშვილის წერილს ნაწყდება: – „ეს იყო ლექცია-დღესასწაულები. მათ გამო მთელი ქალაქი ფეხზე იდგა. იმ დრომდე არცერთი წარმოდგენა, არცერთი გამოჩენილი არტისტი და საზოგადო მოღვაწე არ ღირსებია თბილისში იმისთანა საჯარო ოვაციებს, რაც თარხნიშვილმა თავისი ლექციებით დაიმსახურა. რამდენი ხანიც გადიოდა, იმდენად ძლიერდებოდა ქალაქში ლტოლვა თარხნიშვილის ლექციებისადმი და უკანასკნელი ლექცია ხომ მთლად

ტრიუმფად გადაიქცა. სალექციო დარბაზის შენობაში შემავალი კიბეები, ფართო შესავალი ქუჩა გადაჭედლი იყო ხალხით, ვაშას ძახილს და ტამის გრილს ბოლო არ უჩანდა... ივანე კითხვას წყვეტს, ემოციებს ველარ იკავებს, მძიმედ სუნთაქვს...“ ნეტა, აქ თუა ეკატერინე, ხვალვე გავგზავნიდი მსახურსა. ნეტა, თბილისში არ იყოს წასული... რა სიხარულით შევხვდებოდი ერთმანეთსა...

გაზეთების დასტიდან წერილებისა და დეპეშების შეკვრა მოსჩანს. ივანე სასწრაფოდ ხსნის ლენტს და ხელთ მოსალოცი დეპეშების ასლები შერჩება... წელი 1900... ეს უკვე ჩემი ბიძაშვილების დამსახურებაა, – ფიქრობს ივანე: – აჰა, მოლოცვები ჩემი მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით!

– პირველად იაკობ გოგებაშვილის მოსალოცი ხვდება ხელთ, ქართველი პედაგოგების სახელით გაგზავნილი: „ქართველი პედაგოგი გულითა და სულით გილოცავენ 30 წლის იუბილეს თქვენის ნაყოფიერი მოღვაწეობისას საპროფესორო და სამოღვაწეო ასპარეზზედ და მხურვალედ მნატრობენ, რომ დიდხანს სცოცხლობდეთ რუსეთისა და თქვენის სამშობლო საქართველოს საკეთილდღეოდ“.

ეს კი თვით ილია ქავჭავაძის მოლოცვაა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით! – ივანე უნებლიეთ კვლავ ხმამაღლა იწყებს კითხვას: – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ულოცავს რა მსცოვან იუბილარს 30 წლის ნაყოფიერ სალიტერატურო-სამეცნიერო მოღვაწეობას, უძღვნის გულწრფელ სალამს ღირსეულ მამულიშვილს და უსურვებს ხანგრძლივ სამსახურს სამეცნიერო ასპარეზზედ თავის და საქართველოს შვილების სასახლოდ“. ივანე აკანკალებული ხელებით გულში იკრავს ძვირფას ფურცლებს. ერთხანს ასე გარინდებული ზის. მერე ერთბაშად მოდის გონს, გაზეთებსა და წერილებს საჩქაროდ კვლავ უჯრაში აბრუნებს და მწარე ფიქრებს ეძლევა – ეჰ, აქაც, რუსეთშიც, მთელს ევროპაში ვერც კი წარმოიდგენენ, რა ახლოსაა ჩემი ცხოვრების დაისი. ნეტა შემეძლოს, თითოეულ ამ ადამიანს გულწრფელი მადლობა ვუთხრა ჩემდამი გამოჩენილი სითბოსა და სიყვარულისათვის. აქამდე მუდმივად სამუშაოში ჩაფლულს ამისი დრო არცა მქონია... ახლა კი... როდისღა, როდისღა... თუნდა ილია! თავად დიდის მონდომებით აშუქებდა ჟურნალ-გაზეთებში ჩემს მიღწევებსა. მე კი, ერთხელაც ვერ გადავუხადე მადლობა სიცოცხლეში. უფრო მეტიც, შარშან მის სასტიკ მკვლელობასაც არ გამოვხმაურებოვარ. არა, არა, არაფრის ღისრსი არა ვარ ჩემი სამშობლოსგან. ეს სამარცხვინო ლაქა რამ ჩამომრეცხოს?! სიკვდილიც კი არ იქნება ჩემი უსულგულობის საზღაური!

ოთახის კარზე აკაკუნებენ. ეს მსახურია. ბატონს ამცნობს, რომ მოულოდნელი სტუმარი ეწვია – კნენა ეფემია მანსვეტაშვილი-თარხნიშვილისა. ამავე დროს მოკრძალებით შეახსენებს, რომ ვანშმისა და წამლების მიღების დრო ახლოვდება. აღელვებული და დაბნეული ივანე ფეხზე წამოიჭრება. – რა დროს ეგენია?! ხედავ, სოფელს მაინც არ გამოპარვია ჩემი ჩამოსვლის ამბავი. ვიცი, შენი დამსახურება იქნება!

– მსახური დაბნეულად შლის ხელებს, – კარგი, რა



გაენწყობა, სთხოვე, მობრძანდეს.

მსახური ოთახში შემოუძღვება შუახნის, შავებით მოსილ, სანდომიან ქალბატონს. მას მოახლე გოგო ახლავს ნობათით სავეკ კალათებით. ივანე მაშინათვე სიხარულით ეგებება თავის სიყრმისდროინდელ მეგობარს და ხელზე ეამბორება:

– მობრძანდი, ეფემია, კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა.

– ბატონო ივანე, რაკი თქვენს ნახვას ველირსე... დიდი მადლობა მომიხსენებია, რომ მიმიღეთ. – აღელვებულ ეფემია მოახლეს ნიშანს აძლევს. ისიც კალათებს ივანეს მსახურს აწვდის და ორივენი გადიან ოთახიდან.

– მარტო რად მობრძანდი, ეფემია, ჩემი გრიგოლი როგორ არის? რატომ არ მეწვია? ალბათ შემდღურება ამდენი ხნის უნახავ ნათესავსა, წერილებს რომ ვერა გწერდით... გულწრფელად გეტყვი, ძალიან, ძალიან ვნაწობ...

– აბა, რა გითხრათ, ბატონო ივანე...

– ეფემია, გთხოვ, „ბატონოს“ გარეშე.

– უკაცრავად გახლავართ, მაგრამ აბა რა ვიცი, დროს თავისი მიაქვს. ვინ მოსთვლის, რამდენი წელია, აღარ შევხვედრილვართ. – უხერხულად იმშუშნება ეფემია და მასპინძლის დახმარებით სავარძელში ჯდება.

– ეგ მართალია, ჩემო ეფემია... – ივანეც ქალის პირდაპირ, სავარძელში მოკალათდება – მაშ, გრიგოლი როგორა ბრძანდებაო? თქვენი ქალიშვილები? განა ორი ანგელოზივით გოგონა არ გყავთ?

– ეეჰ, არ მკითხოთ, – ეფემიას თვალები ცრემლით ებინდება – სულ არ მიფიქრია, საუბარი ჩვენი ოჯახის პრობლემებით დამეწყო, მაგრამ ვიცი, ამ თემას მაინც ვერ ავუვლი გვერდსა. შევეცდები, მოკლედ გიამბოთ: ხუთი წლის უკან ჩემს ქალიშვილებთან ერთად პარიზს გავემგზავრე. გრიგოლმა ინება, მათთვის კარგი აღზრდა-განათლება მიგვეცა. მაგრამ ჩემი ნინო სამ წელიწადში დაავადდა და იძულებული შევიქენი, უკან წამომეყვანა... აბა, რა გითხრათ, ჩემო ივანე, ნინო შარშან მივაბარეთ მინასა... – ეფემია ძლივს იკავებს ქვითინს, მაგრამ მაინც განაგრძობს – ეკატერინელა იყო ჩვენი ნუგეში. იქნებ გსმენიათ კიდეც, პარიზში ერთი წლის მანძილზე ორჯერ გამიმარჯვა სილამაზის კონკურსში, მთელი პრესა ააღაპრავა, ხელის მთხოვნელებიც მაშინვე გამოუჩნდნენ, სულ რჩეული არისტოკრატები, მაგრამ რად გინდა?!

– ეფემია ნაჩქარევად იწმენდს ცრემლებს, ხმაში სიბრაზე ერევა – გრიგოლმა სასწრაფოდ გამაგზავნა პარიზში ეკატერინეს წამოსაყვანად. ეგ ერთი შვილილა დამრჩა და ვერ ავიტან, უცხოელს რომ გაჰყვეს ცოლალო. წარმოგიდგენიათ? გრაფ შერემეტიევიც კი უარი გვათქმევინა... მოკლედ, წამოყვანით კი წამოვიყვანე, მაგრამ ბედის დაცინვა იყო, თუ არ ვიცი, რა დავარქვა, სულ რაღაც ორი კვირის წინ ეკატერინემ მალულად იქორწინა და სწორედ რომ უცხოელზე.

– რას ბრძანებთ?! – ივანე ძლივს ახერხებს საუბარში ჩართვას, მაგრამ ეფემია მაშინათვე განაგრძობს თხრობას – ახლა არ იკითხავთ, ვის გაყვა? ვიღაც უთვისტომო ფრანგ ებრაელ სტუდენტს, ჟორჟ სეგალს. თბილისში გაუცვინა, ოპერაში... – აქ ეფემიას კვლავ ცრემლი ერევა – ამან ხო სულ მოუთავა ხელი საბრალო გრიგოლს.

ოჯახში არ იღებს. თბილისში დგანან ქირითა. ჰოდა, აბა წარმოიდგინეთ ჩვენი ყოფა... – ეფემიას სიტყვა უწყდება და მწარედ ქვითინებს. ივანე მწუხარებით შესცქერის და სანუგეშო სიტყვებს ამოდ ეძებს. თუმცა ეფემია მალევე იკავებს თავს და მასპინძელს ნაძალადევად უღიმის – გთხოვთ, მაპატიოთ. თქვენცა ხვდებით, რა რთულია ასეთ დროს თავის შემაგრება... მაგრამ ჩემი მოსვლის მიზეზი ის არ ყოფილა, რომ ზედმეტად დაგამძიმოთ და დაგამწუხროთ. პირიქით, ჩემი ოჯახის ამგვარი ძნელბედობის ჟამს მინდოდა თქვენთვის გამეზიარებინა ის სიხარული და კმაყოფილება, რაც თქვენდაუნებურად ამ ბოლო თვეებში მომანიჭეთ... ჰოდა, თქვენი ჩამოსვლის ამბავიც რომ შევიტყვე, სახლში ველარ გავჩერდი. გრიგოლის სურვილიც იყო, რომ ამ საღამოსვე მენახეთ. მითხრეს კია, არავის იღებსო, მაგრამ მაინც ვაგებდე და გამიმართლა კიდეც.

– მაინც რომელ სიხარულზე მელაპარაკები? – საგონებელში ჩავარდნილი ივანე ადგილს ვერ პოულობს სავარძელში. ამ დროს კარზე აკაკუნებენ და მსახურს ლანგრით ვახშამი შემოაქვს – მაპატიეთ, ბატონო, მაგრამ დრო გადაგიცდათ... ივანე ანიშნებს, დაგვტოვეო და კვლავ სტუმარს მიუბრუნდება – მაგიდასთან მობრძანდი, ეფემია, ერთად ვივასშმოთ და ისე განვაგრძოთ საუბარი... მაშ, რა სიხარული მოგანიჭე ასეთი? ვერაფერს ვხვდები, რაღა დაგიმალო...

– თუ არ მიწყენთ, ცოტა შორიდან მომიწევს ამბის დაწყება,

– მოკრძალებით წარმოთქვამს ეფემია, – უბრალოდ, უფრო ნათელი რომ იყოს თქვენთვის.

– კი ბატონო, კი ბატონო, – ნაჩქარევად წარმოთქვამს ივანე – აბა, გისმენთ ყურადღებით.

– ჯერ იმას მოგახსენებთ, – იწყებს თხრობას ეფემია – რომ ჩემი ძმა იაკობი უკვე ცხრა წელია, ბაქოში ცხოვრობს. ცხადია გსმენიათ, საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ჩვენი ინტელიგენციისა და თავად-აზნაურობის კარგა დიდი ნაწილი აიძულა, ემიგრაციაში გახიზნულიყო. ჰოდა, იაკობიც დღესდღეობით ბაქოში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

– დასანანია, – ჩაურთავს ივანე – ისე მოხდა, რომ ვერა და ვერ გადაიკვეთა ჩვენი გზები. არადა, სულ მინდოდა იაკობის გაცნობა. ბოლოს და ბოლოს კოლეგებიც კი ვართ გარკვეულწილად.

– ერთ დროს შეიძლებოდა ასე გვეთქვა, – ამოიხრებს ეფემია, – უბრალოდ, მართლა დასანანია. პეტერბურგიდან დაბრუნდა თუ არა, მაშინვე მიანება თავი ფიზიოლოგიას და ჟურნალისტობას მიჰყო ხელი. ამჯობინა, ჩვენს სასიქადულო ილია ჭავჭავაძეს ამოსდგომოდა მხარში. „ივერიაში“, „მომბეში“, „საყმანვილო ჟურნალ „ჯეჯილშიც“ კი იმგვარი სიხშირით იბეჭდებოდა მისი წერილები და ინფორმაციები, რომ ხშირად გვარსაც კი აღარ აწერდა, ხან ფსევდონიმებს იყენებდა. ერთი სიტყვით, იმდენად იყო ჩანთქმული თავის საქმეში, რომ აღარც ოჯახი ახსოვდა და აღარც დასვენება. – ეფემია კვლავ ოხრავს – სამწუხაროდ, ეს გახდა კიდეც მიზეზი, მისი ოჯახის დანგრევისა.

– ოჰ, რას ბრძანებთ. – ივანე სინანულით უქნევს თავს ეფემიას.



– ეგეც არ იყოს, – გატაცებით განაგრძობს ეფემია – იაკობი საკმაოდ დროს უთმობდა საზოგადო მოღვაწეობასაც. ის გახლდათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი, მისი თაოსნობით გახსნა საზოგადოებამ თავისი წიგნის მაღაზია, რომელიც მთელ საქართველოში ავრცელებდა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. სიძველეთა მუზეუმის დაარსებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის.

– ერთი სიტყვით, ჩემო ეფემია, – აღფრთოვანებით ერთვება ივანე, – თქვენი ძმა ქვეყნისთვის ეროვნული მოღვაწე ყოფილა. ასე რომ, გული ნუ დაგწყდებათ, ფიზიოლოგიას თუ არ გაჰყვება... ნეტა, მეც შემძლებოდა, მეტად გამოვდგომოდი სამშობლოს... – ივანეს სიტყვა უწყდება და აკანკალებული ხელით ჩაის ფინჯანს ეტანება – მიირთვი, ეფემია, ჩაი გაგიცივდა.

– ჩვენი ქვეყნის სასახელოდ თქვენი მარტო სახელიც კი კმარა! – ამაყად წარმოთქვამს ეფემია და ჩაის ფინჯანს გვერდზე სწევს – დიდი მადლობა, მაგრამ...

– რაც არის, არის – უხერხულად იმუშუნება ივანე – მოდი, ისევ იაკობს დავუბრუნდეთ. ახლა რას საქმიანობს ბაქოში?

– ოჰ, თქვენ მართლაც რომ არ იცნობთ ჩემს ძმას. – ელიმება ეფემიას – უპირველესად, იქაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უდგას სათავეში. მგონი, საპატიო წევრადაც უპირებენ არჩევას ამ მოკლე ხანში. ასევე ხელმძღვანელობს საადგილმამულო ბანკის ბაქოს განყოფილებას. სხვათაშორის, იაკობს დიდი კომერციული ნიჭი და ალლო გააჩნია. ამასობაში ნავთობმწარმოებლადაც მოგვევლინა, მაგრამ მთელ შემოსავალს, მიწა გითხრათ, საზოგადოებრივ საქმეებს ახმარს. – ეფემიას ხმაში კვლავ სიამაყე გამოსჭვივს – ბოლოს მწერდა, რომ უკვე იწყებს ქართული სკოლის მშენებლობას ბაქოში, ცხადია, საკუთარი ხარჯებით. და მეტიც, სურს ქართული თეატრის დაფუძნებაც. – აქ ეფემიას უხერხულად ელიმება

– ბარემ გეტყვით, რომ იაკობი მეორედ დაქორწინდა ბაქოში. შესანიშნავი ქალბატონი შეურთავს, იქ მოღვაწე ქართველი, რუსული ენის პედაგოგი ნინო გვარამაძე... ნეტა, თუ ველირსები ოდესმე მათ ხილვას?... – ეფემიას აღელვებისაგან სიტყვა უწყდება.

– მამ იაკობი მეორედ დაოჯახდა? – კეთილად ელიმება ივანეს – მოსალოცი ამბავია. ადამიანმა პირად ბედნიერებაზეც ხომ უნდა იფიქროს? მუდამ საზოგადო და სამეცნიერო საქმეებით ხომ არ უნდა იყოს დაკავებული? აი, თუნდაც მე. – ივანე ხელმეორედ უსხამს ჩაის ეფემიას და მხიარული ტონით განაგრძობს – 62 წლისა მოვიყარე და სულ რაღაც სამი წელია, რაც დაქორწინდი. აქამდე კი ამ საქმისათვის უბრალოდ ვერ მოვიცალე.

– რას ბრძანებთ, არაფერი გვსმენია! – აღტაცებით წამოიძახებს ეფემია და კვლავ გვერდზე სწევს ჩაის ფინჯანს. – შეიძლება ვიცოდეთ, ვინ არის ის ბედნიერი? ან რატომ თან არ გახლავთ თქვენი მეუღლე?

– გულით უნდოდა, – თავშეკავებით პასუხობს ივანე – მაგრამ ჩვენს პანია გოგონას ვერ დატოვებდა, თან საქმეც ბევრი აქვს... ისე, ძალიან კარგი მეუღლე შემეზდა, ოღონდ ჩვენს გრიგოლს კი ნამდვილად არ მოეწონებოდა, ქართველი არ გახლავთ და იმიტომ... – მასპინძ-

ლის ხუმრობაზე ეფემია იმუშუნება, მაგრამ დუმის ამჯობინებს.

– ჩემი მეუღლე პროფესიით სკულპტორია, – განაგრძობს ივანე – ელენე პავლეს ასული ანტოკოლსკაია. სხვათაშორის, თქვენი ძმისა არ იყოს, ისიც ფიზიოლოგიაში მუშაობდა, მაგრამ მერე ხელოვნებამ გაიტაცა...

– ოჰ, ნულა მახსენებთ, – დანანებით წარმოთქვამს ეფემია – თავიდან რა კარგად იყო ყველაფერი. თქვენ ორივენი, მართალია, სხვადასხვა დროს, მაგრამ მაინც დიდი რუსი ფიზიოლოგის ივანე სეჩენოვის აღზრდილები ბრძანდებით. მის ლაბორატორიაში მუშაობდით... მართლა, დასანანია, პირადად რომ არ იცნობდით იაკობს, ვიცი, მოგეწონებოდათ.

– ოჰ, ერთი წუთით, – ივანე სანერ მაგიდასთან მიდის და რომელიღაც ძველ ჟურნალს ფურცლავს – „ივერიის“ ამ ნომერში პროფესორის თანამდებობაზე დანიშნებას მილოცავენ. ბიძაჩემი ყველაფერს აგროვებდა და ინახავდა, რაც ჩემ შესახებ იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. ეს ნომერი 1877 წლისაა. წერილის ავტორი კი უცნობია. იქნებ სწორედ იაკობის გამომხატვრებაა, აბა, ნახეთ, თქვენ ხომ იცნობთ მის ხელწერას? ეფემია მონივნებით ჩამოართმევს ჟურნალს და ხმამაღლა კითხულობს: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჩვენი ქართველი სწავლული თარხნიშვილი პეტერბურგის საექიმო აკადემიაში ფიზიოლოგიის პროფესორად დაუნიშნავთო. სტუდენტებს აკადემიისას თურმე ძალიან უყვართ თარხნიშვილი და მისი დანიშვნა გახარებიათ. ამით ქართველთაგანი ეხლა სამი პროფესორია: ერთი ალ. ცაგარელი პეტერბურგის უნივერსიტეტში, მეორე ვასილ პეტრიაშვილი ოდესის უნივერსიტეტში და მესამე ივანე თარხნიშვილი“. დიახ, ნამდვილად ჰგავს იაკობის ხელწერას – აღელვებული ეფემია ჟურნალს უბრუნებს მასპინძელს და უნებლიეთ კედლის საათს ახედავს, – ღმერთო, რა დრო გასულა. ალბათ ძალზე დაგდაღეთ. მე კი ჯერ მთავარი მიზეზი არ მითქვამს თქვენთან სტუმრობისა.

– მერე, ბრძანე, საჩქარო რა არის? სწორე გითხრა, ძალზედ მსიამოვნებს შენთან საუბარი. – დაყვავებით მიმართავს ივანე და კვლავ ეფემიას პირდაპირ ჯდება – ვიცი, ჩემს ჩამოსვლასთან დაკავშირებით რა მითქმა-მოთქმაც ატყდებოდა სოფელში, მაგრამ ეგ შენს თავზე არ მიიღო, თუმცა ნურც დამძრახავ. მეტისმეტად გადაქანცულს დასვენება და განმარტოება მესაჭიროებოდა... შინაგან ემოციებზე ხომ აღარაფერს ვიტყვი. თუ დამიჯერებ, სამი დღის ჩამოსული ვარ და ჯერ მშობლების საფლავებზეც კი არ ავსულვარ... მე... მე... ძლიერ ავად ვარ, ეფემია, დიდი დრო აღარ დამრჩენია...

– თქვენს მიღწევებს ფიზიოლოგიასა და მედიცინაში მთელი მსოფლიო აღიარებს, – გულწრფელი გაცხებით წარმოთქვამს ეფემია – განა რა არის ასეთი, რომ საკუთარ თავს ვერ უწამლებთ? – ივანე პასუხად მხოლოდ ხელს ჩაიქნევს. – ეხლა გამახსენდა, – განაგრძობს ეფემია, იქნებ მოვავუნებო მასპინძელი – პარიზში ყოფნისას შევიტყვე, რომ სამი წლით ადრე თქვენ საერთაშორისო გამოფენაზე „საპატიო ლეგიონის“ ორდენით დაუჯილდოვებხართ. სასწრაფოდ ვამცნე იაკობსა და იმას უკვე გამოემზეურებინა ეს სასიხარულო ამბავი „ივერიაში“. რა ბედნიერება იქნებოდა, პარიზში მაინც

რომ შევხვედრილიყავით, არა, ივანე?!

– მე დიდი ხნით ვერსად ვყოვნებოდი. – კვლავ გამოცოცხლდება ივანე – ეგ იყო 1900 წელსა. დაჯილდოების შემდეგ კვლავ პეტერბურგში დავბრუნდი. მომდევნო წელს კი უკვე ბრიუსელში გახლდით ლექციების წასაკითხად... ასე, მფრინავი ჰოლანდიელივით დავეხეტები ჩემი მთელი დღე და მოსწრება... მაგრამ, მოდი, თქვენს მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ.

– სიამოვნებით. – ეფემია მოხერხებულად ეწყობა სავარძელში – საქმე ის გახლავთ, რომ იაკობი მეტისმეტად სწუხს, რომ ჩემი ოჯახის ძნელბედობის ჟამს გვერდში ვერ გვიდგას. ამიტომ ბაქოდან ხშირად გვიგზავნის წერილებსა და ამანათებს, საინტერესო წიგნებს, რომ მე და გრიგოლმა ცოტათი მაინც გული გადავავალოთ. ჰოდა, სწორედ ამ შემოდგომით მივიღე მისგან დიუმას „კავკასია“, რუსულ ენაზე გადათარგმნილი. ყოველთვის მინდოდა, ნამეკითხა ეს წიგნი, ვინაიდან მსმენოდა, რომ დიდი ფრანგი რამდენიმე თავს უთმობს თქვენთან და მამათქვენთან შეხვედრას. პარიზში ჩემი ფრანგული კი ამდენს ვერ გასწვდებოდა.

– რა ხანია, დიუმას წიგნი თარგმნილია, – ივანეს სახეზე კვლავ ღიმილი გადაურბენს – ჯერ კიდევ 1861 წელს გამოიცა პეტერბურგში. რალა დაგიმალათ და მეც ყოველთვის დიდი სიამოვნებით გადავფურცლავ ხოლმე მაგ თავებსა. მართლაც, რამხელა პატივი დამდო ამით დიუმამ.

– ნეტა ქართულ თარგმანსაც მოჰკიდოს ჩვენში ვინმემ ხელი. – დანანებით წარმოთქვამს ეფემია – მაშინ ხომ მთელი ქვეყანა გაიგებდა ამ დიდებულ ამბავსა... არა, მაინც რა აღფრთოვანებითა და სიყვარულით იგონებს დიუმა თქვენთან, 11-12 წლის ბავშვთან შეხვედრას, გნებავთ – მამათქვენთან. აზერბაიჯანის მიყრუებულ ქალაქ ნუსხაში ყოფნის დღეები მართლაც რომ თქვენ გაუცისკროვნეთ დიდ მწერალსა.

– ჰო, ასეა – უდასტურებს ივანე – მაშინ მამა ნუხის მაზრის გენერალ-გუბერნატორი გახლდათ. მართალი გითხრათ, ცოტა გულს დამაკლდა, დიუმას სულ ჩემზე რომ აქვს აქცენტი და მამაზე ბევრს არაფერს წერს. არადა, შენ კარგად მოგეხსენება, ეფემია, რომ რამაზ თარხან-მოურავი დიდად გამორჩეული სამხედრო მოღვაწე გახლდათ. ჩემს კოლექციაში თავმოყრილია ყველა მისი ჯილდო და ორდენი, ასევე ოქროს იარაღი გამოჩენილი მამაცობისთვის...

– როგორც ჩანს, დიუმას თვალში თქვენ ყველა დაჩრდილეთ თქვენი უზადო გარეგნობითა და ფრანგულის ბრწყინვალე ცოდნით, საკუთარი მამაც კი – კისკისებს ეფემია.

– ფრანგულის ცოდნით კი, – სიცილითვე პასუხობს ივანე – მაგრამ ჩემი მიამიტობით მგონი მართლა გავანწყენე, როცა ვუთხარი, სიზარმაცის გამო ჯერ თქვენი არაფერი წამიკითხავს – მეთქი.

– მერე, იქვე ხომ შეპირდით, რომ ყველა მის რომანს წამიკითხავდით?

– მხიარულადვე ეპასუხება ეფემია – აბა, ერთი მიზრძანეთ, შემდგომ თუ შეასრულეთ თქვენი დანაპირები?

– მთლად ალბათ ვერა. – ხელებს შლის ივანე – ისევ და ისევ ჩემი მოუცლელიობის გამო: გაუთავებელი მოგ-

ზაურობა, მსოფლიო კონგრესები, ლაბორატორიები, სალექციო კურსები... ამ ყველაფერმა შეინარა ჩემი ჯანი.

– თქვენ ისე საუბრობთ, თითქოს ცხოვრებას აჯამებდეთ, – საყვედურით მიმართავს ეფემია – წინ კიდევ ბევრი ასეთი მოგზაურობა და სასიქადულო საქმეები გელით.

– მეც ვიტოვებ მაგ იმედს, – ივანე საჩქაროდ ცვლის საუბრის თემას.

– ერთი ეს მითხარი, ეფემია, წელან ფრანგულის ცოდნა ახსენე და როგორც ჩემი თბილისური პერიოდებიდან მახსოვს, საქართველოში უფრო რუსულს სწყალობდნენ ვიდრე ფრანგულსა. დღესაც ასეა?

– არა, რატომ? – იუკადრისებს ეფემია – მართალია, ჩვენც უფრო რუსულს გაიგონებთ, მაგრამ აბა ერთი გორისკენ იკითხეთ? სოფელი მეჯვრისხევი ხომ იცით? ერთობ განვითარებული სოფელია კულტურის მხრივ. მთელი ჩვენი საერისთავო მანდ იყრის თავსა, მით უფრო ზაფხულობით. მაგათი სალონური შეკრებები სახელგანთქმულია. სჯა-ბაასი კი უმეტესად ფრანგულ ენაზე აქვთ გამართული. ერთი-ორჯელ მე და გრიგოლიც დავსწრებივართ მაგ შეკრებებს ესტატე ერისთავის სასახლეში. ასეა, ჩემო ივანე, დღესაც ხალხი „პატარა პარიჟს“ ეძახის მეჯვრისხევსა.

– ძალიან კარგი, ძალიან. – თავს უქნევს ივანე – ასე განსაჯეთ, მეც სიამოვნებით დავესწრებოდი ამგვარ თავყრილობებს, მაგრამ დრო...

– კედლის საათი რვაჯერ ჩამორეკავს – ოჰ, სულ გადამაინწყდა – ივანე განჯინიდან წამლის შუშას იღებს – მომიტევეთ, ეფემია, მაგრამ დროულად თუ არ დავლიე...

– რასა ბრძანებთ, საბოდიშო მე მაქვს, – წუხს ეფემია. – იმედია, მალე გიშველით ეგ წამლობა. ვიცო, თქვენწინაირ პიროვნებასა და მეცნიერს უფალი არ გასწირავს.

– უფალი, ღმერთი... – ივანე უდიერად აიქნევს ხელს და წამლის შუშას კვლავ განჯინაში დებს – ეს ცარიელი სიტყვებია მხოლოდ.

– რასა ბრძანებთ, ივანე, ხომ არ მომეყურა? – შემოფოთებული ეფემია ლამის ადგილიდან წამოიჭრას, მაგრამ ივანე ხელის მოძრაობით აჩერებს ქალს და მტკიცედ აცხადებს: – მე მხოლოდ ერთ რწმენას ვიზიარებ, ჩემო ეფემია და მჯერა მთელი არსებით, რომ ყველაფერი, რაც არსებობს, მეცნიერების შესწავლის საგანი უნდა გახდეს და ყველაფერი, რასაც მეცნიერება მიაღწევს, ცხოვრებაში უნდა განხორციელდეს. – აი, მთელი ჩემი სარწმუნოება. სწორედ მის მსახურებას შევალეთ მთელი ჩემი ძალ-ღონე.

ეფემია დაბნეულად შესცქერის მასპინძელს და ფრთხილად წარმოთქვამს – თუმცა ან რად მიკვირს თქვენი ეს აზრები. ვერ მოვასწარი, მეთქვა, რომ იაკობმა დიუმას წიგნთან ერთად თქვენი ბოლოდროინდელი ნაშრომიც გამომიგზავნა, ვინაიდან თავად აღფრთოვანებულ იყო ამ ნაშრომით და სურდა, ჩემთვისაც გაეზიარებინა თავისი აღფრთოვანება.

– რომელი ნაშრომი გაქვთ მხედველობაში? – ინტერესდება ივანე.

– ალბათ „შთაგონება, ჰიპნოტიზმი და აზრების წაკითხვა,“ ხომ? ბოლო დროს ეგ გამოქვეყნდა.

– სწორედ, სწორედ, – უდასტურებს ეფემია – რაც შევიძელი, გულდასმით ნავიკითხე თავიდან ბოლომდე. ალბათ ყველა დეტალს სიღრმისეულად ვერ ჩავნვიდი, მაგრამ რისი დამტკიცებაც გასურდათ ამ თქვენი ნაშრომით, ეს კი ცხადზე უცხადესი შეიქმნა ჩემთვის.

– ეფემიას ხმაში სიმკაცრე გამოსჭვივის – თქვენ უარყოფთ ყოველივე ზებუნებრივს, გარე ძალების ჩარევას ადამიანის ცხოვრებაში და ნებისმიერ არამატერიალურ გამოვლინებას ჩვენს ყოფაში ფანტაზიის ძალას მიაწერთ.

– სრული სიმართლეა, – უდასტურებს ივანე – მე მეცნიერი ვარ და ჩემთვის პრიორიტეტია ინდივიდის ცნობიერების ჩამოყალიბება ალზრდისა და განათლების გზით. არავითარი ბოროტი და კეთილი ნება! ადამიანი თავის არჩევანში სრულიად თავისუფალი უნდა იყოს. – აღელვებული ივანე ადგილიდან წამოიჭრება და თითქოს მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე გამოდისო, ენერგიულად განაგრძობს – მაგრამ არჩევანის თავისუფლება, პიროვნების თავისუფლება, რომელიც ასე ალამაზებს მინიერ ცხოვრებას, როგორც აღვნიშნავ კიდევ ჩემს ნაშრომში, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენი ცნობიერება აღსავსეა მრავალფეროვანი იდეებითა და წარმოდგენებით და დამონებული არაა ერთ მეტისმეტად ძლიერ იდეას გაბატონების გამო, რომელიც ყველა დანარჩენს თრგუნავს და გამორიცხავს მათ შორის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას.

ეფემია სრულიად დადუმებული და ჩაფიქრებული შესცქერის მეცნიერის ამ უცნაურ მეტამორფოზას. – დიახ, – გატაცებით განაგრძობს ივანე – წარმოდგენებისა და იდეების მრავალფეროვნება, რომლებიც ერთმანეთს აზომიერებენ, და მოპოვებულია უმაღლესი გონებრივი კულტურით, პიროვნების თავისუფლების საუკეთესო გარანტიაა. ამრიგად, გონებრივი კულტურის გზა იმავდროულად არის ადამიანის ბედნიერების უმაღლესი იდეალის მიღწევის გზაც – ესაა გზა ინდივიდუალური თავისუფლების შეცნობისაკენ... – კედლის საათი ცხრაჯერ ჩამორეკავს; შეცბუნებული ეფემია ფეხზე წამოიჭრება. – ახლა კი მართლაც დროა, დაგტოვოთ, ივანე. ჩვენ, როგორც ვხედავ, სასაუბრო არ გამოგველევა, მაგრამ იმედია, კიდევ შევხვდებით. დამპირდით, რომ გვესტუმრებით.

– გპირდები, რა თქმა უნდა! – დაბეჯითებით უდასტურებს ივანე – ძალიან მინდა გრიგოლის ნახვა და... ერთ საკითხზეც საგანგებოდ მსურს მასთან საუბარი.

ეფემია ინტერესით შესცქერის მასპინძელს. ივანეს ელიძება.

– ისეთიც არაფერია, შემოიძლია პირდაპირ გითხრა: ბოლო ხანებში ერთი ფიქრი არ მასვენებს. მინდა, ჩემი დიდი წინაპრის სააკაძის გვარი დავიბრუნო. თუმცა, ისიც ვიცი, რომ ბევრ წინააღმდეგობას შევხვდები ამ საქმეში. მთელ რუსეთსა და ევროპაში უკვე დიდი ხანია, თარხანოვად მიცნობენ და ეს გარკვეულ უხერხულობას შემქმნის... და მაინც, ვიფიქრე, ეგებ გრიგოლს ერჩია რამე...

ეფემია კვლავ განცვიფრებული შესცქერის ივანეს

და ძლივს აბამს თავს სათქმელს – მამ, თქვენი სტუმრობის კონკრეტული მიზეზიც გამორჩნდა და ეგ არის. ხომ იცით, თუ რამე შეეძლება, გრიგოლი თქვენთვის არაფერს დაიშურებს... დიდად გმადლობთ მასპინძლობისთვის. დღეს თქვენმა ხილვამ ეს გაუბედურებული ქალი ხელახლა გამაცოცხლა, ძალა შემმატა. ისეც თქვენს სამყაროში ვტრიალებდი ეს ბოლო თვეები და აბა, როგორ შემეძლო თქვენი უნახაობა?!

ივანე უსიტყვოდ იკრავს გულში ძვირფას მეგობარს და კარებამდე მიაცილებს. იმ წამს ეფემია და ივანე ვერც წარმოიდგენდნენ, რომ ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იქნებოდა...

მომდევნო დღეებში ივანეს ჯანმრთელობა გაუარესდა, ზედ გრიპიც დაერთო და მეცნიერი კვლავ ლოგინს მიეჯახჭვა. ეფემია ხშირად აკითხავდა, თუმცა მსახური მასაც და სხვა მეგობარ-ნათესავეებსაც უარით ისტუმრებდა.

ივანემ ოდნავ მოიკეთა თუ არა, ისევე უჩუმრად დასტოვა მშობლიური სოფელი, როგორც ეს ჩამოსვლის დროს მოხდა. პეტერბურგიდან შეტყობინება მოვიდა, სასწრაფოდ იბარებდნენო დიდ მეცნიერს სამედიცინო აკადემიაში – იმასაც რალა ექნა?! – ყვებოდნენ სოფელში.

იმავე 1908 წლის ზაფხულში ეფემიამ ძმისგან მორიგი წერილი მიიღო. იაკობი ერთობ სამწუხარო ამბავს ატყობინებდა: „ალბათ საქართველოშიც გაიგებდით უკვე: 11 აგვისტოს გარდაიცვალაო დიდი მეცნიერი, ჩვენი საამაყო ივანე თარხნიშვილი. იგი არნახული პატივით დაუკრძალავთ პეტერბურგში, ტიხვინის სასაფლაოზე, ალექსანდრე ნეველის ლავრაში...“

რამდენიმე წლის შემდეგ იაკობ მანსვეტაშვილი უკვე საფრანგეთიდან, ნიცადან აუწყებდა ეფემიას:

ძვირფასო დაო, ვიცი, გამიგებ და მზატიებ, ამდენ ხანს რომ ვერა მოგწერე-რა. ძალზედ რთული ყოფილა ემიგრანტის ცხოვრება. შენც იცი, ბაქოშიც აღარ დავგვედგომებოდა - რევოლუციის ქარ-ცეცხლი, არეულობა, რეპრესიები... მოკლედ, რის ვაი-ვაგალახით ჩამოვალნიეთ ნიცამდე. ღვთის მადლით, ნინო და ჩვენი პატარა ბორისი კარგად არიან. აქაური ქართველობა დიდი სიხარულით შეგვხვდა. კარგადაც დაგვაბინავეს. ესლა ვერ ვითმენ, რომ სასიხარულო ამბავი არ გაუწყო. აქ შევიტყვე პეტერბურგელი ქართველებისგან, რომ ივანე თარხანოვის ქალიშვილს მოუხერხებია სააკაძის გვარის დაბრუნება და ამგვარად, დაუსწრებლად მამის სანუკვარი ოცნებაც აუხდენია...

ძვირფასო დაო, მათგანვე შევიტყვე, რომ მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში დაუმკვიდრებიათ ცნება „თარხანოვის ფენომენი“, რითაც მოიხსენიებენ კანში აღმოცენებულ ნელ ელექტრონულ ეფექტებს... აი, ხომ ხედავ, ჩემო ეფემია, რომ სახელოვანი საქმეები უკვალოდ არ იკარგება. მტკიცედ მჯერა და შენც იცოდე, რომ „თარხანოვის ფენომენი“ მარადიულად იარსებებს მეცნიერებაშიც და მისი ნათესავ-ახლობლების ცნობიერებაშიც...



რუსუდან ჭანტურიშვილი

ლევან ვასაძის ლექსების სათავეებთან

2016 წელს გამომცემლობა „სიესტამ“ გამოუშვა ლევან ვასაძის ლექსების კრებული, რომელიც პოეტის ბაბუასა და ბებუას ეძღვნება წარწერით: „ლევან ჭანტურიშვილს (ბაბუს) მისი ზღაპრებისათვის და მარიკა აბაშიძეს (ბუბას) შენახული ოცნებებისათვის“.

მოვიტან ამონარიდს კრებულის რედაქტორის, ბატონ რეზო ამაშუკელის წინასიტყვაობიდან: „- რთული, მთლიანი და აღნაგი პიროვნება, რომელიც გასაოცარი თავგანწირვით ჰგავს თავის სამშობლოს, და მე თუ მკითხავთ, ეწირება კიდეც მას და ეს ერთგულეა გულწრფელია და მართალი, ისევე, როგორც მისი ბევრი ლექსი ამ კრებულიდან!... შეიძლება ვცდები, მაგრამ მაინც ვჯიუტად ვიმეორებ: - ეს ლექსები მე ლევან ვასაძის თავშესაფარი მგონია, სადაც მხოლოდ სიკეთის, ზნეობისა და სიყვარულის სანთლები ბიბინებენ! სადაც ლოცვა და ვედრება ეკუთვნის მის სამშობლოს, მის ანმოსა და მომავალს, და ადამის მოდგმის გადარჩენასა და ბედნიერებას!...მე ქედს ვიხრი მისი ზნეობისა და ქართველობის წინაშე!“

ბატონი რეზოს წინასიტყვაობას ლევანის ლექსებიდან ამონარიდებიც ამშვენებს, 3 წლის ასაკში გამოთქმული პირველი ლექსი კი - „**მთვარე ხადავს კულუს**“, სადაც იგი მთვარეს ესაუბრება, მთლიანად მოჰყავს.

ლექსის სრული ვარიანტი, რომელიც ბაბუმ და ბუბამ ჩაინერეს პატარა ლევანისაგან, ჩემს საოჯახო არქივშია დაცული, ვინაიდან ლევან ჭანტურიშვილი მამაჩემის უმცროსი ძმა იყო და თავისი შვილიშვილის ლექსებს ხან თვითონ, ხან კი მისი მეუღლე - მარიკა აბაშიძე გვიკითხავდა ხოლმე, მე კი მომწონდა და ვინერდი.

ამ ლექსის მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ მოხდა საქართველოში და ლევანმაც ბევრი სიმწარე იწვნია: 9 აპრილის ქარცეცხლში კინალამ დაბრმავდა და სერიოზული მკურნალობა დასჭირდა; ძმათა შორის გამართულ ომში, შევჩნეკოს ქუჩაზე მშობლიური სახლი დაეწვა და ბავშვობის დროინდელი სურათებიდან, ლექსებიდან მხოლოდ ის შერჩა, რაც ბაბუს და ბუბას თავიანთ ახალ სახლში თან ჰქონდათ წაღებული. იმ ავბედით დღეებზე ლაღადებენ 22 წლის ლევანის ლექსები: „**სამოქალაქო ომის დროს**“ (მინაწერით: დეკემბერი, 1922, თბილისის წარწერები) და „**სამოქალაქო ომის შემდეგ**“ (იანვარი, 1922, თბილისი). აი, ამონარიდები ლექსიდან


„სამოქალაქო ომის დროს“

„ მე მიკვირს წვიმის, ის შორით მოვა და ვერ ჩააქრობს ცეცხლიან სახლებს, მერე იფიქრებს: „ნავიდე დროა“ და თან გაჰყვება ზეციურ არხებს.

მე მიკვირს ხალხის. მათ აქვთ თოფები თითის დაჭერით რომ სპობს სიცოცხლეს,

დაუნდობელი შიშის ცოფები, ძახილად: „მე, ხომ არ შემიცოდეს!“....

ლექსი „**სამოქალაქო ომის შემდეგ**“ კი ასე მთავრდება: „მენამური, ცეცხლოვანი ფერები და მაისის ოდნავ მოსჩანს ნაპირები, მე თბილისი უცებ შემომბერება ჩემი ძმების ურთიერთ კვლით ნატირები“.



ლევანის სახლთან და თბილისის ბევრ სახლთან ერთად, მაშინ, თბილისის პირველი საშუალო სკოლაც დაინვა, რომელიც ლევანმა 1986 წელს დაამთავრა. 80-იანი წლების ბოლოს იყო ახალგაზრდული ეროვნული მოძრაობის წევრი და ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდული ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი. იგი ლამის ბავშვობიდანვე საქართველოს სადარაჯოზე იდგა და ვფიქრობ, სპორტსაც კი, რაგბის, ამ მიზნით მისდევდა.

1992 წელს ლევან ვასაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით; 1995 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ატლანტაში, დაამთავრა ემორის უნივერსიტეტის ასპირანტურა და გახდა ბიზნეს-ადმინისტრაციის მაგისტრი; შემდეგ ამ განხრით რამდენიმე წელი მოსკოვში მოღვაწეობდა და ცოლ-შვილიც თან ჰყავდა; თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა, მაგრამ „სამშობლოს სევდა განუკურნელი“ მუდამ თან სდევდა და ახლა, კიკეთში დაფუძნებულს, იქ შესანიშნავი სკოლის დამაარსებელს და 8 შვილის მამას-სამშობლოს ტკივილი კიდეც უფრო გაუძმაფრდა. 2012 წლის 30 აგვისტოს დაწერილ ლექსში „**გემი ვარ და**“ იგი კვლავ მთვარეს ეჩურჩულება და სულის ნავსაყუდელს ეძებს:

„ვეძებ ნათელს ამ ღამეში, ვეკიდები უფსკრულებს, გავზლართულვარ შავ ლანდებში და მთვარესთან ვჩურჩულებ“.

თუმცა ლევანის ლექსების კრებული ისევ ბავშვობაში, 4 წლის ასაკში მზეზე დაწერილი ლექსით „მზეო“ მთავრდება, მის სულს დღესაც მთვარის მკრთალი ნათება უფრო მიესადაგება. სატრფიალო ლირიკაშიც მისთვის მთვარეა უძვირფასესი განძი:

„შენთვის მთვარე არ მნდომოდა, ნუთუ არას მეტყოდი...“

ეუბნება იგი თავისი ცხოვრების თანამგზავრს ლექსში „**წინოს**“ (2009 წ.).

ზემოაღნიშნულ ლექსში „**გემი ვარ და**“ პოეტი ამბობს:

„გემი ვარ და ჩემი მკერდი



გემბანია მთვარისა,  
ჩემი ლტოლვა სხვისას ერთვის  
მნათობებად ღამისა“.

გემის სიმბოლიკა საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ ლევანის გემი, ვფიქრობ, ქრისტიანულ ტრადიციაში მიღებულ ხომალდის საკრალურ მნიშვნელობას მიესადაგება. პროფ. ზაზა აბზიანიძის „სიმბოლოთა ილუსტრირებულ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „ხომალდი, ჯვარს მიმსგავსებული ანძითა და ასევე ჯვრისთავიანი ლუზით, – მაცხოვრის ადრექრისტიანული ემბლემა იყო. გემი განასახიერებდა აგრეთვე საზოგადოდ ეკლესიას, რომელმაც მის ნებას მინდობილი მრევლი (მგზავრი) უნდა განარიდოს ამქვეყნიური ამაოების ბოხოქაროკეანეს.“

პოეტმა იცის, რომ მან უნდა იბრძოლოს ამ ამაოების წინააღმდეგ და თავის თანამოძმეთაც შეაგნებინოს, რომ სულის გადასარჩენად მამა-პაპათა წეს-ჩვეულები-სა და რჯულის დაცვაა საჭირო. სწორედ მაშინ იქნები ღირსეული მეომარი. მისი ლოცვა, უპირველეს ყოვლისა, სამშობლოს ზნეობრივად გადარჩენისკენაა მიმართული. ლექსში „ამაღლება“ (2011 წ.) ასე მიმართავს იგი უფალს:

„შენ აღმადგინე გვემული,  
შენ წარმიმართე სავალი,  
შენ მომეც გამარჯვებულის  
ღირსებით გამოსავალი.  
ამიტომ გმადლობ, გადიდებ,  
თითქო მრეკავი ზარი ვარ,  
შენს სამსახურში არ ვადგე,  
აბა, რის მეომარი ვარ“.

ლექსში „სააღდგომო“ (გრიგოლ რობაქიძის ანდერძის აღსრულება), რომელიც ლევანმა 2009 წლის აღდგომას დაწერა პატრიარქის თხოვნით: „ახლა მინდა გთხოვოთ რაიმე იმედიანი დასწეროთ,“ პოეტმა მანაც თავის სევდიან ლექსს იმედის ნაპერკლებიც აპკურა:

„ვიცი, არ ხდება ასე ადვილად  
და მანაც სუნთქვაშეკრული ველი  
შენს გაბრწყინებას, რადგან მეც მქვია  
უკურნებელი ერთი ქართველი“.

და მანაც, ლევან ვასაძის ლექსებში საკუთარი თავით უკმაყოფილება იგრძნობა. 2010 წლის გაზაფხულზე დაწერილ ლექსში „ლოცვა“ ვკითხულობთ:

„აკლია ლოცვა ჩემს დაღლილ სულსა,  
ვით ბუღბუღს სუნთქვა ალიონისა,  
უდაბნოს – წყალი, სინათლე ღრმულსა,  
უკან მდგომს – ჭვრეტა ამბიონისა“....

მაგრამ პოეტი უსასოებში არ ვარდება და იცის, რომ უფალი გააძლიერებს.

ლევან ვასაძის თითქმის ყველა ლექსი სამშობლოზეა. მისი უმთავრესი სატკივარი ისაა, რომ:

„რა სასტიკად დაღუულა  
საქართველოს მიწები,  
ქარის რონინს მთვარეულად  
უცქერს გაფაციცებით“....

პოეტი ხედავს, რომ სამშობლო დაუცველია და ხშირად, მას სხვა კი არა, ჩვენ თვითონ ვაზიანებთ, მაგრამ აქაც უფლის იმედი აქვს:

„ჩვენ ვერ ვუვლით - მან ჩაიკრას,  
ჩვენ ვერ ვიცავთ - მან ცადოს,  
ჩვენგან იგი მან დაიცვას  
და აღდგომა აცადოს“.

„ზამთარი ასურელი მამის სავანეში“/  
27 იანვარი, 2014

„მაყვლის სიტკბოში“ (2013 წ.) პოეტი ნაღვლიანად ამბობს, რომ ქართველის ყველა მარცხს განიცდის, მაგრამ ვერ შველის, რადგან ვერ უგებენ. სევდიან განწყობას მანაც მომავალი თაობის იმედი სძლევეს:

„და აწი, იქნებ, ახლებმა ზიდონ  
თავისი წილი ქვეყნიერება,  
და დათმენაში იპოვონ თვითონ  
ამ ქართველობის ბედნიერება“.

ლევანი სამშობლოს მზეს ფიცულობს. მას ისე აქვს გათავისებული ხალხური ლექსი „მზე დედაა ჩემი“... რომ ლექსში „მზეო წინაპრისა“ (2011 წ.) იგი მზეს მართლა ისე მიმართავს, როგორც დედას:

„მე რომ შემძლებოდა რამე უკეთესი,  
განა არ ვიზამდი უკეთესს, დედავ,  
მაგრამ რაც გაგვაფე, ვერ ვთქვი გამარჯვებად,  
იქნებ აღარც ვგავდე მეომარს, ხედავ?!“

წინაპრის მზე-დედას პოეტი დღევანდელ სამშობლოს ავედრებს.

ლექსში „ხილვა“ (ჩვენს პატრიარქს) (2006 წ.) ლევან ვასაძე დავით აღმაშენებლის ლაშქარში ყოფნას ნატრობს, სადაც ხილული და არა უხილავი მტრებით იქნებოდა გარემოცული:

„ნეტა დავითის ლაშქარში ვიყო,  
წინ მიძღვებოდეს ნათელი მეფე,  
მწყალობდეს ღმერთი ხილული მტრებით  
და ჩემს მხარდამხარ მოაბჯრე ძმებით“.

დღეს ხილული მტერი სანთლით მოსაძებნი გამხდარა. ქვეყანა უხილავი სისინა მტრებით აივსო, მაგრამ უსასოებებიდან პოეტი ისევ ლოცვას და პატრიარქის სიტყვებს გამოჰყავს:

„და იქნებ მალე, მე გაბრუებულს,  
გამინათდება გონების კარი,  
ჩემ პატრიარქის სიტყვას გავიგებ:  
„მზიანი ღამის აისი არის!“

მოსკოვში მოღვაწეებისას ლევანი იყო მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესიის მრევლის წევრი. ასე რომ, სამშობლოში თუ სამშობლოს გარეთ მას არასოდეს მიუტოვებია ლოცვა და განსაკუთრებით, ლოცვა სამშობლოსათვის.

უეჭველად გასათვალისწინებელია, რომ ლევანის უშუალო წინაპარი, მისი ბების-მარია აბაშიძის ბაბუა ერეკლე აბაშიძე დეკანოზი იყო ზემო იმერეთში. მის მშობლიურ სოფელ ჭალაში დღესაც დგას აბაშიძეების შუა საუკუნეების მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, რომლის ინტერიერის მოხატულობა მე-15 ს. დასაწყისს განეკუთვნება. გურიის სოფელ აცანაში კი, სადაც მისი ბაბუის – ლევან ჭანტურიშვილის მამა-დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე სიო ჭანტურიშვილი დაიბადა, ჭანტურიშვილების საგვარეულო, წმინდა გიორგის სახელობის ძველი ეკლესია იდგა, რომელიც ეკლესიათა ნგრევის პერიოდს ემსხვერპლა და დღესაც

დგას ნანგრევებად ქცეული.

მახსენდება სტრიქონები ლევან ვასაძის ლექსე-ბიდან:

„აქ დამნათის კედლიდან  
სახე დეკანოზისა“  
(„ჭალა“, 2010 წ.)

„რა მიწა არის ეს ჩემი მიწა,  
რამდენი ლანდი, რამდენი სული,  
სხვა რას გაიგებს, თუ, როგორ მიცავს  
მე მომავალში ჩემი წარსული“.  
(„მეხსიერება“, 2010 წ.)

სიო ჭანტურიშვილი ვახსენე და არ შემიძლია არ გავიხსენო ნაწყვეტი ლევან ჭანტურიშვილის დღიუ-რიდან: „1970 წლის 20 დეკემბერს ღმერთმა პირველი შვილიშვილი გამომიგზავნა – ლევანი.

მე არ ვიქნები ორიგინალური თუ ვიტყვი, რომ ეს პატარა ბიჭი გაგიჟებით მიყვარდა. სულ ჩვილი რომ იყო, ხელით ამყავდა ფუნიკულორის ქვედა გაჩერე-ბამდე და დაძინებული ჩამომყავდა. როცა ფეხი აიდგა, ხელში აყვანას გაუბრუნებდა და როცა მომავრდა, ერთად მივდიოდით ქვედა სართულამდე, ვჯდებოდით ტრამვაიში, დავსაყრდნობდით ფუნიკულორის პლატოზე და ისე ვბრუნდებოდით. ერთხელ მე და პატარა ბიჭი მორიგ ვოიაჟზე ვიყავით. გავედით ძერჟინსკის ქუჩა-ზე და შევუდექით ნიაღვრის ქუჩას. ზაფხულის ცხელი დღეა, კვირაა. მე გაეჩერდი ამ ორი ქუჩის კუთხეში და ფეხი ვერ გადამიდგამს. „ბაბუ, წამოდი!“ მეუბნება ლე-ვანი. განძრევა არ შემიძლია. რამდენჯერ მე აქ გამი-ვლია, რაღა ახლა დამეტაკა ეს მოგონება...

1927 წელია, მე და დედაჩემი ამ ადგილას ვართ. იქით, შენობასთან ხალხი ირევა. კარები დახურულია. კარები ამალღებულზეა, მანამდე კიბეა. უცებ კარი იღება, ხალხი მიანყდა. დედაჩემი ხელს მკიდებს, ავდი-ვართ კიბეზე, მეშინია არ გამჭყლიტონ, არ გადმომაგ-დონ. შევდივართ გრძელ დარბაზში, ეს დიდი ოთახი მოაჯირითაა გადატყობილი. აქეთა მხარე ხალხით ივსება, ყველა ცდილობს მოაჯირთან დადგეს. მე რი-კულებიდან ვხედავ იქითა მხარის სიციარიელეს. შუა-ში კიბე ამოდის. ცოტაც, და ამოდიან შავ, ერთნაირ ტანსაცმელში გამონყოფილი წვეროსნები. ივსება იქაუ-რობა. ვილაცა მე ხელში მიტაცებს და გადამცემს მოა-ჯირს იქით. ხელიდან ხელში გადავდივარ. ამ გრძელი დარბაზის ბოლოში ფანჯარაა. ფანჯარაში სატვირთო მანქანა ჩანს. იმ დროს თბილისში მანქანები კანტი-კუნ-ტად იყო. მთელი ჩემი ყურადღება იმ მანქანაზეა. ვი-ლაცა წვეროსანი გულში მიხუტებს, მკოცნის. ვხედავ, მამაჩემია. დანარჩენი ბინდშია, აღარ მახსოვს, როგორ დავბრუნდით.

„ბაბუ, რას შეგები, რატომ არ მოდიხარ?“ „ახლავე!“, ვპასუხობ. შევალე სადარბაზო. ჩვეულებრივი კიბეებია ზედა სართულზე ასავლელი. სადაა ის დარბაზი, ვცდუ-ბი? გამოვედი, შემოვუარე სახლს, ვეძებ, სადაა ის ეზო, სადაც მანქანა იდგა. ეზოს არავითარი ნიშანი. მივედი ისევ იმ ტროტუართან – ნამდვილად ეს ადგილია. ბიჭი ძალიან ნერვიულობს, წავედით ჩვეული გზით“.

ამ ბავშვობისდროინდელი უეცარი მოგონების შეს-ახებ ლევან ჭანტურიშვილს ასაკით მასზე უფროსი ნა-

თესავისათვის უამბნია და მისგან შეუტყვია, რომ იმ ადგილზე უნინ „ჩეკა“ ყოფილა. ის მანქანა კი, როცა არახრახდებოდა, სარდაფში ვილაცას ხვრეტდნენ. სხვა პატიოსან, უდანაშაულო ადამიანებთან ერთად, ერთ-ერთი დაპატიმრების დროს სიო ჭანტურიშვილიც იქ იყო დატყვევებული.

ლევან ჭანტურიშვილის „დღიურში“ ჩანერილი ამ და ბევრი სხვა მოგონებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მისმა პირველმა შვილიშვილმა და მოსახელემ – ლევან ვასაძემ ლამის დედის რძესთან ერთად გაითავისა ის პირადი და თან ეროვნული ტკივილი, რაც მის ბაბუას, სხვა რეპრესირებულთა შვილებს და საერთოდ, პატიო-სან მამულიშვილებს აწუხებდათ.

საქართველოს გასაბჭოებამდე ცოტა ხნით ადრე სიო ჭანტურიშვილს მეგობრებმა უთხრეს: „სიო, ბნელი ძალა მოდის, საფრანგეთში მივდივართ და წამოდი!“ სიო ძალიან აღელვებულა, ბოლთას სცემდა, მაგრამ მისი პასუხი ურყევი იყო: „შვილებს ვერ გავაფრანგებ!“

სიო ჭანტურიშვილი 1937 წლის მსხვერპლი გახდა, მაგრამ შვილებს სამშობლო შეუნარჩუნა. ამ პრინციპით გაზრდილი ბაბუ ლევანიც სულ იმას სთხოვდა თავის შვილიშვილ ლევანს, რომ უცხოეთში არ დარჩენილიყო, სამშობლოში დაბრუნებულიყო თავის ცოლ-შვილთან ერთად, რაც ლევანმა ბაბუს გარდაცვალების შემდეგ შეასრულა. ბაბუ ლევანი 2004 წელს გარდაიცვალა.

შვილიშვილმა ლევანმა 2008-2011 წლებში დაწერა მოზრდილი ლექსი „საუბარი ბაბუსთან“. ბაბუს ყველა დარიცხვა ლევანმა ლექსად გამოთქვა.

ლევანმა ბაბუ ლევანს ცოცხალს ვერ მოუხსნო. ამიტომაც წერს ნაღვლიანად, მაგრამ თან ახარებს ბა-ბუს სულს, რომ მისი თხოვნა შეასრულა:

„დამაბრუნა სამოთხეში  
სიხარულის ცრემლებად,  
ას წელს ვითმენ ასეთ დღეში  
და არ დამებევრება“.

ლევანი დაბრუნდა სამშობლოში და თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით დაფუძნდა კიკეთში, სადაც მის დიდ ბაბუას – სიო ჭანტურიშვილსა და მის ოჯახს აგარაკი ჰქონდათ. 1937 წელს მისი დახვრეტის მერე, უსინდისო მთავრობას სიოს ოჯახისათვის ეს აგარაკიც ჩამოურთმევია და მხოლოდ 50-იან წლებში, სტალინის სიკვდილის მერე, სტალინის რეჟიმს უსამართლოდ შე-წირულთა სახელების რეაბილიტაცია მოხდა და ლევან ჭანტურიშვილმა შეძლო კიკეთის აგარაკის დაბრუნება. ასე რომ, ლევან ვასაძემ თავისი დიდი ბაბუს ნაფუძრას მოაშურა და შვილები სამშობლოს დაუბრუნა.

2006 წელს დაწერილ ლექსში „შვილებს“ პოეტი ისე მოძღვრავს მათ, როგორც თავისი მამა-პაპისაგან შეუთვისებია: მიწას გაუფრთხილდნენ, არ დაივიწყონ სიმართლის ფასი, იზრუნონ სამშობლოსათვის, „რომ-ლის ნაირიც არაფერია ქვეყნად“....

შვილებსა და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყ-ვარებული კაცის ერთი სულისმოთქმით დაწერილი ლექსია „ბედნიერებამ მითხრა, ნუ მეძებ“ ( 2009 წ.). ამ 37 სტროფიან ლექსში არა მარტო სამშობლოს სიყვარული, მისი ისტორიისა და გეოგრაფიის ზედ-მინევნით კარგი ცოდნაც ჩანს. ლექსი შედარება-ეპი-

ტეტებიც მდიდარია. 10 მარცვლიანი კატრენების თითქმის ყოველი სტროფი არაერთგვაროვანი რითმებითაა განწყობილი და ერთმანეთს ისე ჰარმონიულად ერწყმის, როგორც სხვადასხვა ხმა მრავალხმიან ქართულ სიმღერებში. ამ ლექსის მთავარი აზრი მინც ის არის, რომ ადამიანმა ბედნიერება სხვაგან კი არა, ისევე თავის თუნდაც მოუწყობელ სამშობლოში, თავისი შვილების თვალელებში უნდა ეძებოს.

ვკითხულობთ ლექსს და თითქოს პირველად გვესმის „შავი ზღვის ნაწურჩულები“, „მეგრული ნანები“. თითქოს პირველად ვხედავთ „კახეთის უდრეკ დგომას“, „დაზამთრებული გურიის მთებს“ თუ „უშბის კალთას მენყრად დაშლილს“... სამშობლოდან უცხოეთში წასულს თუ სამშობლოში დაბრუნება არ უნდა ან არ ეჩქარება, გამოდის, რომ ნამდვილ ბედნიერებასაც არ ეძებს:

.... „ბედნიერებამ მითხრა, არ მეძებ“....

ვფიქრობ, უცხოეთში მყოფი ქართველები, ამ ლექსის ნაკითხვის შემდეგ ვერ დარჩებიან გულგრილნი და სამშობლოში დაბრუნების ბედნიერებას „სიხარულის უხლებ ველებზე იმედის სიოდ“ გამოიძახებენ.

მხატვრული სახეებითა და ემოციური დატვირთვით ასევე ძლიერი, მომწუსხველი და გულიდან ამოხეთქილი ლექსია „იქნებ გუდამაყრის ქათქათა ზამთარმა“.

თვალწინ გვიდგება გოდერძი ჩოხელი თავისი მაღალზნობრივი ნაწარმოებებით. სწორედ გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებების სიღრმისეულმა ცოდნამ, მწერლის უმდიდრესმა ენამ და მხატვრულმა სახეებმა შთააგონა ლევანს 2011 წელს ასეთი ბრწყინვალე ლექსის დაწერა.

„ჩოხელის ზღაპრებში დავფლანგე ხილვები:

კანკემა, შუპყაი, მწორი და მძახველი,  
ჯიხვების არევი, ხარლალი ირმები,  
მათი მყვირალობა ბოძალის მსახველი“....

პოეტი თავის ხორციელ დედას, ისევე როგორც წინაპრის მზე-დედას, ანდობს გულისნადებს და მას უმულავნებს თავის ადამიანურ სისუსტეს. დედის თვალს მინც არაფერი გამოეპარება. სწორედ დედა ლოცულობს დღედაღამ „დევების ჩახოცვითა“ და „სამართლის მტკიცებით“ დაღლილი შვილისათვის, რომელიც უღირსთაგან მიყენებულ სულიერ ჭრილობებს მამას ვერ უშხელს და დედას სთხოვს:

„ამიტომ დამმაღლე ჩრდილებში კალთისა,  
მომსვლელებს უთხარი, რომ ველარ ვარგივარ,  
ნურც ქებას, ნურც აუგს ნუ მასმენ ხალხისას,  
ნურც მას, რომ ცუდი ვარ, ნურც მას, რომ კარგი ვარ“....

ამ ლექსის სათავეში გოდერძი ჩოხელი დგას- ლევანის უსაყვარლესი მწერალი.

ლევან ვასაძის ყველა ლექსს თავისი სათავისაკენ მიყვარათ. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მიძღვნილი ლექსების გააზრებისას. იოსებ გრიშაშვილი წერდა: მიყვარდა ნიგნი და ამ ნიგნმა გადამარჩინაო. შეიძლება ითქვას, რომ ეს გამონაკვეთი ზუსტად მიესადაგება ლევანსაც. მშობლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მისი ბაბუ და ბუბა ლამის დაბადებიდანვე სულ ლექსებს

უკითხავდნენ და ალაპარაკებისთანავე, ბავშვის ლექსი-კაში შევიდა ბარათაშვილის, გალაკტიონის, ტერენტი გრანელის... მხატვრული სახეები. ბავშვის სმენა პოეტური ჰანგებით გამდიდრდა და ბუნებრივმა პოეტურმა ნიჭმაც მალე იფეთქა.

თავის საყვარელ პოეტებს ლევანმა ლექსები უძღვნა. ვკითხულობთ ამ ლექსებს და ვგრძნობთ, რომ სულთა კავშირს არც დრო, არც მანძილი არ აბრკოლებს და პოეტურ სიტყვას ნამდვილად დიდი ძალა აქვს.

„მე ვეძებ სულით შენთან მსგავსებას“ – მიმართავს იგი **გალაკტიონს** და ისიც კარგად იცის, რომ ჩვენ დროშიც

„უმიზეზოდ კლავენ პოეტებს

რკინის ხელებით, ცივი თვალებით“

და „უსამშობლოდ“ დარჩენაც დღეს ჩვეული ამბავია.

**გრანელი** ლევანისათვის არის „ნატიფი სული ცისმარ პოეტის“, რომელსაც იმ ქვეყნადაც ყველას ტკივილი აეკიდება.

**ოთარ ჭილაძეს** ლევანი გენიოსს უწოდებს:

„როგორ სტკიოდა გენიოსს მინა,

რა ფიქრის ხაზად უსერდა სახეს“...

მისი ლექსების კითხვისას მთელი გულით აღმოხდება:

„იმ ლექსის წამში მეც ლექსი ვიყავ,

კუშტი, საშიში და მოზიდული,

უძლევი, როგორც ქართული მინა

ნალალატევი და გაყიდული“.

ოთარ ჭილაძეს ლევანმა შესანიშნავი ვიდეო-კლიპიც უძღვნა: **„ლევან ვასაძე - ოთარ ჭილაძეს“**. ამ ვიდეო-კლიპზე საქართველოს ულამაზესი ხედების ფონზე გვესმის ოთარ ჭილაძის ხმა. იგი თავის ლექსებს კითხულობს. მერე კი ლევანი კითხულობს თავის ლექსს – **„ოთარ ჭილაძეს“**.

2004 წ. გამომცემლობა „სიესტამ“ გამოუშვა ლევან ვასაძის **„დღიური ათონის მოლოცვისა“**, რომლის ბოლოსიტყვაში ლევანი წერს: ...“არ ვიცი, როგორ დავასრულო დღიური. იქნებ ის მიშლის, რომ მისი გამომცემა გადავწყვიტე და რადგან აქამდე არც ერთი ჩემი ნაწერი არ გამოიქვეყნებია, ერთგვარ დაბნეულობას ვგრძნობ. ძალიან არ მინდა, რომ მკითხველმა ათონზე ჩემი ნაწახის და განცდილის აღწერაში რაიმე პრეტენზიული ან მესიანური დაინახოს. უბრალოდ, იმედი მაქვს, რომ ათონის საერო თვალთ დაინახვას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის“.

მეც, დაახლოებით, ასე მინდა დავამთავრო . თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ ლევან ვასაძის ლექსების ჩემი უფიქროსი მიმოხილვა ნაადგება მკითხველს.

ვიცი, რომ კიდევ ბევრი დამრჩა სათქმელი. ლევანის ყველა ლექსი ცალკე განხილვის ღირსია. ყოველი ლექსის სათავიდან სუფთა, სიყვარულით სავსე ნაკადული მოედინება, რომელიც თავის მშობლიურ ხალხს გულიდან წამოსული წრფელი პოეტური სიტყვით ესაუბრება. მთავარია, „კარგ მთქმელს კარგი გამგონე“ ჰყავდეს!



მარსიანი

## გალაკტიონი და გრანელი

გალაკტიონ ტაბიძესა და ტერენტი გრანელს ხშირად ადარებენ ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, ამ შედარებას თვით ტ. გრანელმაც დაუდო სათავე თავისი ზოგიერთი ლექსით, განსაკუთრებით კი „მე და გალაკტიონით“. რაკი კრიტიკოსები იმთავითვე აღნიშნავდნენ გალაკტიონის გავლენას მის შემოქმედებაზე, გრანელმა სცადა ხაზგასმით აღენიშნა ის თავისებურებანი, რაც მას, როგორც პოეტს, გალაკტიონისგან განასხვავებდა. ვნახოთ ზემოხსენებულ ლექსში რა თავისებურებებს გამოჰყოფს ავტორი:

1. „გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზია“.
2. „გალაკტიონში მიწა ანათებს და ჩემში უფრო ზეცის სხივია“.
3. „გალაკტიონში ლურჯი ფერია და ჩემ ლექსიდან მოჩანს უფსკრული“.


უდავოდ საინტერესო შედარებებია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამით სრულად და ამომწურავად იყოს ნაჩვენები განსხვავება ორ პოეტს შორის და შეიძლება ამ დახასიათებაში წინააღმდეგობრივი მომენტებიც დავინახოთ:

დავუშვათ, გალაკტიონში არის დემონი და გრანელში უფრო ანგელოზია: ეს „უფრო“ ალბათ იმას მიანიშნებს, რომ გრანელშიც რამდენადმე შეიძლება იყოს დემონი; ისმის კითხვა: გალაკტიონში კი არ არის ანგელოზი? დავუშვათ, გალაკტიონში მიწა ანათებს და გრანელში უფრო ზეცის სხივია: აქაც „უფრო“ იმას გულისხმობს ალბათ, რომ რამდენადმე გრანელშიც ანათებს მიწა. კვლავ ისმის კითხვა:

გალაკტიონში კი არ არის ზეცის სხივი? (ხომ აშკარაა, რომ ამ მეორე შედარებით გრანელმა უკვე თავის უპირატესობაზე მინიშნება შემოგვაპარა!) დავუშვათ, რომ გალაკტიონში ლურჯი ფერია და გრანელის ლექსიდან მოჩანს უფსკრული;

ახლა ვიკითხოთ: განა „ლურჯი ფერი“ დემონს უფრო შეეფერება, „უფსკრული“ კი – ანგელოზს? თუ პირიქით უფროა? და კიდევ: „ზეცის სხივი“ და „უფსკრული“ როგორ ეთავსება ერთმანეთს გრანელთან, ან „მიწის ნათება“ და „ლურჯი ფერი“ – გალაკტიონთან?

თან თითქოს სწორი და მართებულია ეს დაპირისპირება-დახასიათებანი, თან წინააღმდეგობრიობაც აშკარად ჩანს: ეს იმიტომ, რომ ავტორი მხოლოდ რამდენიმე გარეგნულ ნიშანს გამოჰყოფს და საკითხს აცალმხრივებს, რათა




განსხვავება უფრო თვალსაჩინოდ დაგვანახოს; მსგავსებაზე კი არაფერს ამბობს, რადგან მსგავსება უკვე გავლენაზე მიმანიშნებელია.

ჩვენში, საერთოდ, ობიექტურ განსჯასა და ანალიზს სუბიექტურობა და ემოციონალიზმი ჭარბობს; არიან ე. წ. „გრანელისტები“, რომელნიც მიიჩნევენ, რომ ტერენტი გრანელს არაფერი სჭირდა საიმისო, გალაკტიონისთვის მიებადა ან გასჯიბრებოდა. რეალური სურათი კი სულ სხვაგვარია; ტერენტი გრანელი არა მარტო ზოგადად არის დავალებული გალაკტიონის პოეტიკით, არამედ ცალკეულ შემთხვევებში სწორადაც რომ ბაძავს და ეჯიბრება გალაკტიონს: ამას ადასტურებს არა მარტო მისი კონკრეტული ნაწარმოებები, არამედ ბიოგრაფიული ფაქტებიც. მწერალი გენო ქელბაქიანი იგონებს ასეთ ეპიზოდს: ტერენტი გრანელის წიგნი გამოსულა, რომელშიც შეტანილი იყო ლექსი „Memento mori“. ეს ლექსი თოთხმეტმარცვლიანი მაღალი შაირით (4:3: 4: 3) არის დაწერილი, ისევე, როგორც გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ და „ეფემერა“, თემატურადაც „Memento mori“. საკმაოდ ახლოს დგას „ეფემერასთან“ – საკუთარი პიროვნების გამორჩეულობასა და უნიკალურობაზე ხაზგასმით, თვითალიარებით; გალაკტიონს, როგორც კი ხელთ ჩავარდნია ეს კრებული, ნაუკითხავს და მეორე დღეს ტერენტის რომ შეხვედრია, „Memento mori“ ზეპირად წარმოუთქვამს ავტორის წინაშე, ოღონდ რაიმე სიტყვიერი კომენტარი (ქება ან კრიტიკული შენიშვნა) არ დაურთავს;

ტერენტი საგონებელში ჩავარდნილა და როცა გენო ქელბაქიანისთვის უამბნია ეს შემთხ-





ვევა, გულდანყვეტილი კილოთი დაურთავს: „მე კი მეგონა ეს ლექსი გალაკტიონის ლექსებს არაფრით ჩამოუვარდებოდაო“.

გენო ქელბაქიანი სხვა ეპიზოდსაც იგონებს: რომელიღაც კრიტიკოსს ტ. გრანელი გალაკტიონის მიმბაძველად გამოუცხადებია პრესაში. ტერენტი გაპრაზებულა, ოღონდ არა იმდენად იმ კრიტიკოსზე, არამედ თვითონ გალაკტიონზე; გენო ქელბაქიანს და გალაკტიონს გაუგიათ, რომ ტერენტი შეუძლოდ იყო და სანახავად მისულან.

ტერენტის კი ასეთი რამ უთქვამს გალაკტიონისთვის:

„თუ შენ ჩემთან მოხვედი, როგორც დიდი პოეტი პატარა პოეტთან, იცოდე სასტიკად ცდები“.

გალაკტიონს, რა თქმა უნდა, გაუპროტესტებია:

„რას ამბობ, ძამიკო, რის დიდი პოეტი, მე მოვედი შენთან, როგორც მეგობარ პოეტთან“.

ტერენტის კი ამგვარად გაუგრძელებია:

„ეგეც იცოდე, მე შენზე დიდი პოეტი ვარ“.

გალაკტიონს უცნაურად გაღიმებია და უპასუხნია:

„კი, ძამიკო, ჩემზე დიდი ხარ“.

სხვათა შორის, ტერენტი გრანელმა თავის ერთ წიგნს რომ „Memento mori“ უწოდა (მსგავსად ზემოთხსენებული ლექსისა), ამ ფაქტშიც შეიძლება დავინახოთ გალაკტიონის მიბაძვა: გალაკტიონის ცნობილი „არტისტული ყვავილები“ ხომ ფრანგული სათაურით დაისტამბა „Le crâne aux fleurs artistiques“ (სიტყვასიტყვით: „თავის

ქალა არტისტული ყვავილებით“). თავის ქალა ხომ თავისთავად სიკვდილთან არის ასოცირებული; და ტერენტი გრანელმაც ცნობილი ლათინური გამოთქმა „Memento mori“ („გახსოვდე სიკვდილი“) აირჩია; ვითომ ყოველივე ეს შემთხვევითია?

ახლა იმ ლექსებს გადავხედოთ, რომლებშიც ტ. გრანელი გალაკტიონს იხსენებს:

„გალაკტიონი ყოველთვის დიდი, გალაკტიონი ზეცისკენ მიდის“.

„გალაკტიონი ხომ პოეტია, ზარი სიონის გულზე მეტია. გალაკტიონი რომ მდიდარია, ზარი სიონის კივის, დარია. გალაკტიონი ხომ ძვირფასია. გალაკტიონი მუდამ ასეა“.

„ერთად ვხეტილობდით თბილისის ბუღვარებში, რესტორნებში, ბალებში, მე არსად არ ვტოვებდი, შენ პოეტად შეგიცნეს, როს ჩაგხედეს თვალებში, მე კი დავრჩი მტკვრის პირას, უსახელო პოეტი“.

„ეჭვი არ არის, რომ გალაკტიონს მე ჩამოვართვი მეფის სახელი“.

როგორც ვხედავთ, აქ გალაკტიონის აღიარებაც არის, მისდამი სიყვარულიც, გაჯიბრებაც და მასზე აღმატებულობის თვითრწმენაც.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ლექსი „Memento mori“ გალაკტიონის „ეფემერას“ („ლურჯა ცხენებსაც“) ჰგავს როგორც გარეგნული ფორმით, ასევე, რამდენადმე, შინაარსობლივადაც. ტერენტის აქვს სხვა ლექსებიც, სადაც კიდევ უფრო აშკარად იგრძნობა გალაკტიონის გავლენა: 1921 წელს დაწერილი „მწუხარება ნაკეცი“ და 1922 წელს დაწერილი „მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“ ფორმით ზუსტად იმეორებს გალაკტიონის „ლურჯა ცხენებს“ და „ვოილეს“-ს: მეტრი და რიტმი აქაც თოთხმეტმარცვლიანი მაღალი შაირია (4: 3: 4: 3), სტროფში რითმების განლაგებაც გალაკტიონის აქ დასახელებულ ლექსთა ანალოგიურია (ააბცცცც). გალაკტიონამდე ამგვარ ვერსიფიკაციულ სქემას ქართული პოეზია არ იცნობდა. და თუმცა ტერენტი გრანელის ორივე ეს ლექსი შედეგურა, მაინც „ლურჯა ცხენებთან“ მიმართებაში ერთგვარი „მეორადობის“ შთაბეჭდილებას ტოვებენ; ერთი დაზუსტებაც: „ლურჯა ცხენების“ რამდენიმე სტროფში ის სამმაგი შიგა რითმაც გაორმაგებულია და ააბცცცცც-ს ნაცვლად გვაქვს ააბაააბ, ანუ თვით ამ ფორმალური მაჩვენებლითაც – შიგა რითმების რაოდენობითაც – „ლურჯა ცხენები“

მიუწვდომელ -ვ-ზ-უ-ნორმად რჩება, რომ აღ- არაფერი ვთქვათ, საერთოდ, შესრულების აბსო- ლუტურ, სხვათათვის მიუწვდომელ ხარისხზე, შინაგან მონუმენტურობასა და კოსმიურ მასშტა- ბზე, ღრმა და ენიგმურ შინაარსზე (მკვლევარი როლანდ ბურჭულაძე, მაგალითად, თავის მონო- გრაფიაში „მხოლოდ ინტეგრალები“ ამტკიცებს, რომ „ლურჯა ცხენებში“ დაშიფრულად არის გადმოცემული პლატონის ერთ-ერთი დიალოგის შინაარსი - კამათი სულის უკვდავების შესახ- ებ. გამოკვლევაში ისიც კი არის მითითებული, „ლურჯა ცხენების“ რომელი სტრიქონი პლა- ტონისეული დიალოგის რომელი პერსონაჟის სიტყვებს შეესაბამება - სოკრატეს თუ მისი თა- ნამოსაუბრეებისა; რ. ბურჭულაძე გალაკტიონის არაერთ სხვა ლექსშიც კითხულობს დაშიფრულ კონკრეტულ შინაარსებს: გავიზიარებთ თუ არა მკვლევარის დასკვნებს, სხვა საკითხია, მაგრამ გალაკტიონის მრავალი ლექსი რომ ენიგმა და გაშიფვრის სურვილს ბადებს, ეს უდავოა;

გალაკტიონის თაობის სხვა პოეტთა შემო- ქმედებაზე კი მსგავსი რამ ალბათ ნაკლებად ითქმის).

ტერენტი გრანელის „მწუხარება ნაკეცი“ და „მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“ გალაკ- ტიონის სხვა ლექსებისგანაც არის დავალებული ცალკეული მხატვრული სახეებით.

ვნახოთ კონკრეტულად:

გალაკტიონი:

„დედაო ღვთისაჲ, მზეო მარიამ, როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი“. („სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში“)

გრანელი:

„სურნელება ვილასი დაეცემა სილაზე, როგორც ლურჯი სინაზე, დაიკივლებს ვარ- დებში“

(„მწუხარება ნაკეცი“...)

გალაკტიონი:

„მიჰქონდათ კიდევ კუბო, ყორნების საუბარი: დარეკე! დაუბარე! ათოვდა ზამთრის ბალებს.“ („ათოვდა ზამთრის ბალებს“)

გრანელი:

„როგორც ლურჯი პარიკებს, ღამე ფიქრებს არიგებს და ყორნებმა დარეკეს ბაბილონის ნაპირ- თან“.

(„მონოლოგი უდაბნოს ყვავილებში“).

გალაკტიონის კვალი ტერენტის სხვა ლე-

ქსებშიც შეიმჩნევა:

გალაკტიონი:

„ბედი ქროლვის გარეშე ჩემთვის არაფერია, ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენე- ბი“.

(„ეფემერა“)

გრანელი:

„და ვიცი უსათუოდ ვარ მსოფლიო პოეტი და პოეტის სახელი ჩემთვის ყველაფერია“.

(„ალბათ იქ სიცილია...“)

გალაკტიონი:

„ამირანს მიჯაჭვულს და მგოსანს ნაქცეულს ვილაც ფრთებს მიკეცავს,.. ეჰა, ვიტანჯები!“

(„ძვირფასო, ძვირფასო...“)

გრანელი:

„ქუჩაში მცხოვრებს და სახლიდან გაქცეულს შემინდე, შემინდე, წმინდაო მარიამ...“

„პოეტს გარინდებულს, როგორც პირამი- დას, ზარების ტირილში გრიგალი გამაფრენს“

(„ფარული ვედრება“)

გალაკტიონი:

„ირგვლივ დამჭნარია ფერი და ფერვალი“

(„საუბარი ედგარზე“)

გრანელი:

„მთვარესთან ჩამონვა უვნებო ფერვალი“

(„ფარული ვედრება“)

აქ მოტანილი მაგალითებიდან გალაკტიო- ნის ლექსები უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე გრანელისა და ამდენად, უდავოა, რომ გავლე- ნა გალაკტიონიდან მოდის. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ამ ორი პოეტის ერთსა და იმავე ნელს დაწერილ ლექსებშიცაა გარკვეული სახის მსგავსება და გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ აქაც უთუოდ გალაკტიონის გავლენას გან- იცდის გრანელი. შეიძლება პირიქითაც იყოს, ზოგ შემთხვევაში მაინც.

როგორც უკვე ვთქვით, „მონოლოგი უდაბ- ნოს ყვავილებზე“, რომელშიც „ლურჯა ცხენ- ების“ ვერსიფიკაციული სქემაა იმიტირებული, ტ. გრანელმა 1922 წელს დაწერა. იმავე 1922 წელს შეიქმნა გალაკტიონის „ეფემერა“, რომელშიც მთავარი თემა კვლავ ლურჯა ცხენების მხატ- ვრული სახეა, მეტრი და რიტმიც იგივეა, რაც „ლურჯა ცხენებში“ (ანუ თოთხმეტმარცვლიანი მაღალი შაირი), მაგრამ შიგა რითმები აღარ არის, მხოლოდ ჩვეულებრივი ჯვარედინი გარითმ- ვაა (აბაბ); 1922 წლითვე თარიღდება გრანელის

„ცისფერი სიშორეც“; მეტრი, რიტმი და გართმვა ამ ლექსში „ეფემერას“ ანალოგიურია; მე ავტოგრაფებზე ხელი არ მიმიწვდება და ვერ ვიტყვი, გალაკტიონისა და გრანელის ამ 1922 წლით დათარიღებული ლექსებიდან რომელი რომელზე ადრე დაინერა; ასევე არ ვიცი ტიცციან ტაბიძის ლექსის „ცხენი ანგელოსით“ შექმნის თარიღი (ავტორის აღიარებით ეს ნაწარმოები იყო თავისებური დისერტაცია პოეზიის მეფის ტიტულის მოსაპოვებლად); არც პაოლო იაშვილის „წითელი ხარის“ და ალიო მირცხულავას „ელვის რაშების“ დაწერის თარიღებია ჩემთვის ცნობილი; მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ – აქ ჩამოთვლილი ლექსების შექმნის იმპულსი უთუოდ „ლურჯა ცხენებიდან“ მოდის: საკმარისია გადაიკითხოთ ეს ნაწარმოებები და, ვფიქრობ, ნათქვამის სიმართლეში დარწმუნდებით; პოეტებმა დაინახეს, რომ „ლურჯა ცხენების“ სახით გალაკტიონმა თავისი „მერანი“ შექმნა, ქართული (და მსოფლიო!) ლირიკის ევერესტი დაიპყრო და ბარათაშვილს გაუტოლდა; ბუნებრივია, რომ ამ დიდად ამბიციურ და ნიჭიერ პოეტებსაც მოესურვათ იგივე გაემოკრებინათ. დააკვირდით: ა. მირცხულავას ლექსის სათაური „ელვის რაშები“ თითქოს ერთგვარად „გაუმჯობესებული“ მოდიფიკაციაა „მერანისა“ და „ლურჯა ცხენებისა“. ამ ლექსში ა. მირცხულავა ახალგაზრდული კადნიერებით აცხადებს:

„ისმის მთების გუგუნი და კლდეების ღრეობა, ცაზე ელვის რაშები ცეცხლს აჩენენ ჭენებით, ამ უდაბურ მიდამოს, ამ უკუნეთ ხეობას ვერ გაივლის მერანი და ვერც ლურჯა ცხენები!“

მირცხულავას ეს ლექსიც, მსგავსად გრანელის „ცისფერი სიშორისა“, ფორმით უფრო „ეფემერას“ ჰგავს, ვიდრე „ლურჯა ცხენებს“. ის ჯვარედინრითმიანი, თოთხმეტმარცვლიანი მაღალი შაირია. შინაარსობლივადაც „ეფემერას“ უფრო უახლოვდება ეს ლექსი (რასაკვირველია, ზედაპირულ, გარეგნულ ასპექტში): მართალია, „ეფემერა“ „ლურჯა ცხენების“ ერთგვარი „დუბლია“, თან თავისი გლობალური მასშტაბით ლამის მასზე აღმატებულიც კი, მაგრამ მასში არის უფრო ლოკალურ-პირადული ხაზიც – საკუთარი პოეტური რენომეს დადგენისა და აგრეთვე მეტოქე-კოლეგებთან თავისებური ანგარიშწორების მომენტიც (სწორედ ამ მხრივ ენათესავება „ეფემერას“ მირცხულავას „ელვის რაშებიცა“ და გრანელის „ცისფერი სიშორეც“): აქ გალაკტიონი თავის „ერთადერთობაზე პირდაპირ განაცხადს აკეთებს („ვწუხვარ, ერთადერთი ვარ...“) და სხვა პოეტებზე თავის აღმატებულებას უსვამს ხაზს:

„ო, რამდენი დაცხრება შურიანი თვალები, რომ მარად იმარჯვებენ იღუმალი მშვენიებით ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდინტეგრალები, ცხენთა შეჯიბრებაზე ისევ ლურჯა ცხენები“.

ტერენტი გრანელის „ცისფერი სიშორეც“ ასევე კადნიერად ამხელს ავტორის ამბიციას:

„ალბათ გენიოსი ვარ და ცისფერი სიშორე“. მხოლოდ მე ვარ დამწვარი, მხოლოდ მე ვიფერფლები და დროა, საქართველომ იგრძნოს ჩემი გენია“.

მე გალაკტიონზე წლების წინათ დაწერილ სტატიაშიც ვამბობდი, რომ „ეფემერა“ პოეტთა მეფის პასუხია მეტოქეებისადმი, რომლებიც მასთან გაჯიბრებას ბედავენ; მაგრამ თარიღების დაუზუსტებლობის გამო არ ვიცი, „ეფემერას“ შემდეგ დაინერა გრანელის „ცისფერი სიშორე“ და მირცხულავას „ელვის რაშები“ თუ უფრო ადრე, და ამ ლექსთა მსგავსება გალაკტიონის ამ კონკრეტულ ლექსთან კვლავ გალაკტიონის გავლენითაა გამომწვეული თუ პირიქით, გალაკტიონი განიცდის ამჯერადგრანელისა და მირცხულავას გავლენას და „ეფემერა“-თი ამტკიცებს თავის აღმატებულობას სწორედ იმავე ვერსიფიკაციული მოდელის გამოყენებით, რომელიც ამ პოეტებმა მისგან ისესხეს...

ბარემ აქვე დავძენთ: უფრო მოგვიანებით, ალიო მირცხულავას რომელიღაც ლექსში ასეთი სტრიქონი გაკრთა:

„მე მაპატიებს გალაკტიონი“. დაბეჯითებით მტკიცებას არ ვაპირებ, მაგრამ შეიძლება სწორედ იმ კადნიერი გაჯიბრებისათვის ებოდიშება ავტორი პოეტთა მეფეს...

ახლა კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი ვნახოთ

მსგავსებისა გალაკტიონისა და გრანელის ლექსებს შორის: ეს ნაწარმოებებიც 1922 წლით არის დათარიღებული – გალაკტიონის „ალაზნთან“ და გრანელის „მოგონება ქარში“:

აქ ვხედავთ ერთმანეთის მსგავს პოეტურ სახეებს, თანაც რამდენჯერმე, მოდიფიცირებულად განმეორებულს.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ პოეტური სახეების წარმომავლობა არც საკუთრივ გალაკტიონისეულია და არც გრანელისეული, არამედ იეთიმ გურჯის ერთი ლექსიდან იღებს სათავეს; ვნახოთ შესაბამისი სტრიქონები სამივე პოეტთან:



იეთიმ გურჯი:

„სიზმრად ვნახე საიათნოვა,  
„მითხრა: გეყო ტანჯვა, გლოვა,  
„რაც დაკარგე, მას ნუ ეძებ,  
„ის არ მოვა, აღარ მოვა“.

გალაკტიონი:

„დამშვიდდი. ტალღებს მიანდე ნავი.  
„რაც დაიკარგა, ის აღარ მოვა.  
აქვითინების დრო მერე მოვა,  
„დამშვიდდი. ტალღებს მიანდე ნავი.  
„განწირულებას არ მისცე თავი.  
„არ მოიზიდო ცრემლების თოვა.  
„დამშვიდდი. ტალღებს მიანდე ნავი.  
„ის – დაილუპა. ის – აღარ მოვა“.

გრანელი:

„იმას არ ველი, ის აღარ მოვა,  
იმაზე ნუხელ არ მიფიქრია“.

„ის არ მოსულა, ის აღარ მოვა,  
ის დადიოდა ბალში ოდესლაც“.

„ის დაიკარგა ქარში ოდესლაც,  
იმას არ ველი, ის აღარ მოვა“.

ისმის კითხვა: გალაკტიონმა და ტერენტიმ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ისარგებლეს იეთიმ გურჯის სტრიქონებით, თუ ჯერ ერთმა მათგანმა მოიმოქმედა ეს, მეორემ კი მისი წაბადვით იგივე გაიმეორა?

და თუ ეს უკანასკნელი ვარაუდია სწორი, ამ შემთხვევაში პრიორიტეტი ვის ეკუთვნის – გალაკტიონს თუ გრანელს?

აღბათ უფრო გალაკტიონს და აი რატომ: ტერენტი გრანელს ნაკლებად ახასიათებს ტრადიციისადმი ინტერესი, ტრადიციასთან შემოქმედებითი დამოკიდებულება – მეორადი გადამუშავებანი, ციტირებანი. ალუზიები, პერიფრაზები ქართული თუ უცხოური ლიტერატურიდან:

გალაკტიონის პოეზია კი სწორედ ამ ნიშნით არის აღბეჭდილი. პაუნდისა და ელიოტის მსგავსად გალაკტიონიც წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ინტენსიურ შემოქმედებით გადამუშავებას ახდენს: მისთვის არა მხოლოდ კლასიკის მწვერვალებია ყურადღების საგანი, არამედ შედარებით მოკრძალებული მასშტაბის ლიტერატურული ნიმუშებიც: მაგალითად მის ლექსებში არაერთგან გვხვდება ივანე კერესელიძის სტრიქონი „დაჰკარ გრძნობით დაირასა“, გვხვდება აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძის „ვაჰ, დრონი, დრონი“, გრიგოლ ორბელიანის „ჩემო იარალი“ და ა. შ. ტერენტი გრანელს რაც შეეხება, არა მგონია, ის თავისთავად დაინტ-

ერესებულებო იეთიმ გურჯის ლექსით, მაგრამ გალაკტიონის მიერ უმაღლეს ესთეტიკურ რეალობად გარდაქმნილმა იეთიმ გურჯისეულმა მოტივმა, ჩანს, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და დაანერინა გალაკტიონის ლექსზე არანაკლებ შთამბეჭდავი ნაწარმოები:

მისი „მოგონება ქარში“ ისევეა შედევი, როგორც გალაკტიონის „ალაზანთან“.

ახლა ისევ ჩვენი სახელოვანი მგოსნების პოეტურ ამბიციებს მივუბრუნდეთ. ხელოვნებაში ინდივიდის, „მე“-ს კულტი მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ დროს დიდი თუ პატარა საკუთარ გამორჩეულობასა და უნიკალურობაზე ცდილობდა სხვათა ყურადღების მიპყრობას. გამონაკლისები ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც გალაკტიონი და ტერენტი იყვნენ, ოღონდ ერთი კი უნდა შევნიშნოთ – გალაკტიონი უფრო არტისტულად „შეფუთული“ სახით წარმოგვიდგენს თავის ამბიციებს, მხატვრული აუცილებლობის დალით აღბეჭდავს შესაბამის კონტექსტში, ტერენტი კი უმეტეს შემთხვევაში ზედმეტად პუბლიცისტური პირდაპირობით აკეთებს ამას, თითქოს „კლასი არ ჰყოფნის“ საიმისოდ, რომ ლექსებში გამჟღავნებული ეს თვითშეფასებანი მკაცრი გამოვნიების მქონე მკითხველისათვის უშენიშვნოდ მისაღები გახადოს.

შევადართო ერთმანეთს სათანადო მაგალითები ორივე პოეტის შემოქმედებიდან:

გალაკტიონი:

„რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები“

„როგორც ერთია ქვეყანა მთელი,  
ისე ერთია გალაკტიონი“

„ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები ყოველმხრივ სივრცე იყოს, შველა კი არსაიდან“

„ვნუხვარ, ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები“

„მე უშიშარი ღომი,  
მოპოვებული მსხვერპლით.“

ტერენტი:

„მე, ძლიერი ტალანტი, ზეციური არსება“  
„უკვე ინამეს ჩემი გენია  
და ჩემი ცეცხლი დაუშრეტელი.“

„ნიჭმა ველარ მიშველა, როგორც ზეცამ მაღალმა“

„ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა



ახლა ჩემი გაკილვა ყველას ეპატიება.“

„და, ძვირფასო, ჩემს ბრწყინვალე სახელს ვგრძნობ, მსოფლიო აღიარებს მალე.“

„მთელ მსოფლიოს რომ დავიპყრობ, ვიცი.“

ტალანტი, ნიჭი, გენიოსობა – ამ ტერმინებით კრიტიკოსი თუ აფასებს პოეტს (და, საერთოდ, შეფასება პროზაულ ტექსტში თუ ხდება), ეს სხვა საკითხია, მაგრამ ლექსში ასე პირდაპირი ლაპარაკი საკუთარ შემოქმედებით უნარებზე თუ მონაცემებზე პროზაიზმად აღიქმება და, ცოტა არ იყოს, „ყურს ქრის“; იქნებ ვინმე შეგვედავოს, გალაკტიონი რომ „მეფედ“ და „ლომად“ მოიხსენიებს თავს, ეს საკუთარ გენიოსობაზე მინიშნება არ არისო? საქმეც სწორედ ის გახლავთ, რომ ეს მინიშნებაა და არა შიშვლად თქმა: „მეფე“, „ლომი“, „ერთადერთობა“ და ა. შ. მხატვრული ფიგურებია, მხატვრული პირობითობანი და თუმცა აშკარად ამხელენ პოეტის ამბიციას, ნანარმოების კონტექსტში მოხდენილად ჟღერენ და რაიმე უხერხულობას არ ქმნიან. როცა გალაკტიონი ერთ ლექსში ამბობს – „წყნარად, მსოფლიო!“

წინ, მსოფლიო! მსოფლიო, ჩუმად!“ – ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მართლა მსოფლიოს მბრძანებელი მეტყველებდეს, ან სულაც გაცხადებული უფალი მრისხანებდეს განკითხვის დღეს: და ეს იმიტომ, რომ აქ მხატვრულ მეტყველებასთან გვაქვს საქმე, პოეტურ ტექსტში დაცულია მხატვრულობის კანონი და ემპირიული რეალობა არ არღვევს მას, როგორც ეს გრანელთან ხდება. მართალია არც იმის თქმა შეიძლება, რომ გრანელის ლექსებს დიდად ვნებდეს ეს გადაჭარბებული პირდაპირობა, მაგრამ ეს მაინც ხარვეზია; არადა, როცა მოინდომებდა, გრანელს გალაკტიონზე არანაკლებ ლამაზად და მაღალმხატვრულად შეეძლო ლექსში თავისი შემოქმედებითი ამბიციის გამოხატვა:

„ჩემი სუსტი სხეული განყვეტილი ძაფია,  
ჩემი შემოქმედება დედამიწის სიზმარი.“

მაგრამ ცოტა უფრო ზემოთ მოყვანილ მაგალითებში რომ ტერენტი თავის მომავალ „მსოფლიო აღიარებაზე“ და თავის მიერ „მსოფლიოს დაპყრობაზე“ ქადილით ლაპარაკობს, ეს, ცოტა არ იყოს ინფანტილურობისა და არაადეკვატურობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ან კიდევ, როცა ტერენტი ერთ ლექსს ასე იწყებს:

„ეს არის ბაღში ახლა მოვედი,  
მომაქვს ტალანტი დიდი პოეტის“ –

ეს, პირდაპირ რომ ვთქვათ, კომიკურად ჟღერს: გეგონება, „ტალანტი“ რალაც მძიმე ნივთი, ტვირთი იყოს და ხელში დაჭერილი ან ზურგზე მოკიდებული მოჰქონდეს!

რაც შეეხება ტერენტის განაცხადს:

„ეჭვი არ არის, რომ გალაკტიონს  
მე ჩამოვართვი მეფის სახელი“ –

განა ესეც რეალობის გრძნობის არქონაზე არ მეტყველებს?

„ეჭვი არ არისო“, ისე ამბობს, თითქოს უკვე მთელი ქართული ლიტერატურული სამყარო (მწერლები, კრიტიკოსები, მკითხველები) დალადებდეს – ტერენტი გრანელმა გალაკტიონს აჯობა თავისი შემოქმედებით და „პოეტთა მეფის“ სახელი გალაკტიონს უნდა ჩამოერთვას და ტერენტის მიენიჭოს! კი მაგრამ, სად და როდის მოხდა ამგვარი რამ? ასე ხომ მხოლოდ თვითონ ტერენტი გრანელი ფიქრობს (და, შესაძლოა, ერთი-ორი „გრანელისტიც“), დანარჩენ საზოგადოებას კი სწორედ იმაში არ ეპარება ეჭვი, რომ გალაკტიონისთვის „პოეტთა მეფის“ სახელი არავის ჩამოურთმევია...

ასევე რეალობის გრძნობას მოკლებულია ტერენტის სხვა განაცხადიც:

„და პოეზია ტრიალებს ახლა  
„მხოლოდ ტერენტი გრანელის ირგვლივ.“

სხვათა შორის, მე ნებისმიერ „გრანელისტზე“ არანაკლებ ღრმად მაქვს შესწავლილ-შეთვისებული ტერენტი გრანელის შემოქმედება, არც მათზე ნაკლებად მიყვარს იგი და სულაც არ ვაყენებ ეჭვქვეშ მის დიდ პოეტობას (გნებავთ, გენიალობას), როგორც შეიძლება მოეჩვენოთ ამ წერილის წამკითხველებს. ოღონდ, არისტოტელეს თქმის არ იყოს, „პლატონი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია“; მე რეალურად არსებულ ვითარებაზე ვლაპარაკობ და არა ჩემს სუბიექტურ წარმოსახვებზე, არგუმენტების მოშველიებით ვცდილობ ცხადვყო, რომ ტერენტი გრანელის შემოქმედება შესამჩნევად არის დავალებული გალაკტიონისაგან; თუ ვინმე უფრო ძლიერი არგუმენტებით გააბათილებს ჩემს დასკვნებს, დაე სცადოს, ჰა ბურთი, ჰა მოედანი!

სხვათა შორის, ტერენტი გრანელს მაინცდამაინც გალაკტიონთან რომ აჯობებენ და ზოგჯერ უპირატესობასაც კი ანიჭებენ, ეს შემთხვევითი როდია:

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი, ამ შედარებას გარკვეულწილად თვით ტერენტი გრანელმა დაუდო სათავე გალაკტიონთან თავისი დაუფარავი მეტოქეობით და, როგორც

ჩანს, „გრანელისტები“ თავიანთ კერპს უფრო უჯერებენ, ვიდრე ობიექტურ სინამდვილეს; მე იმასაც კი ვფიქრობ, რომ ეს ხალხი ალბათ არც თუ ისე საფუძვლიანად იცნობს გალაკტიონის მეტად ვრცელ შემოქმედებას, სათანადოდ არა აქვთ გაცნობიერებული მისი პოეზიის უჩვეულო მრავალნაზნაგოვნება და უნივერსალიზმი, ძნელად შესაცნობი სიღრმე და ზეაღმიაწური მასშტაბები, ოსტატობის სრულიად განსაკუთრებული, აბსოლუტური ხარისხი: „გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც საერთოდ ჩვენს პლანეტას არ მოეპოვებაო“, განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელიც ორიგინალში კითხულობდა რუსულ, გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე შექმნილ პოეზიას, საერთოდაც ხელი მიუწვდებოდა მსოფლიო ლიტერატურაზე და მგონი მის გემოვნებას დაეჯერება, თუნდაც რამდენადმე ჰიპერბოლიზებულიად გვეჩვენოს მისი ეს განაცხადი. რაგინდ არ უნდა გვიყვარდეს ტერენტი გრანელის შემოქმედება, იგი გალაკტიონის მასშტაბებთან შედარებით მაინც რამდენადმე კამერულად უნდა მივიჩნიოთ; ქართული ანდაზა ამბობს – „კამერთან მოჭიდავე ხარს რქა არ შერჩებაო“: იქნებ ამ უფაქიზეს ლირიკოსებზე საუბრისას ცოტა ტლანქად ჟღერდეს ეს ხალხური გამონათქვამი, მაგრამ საქმის ვითარებას ზუსტად კი შეესაბამება...

ოღონდ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგ-ზოგები, საპირისპიროდ „გრანელისტებისა“, მეორე უკიდურესობაში ვარდებიან – ტერენტი გრანელი არასაკმარისად თვითმყობად შემოქმედად ერჩენებათ, რაკი მის პოეზიაში გალაკტიონის გავლენას ხედავენ; სხვაგვარად რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ წლების წინათ რალაც კონკურსის მსგავსი ჩატარებულა, მეოცე საუკუნის ხუთი საუკეთესო ქართველი პოეტი უნდა დასახელებულიყო თურმე და ამ ხუთეულში ტერენტი გრანელი ვერ მოხვედრილა! ზუსტად არ ვიცი, გალაკტიონის გარდა ვინ და ვინ გააერთიანეს იმ ხუთეულში, მაგრამ, თუ არ ვცდები, ერთი ცოცხალი პოეტიც შეუყვანიათ „ორიგინალური ხელწერით“ გამორჩეულობის გამო; ორიგინალობა, რა თქმა უნდა, კარგი და სასურველია, მაგრამ, პოეზიის შეფასების მთავარი კრიტერიუმი მაინც მხატვრული ხარისხი და თემატიკის მასშტაბურობაა ერთდროულად მოცემული, და ამ მხრივ, არა მგონია, ტერენტი გრანელმა ვინმეს ეგრე ადვილად დაუთმოს გალაკტიონის გვერდით დგომის პატივი... რაკი

ის ტლანქი ანდაზა მაინც დავისაჭიროვით ზემოთ, ბარემ ესეც ითქვას: ხარი იქნებ კამერს ვერ უსწორდებოდეს, მაგრამ ვერძებთან თუ ვაცებთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს...

ან განა ორიგინალობისა და თვითმყოფადობის მხრივ მართლა რაიმე აკლია ტერენტი გრანელს? უდიდესი ფრანგი პოეტი პოლ ვალერი თავისთავს სტეფან მალარმეს მიმდევრად, მალარმეს სკოლის პოეტად აცხადებდა. არც ტერენტი გრანელს აყენებს ჩრდილს გალაკტიონის პოეტიკით დავალებულობა, გნებავთ, გალაკტიონის სკოლის პოეტად შერაცხვა. მისი ხელწერა გალაკტიონის ხელწერისაგან მკვეთრად განსხვავებულია მაშინაც კი, როცა საგანგებოდ ახდენს გალაკტიონის ლექსის ვერსიფიკაციული სქემის იმიტირებას და ამით, როგორც უკვე ვთქვით, ერთგვარი „მეორადობის“ დაღს ასვამს თავის ლექსს:

შევადაროთ ერთმანეთს ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენები „მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“ და „ლურჯა ცხენები“ და ამკარად დავინახავთ, რომ ვერც ვერსიფიკაციული იდენტურობა და ვერც ზოგადად მსგავსი პოეტიკა ვერ ფარავს იმ შინაგან, არსობრივ განსხვავებულობას, რაც ამ ორ დიდ პოეტურ ინდივიდუალობას შორის არსებობს:

სხვადასხვაგვარია მათი ბიორიტმები თუ ენერგეტიკა, შინაგანი ჰაბიტუსი თუ აურა, და, რა თქმა უნდა, მსოფლალქმა, სამყაროსთან მიმართების მოდუსი...

ვფიქრობ, „გრანელისტებისა“ და „ანტიგრანელისტების“ ზემოთ მითითებული უკიდურესობანი ერთი მედლის ორი მხარეა: რატომღაც არცერთ მხარეს ხელს არ აძლევს ობიექტური რეალობა, ანუ ის, რომ ტერენტი გრანელი გალაკტიონის გავლენის მიუხედავად არის დიდი პოეტი:

პირველთ ამ გავლენაზე სიტყვის გაგონება არ სურთ, მეორენი კი პირიქით – მეტისმეტად აზვიადებენ ამ გავლენის როლს: ჩანს, ორივე მხარეს „გავლენა“ რალაც მომაკვდინებელი ცოდვა ჰგონია; არადა, გავლენებისაგან თავისუფალი მწერალი, ხელოვანი ალბათ საერთოდ არ არსებობს ბუნებაში: ეს თითქოს ყველამ იცის ზოგადად, თეორიულად, მაგრამ ძალიან ხშირ შემთხვევაში, კონკრეტულ ხელოვანთა შემოქმედებაზე საუბრისას ეს ცოდნა რატომღაც დავინწყებული გახლავთ.

დალი კახიანი

ანა ახმატოვა

\*\*\*

ამჟამად ვცხოვრობ სადად და ბრძნულად, ცას თვალმიბჯენით, ღმერთის ვედრებით, დიდხნობით ღამის პირს ხეტილით, რომ გადავღალო შფოთის მხედრები. როს შრიალებენ ოროვანდები, თავს ჩაქინდრავენ მტევენები ჭნავის, მეგებებიან ლექსის ლანდები, ხრწნადი და მაინც შესანიშნავი. სიცოცხლის ალით მინავლებულით, უკან ვბრუნდები, და ხელს მილოკავს საყვარლად კნავის ფუმფულა კატა, ცეცხლი ელავს და მწველად გურგურებს კომკურის თავზე მუქ ჩრდილებს ხატავს. იშვიათად თუ გაჰკვეთს რინდებსა, სახურავიდან წეროს ძახილი, თუ ჩემი ხილვა კვლავ მოგინდება, ყურს ვერ მოსწვდება ჩემი სახელი.

ალექსანდრა გეჟიროვი

\*\*\*

მტკვარს დააყრუებს ზარების რეკვა, ხოლო გარშემო ბინდია წყნარი გალაკტიონის ქალაქს დასცქერის ბოთლის ფსკერივით სიმრგვალე მთვარის და კვლავ ცისფერი კვამლის ბლონდებში აღმოცენდება ლექსების სული, მაგრამ ის მარად უთარგმნელია მშობლიურ ენის რჩება ერთგული.

ვალერი ბრიუსოვი (1873-1924)

სატავარი

ამონვდილია ქარქაშიდან, თვალისმომჭრელად ლაპლაპებს იგი — ალესილი, ბასრი, ცინცხალი; პოეტი მარად მყოფობს ხალხთან, როს ქუხს და ელავს: ღვიძლი დებია მხნე სიმღერა და ქარიშხალი. როს ვერ ვხედავდი შემართებას, სიმხნეს ძალმოსილს, უხმოდ ღმუოდა როს უღელქვემ მთელი ქვეყანა, ვეშურებოდი მივიწყებულ სასაფლაოსკენ, საუკუნეთა მდუმარებას რომ დაეფარა. რარიგად მძაგდა ამ ცხოვრების წესი უცვლელი — უღირს — ბეჩავი, სამარცხვინო და ულაზათო, მწამდა, რომ სული კვლავ აღდგება თავისუფლების, ხალისს მმატებდა მოწოდება მძლე, სააზატო.



და მოსწვდა ჩემს ყურს სანუკვარი ხმა საყვირისა, როცა განფინეს ცეცხლოვანი ბაირალები; მეც განვდენთ ჩემს ხმას — ვარ მედროშე იმ ქუხილისა, ცის კიდით-კიდე შეუპოვრად, მხნედ რომ გავყვები. ჰა, სატეგარი პოეზიის! — ელვათა სვეტი; ვითარცა უწინ, ამ ფოლადზე მე გავიბინე, და კვლავ ვარ ხალხთან — ამიტომაც მქვია პოეტი, ელვა-ქუხილნი რაკი ძლევიტ ქვე განიფინენ.

ათანასე ფატი

\*\*\*

მე შენთან მოველ მოსაკითხავად, მინდა გახარო მზის ამონვერვა, მხურვალე შუქი მოადგა თავანს, ააცახცახა ფოთლები ცერად.

მინდა გახარო ტყის გაღვიძება ყოველი ხით და ყოველი ტოტით, ფრინველთ ფრთხილით სული იცება, საგაზაფხულო სურვილი მოდის.

მსურს გითხრა: იგივე გრძნობა მერევა, გუშინდელივით მოველ, გნახულობ, ისევე მიველტვი ბედნიერებას, და მკლავს ნადილი, კვლავ გემსახურო!

ჟინს სიცოცხლისას უფრო ვიბეგრებ, ხალისი მძლავრობს, განა მცირდება! თავად არ ვუნყი, თუ რას ვიმღერებ, თუმც ვგრძნობ, სიმღერა როგორ მნიფდება.

თეოდორე სოლოგუზი (1863-1927)

მფლანგველი

მოვქანცე სხეული უგუნურ-შემლილი, ბოძებულ სიკეთის უსაზმნოდ მფლანგველი, და ჩემს წინ ზღვარია ღამისა, მდაგველი, ვარ ღონემიხდილი, დაუცველ-შიშველი.

და შევთხოვ უფალ ღმერთს იმგვარი სასოებით, ვით არ უთხოვია არავის აროდეს: მომმადლე გაძლება, რომ ამა დროების მინიერ მომქანცველ ყოფისთვის კმაროდეს.

გაუსაძლისია ტკივილთ მოგონება,  
ჯაფით მინიერით ყოფნა დათაღბული,  
მაგრამ რა ტკბილია სუნთქვა გაზაფხულის,  
გრილი და ამოა წყალთან ჩაკონება!

ელავენ რიჟრაჟნი მენამულ ფერებად,  
ჟასმინის ბუჩქნარი ოცნებას წამოშლის,  
მზერის ლაჟვარდშია რამდენი ფერება,  
მძაფრი სინარული ბაგეთა ამბოროში.

უფროვე მწველია ამბორის ექსტაზი,  
ჟასმინის ბუჩქებზეც ნელსურნელოვანი,  
ოცნების ძლევეთ რომ ჰვიეს ხელოვანი —  
მღერადი სიტკობა პოეტურ ემბაზის.

შენ, გულმონყალეო ღმერთო სახიერო,  
თავს დაგდის სინათლე, დიდება და ძალი:  
გთხოვ, ყოფნა მარგუნე ამაქვეყნიერი,  
რომ შევთხზა სიმღერა სულ ახალ—ახალი!

### ლეონიდ მარტინოვი (1905–1980)

#### სინაზა

– თქვენ ველარ ბრწყინავთ. მეც მწირი ვარ — მთლად  
ყავისფერი.

უკვე შეხვედრაც ისე აღარ გვესალბუნება.  
ოღონდ ოდესღაც მივიწყებულ სინაზის ფერი  
მახედებს თქვენკენ, მაიძულებს კვლავ დაბრუნებას.

შემოვაბიჯებ მე უსალმოდ, ვიტყვი ხმამაღლა:  
დარაჯი თვლემს და შესხნილია, ღიაა კარი!  
ნუ გაფითრდებით! არ შეშინდეთ! არაფერს გავნებთ,  
ოღონდ გთხოვთ: ისევ დამიბრუნეთ სინაზე მკრთალი.

ავიტან სხვენში, რომ მივანდო ბნელსა და წყვილად,  
სად ძველ შტიბლეტში თავგმა ჰპოვა ბინა და შვება,  
სხვენში დავმალავ იმ სინაზეს, იმ კრთომას დიადს,  
რომ ვერ მიაგნონ, ვერ დაფანტონ ქუჩის ბავშვებმა.

### ნიკოლოზ იაზიკოვი (1803–1846)

#### სიმღერა

როცა მოკვდები, მშვიდად მიგლოვეთ,  
ამიგეთ წესი წყნარი და წმინდა,  
გამოსათხოვარ ლექსსაც ნუ მიძღვნით,  
არც მარმარილოს სამარხი მინდა.

ოღონდ აქ, სადაც აურზაურობს  
სინორჩე თქვენი — ღვინო ცქრიალა,  
სადაც ხალისით, ვითარც ფიალა,  
სული მდულარებს, ლაღობს, ხმაურობს.

ჩემს სადიდებლად ასწიეთ თასი,  
დაასხით ღვინო მაღლიან ხელით,  
ლაღად იმღერეთ, ილხინეთ და სვით,  
სახელი ჩემი ახსენეთ ლხენით.

წარმავალ წამით იგი ნეტარებს,  
ვინც გაზაფხული ნადიმით განვლო,  
თავისუფლებას ვინც უხსნის კარებს,  
ვინაც ადიდებს სიცოცხლეს ამოს!...

### აკოლონ მაიკოვი (1821–1897)

#### ოქტავა

ლექსის ღვთიური ჰარმონია, იდუმალეობა,  
არ გეგონოს, რომ გამოიცნო ბრძენთა წიგნებით;  
მძინარე წყალთა ნაპირებთან ხეტიალისას  
მიაცურადე ღერწამთ ჩურჩულს სულის მიგნებით.  
და კილოკავი მუხნარისა — ხმა უჩვეულო  
შეიგრძენ, ჩანვდი... პოეტური თანხმიერებით  
შენს ბაგეთაგან ოქტავები გადმოიღვრება,  
როგორც მუსიკა მუხნარისა ღვთიურ ბგერებით.

### ინოკანტი ანენსკი (1856–1909)

#### სანთელი შამოიტანა

არ გეჩვენებათ ხანდახან ხოლმე,  
როდესაც სახლში ბინდი გაიარს,  
აქვე, სულ ახლოს სხვა გარემოა,  
სადაც ჩვენ ვცხოვრობთ სულ სხვანაირად?

ჩრდილი, ჩრდილს ისე მსუბუქად ერწყმის,  
რომ წუთიერად შევიგრძნობთ იმ დროს  
რალაც თვალისთვის უხილავ სხივით  
ჩვენ ერთმანეთში გავდივართ თითქოს.

რომ არ დავაფრთხოთ ეს წამი სიტყვით,  
ან მოძრაობით, ჩვენ ამას ვშიშობთ,  
თითქოს აქ ვიღაც ყურით აეკრა  
და აყურადებს რალაცას იქ, შორს.

მაგრამ, როგორც კი ავანთებთ სანთელს  
ის, სხვა სამყარო მორჩილად ქრება,  
მხოლოდ თვალთაგან, ქანობზე სხივის  
ჩრდილები ცისფერ ალში ინთქმება.



\*\*\*

ქალბატონი ლეილა გამსახურდია (1926-2003) - ქართული ანგლისტიკის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, თსუ-ს ინგლისური ფილოლოგიის კათედრის პროფესორი, ზეპირსიტყვიერების ლაბორატორიის მეცნიერ-ხელმძღვანელი, ნიჭიერი მკვლევარი, უსაზღვროდ ერუდირებული ადამიანი, პოეტური ნიჭით მომადლებული მთარგმნელი და პოეტი, უმშვენიერესი პიროვნება და გულისხმიერი მეგობარი... ლეილა გამსახურდიას მიერ ინგლისურად თარგმნილმა ვაჟა ფშაველას პოეზიის ნიმუშებმა და ედგარ პოს ლექსების ქართულად თარგმანებმა სათანადო ადგილი დაიმკვიდრას ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურაში. გთავაზობთ რამდენიმე ლექსს, რომლებშიც ჩანს მისი ფაქიზი სული და გემოვნება.

**თამარ ჯაში**

**მონანიება**

ადამიანო,  
განგებასთან მორკინალო,  
მაინც უძღურო,  
თუ კი ოდესმე განწყენინე,  
გული გატყინე,  
გთხოვ, მომიტევეო.

ადამიანო,  
ჭირგამოვლილო,  
სვებედნიერო, თუ კი ოდესმე ვერ გიმშველე,  
ან გილალატე,  
გთხოვ, მომიტევეო.

ადამიანო,  
სიკვდილის მძლეო,  
მაინც მოკვდავო.  
ვერ მოგეფერე,  
ვერც განუგეშე,  
გთხოვ, მომიტევეო  
1995 წ.

**ლოცვა**

მაღალო ღმერთო,  
მბრძანებელო ცათა და ზღვათა,  
ნუ მოჰგვრი შვებას ჩემს ტანჯვა-გვემას,  
ოღონდ შვილები აცოცხლე მარად,  
მათ მისწრაფებებს მაღალს და ხალასს  
დაუდექ ფარად.

ცხოველმყოფელო,  
განმგებელო მხეცთა და კაცთა,  
ნუ მომცემ ძალას, დამაგდე ცალად.  
ოღონდაც ვაზი, ქართული ჯიში ახარე მარად,  
რაც მივიჩნიე საფიცარ ხატად,  
დაუდექ ფარად  
1996 წ.

**ვამოღობის წვია**

ვერ წამოვდექი, ვერც გავიარე,  
თითქოს დამანყდა მუხლის  
ძარღვები,  
ჩემი თბილისის ნისლიან  
სერებს  
მხოლოდ შორიდან  
ვეალერსები.  
წვიმს, თითქოს ზეცა იღვრება  
ცრემლად.  
ცაცხვებში დაჰქრის ქარი  
აფთარი.  
ქუჩას ძუნძულით ჩაუვლის  
ძაღლი  
მთლად გალუმპული,  
მიუსაფარი.

ნეტავი შევძლო გავიჭრა გარეთ,  
ჩამოვუარო ბაღებს, ხეივნებს  
და კიდევ ერთხელ შევაგლო თვალი  
ძველი ქალაქის კოხტა აივნებს.  
და მერე ისევ დავტოვო ქუჩა,  
სველი ფოთლების კორიანტელი,  
ვესტუმრო წმინდა სამების ტაძარს,  
ღვთისმშობლის ხატთან დავდგა სანთელი.  
ვინ იცის იქნებ ამიხდეს კიდეც  
ეს ნატვრა მარად დაუძლეველი  
კვლავაც აჟღერდეს მრავალხმიანი  
ჩემთვის ღვთიური საგალობელი.  
ფანჯიდან ვხედავ ნანვიმარ ქუჩებს,  
დგანან ცაცხვები თავდახრილები  
და მშვიდი ძილით განაბულ თბილისს  
მხოლოდ შორიდან ვესაუბრები  
1997 წ



**ნარსულის აჩრდილები**

(გუძღვნი ჩემს მამას და ტერორის წლებში  
დაღუპულთა ხსოვნას)

იყო საზარი წლები...  
სიკვდილი გრძელი ცელით  
გამორჩეულებს ჟღეტდა  
ჯალათის მძიმე ხელი.

იყო მონობის წლები...  
უღირსთა ლხენის ჟამი,  
როცა ბედ-იღბალს სწყვეტდა  
მოსხელის რბილი სკამი.

იყო სირცხვილის წლები...  
ძრომის და თვლემის ჟამი,  
როცა სიბილწეს ერგო  
სინმინდის მოსასხამი.

იყო და აღარ იყო...  
ჩამოაფარეს ფარდა  
და არაფერი დარჩა  
მოგონებების გარდა.

მხოლოდ უძილო ღამით  
იღება სახლის კარი,

შემოდის ნელა, დინჯად  
ნარსულის ლანდთა ჯარი.

ვხედავ ქალთა და კაცთა,  
ყრმალა ნანამებ სულებს,  
ჩემსკენ გამოწვილ მკლავებს,  
ტყვიით განგმირულ გულებს.

მათ შორის მშობლის მაღალ  
და ლამაზ აჩრდილს ვხედავ  
მინდა გაეძახო - მამა!  
მაგრამ ვგრძნობ, ველარ ვბედავ.

ჩემმა სიციცხლის წლებმა  
ისე გაუსწრეს მისას,  
როგორ ვუნოდო მამა  
ოცდაცამეტი წლისას?

მინდა შენდობა გთხოვოთ,  
რომ ვერ შევძელი შეველა,  
სისხლიან მკათათვეში,  
რომ მიგატოვეთ ყველამ.  
1997 წ.

### ცისჴარი პლანეტა

გაყურდა მინა, ჴაერიც კი აღარ ირხევა,  
მზის შუქი თბილი, მოალერსე ნელა ილევა  
ნაძვების ჴოლმა შემორკალა ცის კაბადონი,  
წყაროს ჩხრიალი ისმის, ჩუმი ძლივს გასაგონი.  
და უცებ თითქოს რაღაც ძალა მინას გაშორებს,  
ზე აგიტაცებს და ჴეციდან გადმოგახედებს.  
ზევიდან ხედავ რა სისწრაფით ტრიალებს, ბრუნავს  
ყველა ატომი და მის სრბოლას ვერაფერ თრგუნავს.  
მეექვსე გრძნობა დაგანახებს მარსს და ვენერას  
და დედამინას - მოელვარე ცისფერ პლანეტას.  
ამ ჴეციური ჴარმონიის სრულყოფილება  
გხიბლავს, გაოცებს, გასაქრობად არ გემეტება.  
ჩემთვის უცნობო, შორეული შთამომავალო,  
ეს ჩემი შიში მსურს გაგანდო, არ დაგიმალო.  
მსურს ათასწლეულ სიშორიდან შეგეხმიანო,  
ჩემი ოცნება, ჩემი ნატვრა გაგიზიარო:  
ადამის მოდგმა დე არასდროს არ მოიშალოს,  
ცისფერ პლანეტამ სულ იბრუნოს და იტრიალოს.  
- ნეტავ სადამდის? -  
- მუდამ, მარადის.  
1997 წ.

### დედის ბარათი

მე არ მოვკვდები,  
როცა მოვკვდები.  
მხოლოდ ფერს ვიცვლი, გარდავიქმნები.  
შენს გულში სადმე ბინას დავიდე,  
შენს ტვინის ხვეულს ჩავენასკვები,  
მაინც ვიცოცხლებ,  
მაინც ვიქნები.

მე არ მოვკვდები,  
როცა მოვკვდები!

ბერმუხას ფესვებს ჩავეგრისები,  
მის სისხლძარღვებში დავისადგურებ,  
ხასხასა ფოთლებს ჴოლად გავყვები,  
მაინც ვიცოცხლებ,  
მაინც ვიქნები.

თუ მინდა მოვალ  
ისევ და ისევ:  
ავბიბინდები ცისფერ ბალახად,  
ან ავქოჩრდები იასამანად,  
ქარად ვიქცევი და მოვფრინდები  
მაინც ვიცოცხლებ,  
მაინც ვიქნები!

ან ობოლ ვარკველავს  
შევეხიზნები,  
სხივების კონას დავესესხები,  
გზას გაგინათებ, არ მიგატოვებ,  
ნუ დაიბნევი, ნუ შეშინდები.  
მაინც ვიცოცხლებ,  
მაინც ვიქნები!

და ვიტრიალებ სამყაროებთან,  
მარადისობის უღელტეხილთან.  
გადმოვალ შენში, შეილთაშვილებში,  
საუკუნეებს გადავაბიჯებ.  
გარდავიცვლები, გარდავიქმნები,  
მაინც ვიცოცხლებ,  
მაინც ვიქნები!  
1998 წ.

### შესანდობარი

(*ეუძღვნი ჩემს მეგობრებს*)

როგორ მაკლია  
თქვენი ღიმილი,  
ბაასი დინჯი და აზრიანი,  
თან გამოხედვა ალერსიანი,  
თქვენი სიცილი.  
და მაინც ერთი მაქვს სათხოვარი:  
ვინც სულ წავიდა,  
გული დაგვწყვიტა,  
დავლიოთ მისი შესანდობარი.  
როგორ მახარებს თქვენი სტუმრობა,  
ჩვენი შეხვედრა ხმაურიანი,  
თითქოს ნათდება გზა ნისლიანი,  
თქვენი ხუმრობა.  
და მაინც ერთი მაქვს სათხოვარი:  
ვინც სულ წავიდა,  
გული დაგვწყვიტა,  
დავლიოთ მისი შესანდობარი.  
ჯერ არც მოსულხართ,  
მე კი თქვენს წასვლას  
წინასწარ ვდარდობ გულსევედიანი.  
ოთახში ქრება სხივი მზიანი;  
ველი თქვენს მოსვლას,  
რომ გაგახსენოთ ეს სათხოვარი  
ვინც სულ წავიდა,  
გული დაგვწყვიტა,  
დავლიოთ მისი შესანდობარი.  
1999

გიორგი შიშნიაშვილი

მარიტა

\*\*\*

(მოგონებებიდან)

ედვინება ლიკა ქავუარაძის ნათელ ხსოვნას



„რატომ აღარ წერ ჩემზე?.. სიტყვებს იმდენად აღარ ენდობი, რომ ჩემი ხატება სტრიქონებში ჩააქსოვო?...“

იკა ქადაგიძე

\*\*\*

ბოლოს მარიტა ვაკის სამების ეკლესიაში ვნახე; არაფერი არ მითქვამს მისთვის, ერთი კი იყო, გავზედე და ფითრისაგან შეგრილებულ შუბლზე უთბილესი კოცნა დაფუტოვე...

\*\*\*

მომენატრე, მარიტავ... ნუხელის მოხვედი ჩემთან და ჩამურჩულე, ჩემზე აღარ წერ... რა მოხდა, სიტყვებსაც აღარ ენდობიო? რატომ იფიქრე ასე?.. როგორ იფიქრე, რომ შენი ხატება დავივინყე?! შენზე ლექსს ვწერდი და ველარ დავამთავრე, ალბათ შესაფერისი სიტყვები ვერ მოგიძებნე. განა ასე მარტივია? არა, მარიტავ, რთულია შენზე ლექსის დაწერა, ძალიან რთული.

მაინც, ვინ გითხრა შენზე რომ ვწერდი, ვინ იყო, ვინ გამამხილა? აღარ იფიქრო, რომ უყურადღებოდ დაგტოვე, აღარ იფიქრო, რომ დამავინყდი, მოვადრო და მაინც დაწვერ ლექსს შენზე, შენს ხატებას სტრიქონებში ჩავაქსოვ და გისახსოვრებ...

ნაშუადღევს ვაკის პარკში ვსეირნობდი, უცებ ლიკა დავინახე... ვიცოდი, ბალში სეირნობა რომ უყვარდა და მეც ყოველთვის სულმოუთქმელად ველოდი მის გამოჩენას. იმ დღეს ნამდვილად ღმერთმა გადმომხედა. ის ისეთი მშვენიერი იყო... ისეთი სათნო, ისეთი ფაქიზი, რომ როგორც კი დავინახე, უმალ ასეთი რამ გავიფიქრე, - ლიკა უნაზესი ყვავილივით არის, რომელსაც მოვლა და გაფრთხილება სჭირდება, თორემ ზედმეტმა ნიაგმა შეიძლება ზიანი მიაყენოს.

მერე მასთან ვილაც მივიდა:

- მე თქვენ ძალიან მეცნობით... - კითხვით სავსე მზერა მიაპყრო გამვლელმა, რომელიც ერთბაშად დაეტყვევებინა ენით უთქმელ სილამაზეს.

- ალბათ მარიტა გეცნობათ...

უჩვეულოდ გაიღიმა ლიკამ და მე დავინახე, როგორ გაიშალნენ მის სახეზე პირმცინარი ბროწეულის ყვავილები.

- მარიტა... - ჩურჩულით გაიმეორა უცხომ და გაოგნებულმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა მიწიერი მშვენიერება;

მე კი, უნებლიედ კვლავ ასეთი რამ გავიფიქრე: ვისაც არ გჯერათ, შეხედეთ ლიკას და დარწმუნდებით, რომ ღმერთი არსებობს!



მარინა თექეთმანიძე

## აგერიკული დღიური

ამერიკული დღიური დღე პირველი „უფალო, არ მიმატოვო არცერთი წუთით, სულ ჩემთან იყავი“ – ვითხოვე და თბილისის აეროპორტიდან თავი მიუნჰენისკენ მიმავალ თვითმფრინავში ამოვყავი. მანამდე დავემშვიდობე ჩემი ოჯახის წევრებს და მიუხედავად ჩემი დიდი წინააღმდეგობისა, აეროპორტში გასაც-ილებლად მოსულ ადამ ბექაურს და დალი ყარაულ-აშვილს. დიდი მადლობა მათ. თვითმფრინავში ჩემ წინ ჩვენი შესანიშნავი მომღერალი ნინო სურგულაძე შევნიშნე და როცა გზას პირჯვარი გადასახა, სიმართლე გითხრათ, მესიამოვნა. ესეც მიუნჰენი. ბარგი არ მაქვს გამოსატანი და თავი ქუდში მაქვს. აქ რამდენიმე საათი უნდა გავჩერდე და უკვე ჰიუსტონისკენ ავილო გეზი. საბაჟო შემოწმებაზე მეტაჟე ფესტივალის მიწვევას მთხოვს, რომელიც არ წამოვიღე, ვინაიდან არ ჩავთვალე საჭიროდ და მეტაჟე სასტუმროს ჯავშნით კმაყოფილდებო. თვითმფრინავი კვლავ აფრინდა. გზა 11 საათი უნდა გაგრძელდეს. ვცდილობ დავიძინო, მაგრამ არაფერი გამომდის. ატლანტიკის ოკეანის თავზე 5 საათზე მეტ ხანს მივფრინავთ. ბევრი ვერაფერი ნუგეშია წარწერა, რომ სამაშველო რგოლი სკამის ქვეშ ინახება. თუმცა დიდად არ მეშინია. „იყავნ უფალო ნება შენი!“ – ვიმეორებ გულში. ესეც ჰიუსტონი. თბილისში, ბილეთის შეძენისას მითხრეს, რომ ბარგს ოსტინში ავიღებდი, მაგრამ თვითმფრინავში მაფრთხილებენ, რომ ბარგი უნდა გამოვიტანო და ხელმეორედ ჩავაბარო. გულზე მეყრება, მაგრამ სხვა რა გზა მაქვს. გავდივარ საბაჟო შემოწმებას. მექსიკური წარმოშობის მეტაჟე აშკარად კარგი თვალით მიყურებს, მაგრამ მაინც სამთვიან ვიზას მირტყამს პასპორტში. წინ „სიურპრიზი“ მელის. ვერსად ვპოულობ ჩემოდანს. თვითმფრინავის გასვლამდე წუთები რჩება. დახმარებას ვითხოვ და საბარგო განყოფილების ორი თანამშრომელი მირჩევს გავიქცე, რომ თვითმფრინავზე არ დავაგვიანო. შეიძლება იქ ნახო ჩემოდანიო, მანუგეშებენ. „უფალო, არ მიმატოვო“ – კვლავ ვემუდარები. ყველაფერი იქ მაქვს, მათ შორის გამოტანებული ნივთები. ფრენა ერთი საათით გადაიდო. ინდოელი ცოლ-ქმარი შევნიშნე, ვიცანი, ერთად მოვფრინავდით მიუნჰენიდან. „ჩვენ გამოვიტანეთ და ისევე ჩავაბარეთ ბარგი.“ – მეუბნებიან და წუხან ჩემ გამო. ჰიუსტონიდან ოსტინამდე მხოლოდ ბარგზე ვფიქრობ და როცა საბარგო განყოფილებაში დავინახე, ზემოდან როგორ მოსრიალებდა ჩემი ჩემოდანი, მეტირა თუ მეცინა, არ ვიცოდი. „მიყვარხარ უფალო!“ – დაუსრულებლად ვიმეორებ გულში. ტექსის ვაჩერებ და სასტუმროსკენ მივეშურები. ტექსის დროით 6 და ჩვენი დროით ღამის სამი საათია. მხიარული შავკანიანი ადმინისტრატორი



ოთახის გასაღებს მაძლევს. მშვენიერი ნომერია. აბაზანის სარკეში თავს ვერ ვცნობ, თვალის თეთრი გარსი აბსოლუტურად ნიჟელი მაქვს. უკან ვტოვებ ოცნებას ტელეფონის სასწრაფოდ შეძენაზე და დასაძინებლად ვწვები სალამოს ექვს საათზე. ამდენი ბავშვობის მერე არასდროს მიძინია. მეორე დღის ათ საათზე ვდგები იმისთვის, რომ რეგისტრაცია გავიარო.

ამერიკული დღიურები დღე მეორე დილას გავიღვიძე თუ არა, პირველ რიგში პროგრამას გადავხედე და მერე, შემინებულმა, სარკეში ჩავიხედე. თვალებიდან სინითლე გამქრალიყო და დავემშვიდდი. ადმინისტრატორს ვთხოვე ტაქსი გამომეძახებინა და მართლაც ხუთ წუთში Link & Pin-ისკენ გავემშურე რეგისტრაციის გასავლელად. აქ პატარა სამხატვრო გალერეაა არცთუ გამორჩეული ნახატებით. რეგისტრაციის შემდეგ ქალაქის ქუჩებში გასეირნება გადავწყვიტე. ამასობაში გვარიანად მომშივდა და პატარა კაფეში შევედი. ვცდილობ ეკონომიურად ვხარჯო ფული. მით უმეტეს, რომ ტაქსი უსაშველოდ ძვირია. ორ შემწვარ კვერცხში და ორ უთხელეს ბეკონში ათი დოლარი გადავიხადე და გზას გავუდექი. რალაცით ფოთის ქუჩები გამახსენა აქაურმა ქუჩებმა. რატომ, თავადაც არ ვიცი. მობილური უნდა ვიყიდო, რომ ბევრი თქვენგანი არ ვანერვიულო. ჩვენგან განსხვავებით, აქ ქუჩაში ტაქსის ვერ გააჩერებ. აუცილებლად უნდა გამოიძახო. გარშემო არც ავტობუსი ჩანს. მოგვიანებით ვიგებ, რომ ისინი მხოლოდ ცენტრალურ ქუჩებზე დადიან. რალაც ბარში შევდივარ და მექსიკური გარეგნობის ბიჭს დახმარებას ვთხოვ. ბიჭი არ მზარდება და მაშინვე იძახებს მანქანას. მერეც, არაერთხელ ვთხოვდი გამვლელებს დახმარებას და არ მახსოვს შემთხვევა, ვინმეს უარი ეთქვა. ძალიან თბილი და ყურადღებიანი ადამიანები არიან. ერთხელ ჩემთან ერთად დაელოდა ტაქსის მოსვლას ახალგაზრდა კაცი, რომელმაც არ მიმატოვა, ვინაიდან შიმობდა, რომ ვაითუ კარგად ვერ აუხსნა დისპეტჩერს ჩემი ადგილმდებარეო-



ბა. ერთი სიტყვით ამ ბართან მალე მოვიდა ტაქსი და მეტისმეტად კეთილი შავკანიანი მძღოლი ტელეფონის საყიდლადაც გამყვა, მაღაზიაშიც შემომყვა და სასტუმროშიც წამიყვანა. მაშინვე ოჯახს გავაგებინე, რომ კარგად ვარ. FB-ც დავაყენე და ამოვისუნთქე. ამ დღეს ბევრი ღონისძიება დაგეგმილი, მაგრამ მე საღამოსათვის ვემზადები. 5-დან 6-მდე Waller Ballroom-ში ფესტივალის საზეიმო გახსნა და აქ აუცილებლად უნდა ვიყო. სასტუმროს ფოიეში ჩინელი გოგონა გამომელაპარაკა და მასთან ერთად გახსნაზე წასვლა შემომთავაზა, რასაც, რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი. ანა, ასე ჰქვია მას, კანადიდან არის და მისი მოსმენის მერე გავიგე, რომ შესანიშნავი პოეტია. მე ფესტივალისთვის საჩუქარი მაქვს გადასაცემი-ინგლისურენოვანი “ვეფხისტყაოსანი” და ჩვენი ქართული ჩოხები, ოღონდ მინიატურული ზომის. ეს ყველაფერი მეგობრებმა შემიძინეს წამოსვლამდე.

ამერიკული დღიურები დღე მეორე (გაგრძელება) მე და Anna Yin მანქანაში მოვკალათდით და დღესასწაულზე გავეშურეთ. ჩვენი მძღოლი ოსტინელი პოეტია-ასაკოვანი, მაგრამ მხიარული და ენერგიით სავსე. WALLER BALLROOM-ი პირველ სართულზეა, შესასვლელი პირდაპირ ქუჩიდან აქვს. მოზრდილი დარბაზია, დაახლოებით ჩვენი მწერალთა სახლისხელა. დარბაზს პატარა სცენა აქვს. სწორედ აქედან უნდა წავიკითხოთ ლექსები. მე ძალიან საპატიო მისია მაქვს. “ვეფხისტყაოსანი” უნდა გადავცე ფესტივალის ორგანიზატორებს. კიდევ ერთხელ მაღლიერებით ვივსები ჩემი მეგობრების-დიანა გეგიაძის და ლალი გუნიას მიმართ. ეს წიგნი მათ შემიძინეს. ხალხში, ღონისძიებების დანებამდე ფესტივალის დირექტორს Joe Brundidge-ს ვხვდავ. ფოტოსურათით ვიცანი. მივდივარ და ვეცნობი. ჯოი გულში მიკრავს. ეს აქ სითბოს და კეთილგანწყობის გამოსახატავი ფესტივა და მერეც არაერთხელ ჩამიკრეს გულში უცხო ადამიანებმა. ასეა თუ ისე, ჯოი პირველი შავკანიანია, ვისაც ვეხები და მითი ზანგების აუტანელ, სპეციფიკურ სუნზე მიქარწყლდება. დანებამდე არაერთი პოეტი გამეცნო. უკვირთ, რომ იგებენ, საქართველოდან ჩამოსული რომ ვარ. მიხარია, რომ საქართველო ყველამ იცის. სცენაზე ერთმანეთს ცვლიან გამომსვლელები. მოდის ჩემი რიგიც. ვნერვიულობ. არ ვიცი, როგორ მიიღებენ ჩემს ლექსს. თანაც აქაური დიალექტი ისე განსხვავდება ბრიტანულისგან, როგორც ცა და დედამიწა. მიჭირს მათი გაგება. ჯერ სიტყვას ვკითხულობ.

ამერიკული დღიური დღე მეორე გაგრძელება (II) არ ვიცი, როგორ ჩავიკითხე ლექსი. უბრალოდ, ვგრძნობ, რომ ძალიან ვნერვიულობ. ტაშის ხმამ გამომავხიზლა. არ ვიცი მოწონებისა ეს ტაში თუ გამხნივეების. დგება ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი. ჯოი ბრუნდიჯს ქართველების ყველაზე დიდი საგანძური-ვენერა ურუშაძის ნათარგმნი “ვეფხისტყო-

სანი” უნდა გადავცე. ძვირფასი გამოცემაა, ჭედური ყდით. მერე, სხვათა შორის, ბევრმა მკითხა, რა წიგნი იყო ასეთი, რომ ასე ძვირფასად გამოიყურებოდა. ჯოის ჩვენი მინიატურული ჩოხები რომ გადავცეცი, სიხარულისგან აჭყლოპინდა. I know this, I know. სად ჰქონდა ნანახი, ვერ გეტყვით, მაგრამ რეაქცია ნამდვილად გულწრფელი იყო. მათი ფოტოგრაფიც მოვარდა და კადრები გადაიღო. სცენიდან ჩამოსულს უამრავი თბილი თვალი მომაცილებდა. სკამზე რომ დავჯექი, აქეთ-იქიდან ხელები შემამაგებეს მონაწილეებმა. ერთი ქალი კი ადგა, ჩემკენ გამოემართა და მითხრა: ეს როგორ თქვით, როგორ შეძელით გყვარებოდათ “That woman”? არ ვაჭარბებ, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. საღამოს დასრულების მერეც არაერთი პოეტი მომიხლოვდა და მაძლობა გადამიხადა ლექსისთვის. ბედნიერი ვარ. ქართული ლექსი გაიგო ამერიკამ. სხვები სავაზაშოდ რჩებიან. მე სასტუმროში მიჩვევია წასვლა, მარტო ყოფნა მინდა. კონდიციონერ ჩართული ოთახიდან გარეთ, სითბოში გამოსვლა მესიამოვნა. გარეთ მდგომ ახალგაზრდას ტაქსის ვაძახებინებ და სასტუმროში ბედნიერი ვბრუნდები...

ამერიკული დღიურები მესამე დღე დილით ჩემს ნომერში ზარის ხმა გაისმა. გამეხარდა. მივხვდი, ანა იქნებოდა. წინა დღეს შევთანხმდით, რომ დილას მასტერკლასებზე ერთად წავიდოდით. დღეს ერთ-ერთ მასტერკლასს ანა ატარებს. Rio Grande Building 3000 ასეთია ოფიციალური მისამართი, სადაც ეს შეხვედრა უნდა გაიმართოს. ბუნება და ყოველდღიურობა, პოეტური ინსპირაციები და მის უკან მდგარი ამბები-აი, თემა. ანა უხსნის მონაწილეებს, თუ როგორ შეიძლება უბრალო ამბავი პოეზიად გადაიქცეს. პირადად ჩემთვის, ყველაზე საინტერესო ჰაიკუს წერის თავისებურებებია. შეხვედრა კარგა ხანს გრძელდება. ვილატყებმა ანას წიგნი შეიძინეს 15 დოლარად. ჩვენ -ანა, ერთი ტეხასში მცხოვრები ჩინელი გოგონა და მე, რამდენიმე კვარტლის გავლის მერე, ავტობუსში ვსხდებით და იმ სამხატვრო სალონში მივდივართ, სადაც რეგისტრაცია გავიარე. მერე კი მეორე მასტერკლასს ვესწრებით. მაინცდამაინც არ მომწონს. არც ანას უჯდება ჭკუაში იქ ყოფნა და მტოვებს. მეც ცოტა ხანში ვტოვებ შენობას და ქუჩებში დავხეტიალობ. მინდა გითხრათ, რომ თავდაპირველი არც თუ მაღალი შეხედულება აუსტინზე გამეფანტა და ამ მართლა ძალიან ლამაზი ქალაქით ვტკბები. ქუჩაში ყველა მესალმება და მილიმის, საოცარი სისუფთავე-აი, ამ ქალაქის სავიზიტო ბარათი. კარგა მაგრად დავილაღე. კვლავ გამვლელს ვთხოვე დახმარება. ეს ის ახალგაზრდაა, რომელმაც ტაქსის მოსვლამდე ფეხი არ მოიცივალა და არ მიმატოვა. ფესტივალის განმავლობაში, ყოველდღე, სხვადასხვა ადგილებში ტარდება შეხვედრები, ამიტომ ყველა მონაწილეს ვერც კი ხვდები. პირველ დღეს ერთი ინდოელი ქალი გამეცნო, რომელიც მხოლოდ წამოსვ-

ლის წინა დღეს ვნახე კვლავ. ეს პროგრამა წინასწარ, მეილით მომანოდეს, მაგრამ მაინცდამაინც აუცილებელი არ გახდა წინასწარ შერჩეულ ღონისძიებებზე დასწრება. იმ დღესაც სასტუმროში დავბრუნდი და დღემდე ვწერვიულობ, რომ გავაცდინე ერთი ძალიან საინტერესო პოეზიის საღამო, სადაც შესაძლებლობა მქონდა, გამეცნო ფრანგი, რუსი, გერმანელი, ესპანელი და სხვა ქვეყნების პოეტები. უბრალოდ, არ დავეუკუირდი თარიღს და დღეები ამერია. წინ ძალიან საინტერესო დღე მელოდება. კაპიტოლიუმის სამხრეთ შესასვლელთან ლექსები უნდა წავიკითხოთ...

ამერიკული დღიურები მეოთხე დღე გათენდა 11 აპრილის დღით. პროგრამას თვალი გადავაავლე და კაპიტოლიუმში წასასვლელად მოვემზადე. ჰო, დამავინწყდა მეთქვა, რომ წინა საღამოს ღებტ პოეტებთან იყო შეხვედრა. სიმართლე გითხრათ, არანაირი სურვილი არ მქონია ამ შეხვედრაზე დასწრებისა. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი შეხვედრა გამომჩნა და მერე, არაერთხელ ვინანე.

ტაქსის მძღოლმა, სამხრეთ შესასვლელიაო, მითხრა და კაპიტოლიუმის უზარმაზარ და ულამაზეს შენობასთან ჩამომსვა. აღსანიშნავია კაპიტოლიუმის ეზოს სიმწვანე. ციყვები ისე დახტიან ხის ტოტებზე, არც გერიდებიან. ის კი არა, გაკვირდებიან კიდეც. ჩიტების უივილ-ხივილი იკლებს იქაურობას. ერთ საინტერესო „აღმოჩენამდე“ მივდივარ და მეღიშება. იქაური ჩიტებიც „ქართულად“ ჭიკჭიკებენ, ამიტომ მეც ქართულად ვეფერები. – ამხელა ეზოში ვინ და სად ვიპოვო? – გავიფიქრე და კიბებთან ფესტივალის მონაწილის სამკერდე ნიშნიანი ხალხი შევამჩნიე. აქ გავიცანი იმ დღეს ორი შესანიშნავი ადამიანი-ქრისტიანი და ჯონ ირვინგები და ტეხასში ცნობილი პოეტი და ფოტოხელოვანი კეროლანი ადამსი. თავდაპირველად ქრისტინა გამომელაპარაკა, მერე-ჯონი. ჯონი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით ინტერესდება. მე ვუთხნები, რომ არ მიყვარს პოლიტიკა და პოლიტიკოსები. „დაახ, ისინი იმიტომ მოდიან, რომ ადამიანები მართონ. აბა, რატომ უნდა გვიყვარდეს?“ რიტორიკულ შეკითხვას სვამს ჯონი. მოვიდა ლექსების წაკითხვის დრო. შეგვიძლია რამდენიმე წავიკითხოთ, ოღონდ რიგრიგობით. რეაქცია „ეთი ოსურზე“ ზუსტად იგივეა, რაც წინა დღეს. ქრისტინას თვალები ცრემლით ევსება, მეხუტება და მკოცნის. ანალოგიურად იქცევიან ჯონი და კეროლანი. – დღეს სულ ერთად ვიყოთ, მთავაზობს ჯონი და მეც სიხარულით ვთანხმდები.

ამერიკული დღიურები მეოთხე დღე (გაგრძელება) სადილის შემდეგ ჯონს კეროლანის რაღაც დანიშნულების ადგილამდე მიჰყავს და იქ ტოვებს. მე ვამბობ, რომ მართლმადიდებელი ვარ და ხვალ ჩვენი აღდგომის დღესასწაულია. ჯონს ჰგონია, რომ მეორე დღისთვის მინდა ტაძარში წასვლა და სასტუმროდან

ყველაზე ახლომდებარე მართლმადიდებლური ეკლესიის მისამართს მაძლევს. რატომღაც სტალინზე იწყებს საუბარს და მის ქართულ ფესვებზე. – ყველაზე დიდი ძეგლი გორშია, არა? მეკითხება და თვალებს ჭუტავს. ამ უცხო ქვეყანაში, სხვა კონტინენტზე სტალინის ხსენებაც კი მიხარია. – დაათვალიერე ოსტინი?-მეკითხება ჯონი და როცა იგებს, რომ მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მაქვს ნანახი, ულამაზეს ადგილებს გაჩვენებო. ქრისტინას დაუინებული მოთხოვნით მანქანაში წინ ვვდები და ქალაქის გარეუბანში მივეშურებით. ცოლქმარი ოსტინის მინდვრებს მიჩვენებს. ვარდისფერი, ყვითელი, ლურჯი ყვავილებით მოჩითულს. მსგავსი სილამაზის წარმოდგენაც კი ძნელია. მთლიანობაში ულამაზესი ხალიჩის შთაბეჭდილებას გიტოვებს. ჩვენი მოგზაურობა საათზე მეტხანს გაგრძელდა. ჩვენ Book Woman-ში მივეშურებით. აქაც პოეზიის საღამოა და უნდა დავესწროთ. ეს წიგნების მაღაზიაა. ვის არ შეხვდებით აქ. „ამერიკის საუკეთესო პოეტები“-ასე ჰქვია წიგნს, რომლის შეძენაც ძალიან მინდა, მაგრამ საკმაოდ ძვირია და თავს ვანებებ. საღამო კარგა ხანს გაგრძელდა. აქედან Rio Grand Building-ში მივდივართ მასტერკლასზე. პროზა და პოეზია არის თემა და აქ ხდება ჩემთვის სასწაულის ტოლფასი. როცა სხვები მასპინძლის დავალებას ასრულებენ, ცხოვრება ში პირველად ვწერ ინგლისურად ლექსს. და ეს ლექსი ორ შესანიშნავ ადამიანს- ჯონს და ქრისტინას ეძღვნება. ლექსის თემა ასეთია: შეიძლება ყველა ქვეყანაში აღმოაჩინო ადამიანი, რომელიც თავის თავში ღმერთს დაატარებს და არ აქვს მნიშვნელობა არც კანის ფერს, არც აღმსარებლობას თუ მასში უფალი-სიყვარულია. და მე აქ, ოსტინში ვიპოვე ორი სიყვარული- ორი პატარა ღმერთი-ჯონი და ქრისტინა. ლექსი ქრისტინას დაუუდე წინ. ლექსი ჩაკითხა და წამოიძახა: ჯონ , ნახე! მომიბრუნდა და ჩამეხუტა. ჯონი კი წაკითხვის მერე ადგა, რაღაც უზარმაზარი სიტობო წამოვიდა მისგან. მომიხლოვდა და თავზე მაკოცა. ვნანობ, რომ ამ ლექსის მეორე პირი არ მაქვს. იქნებ ოდესმე აღვიდგინო. მეორე მასტერკლასსაც ვესწრები. ძალიან მომწონს. ზღაპრები პოეზიაში არის თემა. მასპინძელი პამელა ლასკინი პოეტია და შესანიშნავად უძღვება დავალებას. აქედან Kick Butt Coffee-ში მივდივართ. ეს კაფეა, სადაც უამრავი ახალგაზრდა ზის და ლექტორებში რაღაცას იჩხრიკებიან. ჩვენ ეზოში გავდივართ. მექსიკური გარეგნობის მასპინძელი გყავს. ჯონი და ქრისტინა ყველას აცნობენ ჩემს თავს. „ გახსოვართ? გუშინ ერთად ვისხედით მასტერკლასზე“-მეუბნება შაკანინი პოეტი. რა თქმა უნდა, მასსოვს და დასტურად მეც ვუღიმი. ლექსებს რიგრიგობით ვკითხულობთ. ამასობაში წამოწვიმა და ჩვენ კაფეში შევედით. თუ რამ მქონდა თარგმნილი ინგლისურად, ყველაფერი წავიკითხე...

ამერიკული დღიურები მეოთხე დღე (გაგრძელება)

ბა II) კაფეში გამართული საღამო მთავრდება. ახალგაზრდა პოეტი გოგონა მიახლოვდება და მეკითხება, ინგლისურად ვნერ ლექსებს თუ მშობლიურ ენაზე. პასუხის მერე გულწრფელად მეუბნება, რომ რალაც სხვანაირი ლექსები მაქვს. მას ასეთი პოეზია არ ნაუკითხავს. გულში ვიკრავ მაღლობის ნიშნად. კრისტიანა და ჯონი ნიკი ჯოვანის პოეზიის მოსასმენად მეპატიჟებიან. ნიკის ნიგნები ტეხასში ბესტსელურად ითვლება და ამ საღამოს ბილეთი 150 დოლარი ღირს. ძალიან დაღლილი ვარ და უარს ვამბობ შემოთავაზებაზე. „მაშინ სასტუმროში წაგიყვანთ“ – მთავაზობს ჯონი და ჩემს უარს მის ხელახლა შენუხებაზე აპროტესტებს. სასტუმროსთან მისული ვიგებ, რომ ისინი ფესტივალის დახურვას არ დაელოდებიან და დილით აპირებენ ოსტინის დატოვებას. ჯონი მთავაზობს, რომ დილით, წასვლამდე გამომივლის და სადაც სურვილი მექნება, იქ წამიყვანს. ახლაც, ამ წუთებშიც აუტანელი სევდით მეცება გული, ისეთი სევდიანი იყო ჩვენი გამოშვებობა. მე და კრისტიანა ნიგნებს ვცვლით და ძალიან დიდხანს ვეხუტებით ერთმანეთს სამივე. მე მათ საქართველოში ვეპატიჟები და და ახლაც უფალს ვთხოვ, რომ თუნდაც ერთხელ მაინც შეგვახვედროს კვლავ. „ჩვენ გვიყვარს თქვენი პოეზია“ – აი, ბოლო სიტყვები, რასაც ეს დიდებული ადამიანები მეუბნებიან...

ამერიკული დღიურები მეხუთე ანუ ბოლო დღე გათენდა ფესტივალის ბოლო დღე. ანას მესიჯს ვუგზავნი მეილზე. ანა მპასუხობს, რომ უკვე აეროპორტშია და კანადაში მიფრინავს. კიდევ ერთხელ ვგრძნობ ტკივილს მკერდში. სხვათა შორის ფბ-თი უკვე შევეხმიანეთ ერთმანეთს მე და ანა და ეს დღიურებიც მოინონა, ოღონდ არ ვიცი, თარგმნის თუ უბრალოდ კეთილგანწყობის შესტია. თუ ოდესმე შევძელი,

ძალიან მინდა ანას ლექსების ქართულად თარგმნა, მისი პოეზია ძალიან მომწონს... ჰო, კიდევ დამავიწყდა მეთქვა, რომ ჯონი ვიეტნამშია ნაბრძოლი. ჩინიც ჰქონდა და ალბათ ამიტომაც არ უყვარს პოლიტიკოსები ასე ძალიან. აღარ მინდა სადმე წასვლა. ხალისი დამეკარგა. საღამოს გავალ გუშინდელ კაფეში. იქ ფესტივალის ორგანიზატორები იკრიბებიან. ჯეიმს ჯეკობსის გაცნობა მინდა. ეს ის ადამიანია, ვისთანაც თვეების მანძილზე მქონდა მიმონერა და არასოდეს მინახავს. ჯერ ნომერში დავბოდილობ. მიჭირს მარტობასთან გამკლავება. მერე სასტუმროს ფოიეში ჩავდივარ და იქ ვჯდები. ადამიანებს მაინც შევხვდავ, იქნებ ფესტივალის მონაწილეებსაც შევხვდე. სასტუმროში გამხდარი, სიმპათიური ქალი შემოვიდა. მეცენო. -ჩვენია(ანუ ფესტივალის მონაწილე)-გავიფიქრე. ქალი ჩემკენ გამოემართა და გამეცნო. მერი თუ მარი-რალაც ამგვარი სახელი ჰქვია. გამომკითხა რომელი ჯორჯიდან ვიყავი. რა ასაკიდან ვწერდი ლექსებს და არ მრცხვენია ამის ხმამალა თქმის: ყველაფერი რომ ვუამბე,მერე მითხრა: “That woman” is the best poem of festival. ეს რა თქმა უნდა, მისი აზრი იყო და არა მთლიანად ფესტივალის, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ძალიან გამეხარდა და უამრავი მაღლობა გადავუხადე. საღამოს ჯეიმსის გასაცნობად წავედი და ვინანე. ახალგაზრდა, საკმაოდ ფლეგმატური კაცი შემრჩა ხელში, რომელიც, მგონი ვერც კი მიხვდა კარგად, ვინ მარინა ვიყავი. მეორე დილას ნიუ იორკში ჩამოვფრინდი და მგონი აღარც არაფერი მაქვს საამბობი. ერთი რამ კი შემძლია გითხრათ, თბილისზე ლამაზი ქალაქი და საქართველოზე უკეთესი ქვეყანა დედამიწის ზურგზე არ არსებობს...



მარსიანი

გივი ადრეულის გახსენება

გივი ადრეული ეს იგივე გივი ტყეშელაშვილია. მე ვფიქრობ, „ადრეული“ ბედნიერად მიგნებულნი ფსევდონიმია, რომელიც უზუსტესად გამოხატავს მისი ენიგმური პოეზიის არსს.


„ადრეული“ სწორედ „ფესვებში“ უფრო მეტად და ინტენსიურად ჩაღრმავებაზე მიმნიშნებლად უღერს... მისი ლექსების კითხვისას ეროვნული თუ ზოგადკაცობრიული მითოსის სამყარო ცოცხლდება ჩვენს წინაშე, მართლაც ადრეულ, არქაულ ხილვათა ნიაღში შევდივართ, სადაც დრო უკვე ზედროულობის ნიშნებს იძენს და სხვადასხვა ეპოქებში, სხვადასხვა კულტურულ-ისტორიული თუ პრეისტორიული სივრცეები ერთიან, დაუნაწევრებელ მთლიანობად აღიქმება. აქ ისევე, როგორც ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, ერთმანეთთან არის შერწყმული წარმართული და ქრისტიანული წარმოდგენები, რასაკვირველია, თანამედროვე ხედვის ფოკუსში მოქცეული, ახლებურად გააზრებულ-გარდასახული.

მისი ლექსები - „შემოქმედია დეკემბრის მინა“, „მე ვხედავ ნვიმებს...“, „ოთხმხრივ“, „ბუდე“, „ქარებტყვემ დუნედ ჩხრიალებს ქვიშა...“, „თეთრი ქორები“, „ციცინათელათა კარავი“, „ვიხილეთ, რადგან...“ და არაერთი სხვაც, შეიძლება ითქვას, რაციოს ენაზე „უთარგმნელი“ ენიგმების (ყოველ შემთხვევაში, მათი შინაარსობრივი გახსნა-გაშიფვრა დღევანდელ ეტაპზე მაინც ნაკლებად შესაძლებელია). გივი ადრეულის მხატვრულ წარმოსახვებში მინიერისა და ზეციურის ურღვევ ერთიანობას, მჭიდრო ურთიერთჩახლართულობას ვხედავთ, იგი არც მუდამ ცისკენ თვალაპყრობილი რომანტიკოს-მეოცნებეა, არც მხოლოდ მინიერს მიჯაჭვული რეალისტ-ემპირიკოსი: ამ ორი, ურთიერთსაპირისპირო მიმართულებების სინთეზირება (ოქროს კვეთის პრინციპზე დაყრდნობით) ქმნის სრულიად განსაკუთრებულ პოეტურ ეფექტს და გივი ადრეულის ლირიკას გამორჩეულ ფენომენად აქცევს. ეს ლირიკა საფუძვლიანადაა გამდიდრებული ხალხური მეტყველების ნიაღიდან ამოზიდული სიტყვებითა თუ იდიომატური თქმებით, ლიტერატურული ნორმებისაგან კოლორიტული გადახრებით.

ვიხილეთ, რადგან...

ჩვენ გადმოვედით... მას უკან ხორცი სულზე უმეტეს ლანდებს აბოდეებს. და გვენანება: საქართველოსთვის თკივილი! ეს საამაყოდ აქვს წინამორბედს!...

ჩემშია ნაძვი და მწვანე ეშხი



ვრცელ კალანდებზე მორცხვად მიმოდის, როგორც ოდესღაც: ჩვენ სისხლი შევსვით მშობლიური და: კვლავ ზეთისხილი მოგვაქვს კიდობნით.

ცხვრის ფარა: მწყემსი! კათაკმეველთა წყევლის ღრუბლებტყვესტყვა თან მოგვდევეს. ჩვენს მერე - ჩვენი შვილი აღზევდა, ჩვენს მერე - ჩვენვე აღარასოდეს!


და უვარსკვლავოდ: მაღლი გამგებელს, ჩვენ გადმოვედით... რადგან ამ სოფლით

შენ - ჩემი სისხლით, მე - შენი ხორციით: ამ თეთრ დღეებზე სხვა მნათობებიც იქადაგებენ!

გასრულდა კვირა. და ბედზე ავი დაგვინდობს დარი კეთილშობილთა, როდესაც უკვე მზეთუნახავი ტირის შვიდივე და მარილი ჟონავს შოლტიდან:

საეჭვო იყო ნუთისოფელი და სიხარულიც უმასპინძლოა!

ჩვენ გადმოვედით... მას უკან ხორცი სულზე უმეტეს ლანდებს აბოდეებს. და გვენანება: საქართველოსთვის თკივილი! ეს საამაყოდ აქვს წინამორბედს!



მხატვარი მარსიანი